

შოთა რუსთაველის სახელობის
ბათუმის სახელმწიფო საპანსნაელებლო ინსტიტუტი

საგეცნიერო შრომების კრებული

ნიკნი პირველი

აქარის სახელმწიფო გამომცემლობა

ბათუმი

1941.

Батумский государственный учительский
институт имени Шота Руставели

СБОРНИК
научных трудов

КНИГА ПЕРВАЯ

Государственное Издательство Аджарии

г. Батуми 1941

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ნ. ნ ი ჟ ა რ ა ძ ე — შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი.
 2. ალ. ჩ ა ვ ლ ე ი შ ვ ი ლ ი — აკაკი წერეთლის პოეტიკისათვის
 3. ნ. უ რ უ შ ა ძ ე — შექსპირის მემკვიდრეობა და მარქსიზმის კლასიკოსები.
 4. ელ. ნ ო რ ა კ ი ძ ე — კონფლიქტების მატარებელი სუბიექტების განწყობა
 5. ზ. ხ ო ჯ ა ვ ა — გამოცდილების გავლენა აღქმაზე
 6. ლ. რ ო ზ ი ნ ი — მხატვრული და სტილისტური თავისებურებანი ძველი რუსული მოთხრობისა „ფროლ სკობეევის შესახებ“
 7. კ. გ რ ი გ ო ლ ი ა — ძველი ქართული ზოგიერთი საზომის ოდენობის საკითხისათვის
 8. ჯ. ნ ო ლ ა ი დ ე ლ ი — აქარული კილოს თავისებურებანი.
 9. შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი — ლექსიკის განვითარების გზები და დიალექტური სალექსიკონო მასალის შეგროვების პრინციპები
 10. ს ო ლ. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი — პლატონ იოსელიანის წერილები აკად. მარი ბროსესადმი.
 11. ლ. მ ე თ ა რ ი შ ვ ი ლ ი — გრიგოლ ორბელიანის ზოგიერთი გამოუქვეყნებელი წერილის შესახებ
-

СОДЕРЖАНИЕ

1. Нижарадзе Н. — Батумский государственный учительский институт им. Ш. Руставели
 2. Чавлеишвили Ал. — К поэтике Акакия Церетели
 3. Урушадзе Н.—Наследство Шекспира и классики марксизма
 4. Норакидзе Вл. —Установка суб'ектов, носящих конфликты
 5. Ходжава З. — Влияние опыта на восприятие
 6. Розин Л. — Художественные и стилистические особенности древнерусской повести „О Фроле Скобееве“
 7. Григолия К.—К вопросу о величинах некоторых древнегрузинских мер
 8. Ногаидели Дж. — Особенности аджарского говора
 9. Дзидзигури Ш. — Пути развития лексики и принципы собирания диалекто-словарного материала
 0. Кубанейшвили Сол.—Письма Платона Иоселиани к академику Мари Броссе
 1. Мепаришвили Л.— О некоторых неопубликованных письмах Григория Орбелиани
-

ნური ნიჟარაძე

ბათუმის სახ. სამასწ. ინსტ. დირექტორი

შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი

ამხანაგმა სტალინმა თავის ისტორიულ მოხსენებაში საკ. კ. პ. (ბ) მე-18 ყრილობაზე, დაახასიათა რა საბჭოთა ხალხის კულტურის უდიდესი აღმავლობა, სთქვა: „ხალხის კულტურული განვითარების თვალსაზრისით საანგარიშო პერიოდი ქეშმარიტად იყო კულტურული რევოლუციის პერიოდი. სსრ კავშირის ეროვნებათა ენებზე საყოველთაო-საეალდებულო პირველდაწყებითი განათლების დაწესებულება ცხოვრებაში, ყველა საფეხურის სკოლებისა და მოსწავლეთა რიცხვის ზრდა, უმაღლესი სკოლების მიერ გამოშვებულ სპეციალისტთა რიცხვის ზრდა, ახალი საბჭოთა ინტელიგენციის შექმნა და განმტკიცება, — ასეთია ხალხის კულტურული აღმავლობის საერთო სურათი“.

ამ უდიდესი კულტურული აღმავლობისა და ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკის ქეშმარიტად გაფურჩქენა-აყვავების შედეგია აჭარაში პირველი უმაღლესი სასწავლებლის — შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის არსებობა. ინსტიტუტი თავის ისტორიას 1935 წლიდან იწყებს. პარტიისა და ხელისუფლების შეუწელებელი ზრუნვისა და ყურადღების შედეგად, დღითი-დღე იზრდება და მტკიცდება მისი მატერიალური ბაზა: 1935 წელს ინსტიტუტზე დაიხარჯა 151.000 მან., 1936 წ. — 640.000 მან., 1937 წ. — 1.180.000 მან., 1938 წ. — 1.757.900 მან., 1939 წ. — 2.046.200 მან. და 1940 წ. — 2.152.500 მან.

მატერიალური ბაზის ზრდა-განმტკიცებასთან ერთად იზრდება და უმჯობესდება კადრების მომზადების საქმეც. სტუდენტთა სასწავლო მუშაობისათვის ინსტიტუტს აქვს 10 კაბინეტი და ლაბორატორია; ამას გარდა ინსტიტუტთან არსებობს ბიბლიოთეკა, სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი ბინა, სასაბავშვო და სხვა დამხმარე დაწესებულებები. ამჟამად ინსტიტუტის გამგებლობაში 5 ფაკულტეტი: ენისა და ლიტერატურის (ქართულ-რუსული სექტორებით), ფიზიკა-მათემატიკის, ისტორიის, საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიის და ფიზიკური კულტურის.

ინსტიტუტი უზრუნველყოფილია კვალიფიციურ პროფესორ-მასწავლებელთა კადრებით, რომლებიც ბოლშევიკურად იბრძვიან მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებული პედაგოგიური კადრების აღზრდის საქმისათვის. ოთხი წლის განმავლობაში ინსტიტუტმა გამოუშვა სხვადასხვა სპეციალობის 905 მასწავლებე-

ლი, მათ შორის 1937 წელს—139 მასწ., 1938 წ. — 217, 1939 წ. — 225, 1940 წ. — 324. ინსტიტუტის კურსდამთავრებული ახალგაზრდობა პარტიისა და ხელისუფლების მიერ მასზე დაკისრებულ ამოცანას — ჩვენი ქვეყნის ბედნიერი ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდას — პირნათლად ასრულებს.

ინსტიტუტს გარკვეული მუშაობა აქვს ჩატარებული მასწავლებელთა სამეცნიერო კვალიფიკაციის ამაღლების დარგშიც. ამ ხნის განმავლობაში ოთხ უფროს მასწავლებელს მიენიჭა დოცენტის სამეცნიერო წოდება, ხუთმა დაიცვა მეცნიერებათა საკანდიდატო დისერტაცია; ამჟამად ექვსი ახალგაზრდა მეცთანამშრომელი მუშაობს საკანდიდატო მინიმუმის ჩაბარებაზე.

ინსტიტუტში ათი კათედრაა, რომლებიც სასწავლო-პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის მუშაობასაც აწარმოებენ. ყოველწლიურად ეწყობა პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო მივლინებები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში — მოსკოვში, ლენინგრადში, თბილისში და სხვ.

მიღწევებთან ერთად ინსტიტუტს აქვს ნაკლიც. მიუხედავად იმისა, რომ საკავშირო სახკომსაბჭოს 1937 წლის 11 ნოემბრის დადგენილების შემდეგ უმაღლეს სკოლაში პროფესორ-მასწავლებელთა საშტატო თანამდებობის და თანამდებობრივი განაკვეთების შესახებ. კათედრების მუშაობა საგრძნობლად გაუმჯობესდა, ზოგიერთი კათედრა მაინც განაგრძობს ჩამორჩენას სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დარგში. ამის დამამტკიცებელია წინამდებარე კრებულიც, რომელშიაც 10 კათედრიდან მხოლოდ ოთხია წარმოდგენილი. ექვსი კათედრა სრულებით არ ღებულობს მონაწილეობას. ეს ნაკლი მომავალში უსათუოდ უნდა გამოსწორდეს.

ამას გარდა ინსტიტუტი არ არის მთლიანად უზრუნველყოფილი პროფესორ-მასწავლებელთა საკუთარი კადრებით და არა აქვს საკუთარი სასწავლო შენობა, რაც უდაოდ უშლის ხელს ინსტიტუტის მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას. მაგრამ იმ დიდი მზრუნველობისა და ყურადღების შედეგად, რომელსაც იჩენს ინსტიტუტისადმი პარტია და ხელისუფლება, აღნიშნული ნაკლიც დროულად იქნება გამოსწორებული.

აკაკი წერეთლის კოეტიკისათვის

საზოგადოებრივი საქმიანობის ასპარეზზე თავდაპირველად აკაკი წერეთელს სამხედრო ხელობით სურდა გამოსვლა, მაგრამ პეტერბურგში მყოფი სტუდენტების რჩევით პროფესიად მწერლობა აურჩევია: „ხელი მიყვავი მწერლობას, ის მიჩნდა ნეტარებადა, და მას შეეწირე ყოველი, რაც მქონდა და რაც მეებადა“, ამბობს აკაკი. შინაგანი მოწოდების მიხედვით პროფესიის არჩევა ადამიანის შემოქმედებითი ენერჯის ნაყოფიერი გამოვლენის უტყუარი წინაპირობაა, მაგრამ მარტოოდენ მგოსნად გახდომის სურვილი ფუჭია თუ არ არსებობს შემოქმედების გაშლისათვის სათანადო სოციალური პირობები. „ყველაფერი დამოკიდებულია პირობებზე, ადგილსა და დროზე“, გვასწავლის დიდი სტალინი და ხელოვნების განვითარება ამ კანონით განისაზღვრება.

საქართველოში, მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებში, სოციალური ცხოვრების პირობები ისეთი იყო, რომ მოითხოვდა უამრავ „სულის ინჟინრებს“. მართალია, ამ დროს კვშმარტი მწერლის შემოქმედებისათვის მეტად მძიმე და შემზღუდველი მდგომარეობა არსებობდა, მაგრამ სწორედ ასეთ ვითარებაში საკირო იყვნენ კულტურის ისეთი მუშაკები, რომლებიც პროგრესიულ მოძრაობას სათავეში ჩაუდგებოდნენ და მშრომელი ხალხის თვალსაზრისით გადასწყვეტდნენ წინმსვლელობის აქტუალურ საკითხებს. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, წინ წამოწეული იყო მშრომელთა ფართო ფენების მოძრაობის დაწყება და ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერება. ქვეყნის შიგნით თანდათანობით იზგრეოდა კარჩაკეტილი ნატურალური მეურნეობა და გაერთიანების საფუძველზე ქართველი ერი მიისწრაფოდა მეფის რუსეთის ტყვეობიდან რევოლუციური განთავისუფლებისაკენ. ასეთ საზოგადოებრივ პირობებში აკაკი წერეთელმა ღირსეულად დაიმსახურა მშრომელი ხალხის მხატვრული მესიტყვის სახელწოდება. ამიტომ აფასებს მას გამარჯვებული საბჭოთა ხალხი. ამიტომ არის, რომ აკაკის შემოქმედება, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ოქროს ფონდი, ხელი-ხელ საგომამანებელ მარგალიტად გამხდარა.

აკაკი წერეთელი ფხიზელი—კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელია. მის ნაწერებში უდიდესი მხატვრული ოსტატობით არის ასახული სინამდვილის განვითარების პროგრესიული ტენდენცია. პროგრესიული იდეისა და მხატვრული ოსტატობის ბრწყინვალე მთლიან-

ნობა აძლევს აკაკის შემოქმედებას მომჭადოვებელ ძალას. აკაკის შემოქმედების პოეტის თვალსაზრისით შესწავლა მიზნად ისახავს სწორედ იმის გარკვევას, თუ როგორი მხატვრული ოსტატობით არის გამოხატული ის პროგრესული შინაარსი, რითაც ცნობილია აკაკის შემოქმედება. ამ ამოცანის შესრულებას წინ უნდა უსწრებდეს გაშუქება ერთი საკითხისა, რომელსაც მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს. ცნობილია, რომ ზოგიერთი უარყოფს მწერლის პოეტური ტექნიკის შესწავლის საჭიროებას. მათი აზრით: ჩვენ რომ გამოგვერკვია ნაწარმოების შექმნის კანონები, ამით მწერალი მაინც ვერ ისარგებლებდა, რადგან როდესაც მწერალი ნაწარმოებს წერს, მაშინ იგი არ ფიქრობს იმაზე, თუ სად გამოიყენოს ალიტერაცია, მეტაფორა, ეპითეტი, შედარება, ელიადა, ჰიატუსი და სხვა, მაგრამ მაინც გამოუდის, რადგან იგი პოეტია, რის გამოც ყველა მხატვრული ელემენტი ნაწარმოებში თავის ადგილზე უნდა იყოს მისდა შეუცნობლად. ამიტომ პოეტური ტექნიკის შესწავლა პოეტისათვის უსარგებლოა, ხოლო მკითხველისათვის ზედმეტი, რადგან მკითხველი გამგებია და არა შემქმნელი.

უდათა, რომ მხატვრული ელემენტების არსების მართო თეორიული ცოდნით პოეტური ნაწარმოების შექმნა შეუძლებელია. ეს მხატვრული ელემენტები მხოლოდ მაშინ მოდიან მოძრაობაში და ქმნიან პოეტურ ნაწარმოებს, როდესაც ისინი „მგონად დაბადებულ“ ადამიანთა შემოქმედების ლაბორატორიაში აეწყობიან. პოეტური ნიჭი, უნარი, მაღლი სწორედ ის დულაბია, რომელიც ორგანულად აერთებს ყველა ამ ელემენტს.

რაც მთავარია, აღნიშნულის საფუძველზე არ შეიძლება პოეტის უარყოფა და პოეტურ ნაწარმოებთა მხატვრული ხერხების შესწავლის შეუძლებლობის დასაბუთება. ყოველი ლიტერატურული ნაწარმოები, ლექსი იქნება ის თუ რომანი, იწერება განსაზღვრული მიზნითა და მხატვრული მოქმედების წესით. მოქმედების ამ წესებს მხატვრულ შემოქმედებაში ლიტერატურული ოსტატობა ანუ პოეტური ხერხები ეწოდება. ამ პოეტურ ხერხებს მწერალი ყოველთვის მოხერხებულად არჩევს და, როგორც შემოქმედება, ისე მისთვის შესაფერისი მხატვრული ხერხის გამოძებნა შეგნებული პროცესია. ამას ამტკიცებს ყოველი თვალსაჩინო მწერლის ნაამბობი თავისი შემოქმედებითი პროცესის შესახებ. მაგალითად, რითმების შეგნებული ძიების შესახებ ნათლად მიგვითითებს ვლადიმერ მაიაკოვსკი: „მე ყოველთვის დამახასიათებელ სიტყვას ვათავსებ ტაეპის ბოლოში და, რაც არ უნდა იქნეს, მას რითმს ვუძებნი“¹⁾. თუ მაიაკოვსკის „ლექსთა სახელოსნოში“ ჩავიხედავთ, ბლო-

¹⁾ იხ. В. Гренин — В „Мастерской стиха“ Маяковского, გვ. 102. მსგავს საკითხებს ეხება შემდეგი წიგნები:

- Б. Грифцов — Как работал Бальзак — 1937.
- С. Дуринин — Как работал Лермонтов — 1934.
- А. Центлин — Мастерство Пушкина — 1938.
- Г. Чулков — Как работал Достоевский — 1939.
- А. Горнфельд — Как работал Гете, Шиллер и Гейне — 1933.

მად შევხვდებით რითმთა შერჩევის სხვადასხვა პრინციპებს და მათ შეგნებულ გამოყენებას მის მდიდარ შემოქმედებაში. საბოლოოდ დასაბუთებულია, რომ ნაწარმოების სრულყოფისათვის ყოველი ნაყოფიერი მწერალი შემოქმედებითი ძიების პროცესში იმყოფება. რომ ეს ძიება შეგნებული პროცესია, ამას ამტკიცებს ცალკეულ ნაწარმოებთა ვარიანტების არსებობა. როგორც მთლიანი ნაწარმოები, ისე ცალკეული სტრიქონი თუ წინადადება ხშირად მრავალჯერ გადაკეთდება იმის გამო, რომ გამოძებნილი იქნას მხატვრულად სრულყოფილი საბოლოო რედაქცია. მაგალითისათვის მივუთითებთ ი. ჭავჭავაძის ლექსთა ვარიანტებზე. ცნობილია ილიას პატარა ლექსის „გაზაფხულის“ ვარიანტი, რომლის პირველი სტროფი შემდეგი იყო:

ტყეს შეესხა ფოთოლი,
აგერ მერცხალიც ჭყივის,
ბალში, როგორც ობოლი,
ვაზი ჩუმადა ტირის.

საბოლოოდ ილიას სტროფი შემდეგი სახით ჩამოუყალიბებია:

ტყემ მოისხა ფოთოლი,
აგერ მერცხალიც ჭყივის.
ბალში ვაზი ობოლი
მეტის ღზინითა სტირის.

უდაოა, რომ საბოლოო რედაქცია მეტად პოეტურია, რადგან პოეზიისათვის დამახასიათებელი ტროპიულობა აქ უფრო ხაზგასმულია. „ტყემ მოისხა ფოთოლი“ უფრო პოეტურია, ვიდრე „ტყეს შეესხა ფოთოლი“. რადგან ამ უკანასკნელ ფრაზაში ტყე პასიურად მოჩანს; ის ზედმოქმედების ობიექტია, რომელსაც შეესხა ფოთოლი. პირველ სტრიქონში ტყე აქტიურია, რადგან მან მოისხა ფოთოლი. აქ ტყე განპიროვნებულია და ვლებულობთ მეტაფორის რთულ სახეს, რომელსაც პროზოპოპეია ეწოდება. ავიღოთ კიდევ მეორე მაგალითი. „ბაზალეთის ტბის“ პირველ ვარიანტში ილიას უწერია:

...მის გარეშემო წყლის ქვეშე
ლამაზი ბალი ჰყვავისო.

საბოლოოდ კი ვკითხულობთ:

და მის გარეშემო წყლის ქვეშე
უცხო წალკოტი ჰყვავისო.

სტროფის მხატვრული სრულყოფისათვის ილიას აქ შემდეგი პოეტური ხერხები გამოუყენებია: 1) ცალკეული ტაეპის გამართვა, სალექსო სტრიქონში ხმოვანთა პროპორციული განაწილებით, რისთვისაც ტაეპი—„მის გარეშემო წყლის ქვეშე“—შეცვლილია ტაეპით: „და მის გარეშემო წყლის ქვეშე“. ცხადია, რომ ეს უკანასკნელი უფრო მხატვრულია, რაც იმით არის მიღწეული, რომ ოთხმარცვლიანი სიტყვა „გარეშემო“ შეცვლილია სამმარცვლიანი სიტყვით—„გარეშემო“ და ერთი მარცვალი გადმოტანილია სტრიქო-

ნის დასაწყისში „და“ კავშირის სახით. სალექსო სტრიქონში ხმოვნები პროპორციულად განაწილდა და ტაქიკ პოეტურად გაიმართა. 2) სტროფის პოეტური გამართვა, ტაქებს შორის ორგანიული რითმიული კავშირის დამყარებით. ამიტომ ილია სიტყვა „წყალს“ უძებნის შესატყვის რითმს სიტყვა „წალკოტის“ სახით. რადგან სიტყვა „ბაღს“, ბგერითი შემადგენლობის თვალსაზრისით არაფერი არ აქვს საერთო სიტყვა „წყალთან“. „წალკოტის“ გამოყენებით კი ვლებულობთ არა ზუსტ რითმს, რითაც აღნიშნული ორი სალექსო სტრიქონი, შინაგანი რითმის საშუალებით, უფრო ორგანულად უკავშირდება ერთმანეთს და ქმნის მხატვრულად დასრულებულ სტროფს. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ მხატვრული ხერხების ძიება ილიასთვის არ წარმოადგენს თვით მიზანს, არამედ შინაარსის სრულყოფილად გამოხატვისაკენ არის მიმართული. როდესაც სიტყვა „ბაღს“ ილია სცვლიდა სიტყვა „წალკოტით“, აქ არა მარტო იმით. ხელმძღვანელობდა, რომ სტრიქონები რითმიულად გაემართა, არამედ სტრიქონების რითმიულად გამართვა სწორედ იმისთვის სჭირდებოდა, რომ ლექსის შინაარსი, მისი იდეური მიზანდასახულობა სრულყოფილად მოეცა. ილიას სურს. „წალკოტის“ სახით წარმოგვიდგინოს საქართველო, რომელიც, მიუხედავად დამონებისა, მუდამ ჰყვავის. „მწვანეა მუდამ წალკოტი, არას დროს თურმე არ სქვანება. ვერ ერჩის თურმე მის მწვანეს ვერც სიცხე, ვერცა ზამთარი“. ამ წალკოტში კი ის აკვანი ასეენია, რომელშიც ქვეყნის მხსნელი ყმა წევს. ამ წალკოტს ქვეშ ილიამ სიმბოლიურად საქართველო იგულისხმა. სიტყვა „ბაღი“ „წალკოტი“ შესცვალა და ამით სტროფი შინაარსის და ფორმის მხრივ უფრო სრულყოფილი გახდა. ხემოაღნიშნულის მსგავსად, თავის შემოქმედებაში აკაკი წერეთელი შეგნებულად ეძებდა მხატვრულ ხერხებს და შესანიშნავი მხატვრული ოსტატობით ქმნიდა თავის უკვდავ ნაწარმოებებს. ამ პოეტური ოსტატობის შესწავლა ნათლად დაგვანახვებს აკაკის პოეტური შემოქმედების მხატვრულ სრულყოფილობას და, მეორეს მხრით, დიდად დაეხმარება ხელოვნების ისეთ მუშაკებს, რომლებიც ეხლანან იწყებენ მუშაობას მხატვრული ლიტერატურის დარგში. ამიტომ აქტუალურ საკითხად ვსცანით აკაკის პოეტური ოსტატობის ზოგიერთი საკითხის შესწავლა. წინამდებარე წერილი კი მხოლოდ ერთ საკითხს ეხება: აკაკის შეხედულება პოეტის დანიშნულებაზე. მართალია აკაკი წერეთელს არ დაუწერია პოეტიკის სახელმძღვანელო, მაგრამ მის მხატვრულ ნაწერებსა და პუბლიცისტურ წერილებში საკმაოდ მოიპოვება თეორიული განმარტებები მხატვრული შემოქმედების აქტუალურ პრობლემებზე.

პოეტის მხატვრული ოსტატობისა და პოეტური ტექნიკის ხასიათი ყოველთვის შემოქმედების შინაარსითა და მწერლის იდეური მიზანდასახულებით განისაზღვრება. რეალისტი მწერლის პოეტური ხერხები სხვაგვარია, ვიდრე რომანტიკოსი მწერლისა. ფორმისა და შინაარსის ერთიანობაში განმსაზღვრელი და წამყვანი ყოველთვის შინაარსია. ნაწარმოების სოციალური არსება და ფუნქცია კარნახობს პოეტური ფაქტის მხატვრულ თავისებურებას. ამათიემ მწერლის პოეტიკის გარკვევის დროს პირველი სა-

კითხი ის იქნებოდა, თუ როგორ უყურებს ეს პოეტი პოეტის დანიშნულებას. პოეზიისა და პოეტის დანიშნულება ყოველ მწერალს თავისებურად ესმის და ამ თეორიული შეხედულებებით განსაზღვრავს თავის პოეტურ პრაქტიკულ მოღვაწეობას. პოეტის დანიშნულებაზე თავისი თეორიული შეხედულებანი აკაკი წერეთელმა ყველაზე ნათლად გამოხატა „პოეტში“, რომელიც წარმოადგენს რეალისტური ესთეტიკის ბრწყინვალე დასაბუთებას.

ხან უგნური ვარ, ხან ბრძენი,
ხან არც ისა ვარ, არც ისა!
გარემოების საყვირი,
არც მიწისა ვარ, არც ცისა.
ნუ მკიცხავ, მნახო უგნურად,
ნურც გაიკვირებ ბრძნობასა;
სულ სხვა ჰყავს ხელისუფალი
ამ ჩემს გონება-გრძნობასა.

ეს გული, სარკედ ქცეული,
ბუნების ნათაეხელია;
მხოლოდ მის სახეს გიჩვენებთ
რასაც შიგ ჩაუხელია;
ენაც მას ამბობს, რაც სმენას
სხვისაგან გაუგონია,
ან თვალს უნახავს და ჰქუას
გაუზომ-აუწონია!

თქვენ რომ გგონიათ, ის არ ვარ,
სხვებს რომ ჰგონიათ, არც ისა!
შუა კაცი ვარ, უბრალო,
ხან მიწისა ვარ, ხან ცისა.

„პოეტის“ ნამდვილი შინაარსი ზოგიერთი კრიტიკოსის მიერ ყალბად იქნა გაგებული. კერძოდ კიტა აბაშიძე შემდეგ ახსნა-განმარტებას იძლევა: „პოეტ რეალისტს, თ. აკაკი წერეთელს, პოეტზედ სრულებით სხვაგვარი შეხედულება აქვს. მისთვის გაუგებარია პოეტის ღმერთებთან ლაპარაკი. იგი სრულებით წინააღმდეგია იმ აზრის, რომ პოეტს „ცა ნიშნავდეს და ხალხი ზრდიდეს, მაწიერი ზეციერსა“, როგორც ამბობს მეორე ჩვენი დიდი პოეტი“. ¹⁾ ცხადია, რომ კიტა აბაშიძეს მეორე ჩვენს დიდ პოეტად ი. ქავჭავაძე მიაჩნია და ილიას „პოეტიდან“ ამოკრეფილი გამოთქმებით ილიას და აკაკის თეორიულ შეხედულებებს, პოეტის დანიშნულების შესახებ, ერთმანეთს უპირისპირებს. ყოვლად მიუღებელია ისეთი შეხედულება, თითქოს აკაკი წერეთელი „სრულებით წინააღმდეგია იმ აზრისა, რომ პოეტს „ცა ნიშნავდეს და ხალხი ზრდიდეს მიწიერი ზეციერსა“. ილია და აკაკი, როგორც თერგდალეულთა ჭგუფის ბუმბერაზი წარმომადგენლები, ერთნაირი შეხედულების არიან პოეტის დანიშნულებაზე. ორივე იმას ასაბუთებს, რომ პოეტი ხალხს უნდა ემსახუროს, მათი ცხოვრება გამოხატოს და ხალხის სასარგებლო საქმე აკეთოს. მართალია აკაკი თავის „პოეტში“ პირდაპირ არ მიუთითებს „ღმერთთან ლაპარაკზე“, მაგრამ ეს

¹⁾ კ. აბაშიძე - თ. აკაკი წერეთელი - 1908 წ. გვ. 12.

იმას არ ნიშნავს, რომ იგი საერთოდ ერიდებოდეს ღმერთის ხსენებას.

მისთვის მომცა ღმერთმა ენა,
სიმართლისთვის გავიწირო,
ჩაგრულ მოძმეს მოვეხმარო,
თუნდაც ქვითაც დავიკირო.

(„მდიდარს ღარიბისაგან“).

აქ უკვე ღმერთის მიერ მოცემულ ენაზეა საუბარი და, როგორც ჩანს, ეს ენაც „ღიდის ღმერთის საკურთხევილიდან“ უნდა იყოს. არ არსებულ ღმერთზე მითითებით არ შეიძლება უარყოფილ იქნას ის საერთო რეალური საფუძველი. რომელსაც ემყარება ილიასა და აკაკის ესთეტიკური შეხედულებანი. მშრომელი ხალხისათვის სამსახური ორივე პოეტისათვის არსებითია: მთელი თავისი შემოქმედებითა და პუბლიცისტური წერილებით აკაკი სწორედ იმას ასაბუთებს, რომ მწერალი ხალხს უნდა ემსახუროს, დაჩაგრულს გამოესარჩლოს. პოეტის ნაწერებში,—ამბობს აკაკი,— „იმას უნდა ვხედავდეთ, რაც მის გულს, როგორც ხალხის თანაზიარს, მოხვედრია“. მაშასადამე, აკაკის აზრით პოეტი და მისი გული ხალხის თანაზიარია ე. ი. თავისი გულის ნადები ხალხს უნდა უთხრას და გაუზიაროს. დასკვნა ასეთია: აკაკის და ილიას თეორიული შეხედულება პოეტის დანიშნულების შესახებ, თავისი ძირითადი საფუძვლებით. ერთგვარია, ერთი და იგივეა. მხოლოდ თვითელი მათგანი თავისებურ ნიუანსსაც შეიცავს. კერძოდ, ილია რაციონალისტური ესთეტიკის ელემენტებს ამახვილებს და ჰეგელ-ბელინსკისაკენ იხრება. აკაკი წერეთელი კი უფრო ემპირისტული ესთეტიკისაკენ მიისწრაფვის და ფიქრება-ჩერნიშევსკის უახლოვდება. მოქმედების პროცესში აკაკი წერეთელი, უფრო მეტად ფსიქოლოგიურ საფუძვლებს ეძიებს:

„ეს გული სარკედ ქცეული,
ბუნების ნათავხედი;
მხოლოდ მის სახეს გიჩვენებთ
რასაც შიგ ჩაუხედი;
ენა მას ამბობს, რაც სმენას
სხვისაგან გაუგონია,
ან თვალს უნახავს ან ჰქუას.
გაუზომ-აუწონია.“

ამ პოეტურ სიტყვებში მოცემულია შემოქმედებითი პროცესის ფსიქოლოგიური დასაბუთება. პოეტის საქმიანობა მთლიანად დაფუძნებულია შეგრძნების მომენტზე. ყური და თვალი შეგრძნების ორგანოებია, რომელთაც მოაქვთ განსაზღვრული ცნობები სინამდვილის შესახებ. ჰქუა-გონება კი ახდენს ამ ემპირიული ნედლი მასალის გაზომ-აწონას. ე. ი. რაციონალურად გადაამუშავებს და ქმნის გარეგანი სინამდვილის მხატვრულ სახეს. ამიტომ არის, რომ აკაკი წერეთელი პოეტის გულს სარკეს ადარებს. ისე როგორც სარკე მხოლოდ მის სახეს გვიჩვენებს, რაც მასში მოხვედრილა, ასევე პოეტის გული მხოლოდ იმას გვიჩვენებს, რაც მას მიუღია და აღუბეჭდავს. პოეტის გულის სარკესთან შედარება

აკაკი წერეთელს მხოლოდ იმიტომ სჭირდება, რომ ამით დაასაბუთოს რეალისტური ესთეტიკის პირველი და ძირითადი თეზისი, რომ ხელოვნება სინამდვილის ასახვაა და არა აბსოლუტური იდეის გამოსატვა — როგორც ეს წარმოდგენილი აქვთ „წმინდა ხელოვნების თეორიის“ მომხრეებს. პოეტის გულს და სარკეს, გარდა იმისა, რომ ორივენი ასახვის საშუალებას წარმოადგენენ, კიდევ აქვთ ერთი საერთო თვისება: „მხოლოდ მის სახეს გიჩვენებთ რასაც შიგ ჩაუხედა“. ე. ი. ასახავენ როგორც კარგს, ისე ცუდსაც; როგორც ლამაზს, ისე მახინჯ მოვლენებს. „მწერლობა ზნეობითი და გონებითი მქსარკეობაა. ნაწერში, როგორც სარკეში, ნათლად უნდა იხახებოდეს მწერლის თანადროება მისი სისწორ-სიმართლით.“ ამბობს აკაკი წერეთელი ერთ თავის პუბლიცისტურ წერილში. ამასავე ასაბუთებს იგი თავისი მხატვრული ნაწერებით. აქ იწყება განსხვავება პოეტის გულსა და სარკეს შორის. აკაკის რეალისტური ესთეტიკის მეორე მთავარი თეზისი ის არის, რომ პოეტის გულმა არა მარტო უნდა ასახოს სინამდვილე, არამედ შეაფასოს მის მიერ ასახული სინამდვილე. გაარჩიოს ცუდი კარგისაგან. სარკეს კი ეს თვისება აღარ გააჩნია. სარკე გულგრილია მის მიერ ასახული მოვლენებისადმი. მისთვის სულერთია, კარგს ასახავს თუ ცუდს. ცუდი არ სტანჯავს და კარგი არ ახარებს. სარკე მხოლოდ აჩვენებს, აფასებს კი სხვა. სარკის პატრონი გამოდის მსაჯულის როლში. პოეტის გული კი ამსახველიც არის და მსაჯუ-ლიც; პოეტის გულს თვითონ გამოაქვს განაჩენი მის მიერ ასახულ მოვლენებზე. ამას ყველაზე ნათლად ასაბუთებს აკაკის ლექსი „პოეტის პროგრამა“.

„რაც-კი არ არგებს ქვეყანას,
ის ყველა ფუქი ბარგია...
სულ ბულბულობაც არ ვარგა,
ზოგჯერ ყორნობაც კარგია.

ქირში „ზარს“ ვიტყვი საცრემლოს
და ლხინში „მრავალყამიერს“;
გარჩევა უნდა ავ-კარგსა
და დრო გულისთქმას წამიერს“.

„გარჩევა უნდა ავ-კარგსა“! აი აკაკის ესთეტიკის მეორე ძირითადი თეზისი. ამის გარეშე მწერალი თავის შრომას ფუქად სთვლის, რადგან სიმართლის თქმის საშუალებით ავის მოსპობისა და კარგის განვითარებისათვის ხელის შეწყობის გარეშე სინამდვილე არ შეიცვლება:

თორემ ისე ჩვენი შრომა
ემსგავსება ბებრის ბუქნას,
რაც უოფილა დღეს არ არის
რაც დღეს არის, ხვალ ის ნუ ჰქნას.

პოეტმა ხალხის სასარგებლო საქმე უნდა აკეთოს. ამის გარეშე მწერლის შრომა უშინაარსო ბუქნა იქნებოდა. აკაკი წერეთელი კი უშინაარსო პოეზიის დაუნდობელი მტერია. ბრახაბრუხის პოეტები აკაკიმ მიწასთან გაასწორა. ამის საუცხოო დამამტკიცებელია აკაკის სატირული ლექსი „პანორამა“. ამ ლექსში აკაკი დასცინის ისეთ პოეტებს, რომლებიც:

საპირადო და საკუქო
აზრებს აძლევს მაღალ ბანსა;
სიტყვებს გააქვს ბრანაბრუხი,
როგორადაც ბარაბანსა.

წამოყაქავს ტკბილ-ტკბილ რითმებს
„კუქო-მუქო, გულო-ფულო“
და ბოლოში მიაკერებს:
„ოჰ, მამულო დაღუპულო!“

აკაკიმ ქეშმარიტი მწერლისაგან მოითხოვა მოვლენების მართებული შეფასება. პოეტმა ავი უნდა გაანადგუროს, კარგი ააყვავოს. ამიტომ საჭიროა არა შეგრძნებების ნაკუჭში ჩაკეტვა, მოვლენების ზედპირზე ემპირისტული ცოცვა, არამედ მოცემული მოვლენების განზოგადობა და კრიტიკულ — ფხიზელი რეალიზმის განხორციელება. სარკე ფოტოგრაფიულად გადაიღებს. პოეტის გული განზოგადობს: „ნიკიერმა მწერალმა სტენოგრაფიულად კი არ უნდა გადაიღოს ყველაფერი, რაც გაიგონა, ნახა... მართალია, ფოტოგრაფია სწორად აღწერს, ერთ ფიორსაც არ დააკლებს, მაგრამ მაგიერად განმაცხოვლებელ სულს ვერ ჩაუდგამს იმას... ხელოვანი, მხატვარი კი იმისთანა რამ დამახასიათებელ ნიშანს ააღებს, შეუჩევს მისთანა წამს გრძნობა-გონების გამომეტყველებისას, რომ სულს ჩაუდგამს და განახორციელებს ნახატს“. აქ სწორედ არის გადმოცემული მხატვრული განზოგადობის — ტიპიზაციის პროცესის არსება. სწორედ ამის საშუალებით ავლენს პოეტი მოვლენების შეფასებას, რადგან ქეშმარიტი განზოგადობების დროს ნათლად მოჩანს მოვლენის არსება, მისი განვითარების ტენდენცია. მოვლენების შეფასება და ავ-კარგის გარჩევა მწერლის მთავარი მოვალეობაა. პოეტის დანიშნულების ასეთი გაგება აკაკის გამომუშავებული აქვს ჩერნიშევსკის ასტროპოლოგიური ესთეტიკის გავლენით. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩერნიშევსკის გავლენა არა მარტო ხელოვნების თეორიაში მოჩანს, არამედ პოეტურ პრაქტიკაშიც. მაგალითად ჩერნიშევსკის „რა ვაკეთოთში“ წამოყენებული ახალი ადაპიანების პრობლემა ძალზე იტაცებს აკაკი წერეთელს. ეს გავლენა ნათლად მოჩანს აკაკის ისეთ ნაწერებში, როგორიც არის „ახალ გმირი“, „კინტო“ და სხვ. ჩერნიშევსკის მსგავსად, აკაკი წერეთელი ოჯახის საფუძველს ხედავს არა ეკონომიურ ანგარიშში, არამედ ცოლ-ქმართა ხასიათების მტკიცე იგივეობასა და ერთიანობაში. „ახალ გმირში“ აკაკი ანადგურებს და მიწასთან ასწორებს ზოხრო გირკანელს, რომელმაც ქეთო ჩიტაძის სიყვარული ფეხქვეშ გასთელა და სიმდიდრის გულისათვის მახინჯი მარო რაზმაძე შეირთო. ასევე დრამა „კინტოში“, გამახსრებულია გადაგვარებული სამსონი, რომელიც პირუტყვილი თინის დაკმაყოფილების მიზნით ცდილობს, ჩაშალოს სალომესა და ილიას ცოლქმრობა. აკაკი წერეთელი ახალ გმირს ხედავს რაზნოჩინელ ნიკო ჩოხელში, რომელიც ენერგიულად იბრძვის წმინდა მეგობრობაზე აგებული ოჯახის შექმნისათვის.

ჩერნიშევსკის მხატვრულ შემოქმედებასთან აკაკის პოეზიის მსგავსებაზე ჩვენ გაკვირით მივუთითებთ. ამ ეპოდ უფრო საინტერესოა ჩერნიშევსკის ესთეტიკის გავლენის საკითხის გამოკვლევა. თა-

ვის „თავგადასავალში“ აკაკი პირდაპირ ამბობს: „ყირიმის ომმა თავალი გამოაჩელინა რუსეთს. პეტრე დიდისაგან გამოქრილი სარკმელი მაშინ აიხადა და როგორც იქნა, ძალაუხებურად შემოაშუქა განათლებამ ბნელეთში... სწორედ იმ დროს გამოვიდა სარატოველი სემინარელი ჩერნიშევსკი, ჩაუღდა სათავეში ეურნალ „სოვრემენიკს“ და, დობროლუბოვთან, ანტონოვიჩთან, ნეკრასოვთან და სხვებთან ერთად, დასცა რუსეთს კიენა. ამოძრავდა რუსეთი... ამ ახირებულობის დროს გამოსცა ჩერნიშევსკიმ თავისი პატარა კრიტიკული წიგნი: „ხელოვნება მარტო ხელოვნებისათვის, თუ ცხოვრებისათვის“. ამან დიდი გავლენა იქონია მკითხველებზე... მაშინ ლიტერატურაც ორად გაიყო: უმეტესობა სრულიად უარპყოფდა მწერლობაში ხელოვნებას და მეორე ბევრად ნაკლები, ისე გადაყვა ხელოვნებას, რომ გარდა კეთილზმოვნებისა და მუსიკისა აღარა სწამდათ რა მწერლობაში“ ხელოვნების უარპყოფელთა მეთაურად აკაკი ასახელებს პისარევს, რომლის ესთეტიკური შეხედულებებიდან ბევრი რამ არ მოსწონდა. მართალია, მთლიანად არც ერთ მიმართულებას არ ემხრობოდა, მაგრამ ჩერნიშევსკისადმი თანაგრძნობა უფრო მოხანს და ამიტომ შეუძლებელია. ჩერნიშევსკის „პატარა კრიტიკულ წიგნს“ აკაკის ხელოვნების თეორიაზე ზედმოქმედება არ მოეხდინა. როგორც ცნობილია, ჩერნიშევსკიმ თავისი პატარა წიგნით, რომელსაც ეწოდება „ხელოვნების ესთეტიკური დამოკიდებულებანი სინამდვილესთან“. დაანგრია ხელოვნების იდეალისტური თეორია და პოეტური შემოქმედება სინამდვილის ასახვად გამოაცხადა. „მშვენიერება არის ცხოვრება“, აი ჩერნიშევსკის ანტროპოლოგიური ესთეტიკის ძირითადი თეზისი. მშვენიერება ბუნებაში უფრო მალა დგას ვიდრე ხელოვნებაში. ხელოვნებას არ შეუძლია შექმნას იმაზე უკეთესი, რაც სინამდვილეში არსებობს, რადგან პოეტური ნაწარმოები სინამდვილის ასლია. როგორც ასლი არ შეიძლება დედანზე უკეთესი იყოს, ასევე მნატვრული ნაწარმოები არ შეიძლება მის დედანზე—სინამდვილეზე უფრო მალა იდგეს. ხელოვნება სინამდვილის სარკეა. ბუნების სახეს გვიჩვენებს და ამიტომ ეს სახე არ შეიძლება იმაზე უკეთესი იყოს, რის საზეც იგი არის. ამ დებულებას ჩერნიშევსკი ფსიქოლოგიურ დასაბუთებას აძლევს; პოეტური ფანტაზია მხოლოდ იმას უკეთებს კომბინაციას. რაც წინასწარ მოცემულია შეგრძნებაში. შეგრძნება კი გვაძლევს სინამდვილის ასახვას. მაგრამ, რაც მთავარია, შემოქმედებითი პროცესის ფსიქოლოგიური დასაბუთებით ჩერნიშევსკი არ მისულა ხელოვნების უტილიტარული დანიშნულების უარყოფამდე. პირიქით. ხელოვნება სოციალურად უდიდეს სასარგებლო საქმიანობად გამოაცხადა, რადგან ხელოვნება ადამიანს ეხმარება სინამდვილის შესწავლაში. ვლებულობთ ცოდნას და ახსნა-განმარტებას ცხოვრების მრავალფეროვანი მოვლენების შესახებ. ხელოვანი არა მარტო ასახავს სინამდვილეს, არამედ განმარტავს, აფასებს, გამოაქვს განაჩენი. გამოპყოფს ცუდს კარგისაგან და ამით ხელს უწყობს ხალხის გათვითცნობიერებას: „Существенное значение искусства—воспроизведение всего, что интересно для человека в жизни; очень часто, особенно в произведениях

პოეზიი, выступает также на первый план объяснение жизни, приговор о явлениях ее.

Приговор этот выражается в его произведении—*пот новое значение произведений искусства, по которому искусство становится в число нравственных деятельностей человека*¹⁾) ჩერნიშევსკი ხელოვნებას „ადამიანის ზნეობრივ მოსაქმეობას“ უწოდებს. ამასვე ამბობს აკაკი წერეთელი: „წერლობა ზნეობითი და გონებითი მესარკობაა“, სადაც—მესარკობაში—მწერლის მიერ სინამდვილის ასახვას გულისხმობს. მოვლენებზე მსჯავრის გამოტანის ნაცვლად ხმარობს გამოთქმას: „გარჩევა უნდა ავ-კარგსა“. და აკაკის მთელი შემოქმედება სწორედ ავ-კარგის გარჩევის ესთეტიკური ჩვენებაა: ავ-კარგის გარჩევის კრიტერიუმი მშრომელი ხალხია. მხოლოდ ის არის კარგი, რაც ხალხს დაეხმარება და მის მდგომარეობას გააუმჯობესებს. როგორც ვიცით, აკაკის მოღვაწეობის პერიოდში ქართველი ხალხი ნაციონალურ ჩაგვრას განიცდიდა. „მეფის რუსეთის მრავალრიცხოვანი არარუსი ხალხები სრულიად უუფლებონი იყვნენ. განუწყვეტლივ განიცდიდნენ ყოველგვარ დამცირებას და შეურაცხყოფას... ნაციონალურ ოლქებში ყველა. ან თითქმის ყველა სახელმწიფო თანამდებობანი რუს ჩინოვნიკებს ეჭირათ. მთელი საქმეები დაწესებულებებში, სასამართლოებში რუსულ ენაზე სწარმოებდა. აკრძალული იყო ნაციონალურ ენებზე გაზეთებისა და წიგნების გამოცემა. სკოლებში აკრძალული იყო დედა ენაზე სწავლა. მეფის მთავრობა მიისწრაფოდა, ჩაეხრჩო ნაციონალური კულტურის ყოველგვარი გამოვლინება, ატარებდა არარუს ეროვნებათა ძალდატანებითი „გარუსების“ პოლიტიკას. ცარიზმი არარუს ხალხთა ჯალათად და მტანჯველად გამოდიოდა... მეფის რუსეთი ხალხთა საპყრობილე იყო“²⁾) ამ საპყრობილეში იყო დატყვევებული საქართველო—აკაკის ნესტან-დარეჯანი, რომლის გამომხსნისათვის მოუწოდებდა თავდადებულ გმირებს.

ეუხმობ ფრიდონს და ავთანდილს,
მხარი მხარს მივსცეთ, ხელი ხელს,
ნესტან-დარეჯან ქაჯებს ჰყავს,
მოელის ტურფა გამომხსნელს!
რა ეუყოთ თეთრი მერიოს?!
სიხხლით შევღებავ ჭაღარას
და სულ სხვა ხმაზე დავუკრავ
ამ ჩემ დაფსა და ნაღარას...
არა! აყვავდეს იმედი!..
გულს ვერ გამიტეხს ჭაღარა!..
გმირებს უძახის... უყივის
ჩემი დაფი და ნაღარა!...

(ქალარა).

გმირებს საქართველოს შორეული წარსულიდანაც გამოუძახა აკაკი წერეთელმა, არა იმიტომ. როგორც ეს ზოგიერთს ჰგონია, თითქოს აკაკი რომანტიკოსი მწერალი იყო და ძველი ფეოდალური საქართველოს აღდგენას მოითხოვდა, არამედ მხოლოდ იმიტომ,

¹⁾ Н. Чернышевский—статья по эстетике гв. 133—6.

²⁾ საკ. კ. ა. (ბ) ისტორია—1938 წ. გვ. 6.

რომ ქართველში გაელვძებინა მებრძოლი პატრიოტიზმის გრძნობა. პატარა კახი, თორნიკე ერისთავი, გიორგი სააკაძე, და სხვები, საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლი გმირები არიან და ამიტომ უმღერის აკაკი მათ. აკაკი წერეთელი საქართველოს ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უთვალსაჩინოესი მოღვაწეა. რომელიც მეფის რუსეთის საპყრობილედან საქართველოს გამოხსნის რევოლუციურ მეთოდებს აყენებდა, ხალხს სისხლიანი ბრძოლისაკენ მოუწოდებდა. ამის საუკეთესო დამამტკიცებელია გოგია მეჩონგურეს სიმღერა.

მაგრამ, ძმებო ნუ შეეკრთებით!
სასხლავს მივყოთ ყველამ ხელი;
ეკალს ძირი ამოვუგდოთ,
სისხლით ვღებოთ მთა და ველი.

თვითონ აკაკი წერეთელი ხომ „სისხლით იღებავს ჭაღარას.“ და ამ სისხლიანი ბრძოლებით სურს საქართველოს განთავისუფლება. საბრძოლო იარაღად ხანჯალი აურჩევია, რომელსაც ავალებს:

მიმოციქულე მტრის გულთან,
მიუძღვენ ჩემი სალამი;
ის ვითომ საწერელია,
ჩაერკვე, როგორც კალამი!
მისი წითელი მელნითა
შემადებინე ჭაღარა,
იმისი კენესა იქნება
ჩემთვის დაფი და ნალარა,“

„წითელი მელანი“ იგივე სისხლის სინომიმია და ამგვარი სისხლიანი ბრძოლებით სურდა აკაკი წერეთელს, ი. ჭავჭავაძესთან ერთად, საქართველოს განთავისუფლება.

მშრომელი ჩაგრული ხალხის განთავისუფლებისათვის ენერგიული ბრძოლა აკავშირებს აკაკი წერეთელს ჩვენს თანამედროვეობასთან. ამის საუკეთესო დამამტკიცებელია აკაკის შემოქმედება რეაქციის პერიოდში. 1908-1912 წლები ცნობილია, როგორც სტოლიპინის რეაქციის პერიოდი. 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ ადგილი აქვს რევოლუციური მოძრაობის დროებითი დაცემას. ამ დროს „მეფის მთავრობამ გაძლიერებით იწყო პროლეტარიატის პოლიტიკური და ეკონომიური ორგანიზაციების განადგურება. საკატორლო საპყრობილები, ციხეები და გადასახლების ადგილები რევოლუციონერებით გაივსო. რევოლუციონერებს მხეცურად სცემდნენ საპყრობილებში, აწამებდნენ და სტანჯავდნენ. შავრაზმული ტერორი მთელი სიძლიერით მძვინვარებდა. მეფის მინისტრმა სტოლიპინმა ქვეყანა სახრჩობელებით დაჰფარა,“⁽¹⁾ მეფის მთავრობა ახშობდა მუშათა და გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას. დააბრალებდნენ რომელიმე გლეხს რევოლუციონერობას, სახლ-კარს გადაუწვავდნენ და მთელ სოფელს ეგზეკუციას ჩაუყენებდნენ. აქედან გამომწვეული აუტანელი მდგომარეობის შესახებ ჩივის აკაკის გლეხი.

¹⁾ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, გვ. 118.

დიდება შენდა უფალო!
რასა გვთხოვს, რა მოუცია?
რომ ჩამოგვიდგა ქირივით
სოფელში ეკზეკუცია?
სადღაც, ვილაცას, რაღაცა
ვითომდა ჩაუდენია,
ახლა ჩვენ გვანდევინებენ,
მოგვლევს ტეცხლი და გენია.

დამსჯელი რაზმები დათარეშობდნენ და მუსრს ავლებდნენ, როგორც რევოლუციის ყოფილ მონაწილეებს. აგრეთვე ყოველ ახალ რევოლუციურ წამოწყებას. დამსჯელი რაზმების ეს მსეტური მოქმედება, რევოლუციონერთა ოჯახის გადაწვის კონკრეტული, მხატვრული სურათები აკაკი წერეთელმა გვიჩვენა დრამატიულ ნაწარმოებში. რომელსაც „რეაქცია“ ეწოდება. დრამა დაწერილია 1910 წელს. შინაარსად მოცემულია რეაქციის პერიოდის მოვლენა. დამსჯელი რაზმები დაეძებდნენ მოძრაობაში გარეულ გლეხებს და ვისზედაც ექვს მიიტანდნენ, მათ სახლკარს ტეცხლით ანადგურებდნენ. ასეთი ბედი ეწვია წვერაძის ცოლს: „ამას წინათ მივიდნენ ყაზახები, სახლი დაუწვეს და იმდენ ხალხში გააუპატიურეს. „გადავარდნილი შვილი. რომ გყავს სად იმალებაო, რად არ გვეტყვიო“. ამ ნიადაგზე თურმე ის ქალი ჭკუაზე შეიშალა და მას შემდეგ გაგიჟებული დადის. ამ ქალის შვილი აფრასიონი გადავარდნილა და ტყეში იმალება: „მოუყრია თავი სხვადასხვა გადავარდნილებისათვისაც და აღარავის ზოგავს — ამბობს: მე ვინ გამიკითხა, რომ მე სხვა გავიკითხო? სახლი აღარ მაქვს და კარით. ოჯახი ნამუს ახდილი და მეც სასიკვდილოდ დამდევნო“. საქმე ის არის, რომ ეს ტყეში გადავარდნილი აფრასიონი „გლეხს არაფერს ერჩის და არც გლეხები ერჩიან“.

დამსჯელმა რაზმებმა გადასწვეს რევოლუციონერი გლეხის იოსებ ლაბაძის სახლკარიც. ეს ლაბაძე ის გლეხია, რომელიც ახალთაობის დროს მსაჯულად ყოფილა არჩეული. როცა რევოლუცია დამარცხდა, მას სახლკარი გადაუწვეს იმიტომ, რომ „სუდიად რად იყავიო“. მიუხედავად ამგვარი ვაჭირვებისა, იოსები მაინც ნატრობს იმ დროის დაბრუნებას, რადგან: „აგერ ორმოცდაათი წლის გავსდები და მაშინდელის მეტად. ერთხელაც არ მიგრძენია, რომ მეც კაცი ვიყავო“. ამჟამად, რომ აკაკი წერეთელი მშრომელი ხალხის ტრუბადურია. მართალია, აკაკის არ წამოუყენებია პროლეტარიატის დიქტატურის თეორია, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი უდიდესი პროგრესისტი და ფიზიკელი რეალიზმის ნიჭიერი წარმომადგენელი. ხალხის საზიზღარი მტრები ცდილობდნენ, აკაკი წერეთელი ხალხის მტრად გამოეყვანათ. დღეს ასეთი მავნებლური შეხედულება განადგურებულია და ლენინ-სტალინის პარტია უდიდესი სიყვარულით აფასებს აკაკის მდიდარ შემოქმედებას. ამის კონკრეტულ მაგალითს წარმოადგენს ის იუბილე, რომელიც აკაკის დაბადების 100 წლის თავის შესრულების აღსანიშნავად ჩატარდა.

6. ურუშაძე

შექსპირის მემკვიდრეობა და მარქსიზმის კლასიკოსები

შექსპირი მსოფლიო დრამატურგიის უმაღლესი მწვერვალია. ის ინგლისის აღორძინების უდიდესი წარმადგენელია. ენგელსის დახასიათებით, აღორძინება იყო უდიდესი პროგრესიული გადატრიალების ეპოქა, რომელსაც ესაჭიროებოდა ტიტანები. მან კიდევ შექმნა აზრის, ვნების, ხასიათის და მრავალმხრივი ცოდნის ტიტანები. „ადამიანები, რომელთაც დაამყარეს თანამედროვე ბურჟუაზიის ბატონობა, იყვნენ ყველაფერი რაც გინდათ. მხოლოდ არა ბურჟუაზიულად შეზღუდულნი“¹⁾). აღორძინების ეპოქის ასეთ ტიტანურ წარმომადგენელთა ყოველმხრივი დახასიათების შემდეგ ენგელსი დასძენს: „რაც მთავარია მათთვის, ეს ის არის, რომ თითქმის ყველა ისინი ცხოვრობენ თავისი დროის ყოველგვარი ინტერესებით, მონაწილეობას ღებულობენ პრაქტიკულ ბრძოლაში, სდგებიან ამათუიმ პარტიის მხარეზე და იბრძვიან, ზოგი სიტყვით, ზოგი კალმით, ზოგი ხმლით, ზოგიც ერთითაც და მეორეთიც. აქედან არის ხასიათის ის სისასვე და ძალა, რომელიც მათგან ჰქმნის მთლიან ადამიანებს“.²⁾

ეს დახასიათება ყველაზე მეტად შეიძლება გამოყენებულ იქნას ინგლისის აღორძინებისა და მის წარმომადგენელთა მიმართ, რომელთა შორის შექსპირი ყველაზე დიდი ტიტანია; მისი მემკვიდრეობა კაცობრიობის კულტურის პროგრესიული განვითარების ყველაზე ძვირფასი საგანძურია. ასეთ შეფასებას აძლევდნენ მას მარქსი და ენგელსი.

მარქსი შექსპირს, ესქილესთან ერთად, სთვლიდა კაცობრიობის უდიდეს დრამატურგად. პოლ. ლაფარგის ცნობით, ის უსაზღვრო აღტაცებით ეკიდებოდა მის შესწავლას, ის იცნობდა შექსპირის ყველაზე უმნიშვნელო გმირებსაც კი. მარქსის ოჯახში ინგლისელი დრამატურგის ნამდვილი კულტი იყო გამეფებული. ასეთივე მოგონებები გვაქვს ელეონორა მარქსისა და ვ. ლიბკნეხტის მხრივ. ასეთივე გატაცებით უყვარდა შექსპირი ფ. ენგელსსაც.

მარქსიზმის კლასიკოსებს არ დაუწერიათ სპეციალური შრომები შექსპირის შესახებ. მისი მემკვიდრეობის ისტორიული მნიშვნელობის მაღალ შეფასებას ისინი გვაძლევენ სოციალ-პოლიტიკურ. ეკონომიურ, ფილოსოფიური ხასიათის შრომებში. მარქსი და ენგელსი მხატვრულ ლიტერატურას ხშირად იყენებენ ამათუიმ ეპოქის შესწავლისა და ურთულეს მეცნიერულ-ფილოსოფიური კატე-

1) Маркс-Энгельс об искусстве 1938 წ. стр. 16.

2) „ „ „ „ 17.

გორიების დასაბუთებისათვის. ამ მხრივ ისინი პირველ რიგში აყენებდნენ ჰომეროსს. ესქილეს, დანტეს, სერვანტესს, შექსპირს, ბალზაკს. გოეთეს და ზოგიერთ სხვას. მსოფლიო ლიტერატურის ამ გიგანტებს შორის მარქსი და ენგელსი შექსპირსა და ბალზაკს უფრო ხშირად ეხებიან. ეს გარემოება არ არის უბრალო აპერცეპციის საქმე. ასეთი ვიწრო თვალსაზრისი უცხოა მარქსიზმის კლასიკოსებისათვის, რომლებიც ლიტერატურას სთვლიან იდეოლოგიის ერთერთ მომქმედ დარგად, თანასწორ უფლებებში ფილოსოფიის, ეკონომიური და ისტორიული მეცნიერების გვერდით. კიდევ მეტიც შეიძლება ითქვას. ისინი ამათუიშ ეპოქის შესწავლისათვის ზოგი მწერლის შემოქმედების შემეცნებითი მხარეს უფრო მეტ ღირებულებას აძლევენ, ვიდრე ეკონომისტებისა და ისტორიკოსების პროშებს (მაგალითად ბალზაკი).

მარქსიზმ-ლენინიზმის მთავარი კრიტერიუმში, კლასიკური ლიტერატურული შემკვიდრეობის შეფასებაში, შემეცნებითი ღირებულებაა. რამდენად მაღალია ხასიათის ტიპური განზოგადება. რამდენად ფართოდ არის მოხაზული ტიპური სახის სოციალური გარემო, რომელშიაც მას უხდება მოქმედება, რამდენად ინდივიდუალურებულია ასეთი ტიპური სახე, იმდენად მაღალია ამათუიშ მხატვრული ძეგლის კულტურულ-ისტორიული, ესტეტიური და შემეცნებითი ღირებულება. ამ თვალსაზრისით მიმართავენ შექსპირს მარქსი და ენგელსი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. მარქს-ენგელსის აზრები წარმოადგენენ შექსპირის შემკვიდრეობის უშუალო გასაღებს.

შექსპირი ისეთივე კანონმდებელია და ბუმბერაზი მსოფლიო დრამატურგიაში, როგორც ჰომეროსი ეპიური შემოქმედების სფეროში. ამიტომაც მათ მარქსი ერთი მეორის გვერდში აყენებს. „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ ის შესავალში მარქსი არკვევს მხატვრული შემოქმედებისა და მატერიალური წარმოების არათანაბარი განვითარების საკითხს და აყენებს სახელმძღვანელო დებულებას მისი გადაწყვეტისათვის. აქ ჩვენ ვკითხულობთ შემდეგს: „ხელოვნების მიმართ ცნობილია, რომ მისი აყვავების განსაზღვრული პერიოდები არავითარ შესატყვისობაში არ იმყოფებიან საზოგადოებრივი ცხოვრების საერთო განვითარებასთან და. მაშასადამე, უკანასკნელის მატერიალურ საფუძველთან, რომელიც თითქოს მის ჩონჩხს წარმოადგენს. მაგ. ბერძნები თანამედროვე ხალხებთან შედარებით, ან კიდევ შექსპირი“¹⁾. ამონაწერიდან ცხადია, რომ მარქსის აზრით შექსპირი, ბერძნული ხელოვნების გვერდით, ხელოვნების უმაღლესი ნიმუშია, რომელიც გარკვეული მნიშვნელობით ინარჩუნებს „მიუღწეველი ნორმის ნიმუშის ხასიათს“. მარქსის ეს დებულება ხაზს უსვამს შექსპირის შემკვიდრეობის უდიდეს ესტეტიურ და კულტურულ-ისტორიულ ღირებულებას.

* მარქს-ენგელსს შემდგომ პერიოდში გამოთქმული აქვთ უფრო კონკრეტული აზრები შექსპირის მნიშვნელობისა და ადგილის შე-

¹⁾ Маркс «К критике политической экономии» Введение. 1930 წ. გვ. 80-

სახებ მსოფლიო დრამატურგიის ისტორიაში. ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ შექსპირის უდიდეს მნიშვნელობას ახალი საუკუნეების დრამატურგიაში და მას სანიმუშოდ მიიჩნევენ მე-19 საუკუნის რევოლუციური და სოციალისტური დრამატურგიისათვის.

ამ საკითხის გარკვევისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მარქს-ენგელსის აზრებს, ლასალისადმი გაგზავნილ პირად წერილებში. უკანასკნელის ტრაჯედიის „ფრანც ფონ ზიკინგენის“ გამო. ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად გაგზავნილ წერილებში ისინი სავსებით ერთნაირ შეფასებას აძლევენ ლასალის ზედმეტ გატაცებას შილერით და შექსპირის მნიშვნელობის შეუფასებლობას ახალი დრამის ისტორიაში.

მარქსის წერილში კითხულობთ შემდეგს: „თავდაზნაურობის წარმომადგენლებს თქვენს დრამაში არ უნდა მიეპყრო მთელი ინტერესი. პირიქით, გლენობისა (განსაკუთრებით მათ) და ქალაქის რევოლუციურ ელემენტებს უნდა შეექმნათ მისთვის უაღრესად არსებითი აქტიური ფონი. მაშინ შენ შესძლებდი. გამოგეთქვა თანამედროვე იდეები თავისი წმინდა სახით... თავისთავად ცხადია, ასეთ შემთხვევაში შენ უფრო დაგჭირდებოდა შექსპირიზება. მაშინ როცა, მე ახლა შენ უმთავრეს ნაკლად ვთვლი იმას, რომ შენ სწერ შილერულად, ინდივიდების გადაქცევით დროის სულის უბრალო რუმორებად.“¹⁾

ენგელსი თავის წერილში იმავე დრამის შესახებ ორჯერ ახსენებს შექსპირს, როგორც თანამედროვე დრამატურგიისათვის სანიმუშო მწერალს. ის სწერს: 1. „დახასიათება, რომელსაც ძველები იძლეოდნენ, ჩვენს დროში საკმარისი არ არის. აქ ჩემის აზრით ცუდი არ იქნებოდა, თუ თქვენ უფრო მეტად გაითვალისწინებდით შექსპირის მნიშვნელობას დრამის განვითარების ისტორიაში“²⁾ 2. „დრამაზე ჩემი შეხედულების მიხედვით. რომელიც მოითხოვს იდეურ მომენტთან ერთად არ იქნას დაეიწყებული რეალისტური, შილერთან — შექსპირი, მაშინდელი ესოდენ გასაოცრად ჰრელი პლებეური საზოგადოებრივობის მიზიდვა შეუქმნიდა დრამას დაუფასებელ ფონს ავენსცენაზე გათამაშებული თავად-აზნაურობის ნაციონალური მოძრაობის გამოხატვისათვის და თვით ამ მოძრაობას პირველად წარმოავიღვენდა თავისი ნამდვილი ისტორიული სახით... ფალსტაფური ფონი ამ ტიპის ისტორიულ დრამაში კიდევ უფრო ეფექტური იქნებოდა ვიდრე შექსპირთან“³⁾.

მარქს-ენგელსის მოყვანილი აზრები იძლევიან შექსპირის მემკვიდრეობის მაღალ შეფასებას და სახელმძღვანელო დებულებებს მისი შესწავლის საქმეში. ისინი ლაპარაკობენ ორგვარი სტილის შესახებ დრამატურგიაში: შექსპირულისა და შილერულის. ისინი უპირატესობას აძლევენ პირველს.

რას წარმოადგენს ეს შექსპირული სტილი? აი კითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს მარქსისტულ-ლენინურ ლიტერატურათმცოდნეობაში.

შექსპირმა შექმნა გარკვეული ეტაპი მსოფლიო დრამატურგიის ისტორიაში, ანტიურ დრამატურგიასთან შედარებით.

1) Маркс-Энгельс об искусстве. гл. 173.

2) იქვე გვ. 177—8.

მან შექმნა ახალი დრამის — ტრაგედიისა და კომედიის დასრულებული სახე, რომელიც გარდუვალია ახალი დროის დრამატურგიაში. ეს ახალი დრამა (ტრაგედია) ემყარება ახალ მსოფლმხედველობას, რომელიც პრინციპულად განსხვავებულია ანტიური დრამის (ტრაგედიის) მსოფლმხედველობიდან. შექსპირის მსოფლმხედველობა არელიგიურია. თავისუფალი ყოველგვარი საიდუმლო, ზებუნებრივი ძალების არსებობის რწმენისაგან. თუმცა მის ტრაგედიებში („რიჩარდ III“ „ჰამლეტი“, „მაკბეტი“ და სხვები) გვხვდება მითითება აჩრდილებისა და ფანტასტიური ძალების არსებობაზე, მაგრამ ეს არ გამოხატავენ შექსპირის რელიგიურ-მისტიურ მსოფლგაგებას, არამედ აიხსნება ტრადიციული დრამატურგიული ხერხების გამოყენებით, რაც მას ესაქირობებოდა ადამიანის დაფარული შინაგანი ზრახვების გამოვლინებისათვის.

ანტიური დრამა ხსიათდება ფატუმის — ბედისწერის რწმენით, რომელიც იწვევს ადამიანის ყოველგვარ ტრაგედიას. ანტიური დრამაში ტრაგედია მიტივირებულია არა გმირის შინაგანი მიზეზებით და გარემო ობიექტური პირობებით. არამედ ზებუნებრივი ძალის — მორიას არსებობით. შექსპირის მსოფლმხედველობა კი მეცნიერულია, დამყარებული ღრმა ისტორიზმის პრინციპებზე. მას კარგად ესმის საზოგადოებრივი ცხოვრების კანონზომიერება — მისი წამყვანი ტენდენციები, რაც მას საშუალებას აძლევს უმაღლესი განზოგადების ტიპური სახეებით გამოხატოს თავისი გარდამავალი ეპოქის მდიდარი საზოგადოებრივი ცხოვრება, ღრმა დრამატიულ-ტრაგიკული კონფლიქტები, გამოწვეული ძველი ურთიერთობის რღვევით და ახალის ჩამოყალიბებით. შექსპირის შემოქმედებაში ტრაგედია მოტივირებულია და დასაბუთებული საზოგადოებრივ მოვლენათა ობიექტურ-ისტორიული განვითარებით.

რომ შექსპირს კარგად ესმის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების რკინისებური კანონზომიერება, ამას ნათელპყფს მთელი მისი დრამატურგიული შემოქმედება, განსაკუთრებით ისტორიული ტრაგედიები, როგორც ნაციონალურ, ისე ანტიური ისტორიის თემატიკაზე. შექსპირი ისტორიული კანონზომიერების დასაბუთებას იძლევა დეკლარატიულადაც კი თავისი ტრაგედიების გმირთა სიტყვებში. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი: „ჰენრიხ IV“-ში ვესტმორლენდი ასე უპასუხებს მეფის წინააღმდეგ აჯანყებულებს

„ოხ, ჩემო კეთილო მოურბეი, გახსენით კავშირი დროსა და მდგომარეობის ძალას შორის

და თქვენთვის ნათელი იქნება, რომ არა შეფეა

თქვენი ყოველგვარი უბედურების მიზეზი, არამედ დრო“.

(„ჰენრიხ IV“-ს II ნაწილი IV მოქმედება. III სცენა).

ეს სიტყვები გამოხატავენ თვით შექსპირის აზრებს, რომელსაც კარგად ესმის ისტორიული აუცილებლობა. დროსა და მდგომარეობას შორის არსებული კავშირის ძალა. მან კარგად იცის, რომ ფეოდალები უნდა დამარცხდნენ აბსოლუტური მონარქიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ასეთივე აზრებს გამოსთქვამენ იმავე ტრაგედიის სხვა გმირებიც. მაგ. ერთი მათგანი ჰესტინგსი ამბობს:

„ასე სურს დროს და ჩვენ მისი მონები ვართ“

(იქვე I მოქმ. III სენა). ან კიდევ იმავე ტრაგედიაში უოროკი ამბობს:

„ხალხთა ცხოვრებაში არის საერთო წესრიგი,
რომელიც შეიცავს წარსულ დროთა ახსნას.
თუ ჩვენ მას გავიგებთ, ადვილად, თითქმის ნამდვილად
შევისძლებთ მომავალ მოვლენათა მსვლელობის წინასწარ-
მეტყველებას“

(III მოქ. I სენა).

ეს აზრები თვით შექსპირის აზრებია და არ წარმოადგენენ უბრალო დეკლარაციას, არამედ თვით მისი შემოქმედება იძლევა მათ რეალიზაციას. შექსპირი ღრმად სწვდება ეპოქის სოციალ-პოლიტიკურ ვითარებას, კლასობრივ ძალთა დაჯგუფებას. გამოხატავს მის წამყვან ტენდენციებს. შექსპირს კარგად ესმის, რომ არა ცალკე პიროვნებანი ჰქმნიან ისტორიას, არამედ მასები. შექსპირის აზრით მასა არის ისტორიის შემოქმედი სუბიექტი. საზოგადოებრივი ცხოვრების ასეთი კანონზომიერების გამოხატვას ის ახერხებს ფართო სოციალური ფონის მოცემით, რომელსაც ენგელსი ფალსტაფურ ფონს უწოდებს. შექსპირი ტიპიურ სახეებს გამოხატავს ტიპიურ მდგომარეობაში. ეს აძლევს მას გმირთა მოქმედების ისეთი მოტივირების საშუალებას, როგორც ეს გამომდინარეობს მდგომარეობიდან. ყველგან, ნის დრამაში, გმირის მოქმედება გარკვეულ მდგომარეობასა და გარემოებაშია მოცემული და შემთხვევითობას მის ცხოვრებაში არ აქვს არსებითი მნიშვნელობა. ფართო სოციალური ფონის მოხაზვით შექსპირის შემოქმედება გამოდის ხასიათის დრამის ფარგლებიდან. მის დრამებს სამართლიანად შეიძლება ეწოდოს მდგომარეობის დრამა.

შექსპირის შემოქმედების დადებით მხარეზე მიუთითებენ მარქსი და ენგელსი თავიანთ წერილებში. ლასალი. მათი აზრით, თავის ტრაგედიაში რაინდების მოძრაობას გამოხატავს მაშინდელი გლეხურ-პლებეური მოძრაობისაგან იზოლირებულად, მისგან ყოველგვარი კავშირ-ურთიერთობის გარეშე, რაც არ იძლევა ეპოქის სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობისა და კლასობრივ ძალთა დაჯგუფების სწორ გახსნას. ეს მას არ აძლევს საშუალებას, როგორც მარქსი მიუთითებს. სწორად გამოხატოს თანადროული იდეები; ლასალს კი უნდოდა, ამ ტრაგედიით. გამოეხატა თავისი უთანხმოება მარქსსა და ენგელსთან 1848 წლის რევოლუციის ტრაგიკული კოლიზიის შესახებ.

შექსპირი მრავალ ტრაგედიაში იძლევა ფალსტაფურ სოციალურ ფონს, რომლის მიხედვით ნათელი ხდება, რომ მასა არის ისტორიის შემოქმედი სუბიექტი და არა ეერძო გმირები. ამ თვალსაზრისით ყველაზე საინტერესოა მისი „იულის კეისარი“. ფართო სოციალური ფონი აქ მოცემულია ქალაქის ხელოსნური პლებეური ფენების სახით, რომლებიც მონარქიულად არიან განწყობილი. გამარჯვებაც მას რჩება. ვინც ამ მასის განწყობილებას უღებს ალლოს. შექსპირმა აქ ერთმანეთს დაუპირდაპირა მონარქიული და რესპუბლიკანური ძალები — პარტიები. მან, წინააღმდეგ თავისი სიმპატიებისა, გამოხატა პირველი ძალის გამარჯვება და რესპუბლიკანების დამარცხება. მასაში რესპუბლიკის ხიადაგი შერყეუ-

ლია, იგი კეისარს მოითხოვს. როცა ბრუტოსი ხალხს უხსნის კეისარის მოკვლის მიზეზს, მოქალაქეები გაიძახიან: მოდი ეგ ვადიდოთ, ბრუტოსი იყოს ჩვენი კეისარი-ო. როცა რამდენიმე წუთის შემდეგ გაიძვერა დემაგოგი ანტონიოსი ხალხს აცნობს იულიოს კეისარის „ანდერძს“, მაშინ, ის მოითხოვს ბრუტოსის განადგურებას. ამიტომ იმარჯვებს რეაქციული ძალა — კეისარიზმი. მოკვლული იულიოს კეისარის ადგილს ოქტავიუსი იჭერს, რომელიც ამარცხებს რესპუბლიკანელებს. მხოლოდ დაღუპვის წინ შეიგნებს ბრუტოსი კეისარიზმის ძალას, რაც გამოხატულია მის უჯანასკნელ სიტყვებში:

„ოჰ. იულიოს კეისარო, კვლავ ძლიერი ხარ!

თავს დაგვეტრიალებს შენი სული და ჩვენივ ხმლებით ჩვენსავე გულმტყელს გვაწვლავინებს“.

შექსპირის პოლიტიკური პოზიცია ამ ნაწარმოების მიხედვით რესპუბლიკურია. ის დიდი სიმპატიებით გამოხატავს მგზნებარე რევოლუციონერებს ბრუტოსსა და კასიოს. მაგრამ მას ესმის მათი დამარცხების აუცილებლობა. აქ შექსპირმა ღრმა ისტორიული აღლოთი გამოხატა რომის გარკვეული ისტორიული პერიოდის კანონზომიერება და წამყვანი ტენდენციები. რომის ისტორიის ეს ეპოქა სოციალურ ძალთა განწყობილებებით ემსგავსებოდა შექსპირის ეპოქის სოციალ-პოლიტიკურ ურთიერთობას. მას ესათვის ისტორიული ეპოქა აინტერესებს არა თავისთავად. არამედ თავის თანამედროვე აქტუალური სოციალ-პოლიტიკური იდეების გამოხატვისათვის. ამ ნაწარმოებში მან სწორად გამოხატა, როგორც იულიოს კეისარის, ისე თავისი თანამედროვე ეპოქის სოციალ-პოლიტიკური ურთიერთობა და მოწინააღმდეგე ძალთა დაჯგუფება; შექსპირის თანამედროვეობაც ხასიათდება მონარქიულ და პარლამენტარულ რესპუბლიკანური ძალების გამწვავებული ბრძოლებით, როგორც იულიოს კეისარის ეპოქა.

ასევე ხაზგასმულია მასების როლი, სხვა ტრაგედიებში. „კორიოლანოსში“ შექსპირი გამოხატავს, რომ დაღუპვისათვის განწირულია ის გმირი, რომელიც თავის მოქმედებაში ანგარიშს არ უწევს მასების განწყობილებას. პამლეტის ტრაგედიაც მოტივირებულია სასახლის გახრწნილი ცხოვრების ფართო ფონზე. ასეთივეა კეთილშობილი ტიმონ ათინელის ტრაგედიაც, რომელსაც ღუპავს ოქროს ძალით გახრწნილი საზოგადოებრივი გარემო. ამაშია შექსპირის რეალიზმის ერთერთი უძლიერესი მხარე. რომელსაც მისაბამად მიიჩნევდნენ მარქსი და ენგელსი სოციალისტური დრამატურგიისათვის. შექსპირის შემოქმედების ასეთ სტილს ისინი უპირისპირებდნენ შილერულ სტილს, ე. წ. „შილეროვშიჩინას“, რომლის დამახასიათებელია იდეური მომენტის პირველ პლანზე დაყენება, რეალისტურის ანგარიშზე. შილერი თავის ნაწარმოებთა უმრავლესობაში, მიუხედავად შექსპირის უშუალო გავლენისა, ვერ იძლევა მოწინააღმდეგე სოციალური ძალების ურთიერთ დაპირდაპირებას. არამედ ყურადღების ცენტრში აქცევს განყენებული იდეების ბრძოლას. შილერი პერსონაჟებს აქცევს ეპოქის სულის რუპორებად, დადებითი ან უარყოფითი თვისებების განსახიერებად. ასე, მაგ. კეთილი კარლისა და ბოროტი ფრანცის სახით, ერთი ოჯახის

ფარგლებში. აბსტრაქტულ ფორმაში წარმოვიდგენს ფეოდალურ არისტოკრატისა და ბიურჯერობის ბრძოლას. ეს ბრძოლა აქ არ არის მოცემული თვით მოწინააღმდეგე ძალების დაპირდაპირების გამოხატვით. ან კიდევ, დონკარლოსისა და მარკოზ პოზას სახით, ერთის მხრით, და მოხუცი ინკვიზიტორის სახით, მეორეს მხრით („დონკარლოსი“), ის გამოხატავს ორი პრინციპის ბრძოლას. შილერის დამახასიათებელია პუბლიცისტური ტენდენციურობა. შექსპირის შემოქმედებისათვის კი უცხოა გმირის გამოყენება მხოლოდდამსოფლო იდეების რეჰორად. ის ყოველთვის მიზნად ისახავს ინდივიდუალიზებული ტიპიური სახის მოცემას. მისი ტენდენციურობა ყოველთვის ჩაქსოვილია ნაწარმოების მთლიან კონსტრუქციაში. შექსპირი თავის დადებით შეხედულებებსა და სოციალ-პოლიტიკურ იდეალებს გამოსთქვამს სინამდვილის კანონზომიერებისა და წამყვანი ტენდენციების, მხატვრული სახეების მეშვეობით. გახსნის გზით მასში შექსპირის დადებითი შეხედულებანი ყოველთვის გამოთქმულია. როგორც დადებითი, ისე უარყოფითი პერსონაჟების სიტყვებში. მისი შეხედულებათა სისტემა არასოდეს არ ემთხვევა ერთი რომელიმე პერსონაჟის აზრებს. როგორც ეს შილერის შემოქმედებაში გვხვდება. მისი პოზიტიური იდეალები გამოთქმულია. როგორც ჰამლეტის, ოტელოს, ბრუტოსის, კასიოსის, ანტონიოსის, ტიმონ ათინელის, ისე ფალსტაფის, პოლონიუსის, მასხარებისა და სხვა მრავალი უარყოფითი პერსონაჟების სახით.

შექსპირის დრამების ფართო ფალსტაფური სოციალური ფონით თანამედროვე მკითხველი ღრმად იხედება მის მიერ გაშუქებულ ამათუიმ ისტორიული ეპოქის სინამდვილეში. ეპოქის სოციალური ფონის მოცემისათვის მას არ ესაქიროება ისტორიული ფაქტების ისტორიული სიზუსტით გადმოცემა. ის ხშირად შლის ეპოქის ზოგად სურათს, სოციალურ ძალთა განწყობილებას ტიპიური სახეების ტიპიურ მდგომარებაში მოცემით. ამ მხრივ სანიმუშოა შექსპირის ყველა ისტორიული ტრაგედია, როგორც ნაციონალურ ისე რომაულ თემატიკაზე აგებული. მაგრამ ეპოქის ფონის მოხაზვის თვალსაზრისით შეიძლება ისტორიული ეწოდოს ყველა მის დრამას. რადგან არა ისტორიული ტრაგედიები არა ნაკლები სიღრმით ხსნიან ეპოქის კანონზომიერებას, ვიდრე ისტორიული ტრაგედიები.

შექსპირი ღრმად სწვდება თავის ეპოქის დიალექტიკას, მის შინაგან წინააღმდეგობებს და წამყვან ტენდენციებს უმაღლესი განზოგადოების ტიპიური სახეებით, რომელთა უკან დგანან კლასები და საზოგადოებრივი ფენები. მის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ე. წ. „ქრონიკებს“ — ნაციონალურ თემატიკაზე აგებულ ისტორიულ ტრაგედიებს, რომლებითაც მან გამოხატა ინგლისის უახლოესი ისტორიული წარსული. სამი საუკუნის მანძილზე, მის უმთავრეს მომენტებში გამწვავებული სოციალური კატასტროფებით და დრამატიულ-ტრაგეკულ კონფლიქტებით. მათში შექსპირი ყოველთვის არ იცავს ისტორიული ფაქტის სიზუსტეს, მაგრამ ყოველთვის სწორად აქვს მოცემული ისტორიული ეპოქის ფონი მომქმედი სოციალური ძალებით, „ქრონიკებში“

შექსპირი ნათელჰყოფს, თუ როგორ იქედებოდა უახლოესი სამი საუკუნის განმავლობაში ინგლისის ძლევაშემოსილება, რომელმაც ის ამაყ ალბიონად აქცია. ამ ტრაგედიებით შექსპირი უპასუხებს „მხიარული ინგლისის ოქროს დღეების“ მებრძოლ ნაციონალურ განწყობილებას და პატრიოტულ აღტყნებას. შექსპირი მებრძოლი პატრიოტია და ამდენად თავისი ეპოქის აქტიური თანამებრძოლი.

„ქრონიკებში“, რომლებიც ამა თუ იმ მეფის სახელწოდებას ატარებს, შექსპირს ნაკლებად აინტერესებს ისტორიულად კონკრეტული მეფის სახის მოცემა, არამედ გვძლევს განზოგადებულ მეფის სახეებს და მათთან დაკავშირებით გამოხატავს თავის და აგრეთვე ეპოქის პროგრესიულ სოციალ-პოლიტიკურ იდეალებს. ისტორიული წარსული მას ყოველთვის აინტერესებს თავისი თანადროულობის აქტუალური საკითხების გარკვევისათვის. ამ თვალთახედვით შექსპირისათვის მნიშვნელობას მოკლებულია ამათუიმ ისტორიული გმირის და მეფის სწორი პორტრეტის მოცემა. მაგალითად რიჩარდ III-ს შექსპირმა მიაწერა ისეთი მკვლევლობანი, რაც მას სინამდვილეში არ ჩაუდენია. მისი რიჩარდ III ტიპია აღორძინების ეპოქის მხეცური, მტაცებლური ინსტიტუტებით გაელენთილი პიროვნებისა, რომელიც თავისი პატივმოყვარეობის და უფლების მოყვარეობის დაკმაყოფილებისათვის არავითარ საშუალების წინაშე არ იხვევს. ის სისხლიანი ბრძოლებით იკაფავს გზას მეფობისაკენ. გზა და საშუალებანი, რომლებითაც ის ცდილობს ძალაუფლების განმტკიცებას, ტიპიურია ფეოდალური ეპოქისათვის. მან არამც თუ მოსპო ფეოდალური არევ-დარევა, არამედ კიდევ გაამწვავა ის. შექსპირი ამ ნაწარმოებში და სხვა მრავალითაც აფეთქებს ფეოდალურ საშუალო საუკუნეებს და თავის ზედვას მიაპყრობს ინგლისის ისეთი ნათელი მომავლისაკენ, როცა მოისპობა ფეოდალური შუღლი და მტრობა. მას სურს, შეარიგოს წითელი და თეთრი ვარდები. ასეთია დეკლარაციის სახით გამოთქმული რიჩმონდის სამოქმედო პროგრამა, რომელიც რიჩარდზე გამარჯვების შემდეგ ხალხს ასე მიმართავს:

„ინგლისი დიდხანს ქვეაშეშლილებრ იტანჯებოდა,
უწყალოდ ღვრიდა ძმა ძმისა სისხლსა, მამა შვილისას,
შვილიც მამასა არ ინდობდა და ყელსა სჭრიდა:
ესე ყოველი იორკსა და ლანკასტერს შორის,
ამ ორ ოჯახში ბადებდა შფოთს. საზარელ შუღლსა,
და აწ ღმერთმა ჰქმნას, რომ რიჩმონდ და ელისაბედი,
ამ ორი სამეფო სახლის ნამდვილი მემკვიდრენი,
შეუღლდნენ ერთად და თუ ღმერთმა უბოძა შვილი,
მომავალ დროშიც დაამყარონ ტკბილი მშვიდობა.
კეთილი დღენი. სასიამო ნაყოფთ სიმრავლე“.

რიჩმონდი, აეტორმა დაუპირდაპირა მტარვალ რიჩარდს და გამოიყენა თავისი ჰუმანიური სოციალ-პოლიტიკური იდეალების გამოსახატავად.

„ქრონიკების“ მიხედვით შექსპირი დგას მტკიცე მონარქიის საფუძველზე, რომელმაც უნდა გამოსჭედოს ინგლისის ძლევაშემოსილება, მაგრამ ეს არ არის მისი პოლიტიკური იდეალი, პირიქით, ის თავის შემოქმედების გარკვეულ პერიოდში რესპუბლიკელია,

მაგრამ მას კარგად ესმის თავის ეპოქის სინამდვილე, რომელშიაც არ იყო შემზადებული ნიადაგი რესპუბლიკისათვის. ამიტომ შექსპირი იცავს მონარქიას, როგორც ისტორიულ აუცილებლობას. მაგრამ მისი იდეალი არ არის ღესპოტი და უზურპატორი მეფე, მსგავსად რიჩარდ მესამისა. შექსპირი ამართლებს მეფეს, თუ ის უზურპაციით მოპოებულ ძალაუფლებას ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობისათვის იყენებს. მეფის იდეალი მან გამოხატა ჰენრიხ მეხუთის სახით, რომელიც არის დემოკრატი მეფე. ის თავის მმართველობაში ეყრდნობა ხალხის დემოკრატიულ ფენებს. მისი ჩარიც დემოკრატიულია, რომელიც მან შექმნა ხალხთან ახლო დგომით. ასეთი დემოკრატიული ჩარით მოუპოვა მან ქვეყანას უდიდესი წარმატება, დაამარცხა საფრანგეთი, გამოსქედა ქვეყნის ძლევამოსილება. ჰენრიხ მეხუთე თავის პიროვნებაში აფასებს ხალხურ უბრალოებას და არა მეფურ დიდებას. შექსპირისათვის მისაღებია მონარქია, როგორც გარდუვალა აუცილებლობა. მისთვის მისაღებია მხოლოდ დემოკრატი მეფე, მას დაღუპვის ღირსად მიიჩნია ისეთი მეფე, რომელიც ქვეყანას იხდის თავის სათარეშო ასპარეზად და ვერ სპობს ფეოდალურ სისხლის ღვრას. სრულიად კანონზომიერია, შექსპირის აზრით, დაღუპვა მეფე ლირისა, რომელიც არ გრძნობს არავითარ პასუხისმგებლობას ქვეყნის წინაშე და მას ეპყობა როგორც კერძო საკუთრებას. ასეთია შექსპირის სოციალ-პოლიტიკური იდეალი ისტორიული ტრაგედიების მიხედვით, რომლებშიაც მასალად იღებს დიდ ისტორიულ მოვლენებს და მათზე აგებს ფართო სოციალურ კონფლიქტების ამსახველ გრანდიოზულ მხატვრულ ტილოებს, იძლევა ეპოქის კლასობრივი ძალების და სოციალური ჩგუფების განმასახიერებელ მაღალ ტიპიურ სახეებს, ღრმად სწვდება არა მარტო ეპოქის სოციალურ ძალთა ვითარებას, არამედ თავისი ტიპიური სახეების სულიერი ცხოვრების ყოველ წვრილმან ნიუანსებს. შექსპირი თავის ისტორიულ ტრაგედიებში ზოგადიდან მიდის კერძოსაკენ და ამ გზით გამოხატავს ეპოქის მოვლენათა მრავალფეროვანებას.

მაგრამ შექსპირის შემოქმედებისათვის უცხოა ყოველგვარი შტამპი. ის საზოგადოებრივ ცხოვრებას იღებს მთელი თავისი მრავალფეროვანებით და სისაესით. რომლის გამოხატვისათვის იღებს კერძო და ვიწრო პიროვნულ მოტივებსაც და მათზე ქმნის ისეთივე გრანდიოზული სოციალური კონფლიქტების ამსახველ მხატვრულ ტილოებს, როგორც ისტორიულ ტრაგედიებში. მაგალითად; „რომეო და ჯულიეტას“ მან საფუძვლად დაუდვა სიყვარულის მოტივი, მაგრამ ამ მოტივის გაშუქებით ისევე ააფუთქა საშუალო საუკუნეები თავისი დამახასიათებელი ფეოდალური საგვარეულო ბრძოლებით, როგორც „რიჩარდ მესამეში“ და სხვა ქრონიკებში. იტალიური ნოველის მასალა მან აქ გამოიყენა თავისი ქვეყნისა და თანადროულობის აქტუალური საკითხების გარკვევისათვის, როგორც „იულიოს კეისარი“ და სხვა რომაული ტრაგედიები.

იგივე შეიძლება ითქვას „ჰამლეტის“, „ოტელოს“, „ტიმონ ათინელის“ შესახებაც. კერძო პიროვნული ტრაგიკული მოტივის განზოგადების საფუძველზე შექსპირი ქმნის გარდუვალ ღრამა-

ტიულ ძეგლებს, რომლებშიაც, როგორც სარკეში, გამოიხატება მისი თანამედროვე გარდამავალი ეპოქა, მთელი თავისი შინაგანი წინააღმდეგობებით, ტრაგიკულ დრამატიული კონფლიქტებით, პროგრესიულ-მეცნიერული ფილოსოფიური იდეებით. ჰამლეტის სახეში გამოხატა ინგლისის ჰუმანიზმის მთელი არსი, მისი შინაგანი წინააღმდეგობანი და კრიზისი. შექსპირის მხატვრული განზოგადება არცერთ ტრაგედიაში არ ასულა იმ სიმძლავრემდე. როგორც ჰამლეტის სახის მოცემაში. ჰამლეტი არის ტიპი მოწინავე ჰუმანიზტი ინტელიგენტისა ინგლისის აღორძინების ეპოქაში მე-16-17 საუკუნეების მიჯნაზე. მისი სულიერი სამყარო, ფილოსოფიურ-მეცნიერული ერთეულია, დიდი მხატვრულ-ესტეტიურია ალლო, მისი მელანქოლიურ-ტრაგიკული სულიერი განწყობილება, მისი მსოფლმხედველობრივი შინაგანი წინააღმდეგობანი და სხვა მრავალი თვისება, ნათლად წარმოგვიდგენენ შექსპირის ეპოქის ჰუმანიზმის ვითარებას, მის შინაგან წინააღმდეგობებს და კრიზისს. ჰამლეტი არ არის ზოგად კაცობრიული ტიპი დროსა და სივრცის გარეშე როგორც ამას აღიარებენ ბურჟუაზიული ლიტერატურათმცოდნეები. არამედ უაღრესად კონკრეტულ-ისტორიული უმაღლესი განზოგადების ტიპიური სახე, რომელიც შეიძლება წარმოვიდგინოთ მხოლოდ შექსპირის ეპოქაში. მაგრამ, თუ ჰამლეტიზმი, ჰამლეტური განწყობილება, დამახასიათებელია სხვა ქვეყნების, სხვა საუკუნეების ადამიანისათვის, ეს იმით აიხსნება, რომ ჰამლეტის განწყობილების გამომწვევი ობიექტური მიზეზები არსებობენ სხვა ქვეყნებში შემდგომ საუკუნეებში, ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმისაკენ გარდამავალ ეპოქაში. ამიტომ ჰამლეტიზმი, როგორც ფსიქოლოგიური განწყობილება, დამახასიათებელი იყო სხვა ქვეყნების, სხვა საუკუნეების მოწინავე ინტელიგენციისათვის და იარსებებს მანამ, სანამ კაცობრიობა არ გამოვა ანტაგონისტურ ფორმაციის სტადიიდან, რომლის დამახასიათებელია წინააღმდეგობა არსებულსა და სასურველს, აუცილებლობასა და თავისუფლებას შორის.¹⁾

შექსპირი უდიდესი რეალისტია მსოფლიო ლიტერატურისა, რომელმაც ისე ღრმად ასახა თავისი ეპოქა, როგორც არავინ მსოფლიო დრამატურგიაში. ამ მხრივ მას შეედრება მხოლოდ ბალზაკი მე-19 საუკუნის ლიტერატურაში. შექსპირი და ბალზაკი ორი უდიდესი რეალისტია მხატვრული ლიტერატურისა ორი სხვადასხვა დარგიდან. აღნიშნული მწერლებიდან გამომდინარეობენ მარქსი და ენგელსი როცა აყალიბებენ თავიანთ თეორიას რეალიზმის შესახებ. ამ თეორიის ძირითადი დებულება მოცემულია ენგელსის შემდეგ ფორმულაში: „რეალიზმი ტიპიური დეტალების სწორად გადმოცემის გარდა გულისხმობს ტიპიური ხასიათების ტიპიურ მდგომარეობაში გამოხატვას“²⁾... რეალიზმის თეორიის მეორე ძირითადი პრინციპი, რომელიც ენგელსს აქვს ჩამოყალიბებული მდგომარეობს მასში, რომ ტიპიური სახეები იყოს მოცემული ინდივიდუალიზაციის

¹⁾ Мокульский „История западно-европейского театра“, ч. 1, 1936 წ. 33-409.

²⁾ Маркс-Энгельс об искусстве, 1933 წ. 33. 194.

პრინციპით: „ყოველი პიროვნება უნდა იყოს ტიპი და ამასთან ერთად სავსებით გარკვეული პიროვნება“. აი ეს, „როგორც ამას იტყოდა მოხუცი ჰეგელი“. სწერს ენგელსი მინა კაუცკაიას¹⁾).

პირად წერილში ენგელსი ლასალს მიუთითებს, რომ მას თავის დრამაში ხასიათები არ ჰყავს ერთმანეთისაგან გამოჩნული და ერთმანეთთან დაპირდაპირებული. „დრამის იდეურ შინაარსს არაფერი მოაკლდებოდა,—სწერს ენგელსი,—თუ ცალკე ხასიათები იქნებოდა უფრო მკაფიოდ გამოჩნული და ერთმანეთთან მახვილად დაპირდაპირებული. დახასიათება, რომელსაც იძლევიან ძველი ავტორები, ჩვენი დროისათვის არ არის საკმარისი და, ჩემი აზრით, ცუდი არ იქნებოდა თუ მეტ ანგარიშს გაუწევდით შექსპირის მნიშვნელობას დრამის ისტორიაში“²⁾).

ენგელსი აქ ილაშქრებს ტიპიური სახის სქემატიზმისა და გაუპიროვნების წინააღმდეგ. ის ჰეგელთან ერთად, შექსპირის მნიშვნელობას დრამის ისტორიაში მასში ხედავს, რომ მის დრამებში დაძლეულია ტიპიური სახის გაუპიროვნება, რაც დამახასიათებელია წინა ეპოქების დრამატურგიისათვის, განსაკუთრებით იტალიის ალორძინების დრამატურგიისათვის.

„იტალიური ნიღბები, სწერს ჰეგელი, თუმცა წარმოადგენენ გარკვეულ ხასიათებს, მაგრამ ამ გარკვეულობას გამოხატავენ თავის აბსტრაქტულობასა და საყოველთაობაში, სუბიექტური ინდივიდუალობის გარეშე. ჩვენი საფეხურის თვითიული ხასიათი თავისებური ხასიათია, თავისთავად მთელი, ინდივიდუალური სუბიექტი“.

ტიპიური სახის ასეთი ინდივიდუალური თავისებურებით გამოკვეთის უმაღლეს და გარდუვალ ნიმუშებს იძლევა შექსპირი თავის შემოქმედებაში, რაც ენგელს მიაჩნია უდიდესი მნიშვნელობის მოვლენად დრამისა და ლიტერატურის ისტორიაში. შექსპირი ჰქმნის ერთმანეთისადმი დაპირდაპირებულ სახეებს, რომლებიც ამავე დროს ავსებენ ერთმანეთს და ერთი რომელიმე სოციალური ფენის, თუ წრის მთლიან სურათს იძლევიან. ასეთი მაგალითები მრავალია მის შემოქმედებაში. სანიმუშოდ გამოდგება ანტონიოსი და შეილოკი „ვენეციელი ვაჭრიდან“. შექსპირის მიხედვით ანტონიოსი არის „სამეფო ვაჭარი“, უაღრესად კეთილშობილი პიროვნება, მოქეიფე, დარდიმანდი, დარბაისელი, იშვიათი მეგობარი. მისთვის ფული და სიმდიდრე ცხოვრების მიზანი კი არ არის, არამედ საშუალებაა. მას აქვს შესანიშნავი ესტეტიური გემოვნება, საგნებსა და მოვლენებს უცქერის არა ვიწრო უტილიტარული თვალსაზრისით, არამედ ესტეტიური თვალთახედვით. ის მზად არის, ხელი გაუმართოს თავის მეგობარს ბასანიოსს და მისი გულისათვის თავისი სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდოს. ის არ იღარდებს მეგობრისათვის თავის განწირვას. იძლევა რა ვაჭრის ასეთ იდეალურ სახეს, შექსპირი არ მალავს მის უარყოფით მხარეებს, მას წარმოგვიდგენს, როგორც ცოცხალ პიროვნებას, რომელსაც არ შეიძლება არ ჰქონდეს სუსტი ადამიანური მხარეები.

¹⁾ Маркс-Энгельс об искусстве. 1933 წ. გვ. 63.

²⁾ Маркс-Энгельс об искусстве. 1933 წ. გვ. 57.

ანტონიოსს შექსპირი უპირდაპირებს ძუნწ შეილოკს, რომლისთვის სიმდიდრე და ფული ცხოვრების საშუალება კი არ არის, არამედ მიზანი. სიმდიდრის წყურვილს მასში ჩაუხშავს ყოველგვარი კეთილშობილური მისწრაფება და მშობლიური გრძნობა. ის არაფერს არ იმეტებს თავის ქალისათვის, რომელიც იძულებულია გაქცევით დააღწიოს თავი მამის ტირანისა. შეილოკი სწუხს არა ქალის გაქცევის გამო, არამედ იმიტომ, რომ მან მოიტაცა მისი ოქროები, ის მოთვამს: ნეტავი ესლა ჩემი ქალი მკვდარი იყოს, ოღონდ კი მის კუბოსთან ეყაროს მოტაცებული ოქროებით.

ანტონიოსი და შეილოკი ორთავე ბურჟუაზიული კლასის ტიპური წარმომადგენლები არიან მოცემული ერთმანეთთან დაპირდაპირებით, სახეების ასეთი დაპირდაპირებით შექსპირი უფრო ღრმად ხსნის ამ კლასის მთლიან სურათს და თვით ახალი ბურჟუაზიული ურთიერთობის წამყვან ტენდენციებს. ანტონიოსი სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენელია, შეილოკი კი—ჩარჩული კაპიტალის. შექსპირის ეპოქისათვის ორთავე დამახასიათებელი მოვლენაა, მაგრამ წამყვანი მნიშვნელობა მაშინ სავაჭრო კაპიტალს ჰქონდა.

ტიპურ სახეებში შექსპირი გამოხატავს არა ერთ რაიმე თვისებას, ენებას, სიკეთესა და ბოროტებას, როგორც ეს კლასიციზმს ახასიათებს, არამედ ყოველ ტიპურ სახეში მოხაზავს სუბიექტურ ინდივიდუალობას და ჰქმნის ცოცხალ ადამიანის ნამდვილ სახეს.

შექსპირი, ბალზაკთან ერთად, გარდუვალია ასეთი ინდივიდუალიზებული ტიპებისა და ტიპიური ინდივიდების მოცემაში. ეს შექსპირის შემოქმედების უძლიერესი მხარეა, რასაც ხაზს უსვამენ მარქსი და ენგელსი.

შექსპირი ღრმად იხედება, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ობიექტურ ვითარებაში, ისე კერძო პიროვნებათა სულიერ ცხოვრებასა და მოქმედებაში. „შექსპირის რეალიზმი გამოვლინდება უპირველესად ყოვლისა,—სწერს ერთი შექსპიროლოგი, —ზუსტ ფსიქოლოგიურ ანალიზში, თავისი ყოველი პერსონაჟის მოქმედებისა და განცდების მკვეთრ მოტივირებაში“¹⁾

პიროვნების ინდივიდუალურ ფსიქოლოგიურ განცდების ღრმა გამოხატვით შეუდარებელია მსოფლიო დრამატურგიაში შექსპირის მიერ მოცემული სახეები: ოტელოსი, მაკბეტის, მეფე ლირის, ჰამლეტისა და სხვა მრავალი. უდიდესი ფსიქოლოგიური სიღრმით არის გამოხატული ოტელოს სულის მოძრაობის ყოველგვარი წვრილმანი ნიუანსი, მისი გრძნობის მოძრაობა უაღრესი სიყვარულიდან სიძულვილისა და მრისხანებისაკენ. ადამიანური განცდის გამოხატვის შექსპირულ სიმაღლემდე იშვიათად ასულა სხვა რომელიმე მწერალი მსოფლიო ლიტერატურაში. ამიტომ არის ოტელოს და ჰამლეტის განცდები მახლობელი ყოველი ადამიანისათვის ყოველ ეპოქაში.

შექსპირის ინდივიდუალიზებული ტიპიური სახეების სულიერ განცდებში ჩაქსოვილია „მხიარული ინგლისის ოქროს დღეების“ ტიტანურ პიროვნებათა მთელი სულიერი სამყარო, მათი ძლიერი ვნებანი, კეთილშობილური მისწრაფებანი და ეგოისტურ მტაცებლური ინსტიქტები, რომლებიც თანამედროვე მკითხველის წინაშე

1) Смирнов, сборник. Ранний буржуазный реализм, 1936, стр. 117

აღადგენენ შექსპირის ეპოქის მთლიან სურათს; მის გრანდიოზულ ტრაგიკულ ტიპიურ სახეებში აისახა მოწინავე ადამიანთა ტრაგედია ძველის ნგრევისა და ახლის ჩამოყალიბების პროცესში.

შექსპირის შემოქმედებაში აისახა არა მარტო ეპოქის ტრაგიკულ-სოციალური კატასტროფები, არამედ აღორძინების ეპოქის ადამიანის სიცოცხლის ტრფიალი და სიყვარული, რომელიც, ეს არის, ახლა განთავისუფლებულა საშუალო საუკუნეების ასკეტური იდეალების ბრკყალებისაგან და მთელი თავისი არსებით დაეწაფა ცხოვრების წყაროს. მასში შადრევანით სჩქეტს სიცოცხლის ჭანსალი სუნთქვა და წყურვილი. შექსპირის შემოქმედებაში მოისმის პომერული სიცილი. რომელიც მოკლებულია ყოველგვარ თვითმიზნურ, ბუფონურ ხასიათს. შექსპირის იუმორი ყოველთვის სოციალურად გამახვილებულია და გამიზნული, მიმართული ცხოვრების ამათუიმ სიმახინჯისა და ნაკლის წინააღმდეგ.

შექსპირის შემოქმედებაში მოცემულია უმაგალითო შერწყმა ტრაგიკული და კომიკური. ნიქისა. შექსპირი ისევე ძლიერი კომედიოგრაფია, როგორც ტრაგიკოსი. მისი კომიკური სახეები ისევე მაღალი ტიპიური განზოგადობისაა, როგორც ტრაგიკული. მაგალ. კომიკური სახე ფალსტაფისა ისეთივე საკაცობრიო ღირებულებისაა, როგორც ჰამლეტი. ფალსტაფში ისევე გამოიხატა მომაკვდავი, დეგენერაციის გზაზე დამდგარი რაინდობის ყოველგვარი უარყოფითი თვისებანი: პარაზიტობა, მედიდურობა, ბაჟიობა, სილაჩრე, შემგუებლობა, გარყვნილება და სხვა მრავალე როგორც ჰამლეტში, ეპოქის მოწინავე პროგრესიული იდეალები და მისი სუსტი მხარეები. ამით აიხსნება ის მაღალი შეფასება, რომელსაც მარქსიზმის კლასიკოსები აძლევდნენ შექსპირს, როგორც კომედიოგრაფს.

ენგელსი მარქსისაღმე გაგზავნილ პირად ბარათში სწერს: „საზიზღარმა როდერიხ ბენედიქსმა დასწერა სქელტანიანი ცუდი წიგნი „შექსპირომანიის“ შესახებ, რომელშიაც ამტკიცებს, რომ შექსპირი ვერ შეედრება ჩვენს დიდ პოეტებს და ვერც ახალი დროის პოეტებს, ამიტომ დაგვრჩენია მხოლოდ ის, რომ გადმოვაგდოთ ის თავის დიდების კვარცხლბეგიდან და მის ადგილზე დავსვათ მსხვილბოლოიანი ბენედიქსი. „ვინძორის ქალების“ მხოლოდ ერთ, პირველ მოქმედებაში, მეტი სიცოცხლეა და მოძრაობა, ვიდრე მთელ გერმანულ ლიტერატურაში. მხოლოდ ერთი ლაუნსი თავისი ძალით კრახსით („ორი ფერონელი“ ნ. უ.) უფრო მეტი ღირებულებისაა, ვიდრე ერთად აღებული ყველა გერმანული კომედიები“.)

ასეთსავე აღფრთოვანებულ შეფასებას აძლევს შექსპირს, როგორც კომედიოგრაფს, 18 წლის ენგელსი, რომელიც მის კომედიებს ღვთაებრივს უწოდებს. ერთერთ წერილში, სახელდობრ „ლანდშაფტებში“, ის შემდეგს სწერს: „ოხ. რა საოცარ პოეზიას შეიცავენ ეს ბრიტანეთის პროვინციები. ხშირად ფიქრობ, თითქოს იმყოფები „მხიარული ინგლისის ოქროს დღეებში“ და აი დაინახავ

1) Маркс-Энгельс об искусстве, 1938 წ. გვ. 256 ენგელსი—მარქსს, 1873 წ.. 10 დეკემბერი.

შექსპირს თოფით მხარზე, რომელიც ბუჩქებში გარეულ ფრინველს ეპარება; ან კიდევ გაოცებაში მოდიხარ იმის გამო, თუ რატომ არ ხდება სინამდვილეში ამ მწვეანე მინდორზე მისი რომელიმე ლეთაებრივი კომედიის გათამაშება? რადგან, სადაც არ უნდა ხდებოდეს მოქმედება მის პიესებში—იტალიაში, საფრანგეთში თუ ნავარაში, არსებითად ჩვენს წინ ყოველთვის მზიარული ინგლისია, სამშობლო ახირებული, უბრალო ხალხისა, მისი კჰუისმჩემებელი სკოლის მასწავლებლებისა, მისი სათნო და უცნაური ქალებისა, ყველაფრიდან ხედავ, რომ მოქმედება შეიძლება მხოლოდ ინგლისის ცის ქვეშ ხდებოდეს“.)

ენგელსის ეს ამონაწერები საინტერესოა მრავალმხრივ. ერთის მხრივ, ისინი იძლევიან შექსპირის კომედიების ისეთსავე მაღალ შეფასებას, როგორც ტრაგედიების; მეორეს მხრივ, ხაზს უსვამენ მისი შემოქმედების კონკრეტულ-ისტორიულ ხასიათს, და საფუძველშივე ანადგურებენ შექსპირის შემოქმედების ყოველგვარი გაყალბების ცდას, რომელსაც მიმართავენ დასავლეთში, ბურჟუაზიული დეკადანსის ეპოქაში ე. წ. „წმინდა ხელოვნების“ თეორეტიკოსები; ისინი შექსპირს წარმოგვიდგენდნენ წმინდა ხელოვნების წარმომადგენლად. ამ თეორიის მომხრეები აყალბებდნენ შექსპირის მოქმედებას, რომელიც თითქოს, მათი აზრით, გამოხატავდა მოვლენებსა და სახეებს, დროსა და სივრცის ყოველგვარი კონკრეტული ისტორიული გარემოცვის გარეშე. მათი აზრით, შექსპირი ქმნის ისეთ სახეებს, რომელთაც არაფერი საერთო არ აქვთ არც ერთ კლასთან, არც ერთ საზოგადოებასთან, არამედ არიან „კაცად-კაცი“ დროსა და სივრცის გარეშე.

ენგელსის მოყვანილი აზრები ყოველგვარ ნიადაგს აცლიან შექსპირის შემოქმედების გაყალბების ცდას და წარმოადგენენ სახელმძღვანელო პრინციპებს მისი შემოქმედების მარქსისტულ-ლენინური შესწავლისათვის. შექსპირის ყოველგვარი სახე, როგორც ტრაგიკული, ისე კომიკური მაღალი განზოგადების კონკრეტულ-ისტორიული სახეა გარკვეული ეპოქისა ინგლისის ისტორიიდან. ამაშია მისი მემკვიდრეობის უდიდესი შემეცნებითი ღირებულება.

შექსპირმა მოგვცა ორგანული შერწყმა ტრაგიკულისა და კომიკურის, რითაც შექმნა მანამდე უცნობი ჟანრი — საკუთრივ დრამა. მაგრამ ამასთანავე შექსპირის ნიშანდობლივი თვისება მასში მდგომარეობს, რომ მისი ტრაგედიები შეიცავენ ორგანულად შერწყმულ კომიზმის ძლიერ ელემენტებს. ისინი ამით არ ითქვიფებიან საკუთრივ დრამაში, არამედ ინარჩუნებენ ტრაგედიის ჟანრობრივ თვისებებს.

შექსპირის შემოქმედების ამ თვისებურებასაც ხაზს უსვამენ მარქსიზმის კლასიკოსები. თავისთავად ცხადია, რომ ეს არ შეიძლება დაყვანილ იქნას ტრადიციული დრამატურგიული ხერხის უბრალო ათვისებამდე, არამედ უნდა ახსნილ იქნას იმით, რომ შექსპირი ცხოვრებას და სინამდვილეს ასახავს მთელი თავისი მრავალფეროვნებით, როგორც დრამატიულ-ტრაგიკული კონფლიქტებით, ისე

1) Маркс-Энгельс об искусстве, 1938 г. гл. 646. статья „Ландшафты“.

მისი დამახასიათებელი უარყოფითი მხარეებით. ის სატირული მახვილით ანადგურებს ცხოვრების მახინჯ მხარეებს და ამით ემსახურება კაცობრიობის პროგრესის საქმეს, თავისი მაღალი ჰუმანიური იდეალების განხორციელებას. ამით აიხსნება ის შიში, რომელსაც ვოლტერი გამოსთქვამდა შექსპირის გაშიშვლებული რეალიზმის გამო. ენგელსი სწერს ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგს: „ინგლისური ტრაგედიის ერთი თავისებურებათაგანი, რომელიც იმდენად ძლიერ ზიზღს იწვევდა ფრანგის გრძნობაში, რომ ვოლტერი შექსპირის მთერალ ველურს უწოდებდა, არის საოცარი აღრევა ამაღლებულისა და მდაბალის, საზარელი, სასაცილო, გმირულისა და მასხრულისა“. (ენგელსი).

ასეთი შეხედულება გამოხატავს ვოლტერის შეზღუდულ ბურჟუაზიულ ბუნებას შექსპირთან შედარებით, რომელიც ცხოვრებას ღია თვალებით უცქერის. გამოხატავს მის მრავალფეროვნებას ყოველგვარი შეფარდებისა და შელამაზების გარეშე თავისი წამყვანი ტენდენციებით. შექსპირი, როგორც აღორძინების ეპოქის ყველაზე დიდი წარმომადგენელი, არის ყველაფერი, გარდა იმისა, რომ ის არ არის ბურჟუაზიულად შეზღუდული. მისი მსოფლმხედველობის ფართო პორიზონტი თავისუფალია ბურჟუაზიული შეზღუდულობისაგან, რაც მას საშუალებას აძლევდა ღრმად ჩაიწვდარიყო საზოგადოებრივ მოვლენათა დიალექტიკაში, დაეგმო ფეოდალური ურთიერთობა, გაეციცხა ის უარყოფითი მხარეები, რაც ახასიათებდა ახალ ბურჟუაზიულ ურთიერთობას და თავის ხედვა მომავლისაკენ მიეპყრო, რომლის პერსპექტივები მას თავის ეპოქის პირობებში ნათლად წარმოდგენილი არ ჰქონდა.

შექსპირი თავისუფალია ყოველგვარი რელიგიური დოგმატური მსოფლმხედველობისაგან და რასიული პრინციპისაგან. მისი შემოქმედების მრავალფეროვან სახეთა გალერეაში ადამიანის პიროვნება ყოველთვის დაფასებულია თავისი პიროვნული ღირსების მიხედვით და არა წარმოშობითი კეთილშობილობის გამო. ამაშია შექსპირის ჰუმანისტური მსოფლმხედველობის უდიდესი პროგრესიული მნიშვნელობა.

შექსპირის უარყოფითი დამოკიდებულება კაპიტალიზმისადმი ნათლად გამოსკვივის მის დრამებში: „ტიმონ ათინელსა“ და „კენეციელ ვაქარში“. მისი უსაზღვრო სიძულვილი ფულის ბატონობით გაანრწინილი საზოგადოების წინააღმდეგ, რომლის ოფიციალურ წარმომადგენლებში ჩახშულია ყოველგვარი ადამიანური კეთილშობილური და მეგობრული გრძნობა, მკაფიოდ არის გამოხატული „ტიმონ ათინელში“. ტიმონ ათინელი ქვეყნის სიამაყეა, მას უდიდესი ღვაწლი მიუძღვის სამშობლოს დაცვის საქმეში. ის მდიდარი მოქალაქეა და პატივისცემით სარგებლობს ათინაში, სანამ მისი ეკონომიური მდგომარეობა მტკიცეა. ტიმონი უაღრესად კაცთმოყვარეა. ის თავის უდიდეს შეძლებას იყენებს არა პიროვნული კეთილდღეობისათვის. არამედ საერთო ბედნიერებისათვის. ის ხელგაშლით ურიგებს თავის ოქროებს ყველას, ვინც კი მას მიმართავს. მაგრამ ის ვერ პოულობს თანაგრძნობას თავის თაყვანისმცემელთა მხრივ, როცა ვალებში აღმოჩნდება. მისგან ყველა ზურგს იბრუნებს, ვისაც კი მიმართავს დახმარებისათვის. შექსპირი აქ ტიმონ-

ნის სიტყვებით და მოქმედებით გამოხატავს თავის ღრმა სიძულვილს ოქროს ბატონობით გახრწნილი საზოგადოებისადმი. როცა ტიმონი ვერ პოულობს ვერავითარ გამომხაურებას თავის „მეგობრებში“, მაშინ ის წყევლა-კრულვით სტოვებს ადამიანთა საზოგადოებას. ზღვის პირას გამოქვაბულში დასახლდება, გაურბის ადამიანთა ნახვას სიცოცხლეში და თავის საფლავისათვის ასეთ ეპიტაფიას სწერს:

„აქ განვისვენებ მე ტიმონი, რომელსაც
სიცოცხლეში მეზიზღებოდა ადამიანები,
გამვლელი, დამწყველე რამდენიც გასურდეს.
მხოლოდ ჩქარა გამეცალე საფლავიდან“.

(ტიმონ ათინელი მე-5 მოქმ. მე-4 სცენა)

ტიმონს ისე ეზიზღება ოქროს ბატონობით გახრწნილი საზოგადოება, რომ მას უნდა მის საფლავს არ ნახულობდეს ცოცხალი ადამიანი. შექსპირი წყევლა-კრულვას უგზავნის თავის თანამედროვეებს, სადაც ვერ ხეირობს კეთილშობილი ადამიანი.

მარქსი აღნიშნავს, რომ შექსპირი საუცხოოდ გამოხატავს ფულის არსს და მასში ხაზს უსვამს ორ თვისებას: 1. ფული ხილული ღვთაებაა, რომელიც ყოველგვარ ადამიანურ ბუნებრივ თვისებებს მათ წინააღმდეგობად აქცევს, იწვევს მოვლენების საყოველთაო აღრევას და დამახინჯებას. ის ძმურად აკავშირებს დაუძლეველ წინააღმდეგობებს. 2. ის მაქანკალია მთელი ქვეყნის ხალხებისა და ადამიანების, ფული ყოველის შემძლე ძალაა, რომელიც ადამიანის ამათეიმ თვისებას მის წინააღმდეგობად აქცევს. შექსპირის აზრით. ფულის შესახებ, მარქსი ასაბუთებს, მის როლს და ადგილს კაპიტალისტურ საზოგადოებაში, ამ საკითხისათვის მარქსს მოჰყავს შემდეგი ადგილი „ათინელიდან“:

„ოქრო საკმარისია იმისათვის, რომ
ყოველივე უშავესი-უთეთრესად გარდაქმნას,
ყოველივე საძაგელი-უმშვენიერესად, ყოველი ცოდვა
სიმართლედ. ყოველივე მდაბალი—ამაღლებულად,
მშიშარა — თავგანწირულ გმირად, ყოველივე
მოძველებული ახალგაზრდულად და სხვა“.

მარქსის მიერ გამოყენებული კიდევ სხვა რამდენიმე სტრიქონი „ტიმონ ათინელიდან“—იძლევა კაპიტალისტურ საზოგადოების რაობის გარკვევას, რომელშიაც ბატონობს ფული. კაპიტალისტური წყობა ფულის ბატონობით ახშობს ყოველივე ადამიანურ კეთილშობილურ მისწრაფებას და ყველაფერს მოგების წყურვილს უმსახურებს.

ამიტომ შექსპირი გმობს ამ მოგების და ანგარების წყურვილს, რომელიც დაეუფლა მის თანამედროვე საზოგადოებას. „ვენეციელ ვაჟარში“ ასევე ნათლად არის გამოხატული მისი უარყოფითი დამოკიდებულება კაპიტალისტურ ურთიერთობისადმი. როგორც ზემოთ აღნიშნულია, მან ერთმანეთს დუპირდაპირა ანტონიოსი და შეილოკი. შეილოკში ფულს წაუშლია ყოველგვარი კეთილშობილური, ადამიანური გრძნობები — შეილოს სიყვარულიც კი, მაშინ როცა ანტონიოსი მზად არის, არამც თუნ ფულით დაეხმაროს თავის მეგობარს, არამედ ის არ იღარღებს თავის განწირვასაც კი. ასეთი-

ვეა ვენეციელი ვაჭრის მეორე პერსონაჟი ბასანო, რომელიც თავის ბედის ცდისას არ მოიხიბლება ოქროსა და ვერცხლის ყუთებით. არამედ ირჩევს ტყვიის მკრთალ ყუთს, რომელშიაც მოთავსებული იყო მისი საცოლოს სურათი. არჩევის წინ ის ასე მიმართავს ოქროსა და ვერცხლის ყუთებს:

„შენ სიმართლის ნიღაბი ხარ, რომლითაც ჩვენი ცბიერი საუკუნე ყველაზე ბრძენსაც კი ატყუებებს. შენ უბრწყინვალესო ოქროვ! მიდასის მაგარი საზრდო ხარ.

შენ მე არ მკვირდები. და არც შენ, ხალხთა მკრთალო და საძაგელო საშუალებავ, მაგრამ შენ, უბრალო ტყვიავ, რომელიც უფრო იმუქრები, ვიდრე სიკეთეს მპირდები, შენ მკვირმეტყველი ხარ თავისი სიმკრთალით.

შენ გამგობინებ. დეე ბედნიერი იყოს შენი

არჩევანი“.

ამგვარად, შექსპირი უარპყოფს როგორც ფეოდალურ საშუალო საუკუნეებს, ისე იმ ახალს, რომელიც მის ნაცვლად მტკიცდება. ისმება საკითხი როგორია მისი მომავლის პერსპექტივა? „ჰამლეტი“, „ოტელოს“ და „მეფე ლირის“ ავტორს ჩვეულებრივად პესიმისტად სთვლიან, რაც გამოხატავს საქმის ნამდვილ ვითარებას. პირველ პერიოდში შექსპირი მხიარული ოპტიმიზმის პოზიციაზე დგას, მისი მომავლის პერსპექტივა იმდენიანია. მისი ღრმა ტრაგიზმით აღბეჭდილი ამ პერიოდის ნაწარმოებები „რიჩარდ III“ და „რომეო და ჯულიეტა“ იმედიათი თინალოთ მთავრდებიან. შექსპირს სწამს სიყვით გამარჯვება ბოროტებაზე. მეორე პერიოდის, შემოქმედება უფრო ღრმა ტრაგიკულ-პესიმისტურ კოლორიტს ატარებს. ამას თავისი ობიექტური საფუძველი აქვს. 600-იანი წლებიდან გამწვავებული ბრძოლა რეაქციულ და ოპოზიციურ ძალებს შორის არ იძლევიან მისი ოცნების განხორციელების საშუალებას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, შექსპირის აღნიშნული ღრამა ტრაგიკულ პესიმისტური კოლორიტით აღბეჭდილი ტრაგედიები, ყოველთვის სიკეთის გამარჯვებით და ბოროტების დათრგუნვით მთავრდებიან. ჰამლეტი დათრგუნავს ბოროტებას. კეთილშობილი ოტელო იაგოს ქსელში გაებმება, მაგრამ ბოლოს ის მაინც რწმუნდება რომ ქვეყნად ყველაფერი არაა ისე წამხდარი, როგორც მას წარმოედგინა, დაუბრუნდება მის თვალში მკვდრეთით აღდგება და ძველებური ბრწყინვალეების თრავანდელით შეიმოსება.

შექსპირმა, როგორც დიდმა კლასიკოსმა. ხარკი მისცა თავის ეპოქაში გავრცელებულ უტოპიურ იდეალს. უტოპიური იდეალი, თუმცა მკრთალად, მაგრამ მაინც გამოთქმული აქვს მას თავის ეკანასკნელ დრამაში „ქარიშხალი“, კეთილშობილ გონზალოს სიტყვებში, რომელიც ქარიშხლის შემდეგ, მეფესთან ერთად აღამიანთა დაუსახლებელ კუნძულზე მოქცეული, ამბობს შემდეგს:

„წინააღმდეგ ყველა ცნობილი დაწესებულებებისა,

მე აქ ჩემს რესპუბლიკას დავამყარებდი,

მე მოვსპობდი მრეწველობას და ჩინებს.

აქ არ იქნებოდა არც მონობა, არც სიმდიდრე,

არც სილარიბე. მე სასტიკად ავკრძალავდი
მემკვიდრეობას, მოვსაზრებდი სასწორებს.

აქ უღარღელვად იცხოვრებდნენ. როგორც ქალები, ისე
მამაკაცები, ისინი იქნებოდნენ წმინდა და უცოდველნი.
და არ იქნებოდა არცერთი მთავრობა. ყველაფერს
ხალხი მიიღებდა ბუნებისაგან. ოფლისა და შრომის
გარეშე. აქ არ იქნებოდა არც ლალატი არც გამცემლობა.

მე ისე მშვენიერად წარვმართავდი ამ ქვეყანას.
რომ ჩემი მმართველობით დაჩრდილავდი ოქროს ეპოქას.
(„ქარიშხალი“ მოქმ. მე-2 I სცენა).

ამ სიტყვებში ჩაქსოვილია თვით შექსპირის უტოპიური იდეა-
ლი. მისი ოცნება ოქროს ეპოქის შესახებ ამ ქვეყნად.

შექსპირის ასეთ უტოპიურ იდეალს ესმატკბილება არსებული
ექსპლოატატორული წყობის ის გაბედული კრიტიკა. რომელიც
მან „მეფე ლირში“ მოგვცა. ვაჭირვებაში ჩაყარდნით „მეფე ლირი“
გარდაიქმნება და ბრალს სდებს მთელ თავის თანამედროვეობას
შემდეგი სიტყვებით:

„მცირე რამ ცოდვა კაცს ძონძებ ქვეშ თვალში ეცემა
და ფარჩის ქვეშ კი ყოველივე დაფარულია.
ოღონდ კი ოქროთი დაქთარე შენ დანაშაული
და თვით ლახვარი სიმაართლისა ზეუ შეემსხვრევა.
ძონძში გახვეულს კი პიგმეოსის ჩაღაც განგმირავს,
არავინ არის დამნაშავე ქვეყანაზედა.
არავინ არის ბრალეული. არავინ.“

შექსპირის ასეთ გალაშქრებაში არსებულის წინააღმდეგ მოის-
მის მძლავრი პროტესტი მისი ეპოქის ჩაგრული მასებისა, რომელ-
თაც მთელი საუკუნით ადრე ასაზრდოვეს ინგლისის დიდი
კუმანისტის ტ. მორის კაცთმოყვარული უტოპიური იდეალები.

შექსპირს თავის თანამედროვეობა საწყობილედ ეჩვენება, ამ
უხეშ სინამდვილეში ვერ ისეირებს ვერც ერთი კეთილშობილი
პიროვნება. ყოველი მძლავრი კაცთმოყვარული იდეალები იმსხვრე-
ვიან. ცხადია, ასეთი მწერლის ხედვა მომავლისაკენ უნდა ყოფილი-
ყო მამართლული. მაგრამ შექსპირს, როგორც რეალისტს, არ შეეძლო,
მომავლის ნათელი პანორამებით დაესრულებინა თავისი ნაწარ-
მოებები. ასეთი დასკვნები შექსპირიდან თითონ ხალხს უნდა გა-
მოეტანა. შექსპირი ხალხს მიმართავდა, ის უდიდესი სახალხო
მწერალია წარსულის მემკვიდრეობიდან. ამიტომ მის ნამდვილ
სამშობლოდ სტალინური კონსტიტუციის მზის სხივებით გაბრწყინ-
ვებული სოციალიზმის ქვეყანა იქცა. შექსპირის 37 დრამიდან 19
იდგმება საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ხალხის სცენაზე. საბჭოთა
თეატრის უდიდესი საბრძოლო ამოცანა მდგომარეობს შექსპირის
მემკვიდრეობის ნამდვილად არსის გასხანაში. ამიტომაც ჩვენში ტრა-
დიციად იქცა შექსპირული კონფერენციების სისტემატური ჩატარე-
ბა. ასეთი კონფერენცია ჩატარდა 1936 წელს შექსპირის ვარდაცვა-
ლებიდან 320 წლისთავთან დაკავშირებით. მოსკოვში. აგრეთვე
დაბადებიდან 375 წლისთავთან დაკავშირებით. მომავალი შექსპი-

რული კონფერენცია დანიშნულია 1941 წლისათვის. მხოლოდ საბჭოთა თეატრმა შესძლო შექსპირის ნამდვილი გაგება ყოველგვარი გაყალბების გარეშე. საბჭოთა სოციალისტური დრამატურგია ქმნის ახალ ეტაპს მსოფლიო დრამის განვითარებაში, რადგან ის ემყარება ყველაზე მოწინავე პროგრესიულ მსოფლმხედველობას, რომელიც იძლევა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების უტყუარ მეცნიერულ გახსნას. აქ არ შეიძლება არსებობდეს წინააღმდეგობა მწერლის რეალისტურ მეთოდსა და მსოფლმხედველობას შორის.

ენგელსი თავის წერილში ლასალოან სწერს მსოფლიო დრამატურგიის განვითარების მომავალი ეტაპის შესახებ: „სრული შერწყმა დიდი იდეური სიღრმისა და შეგნებული ისტორიული აზრის, რომელსაც თქვენ სამართლიანად მიაწერთ გერმანულ დრამას, შექსპირულ სიცხოველესა და მოქმედებას. ნამდვილად მიღწეული იქნება მომავალში, მაგრამ არა გერმანელების მიერ, ყოველ შემთხვევაში, ამაში ეხება მე დრამის მომავალს“.

ენგელსის ასეთი წინასწარმეტყველება ფრთხვს ისხამს ჩვენ სინამდვილეში. საბჭოთა დრამატურგია გამოხატავს ახალ ეტაპს მსოფლიო დრამატურგიის განვითარებაში, რომელიც შორს დასტოვებს კლასიკური მემკვიდრეობის ყველა დღემდე გარდუევალ ძეგლებს. ამ საქმეში შექსპირის მემკვიდრეობა ჩვენთვის ძვირფასი საგანძურია. შექსპირი ხელს უწყობს საბჭოთა მოქალაქის ადამიანური შეგნების ამაღლებას, მის ესთეტიკურ აღზრდას, მისი ჰუმანიური იდეალების კიდევ უფრო გამანვილებას. შექსპირი გვეხმარება არა მარტო წარსულის, არამედ თანამედროვეობის გაგებაში.

ქონულიაზიის მაგარეხელი სუბიექტების განწყობა *)

I კონფლიქტების მატარებელი სუბიექტების ტიპოლოგიის პრობლემა. კვლევის მეთოდოლოგია.

პედაგოგიურ პრაქტიკაში ცნობილი არიან ბავშვები, რომლებიც ძნელად ემორჩილებიან სასკოლო რეჟიმს, მუდმივ კონფლიქტში იმყოფებიან ორგანიზირებულ აღმზრდელობით გარემოსთან; ასეთ ბავშვთა პედაგოგიური დახასიათებები, რომლებიც შეკრებილია და სისტემაშია მოყვანილი მკვლევარების მიერ. ბავშვთა კონფლიქტებს შემდეგ კვალიფიკაციას აძლევს: ქცევის რეგულაციის სისუსტე, რომელიც ხელს უშლის გაკვეთილის დროს მეცადინეობას, დაუდევრობა, უხეშობა, ჩხუბი. ჩიუტობა, ნეგატივიზმი, კაპრიზები, აპათია, ინტრავერტული ტენდენციები, სიცრუე, ცინიზმი, ავრესიული დამოკიდებულება ამხანაგებისადმი, პედაგოგებისადმი და მშობლებისადმი. სუბიექტების მიმართ ძალმომრეობა, აფექტები და სხვა. ყველა ასეთ შემთხვევაში ბავშვისთვის ძირითადში დამახასიათებელია მოწინააღმდეგე აფექტურ ტენდენციებს შორის ბრძოლა, რომელიც სუბიექტის განცდის სფეროს სცილდება და გარემოში კონფლიქტის სახით მჟღავნდება.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა სკოლის სინამდვილეში ასეთ ბავშვთა რაოდენობა მცირეა, მძიმე კონფლიქტების გამო, ისინი პედაგოგის ყურადღების ცენტრში არიან მოქცეულნი და მათ გამოსწორებაზე ზრუნვა ერთერთ მნიშვნელოვან ამოცანას შეადგენს.

საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 1935 წლის 5/9 დადგენილებაში ამ საკითხის შესახებ ნათქვამია: „ისეთ ბავშვთათვის, რომელნიც სისტემატურად არღვევენ სასკოლო დისციპლინას თავის ანტისაზოგადოებრივი ქცევით, უარყოფითად მოქმედებენ დანარჩენ მოწაფეთა მასაზე, რომელთა გამოსწორება, მიუხედავად გაძლიერებული პედაგოგიური ზემოქმედებისა ნორმალურ სკოლაში ვერ ხერხდება, გაიხსნას სპეციალური სკოლები განსაკუთრებული რეჟიმით“.

საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 1936 წლის 4 ივლისის დადგენილება „პედოლოგიური დამახინჯებათა შესახებ განსახკომის სისტემაში“ ამხელს რა პედოლოგიის თეორიის და პრაქტიკის მავნებლობას, განსაკუთრებულად ამახვილებს ყურადღებას ასეთი ბავშვების დიაგნოსტიკის, დიფერენციაციის, მათი არსის გაგების და სპეციალუ-

*) იბეჭდება შემოკლებით.

რი რეჟიმის სკოლების ორგანიზაციის მეცნიერულ დონეზე დაყუ-
ნების საკითხებზე.

საერთოდ, პედაგოგიური პრაქტიკა მოითხოვს პედაგოგიკისა და
მონათესავე დისციპლინებისაგან ამ კატეგორიის ბავშვთა ბუნების
მეცნიერული დახასიათების, დიფერენციაციის და დიაგნოსტიკის
პრობლემის გადაჭრას. ყოველივე ამის გამო, ჩვენს წინაშეც დაის-
ვა ასეთი პრობლემები.

პედაგოგიურ პათოლოგიაში, ბავშვთა პათოლოგიურ ფსიქო-
ლოგიაში და კერძოდ დევექტოლოგიაში, თავიდანვე მნიშვნელო-
ვანი ადგილი ექირა ალზრდის პრაქტიკასთან დაკავშირებულ ბავშ-
ვთა კონფლიქტების პრობლემას. ეს პრობლემა პირველ რიგში ის-
მორა ბავშვთა ანორმალური ქცევის მეცნიერული კლასიფიკაციის
დადგენის ასპექტში. ყოველ ასეთ კლასიფიკაციას განსაზღვრავს,
აპრიორულად თუ ემპირიულად შემუშავებული ცნება ბავშვთა ანო-
რმალობის შესახებ. ცნების განმარტების პრინციპი. ყოველ ცალკე
ავტორის შემთხვევაში გამომდინარეობს გარკვეული თვალსაზრი-
სიდან, ეს თვალსაზრისი შეიძლება იყოს: ფილოსოფიური, ფსიქო-
ლოგიური, ბიოლოგიური, პათოლოგო-ანატომიური, კლინიკური,
პედაგოგიური და სხვა. თვალსაზრისების მრავალგვარობის გამო
გვაქვს მრავალი, ურთიერთთან ძნელად შესათავსებელი დეფინიციე-
ბი და კლასიფიკაციები. ამ საკითხზე არსებული ლიტერატურის
ანალიზის შედეგად ვეცადეთ ამ თვალსაზრისებში შეგვეტანა ერთ-
გვარი სისტემა. ტიპოლოგიის პრინციპების და მეთოდოლოგიური
ნათესაობის მიხედვით გამოვყავით ტიპოლოგიის სამი ძირითადი
კონსტუქცია:

1. სიმტომათოლოგიური ტიპოლოგია,
2. ეტიოლოგიური ტიპოლოგია და
3. პერსონალისტური ტიპოლოგია.

სიმტომათოლოგიური თვალსაზრისი მიმართავს სუბიექტის
ქცევის აქტების. სიმტომების აღწერას და მსგავსი ფენომენებით
კლასიფიკაციას, მაგალითად, ამ შეხედულების კლასიკური წარმო-
მადგენელი ფ. შოლცისათვის სულიერი ცხოვრება იყოფა სამ ძი-
რითად ელემენტად: 1) გრძნობები და აღქმები, 2) წარმოდგენები
და 3) საქციელნი. ბავშვთა ნაკლოვანებანიც სამი მიმართულებით
მელავენდება. ნაკლოვანებანი: 1) გრძნობების და შეგრძნებების
სფეროში, 2) წარმოდგენების, აზროვნების, მსჯელობის სფეროში,
3) სურვილების და საქციელების სფეროში.

აქ კონფლიქტურ ბავშვთა ტიპოლოგია სულიერ ელემენტთა
აღწერით და მსგავსი ფენომენების გარკვეულ ჯგუფისათვის მი-
კუთვნების გზით შედგენილია. მაგალითად, შოლცი გვაძლევს 36
კონფლიქტურ ტიპს; ვერინიუსი, შრტიუშპელი, ზეიგერტი, პენებერ-
გი, ბლონსკი, ლეგზავტი, ამავე პრინციპების მიხედვით, მრავალ-
განსხვავებულ ტიპებს აყალიბებენ.

სიმტომათოლოგიური ტიპოლოგია ემყარება ასოციაციონის-
ტურ ფსიქოლოგიას, ამიტომ შეიცავს ყველა იმ შეცდომებს, რომ-
ლებიც ემპირიული ფსიქოლოგიისათვისაა დამახასიათებელი: ტიპო-
ლოგიის დროს უგულებელყოფილია პიროვნების მთლიანობა,
პიროვნება დაშლილია ცალკე სულიერ ელემენტებად, კონკრეტუ-

ლი ტიპის, როგორც გარკვეული ისტორიულ სოციალურ გარემოს წარმომადგენლის შესწავლის ნაცვლად მოცემულია აბსტრაქტული ადამიანი. უგულუბელყოფილია, რომ სიმპტომები არ არიან უცვლელი, მათი წარმოშობა და განვითარება არ ექვემდებარება მარადიულ კანონებს. არამედ ისინი ჩნდებიან შეუგუებლობის, განვითარების სიძნელეთა პროცესში; არც ის არის მხედველობაში მიღებული, რომ კონფლიქტების ნიადაგზე აღმოცენებული სიმპტომები დინამიური და ცვალებადი არიან.

სიმპტომები განხილულია, როგორც სტატიკური, უცვლელი სოციალური და ბიოლოგიური ფაქტორების მოქმედების შედეგი, თვით დეფექტების წარმომშობი ფაქტორების საკითხი გადაწყვეტილია ბიომექანიკური თვალსაზრისით.

ასეთი ტიპოლოგიის მიხედვით კონკრეტულ სინამდვილეში მომქმედ ტიპების ნაცვლად მოცემულია სინამდვილიდან გამოთიშული აბსტრაქტული ბავშვები. რომელთა ქცევის დახასიათება დამყარებულია აბსტრაგირებულ ელემენტების თავისებურების აღწერაზე.

სიმპტომათოლოგიურ კლასიფიკაციას უპირისპირდება ნოზოლოგიური კლასიფიკაცია. ნოზოლოგიური კლასიფიკაციის პრინციპების გამოყენება ნაცადი იყო ბავშვთა კონფლიქტების კლასიფიკაციისათვის; რადგან კონფლიქტურ სუბიექტების ტიპოლოგიისათვის კლინიკურ ბიოლოგიური კვლევის მთლიანი გამოყენება შეუძლებელი ხდება, კმაყოფილებიან ეტიოლოგიის და სიმპტომების კვლევით. ტიპოლოგიისათვის მიღებულია კონფლიქტის წარმომშობი ეტიოლოგიური ფაქტორები. ასეთ ფაქტორებიდან ძირითადად მიჩნეულია სოციალური და ბიოლოგიური ფაქტორი, აქედან გამოყოფილია ქვეკლასები, როგორც არიან ბიოგენურად და სოციოგენურად განსაზღვრული კონფლიქტური სუბიექტები. რადგანაც ასეთ შემთხვევაში შეუძლებელი ხდება ანატომო-ფიზიოლოგიური დესტრუქციის პოვნა, ეტიოლოგიაც ნაკლებად თვალსაჩინოა და ლოკალური, ნოზოლოგია ძირითადადში კმაყოფილდება სუბიექტის ქცევის აქტების აღწერით.

ეტიოლოგიური ტიპოლოგია პიროვნებას ვერ დაგვიხასიათებს, იგი კონკრეტული ტიპის ნაცვლად გვაძლევს ზოგადად და ცალმხრივად მხოლოდ კონფლიქტის ეტიოლოგიას საუკეთესო შემთხვევაში, ეტიოლოგიასა და სიმპტომებს შორის მექანიკური კავშირის დამყარების გზით აგვიწერს კონფლიქტების მატარებელ სუბიექტს. ამის გამო კონფლიქტის წარმომშობი ფაქტორები, კონფლიქტური სუბიექტის და გარემოს ურთიერთ დამოკიდებულების საკითხი—კონფლიქტის პროგნოზი, გაგებულია უკიდურესი ბიომექანიკური თვალსაზრისით.

ტიპოლოგიის და კლასიფიკაციის ცნების ურთიერთში აღრევის, ტიპოლოგიის ყალბი მეთოდოლოგიურ საფუძველზე დამყარების გამო ტერმინები „ძნელი ბავშვი“, „განსაკუთრებული ბავშვი“, რომელიც მიღებული იყო აღნიშნულ კონცეპციებში, ვერ მიჩნავენ კონფლიქტურ სუბიექტებს პათოლოგიური ტიპებისაგან. ამისათვის კონფლიქტის მატარებელი ბავშვების ცნება

უნდა გაიმიჯნოს პათოლოგიურ თვისებების მატარებელ ბავშვებთან და შემოღებულ იქნას ტერმინი „კონფლიქტური ბავშვის“, რომელიც გულისხმობს, ეროს მხრივ. სუბიექტს, რომლის ფსიქოფიზიკური სტრუქტურა თავისებურად მოდიფიცირებულია და გარკვეული ტენდენციების მატარებელია, რასაკვირველია, აქვე მოცემულია ის გარემო. რომელიც ზემოქმედებს ბავშვზე, მაგრამ შეუთავსებელია ბავშვის მოთხოვნებთან. კონფლიქტი გულისხმობს ამ ორი მოწინააღმდეგე მომენტის ერთიანობას და ამავე დროს მათი მოხსნის ტენდენციასაც. წინააღმდეგობის მოხსნის დროს ბავშვი ისევ უბრუნდება ნორმას.

პერსონალისტური ტიპოლოგიის თვალსაზრისით კონფლიქტის მატარებელ სუბიექტის დახასიათებისათვის პირველადია თვით პიროვნების სიღრმეში მოცემული ძირეული სულიერი ტენდენციები, საიდანაც მომდინარეობენ ეს კონფლიქტები. კონფლიქტის სიმპტომები დეტერმინირებულია პიროვნების ძირითადი ძალებით. კონფლიქტის მიზეზი უნდა ვეძიოთ ამ მიდრეკილებების დარღვევაში. ამ თვალსაზრისის საილუსტრაციოდ მოგვყავს ფროიდის და ადლერის თეორიების საფუძველზე ნაწარმოები ტიპოლოგიები.

ფროიდის და ადლერის კრიტიკული ანალიზი იძლევა ასეთ შედეგებს: ფროიდისათვის ძალები, რომელნიც განსაზღვრავენ სუბიექტის განვითარებას, მოცემულია თვით სუბიექტში. პიროვნების ფორმირების ფაქტორს ის ეძებს ისტორიულ-სოციალურ მიმართულებათა გარეშე. სუბიექტში წამყვანი როლი ისტორიულად ჩამოყალიბებულ ფსიქიკის ძალად ფორმების ნაცვლად პრიმიტიულს ენიჭება. აქედან წარმოიშვის პრიმატი ბიოლოგიურის სოციალურთან, არაცნობიერის, ინსტიქტურის ცნობიერთან შედარებით.

ადლერისათვის მნიშვნელოვანია გარემოს ფაქტორიც, მაგრამ აქაც საბოლოოდ პრიმატი რჩება შინაგანს. სუბიექტურს, ისიც სუბიექტის ერთ მიდრეკილებას. სუბიექტ-ობიექტის დამოკიდებულება გადაჭრილია მექანიკურად. მოქმედების იმპულსი განსაზღვრულია შინაგანით, ის მიზნები, რომელიც დეტერმინირებულია ამ მიდრეკილებით, სიცოცხლის განმავლობაში სტატიური რჩებიან. ბავშვობის ხანის პირველადი მიდრეკილებები განსაზღვრავენ სუბიექტის მთელი შემდეგი პერიოდის მოქმედებას.

ადლერის და ფროიდის პრიმიტიული მიდრეკილებების პირობითების თეორიას უპირისპირდება კარლ მარქსის დებულება ისტორიულ განვითარების პროცესში მოთხოვნილებების, მიდრეკილებების განვითარების და ცვლილებების შესახებ. არსებული მოთხოვნილებების საფუძველზე წარმოიშობიან ახალი მოთხოვნილებები, ადამიანის მოქმედების სტიმულებს წარმოადგენს არაერთი მოთხოვნილება — მიდრეკილება. არამედ მრავალი მოთხოვნილებები. ფსიქოლოგიაშიც აღიარებულია ის დებულება, რომ მიდრეკილების მდგომარეობა. საიდანაც მომდინარეობს მოქმედება, ამ მოქმედების შედეგად რადიკალურად იცვლება. მოთხოვნილებები, რომელიც გულისხმობენ მიდრეკილებებსაც. იცვლებიან გარემო პირობების ზეგავლენით და თვით სუბიექტის მოქმედების შედეგად.

ადლერის და ფროიდის მიერ ნაგულისხმები მიდრეკილებები წარ-

მოდგენენ ადამიანის მიდრეკილებებში ერთერთ მნიშვნელოვან მომენტს და არა ერთად ერთს. ეს მოთხოვნილებები განსაზღვრული არიან სუბიექტის საერთო მდგომარეობით; თვითონ ისინი კი არ განსაზღვრავენ მთლიანის მდგომარეობას, არამედ სუბიექტის მთლიანი მოდიფიკაცია. განწყობა, განსაზღვრავს მათ ფუნქციობას. ისინი განსაზღვრული არიან მთლიანის განწყობით. წარმოდგენენ ერთერთ თვისებას მრავალ თვისებათა შორის. ამისათვის ადლერას და ფროიდის თეორიების საფუძველზე წარმოებული კონფლიქტების ტიპოლოგია ვერ ამართლებენ პერსონალისტურ თვალსაზრისს. ამ თეორიების საფუძველზე დახასიათებული ბავშვთა თვისებები მხოლოდ პირველადი სიმპტომების საფუძველზე წარმოშობილი მეორადი სიმპტომებია.

პერსონალისტური თეორიისათვის სანიმუშოა კონსტიტუციონალური უკმარობის თეორია. კონსტიტუციონალური თეორია მეტად გავრცელებულია და მის ნიადაგზე გვაქვს ტიპოლოგიის მრავალი ცდა. ყველა ამ ცდების ანალიზის შედეგად დასტურდება, რომ ისინი ძირშივე შეიცავენ მცდარ დებულებებს.

კრეჩმერის თეორიის საფუძველზე მიღებული კონსტიტუციის ცნება სინამდვილეში არ წარმოდგენს ფსიქო-ფიზიკურ მთლიანს, როგორც ამას კრეჩმერი ფიქრობს, არამედ ის ავრეგატია მორფოლოგიურ, ფიზიოლოგიურ, ბიოლოგიურ და ფსიქიკურ თვისებების.

ამ კომპონენტების გამაერთიანებელი ტემპერამენტი, რომელიც თითქოს ხასიათის ბიოლოგიური საფუძველია, სინამდვილეში მხოლოდ ხასიათის დინამიური ასპექტია. ამ თეორიის საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას ისიც, რომ ადამიანის კონსტიტუციის ჩამოყალიბებაში ძირითადია არც ბიოლოგიური და არც სოციალური ფაქტორები ცალკადაც. არამედ პირობათა მთლიანი სისტემა, რომელშიც, როგორც კომპონენტები, შედიან როგორც ბიოლოგიური, ისე სოციალური ფაქტორები, თვით ბიოლოგიური აქ მხოლოდ პირობაა და არა განვითარების მამოძრავებელი ძალა. წამყვანი როლი ამ შემთხვევაში ეკუთვნის ისტორიულად განსაზღვრულ სოციალურ დამოკიდებულებებს, რომლის კონკრეტული მატარებელია ადამიანი. (რუბინშტეინი).

პათოლოგიური მდგომარეობის დროს, კრეჩმერის მიხედვით, საქმე გვაქვს ტემპერამენტის და, საერთოდ, კონსტიტუციის მექანიზმის დარღვევასთან. თვით მექანიზმის დარღვევა კონსტიტუციაში მოცემულია როგორც ფატალური დისპოზიცია, რომელიც მკვადენდება შესაფერის პირობებში.

როგორც ჩანს, კონსტიტუციონალური თეორია პიროვნების გაგებაში ბიომექანიკურ თვალსაზრისს ემყარება. მთლიანი, რომელიც კონსტიტუციის და ხასიათის სახელითაა წარმოდგენილი, ფაქტიურად მრავალ რეაქციათა და თვისებათა ჯამია და არა ისეთი მთლიანი, რომელიც ამ ნაწილების გამსაზღვრელია. მაშასადამე, ამ თვალსაზრისის საფუძველზე ნაწარმოები ტიპოლოგია ც თანამედროვე ფსიქოლოგიის მიღწევების დონის მიხედვით მეცნიერულად გაუმართლებელია.

კონსტიტუციონოლოგია დამსახურებად უნდა ჩაითვალოს

მხოლოდ ის, რომ მათ მოგვეცეს სიმპტომების, სიმპტომთა კონკრეტული აღწერის ზუსტი ანალიზი. გარკვეული ტიპების სიმპტომების ზუსტი აღწერით მათ შეზღუდეს ტიპოლოგიის ფარგლები რამდენიმე ძირითადი ტიპის გამოყოფით. ამ ტიპების აღწერა, როგორც ამას პრაქტიკა ადასტურებს, ახლოსაა ცხოვრებასთან. მართალია, ტიპიურობის თავისებურობის მექანიზმების ახსნა მაინც ვერ სცილდება ემპირისტული ფსიქოლოგიის პრინციპებს. ფატალისტურ ანტიროპოლოგისტურ შეხედულებებს. მაგრამ ამ გზით დაგნილი ტიპოლოგიური მნიშვნელობის სიმპტომები სხვა კონცეფციის საფუძველზე შესაძლოა ახალ ასპექტში იქნეს გაშუქებული.

მაშასადამე, როგორც დასტურდება, კონფლიქტების მატარებელ სუბიექტების ტიპოლოგია ძირითადად ემყარება ქცევის ფენომენების აღწერას. საუკეთესო შემთხვევაში ხდება ამ ფენომენების შეჯამება, ან მათი ურთიერთ დინამიკურ კავშირში განხილვა. მაგრამ თუ რა მოდიფიკაციას იწვევს პიროვნებაში ეს ქარბი სიმპტომები, ან ძირითადად სიმპტომები ადამიანის რა სახის მთლიანი ცვლილებითაა განსაზღვრული, ამ საკითხზე პასუხი არ მოგვეპოვება. საქმის ნამდვილი ვითარება კი მოითხოვს, რომ პიროვნების შესწავლა წარმართოს ამ ნაწილების განმსაზღვრელ მთლიანიდან; როგორც დადასტურებულია პიროვნებაში ჩვენთვის ხილული მთლიანი აქტი არის ქცევა. ქცევის, როგორც მთლიანი აქტის. გარემოს შესაფერისად მიზანშეწონილი მოქმედების ასახვას ნელად. თანამედროვე ფსიქოლოგიაში, აპერცეფციის, ასიმილაციის, ნეირონთა მზობის და სტრუქტურის დახშულობის თეორიების საწინააღმდეგოდ განწყობის ცნება იქნა წამოყენებული.

პროფ. დ. უზნაძის ხელმძღვანელობით ჩატარებულ მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტებით დადასტურდა, რომ როცა გამლიზინებული მოქმედებს ორგანიზმზე. მისი მოქმედება შეეხება ერთიან ფსიქო-ფიზიკურ რეალობას და წარმოიშობა მთლიანი მოდიფიკაცია ანუ განწყობა, რომლის ფუნქციასაც წარმოადგენს ქცევის აქტი. ამგვარად საერთოდ ადამიანის მოქმედება დამოკიდებულია განწყობის მდგომარეობაზე.

განწყობის, როგორც ცენტრალური ფაქტორის მოქმედება, დადასტურდა სიმძიმის, წნეხის, მოცულობის, მხედველობის არეში. შარპანტიეს ცნობილი სიმძიმის ილუზიის ფენომენი ახსნილი იქნა განწყობის ცნების საფუძველზე. ირკვევა განწყობის მოქმედების თავისებური მექანიზმი. მისი ფაზური მოქმედების ხასიათი, განწყობის მოქმედება და მნიშვნელობა პათოლოგიურ სუბიექტების შესწავლის დროს და სხვა. მრავალი სხვა ცდა ადასტურებს განწყობის როგორც პიროვნებაში ცენტრალური ფაქტორის მოქმედებას.¹⁾

1) პროფ. დ. უზნაძე „აღქმა და წარმოდგენა“, 1926 წ.

2) ა. ბოჭორიშვილი — სიმძიმის ილუზიის ანალიზი. წნეხის არეში 1927 წ.

3) გ. ხმალაძე — მოცულობის ილუზია.

4) პროფ. დ. უზნაძე — *оn основном законe смены установки ж. психологии* 1930 г.

5) მ. ხაქაპურიძე — განწყობათა ურთიერთ შეცვლის ფაზური ხასიათი.

6) დ. უზნაძე — „პოსტპიანოტიური შთაგონების თეორიისათვის“ ფუნქციურ დაავად. ინსტ. შრომაში, 1936 წ., ძილი და სიზმარი 1936 წ.

7) ი. ბეალაძე — ეპილესიით დაავადებულთა განწყობა, 1937 წ.

პროფ. დ. უზნაძის ფსიქოლოგიური სკოლის მიერ დადგენილი განწყობის ცნების საფუძველზე შეიძლება ასე ვიმსჯელოთ: სუბიექტს გარკვეულ გარემოში უხდება მოქმედება. მასზე მოქმედებს სოციალური გარემო, კერძოდ ორგანიზირებული პედაგოგიური გარემო, იგი საერთოდ სოციალური გარემოს საფუძველზე იზრდება. კონფლიქტის მატარებელ სუბიექტის შემთხვევაში ამ უკანასკნელსა და ორგანიზირებულ გარემოს შორის კონფლიქტი იჩენს თავს. თვით კონფლიქტური სუბიექტი განვითარების პროცესში ჩამოყალიბებული თვისებებისა და გადაწყვეტი კრიტიკული გამოცდილების ურთიერთ ზემოქმედებით თავისებურად მოდიფიცირებულია. სუბიექტში კრიტიკული გამოცდილების ზეგავლენით შექმნილია გარემოს მიმართ გარკვეული პოზიცია და განვითარების პროცესში თავს იჩენს ისეთი მდგომარეობა, როცა ის როგორც აქტიური პიროვნება, ვერ ახერხებს ისეთი პოზიცია დაიკიროს გარემოს მიმართ, რომ მათ შორის ნორმალური ურთიერთობა მოხერხდეს. მას არ შეუძლია შესაფერისად განწყობის მიმართ, რადგანაც დარღვეულია ის მთლიანი პიროვნული პროცესი, ანუ განწყობა, რომელიც პიროვნებასა და გარემოს შორის მიზანშეწონილ ურთიერთობას შესაძლებელს ყოფს; კონფლიქტის მატარებელ სუბიექტებში, სწორედ, ეს ნორმალური ურთიერთობა სუბიექტს და გარემოს შორის აღკვეთილია, ამიტომ კონფლიქტის მიზეზი ბავშვის განწყობაში, ამ უკანასკნელის მექანიზმის თავისებურებაში უნდა ვეძიოთ.

როგორც აღვნიშნეთ; განწყობა რეალური სინამდვილის ზემოქმედების ნიადაგზე წარმოიშობა, იგი ამ სინამდვილის მთლიანი განუწყვერბელი ასახვაა და არსებითად ისეთავე წინამძღვრებზეა აგებული, როგორც ეს მოცემულია მატერიალისტურ დიალექტიკაში. განწყობის ცნების ნიადაგზე მოხსნილია კონფლიქტურ სუბიექტების ფატალისტურ ბიოლოგიური, ფატალისტურ სოციოგენური განსაზღვრულობა. ამას ადასტურებენ ჩვენი ცდების შედეგები.

ეს შრომა ძირითადად შეეხება კონფლიქტურ სუბიექტების განწყობის მიხედვით ტიპოლოგიის შესაძლებლობის საკითხს.



ჩვენი მიზნებისათვის კვლევის მეთოდად გამოყენებულ იქნა განწყობის ილუზიის კვლევისათვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიურ ლაბორატორიაში გამოცდილი მეთოდი. ბავშვს ვაძლევთ თვალდახუჭულ მდგომარეობაში თანასწორი წონის, მაგრამ განსხვავებული მოცულობის ხის ბურთებს, მარცხენა ხელში დიდს და მარჯვენაში პატარას. ამ ორი ბურთის თანამიმდევარი მიწოდებით ბავშვს ვუქმნიდით გარკვეულ განწყობას. რადგანაც წინასწარი ცდებით დადასტურდა, რომ კონფლიქტის მატარებელ ბავშვებში მტკიცე განწყობის შექმნისათვის საკმარისია ორი საგანწყობო ექსპოზიცია. ამიტომ ყველა ბავშვს ეძლეოდა მხოლოდ ორი საგანწყობო ექსპოზიცია. ამის შემდეგ ტარდებოდა კრიტიკული ცდები, როგორც წინით ისე მოცულობით სავსებით თანასწორი ორი ბურთით. თუ ბავშვი ვერ მიაღწევდა ბურთების

ადექვატურ აღქმას, მაშინ აუხეღდით თვალს და ბავშვს ვთხოვდით ბურთების შედარებას. ილუზიის თვალზე გავრცელების ფაქტის უფრო ნათლად გამომჟღავნებისათვის ბავშვს იმავე ცდების სერიაში ეუქმნიდით დიდი და პატარა ბურთების მიწოდების სამუალებით განწყობას და შემდეგ ტახისტოსკოპში თანმიმდევრობით ეუჩვენებდით ტოლ წრეებს. ცდები ჩატარდა 261 კონფლიქტურ ბავშვზე — ბავშვები შესწავლილი იქნენ სპარათის თვისებების, ნერვიულ სისტემაში გადახრების, ჯანმრთელობის და სხვა ფსიქოფიზიკურ სიმპტომების მიხედვით. ბავშვის ქცევის დახასიათებისათვის შეგროვდა პედაგოგიური დახასიათება. ბავშვთა გარკვეულ რაოდენობაზე მოეწყო სპეციალური პედაგოგიური დაკვირვება. ეს მასალა გამოყენებულია იმის გამოსარკვევად, თუ რა მიმართება არსებობს განწყობის ტიპებსა და ქცევას შორის.

ჩვენ წინასწარ დადასტურებულად მიგვაჩნია, რომ მოცულობის ილუზია განწყობის მოქმედების შედეგია. განწყობის აქტია. ამ ილუზიაში, როგორც აღქმის შეცდომაში, გამოკვეთილად შედგენდება განწყობის, როგორც ცენტრალური ფაქტორის მოქმედება. ამისათვის განწყობის ილუზიის ტიპების კვლევის საშუალებით ჩვენ ერთმხრივად მაინც ვიკვლევთ განწყობის ტიპურ მდგომარეობას. აქაც, ერთი შეხედვით, თითქოს მხოლოდ ფენომენების მიხედვით ტიპოლოგიასთან გვაქვს საქმე. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მოცულობის ილუზიაში ყველაზე სააშკაროზე გამოდის განწყობის თვისებებურება, ილუზიის მოქმედება უშუალოდ ეყრდნობა განწყობას. მაშინ იმედია უნდა ვიქონიოთ, რომ კონფლიქტის მატარებელი ბავშვების ილუზიის განწყობის ტიპების დადგენა, საერთოდ, მათი ტიპოლოგიისათვის საიმედო გასაღებია.

იმის დასადასტურებლად, რომ კრიტიკულ ცდებში წარმოშობილი განწყობის მოწინააღმდეგე ტენდენციათა შორის რხევა, მართლაც განწყობის ცდების შედეგია. ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა საკონტროლო ცდები (35 ბავშვზე). ბავშვს ყოველგვარი საგანწყობო ექსპოზიციის გარეშე ეძლეოდა ტოლი ბურთები შედარებისათვის. შემდეგ თავიდანვე ეუქმნიდით განსხვავებული ბურთებით განწყობას და ისევ თანაბარი მოცულობის ბურთებს ვაძლევდით (კრიტიკულ ცდებში). ცდების შედეგად დადასტურდა, რომ ხშირად ბავშვები საგანწყობო ექსპოზიციის გარეშე ტოლი ბურთების შედარების დროსაც ვერ აღწევენ ადეკვატურ აღქმას. მაგ. ვაძლევდნენ მოწინააღმდეგე განწყობის ტენდენციათა შორის ძლიერ რხევას. ამ შემთხვევაში უთუოდ „ილუზიის“ წარმოშობა მხოლოდ ყურადღების რხევის შედეგია; ამას ადასტურებს ცდის პროცესში ბავშვზე დაკვირვება და მასალის ანალიზი. საკონტროლო ცდების შემდეგ ბავშვს ვაძლევთ იმ ხელში, სადაც მას დიდი ეჩვენებოდა, მართლაც დიდ ბურთს და მეორე მხარეს—პატარას და ამ გზით ეუქმნით განწყობას. აქ, ორი საგანწყობო ექსპოზიციის შემდეგ კრიტიკულ ცდებში, ბავშვი სავსებით დაჯერებულად ექვემდებარება უსასრულო კონტრასტული ილუზიის მოქმედებას. მსგავსი შედეგები მიღებულ იქნა ნორმალურ ბავშვებზედაც.

II განწყობის ტიპების დახასიათება

ცდების შედეგები შემდეგ სურათს იძლევიან: ბავშვთა 96%-ს უმუშავდებათ მეტად მტკიცე განწყობა. ორი საგანწყობო ექსპონიცია საკმარისია, რომ კრიტიკულ ცდებში ბავშვმა მოგვცეს განწყობის დაუსრულებელი მიმდინარეობა, ასეთი განწყობის დამახასიათებელია, ერთის მხრივ. დაუსრულებელი კონტრასტული მიმდინარეობა ან განწყობის ასიმეტრიული და კონტრასტული მიმდინარეობა. შორის რხევა. კრიტიკულ ცდებში ბავშვი ბურთების აღქმე-ტურ აღქმამდე ვერ აღწევს. აქ მნიშვნელოვანი ისაა, რომ ბავშვები ადვილად, გამაღიზიანებლის სუსტი ზემოქმედებით (ორი ექსპონიცია), მუშავდება მეტად მტკიცე განწყობა, რომელიც კრიტიკულ ცდებში ირღვევა და გადადის მოწინააღმდეგე განწყობაში. ეს ახლად წარმოშობილი განწყობა იმდენად მტკიცეა, რომ ბავშვი მას თავს ვერ აღწევს. ასეთი განწყობა განსაზღვრავს, ექსპერიმენტის პროცესში, მისი ქცევის შემდგომ მიმდინარეობას. ის ბოლომდე რჩება შექმნილ განწყობის მონად. ექსპერიმენტალურად დადასტურდა, რომ ექსპერიმენტალურად შექმნილ განწყობის გამოვლენის სიმტკიცე დამოკიდებულია იმ განწყობის ინტენსიობაზე, რომელიც უნდა დაირღვეს კრიტიკული ცდების დროს. რაც უფრო მტკიცეა ის განწყობა, რომელიც გამომუშავდა საგანწყობო ცდებში, მით მეტია მოწინააღმდეგე მიმართულებით განწყობის გადახრა. ბავშვებში ადვილად იქმნება მტკიცე განწყობა, ამისათვის ადვილად გადადის იგი მტკიცე საწინააღმდეგო განწყობაში და ასეთად რჩება მანამდე. სანამ ახალი გამაღიზიანებელი არ გამოიყვანს მას ამ მდგომარეობიდან. ამრიგად, კონფლიქტების მატარებელი ბავშვების განწყობის ზოგადი დამახასიათებელი თვისებებია: ახალი განწყობის გამომუშავების სიადვილე, მაღალი აღგზნებადობა და გამომუშავების შემდეგ მისი სიმტკიცე. აქ შეიძლება მულაგნდებოდეს პიროვნების განწყობის ტიპი, როგორც დისპოზიციის და გადამწყვეტი კრიტიკული გამოცდილების ურთიერთ ზემოქმედების შედეგი. ამისათვის უნდა დავეშვათ, რომ ჩვენს ექსპერიმენტებში მიღებული განწყობის ტიპები ტიპიურია საერთოდ კონფლიქტების მატარებელ ბავშვებისათვის. ამ ტიპიურ განწყობის დამახასიათებელია: გამაღიზიანებლის ზეგავლენით განწყობის გამომუშავების სიადვილე; გამომუშავებული განწყობის ინერტობა, განწყობათა კონფლიქტები, სინამდვილის მიუღებლობა, რეალობასთან კონფლიქტები.

კონფლიქტების მატარებელი ბავშვების განწყობა ოთხ ძირითად ტიპში ჩამოყალიბდა. ეს ტიპებია: 1) ნულეული, 2) პლასტიკური (სუსტი), 3) პლასტიკური (მტკიცე) და 4) ტლანქი.

ნულეულ ჯგუფს სავსებით არ უმუშავდება განწყობა. ორი ექსპონიცია არაა საკმარისი, რომ ბავშვში განმტკიცდეს გამაღიზიანებლის შესატყვისი განწყობა. ასეთი სუსტი გამაღიზიანებელი ვერ ახერხებს სუბიექტის მოდიფიკაციას. ბავშვი

კრიტიკულ ცდებში ოთხჯერვე ზედიზედ აღექვატურ აღქმას იძლევა. ის თავიდანვე მესამე ფაზაში იმყოფება.¹)

პლასტიკური (სუსტი) ტიპის დამახასიათებელია კონტრასტულ ასიმილატურ განწყობასა და ტოლობას შორის რხევა. ორი ექსპონიციის საშუალებით ბავშვს უმუშავდება მტკიცე განწყობა, რომელიც კრიტიკულ ცდებში ირღვევა და გვაძლევს კონტრასტულ ილუზიას, მაგრამ მისი მოქმედება ბოლომდე ვერ მტკიცდება და ადგილს უთმობს მოწინააღმდეგე განწყობას. ჩნდება ასიმილატური განწყობა, ან პლასტიკურებს ტოლობას. ეს აღექვატური აღქმა მეტად მომენტანურია და კრიტიკული ცდების გაგრძელების დროს ბავშვი ისევ ადასტურებს კონტრასტულ ან ასიმილატურ განწყობის არსებობას. ამრიგად, გრძელდება ბრძოლა ამ სამ ტენდენციას შორის და საბოლოოდ განწყობის კონტრასტული მოქმედების ტენდენცია იმარჯვებს. ბავშვის განწყობა საბოლოოდ პირველად შექმნილი განწყობის სტაბილიზაციის გზით მიემართება.

განწყობის ასეთი ტიპი ორ ქვეტიპს შეიცავს: პირველის დამახასიათებელია სუსტი სიმტკიცის კონტრასტულ. ასიმილატურ და აღექვატური აღქმის ტენდენციათა შორის რხევა. თვითუწლი მათგანი ჯერ ისევ სუსტია. ისინი სწრაფად უთმობენ ურთიერთს ადგილს. აქ განწყობის კონტრასტული მოქმედების განმტკიცება ნელი ტემპით სწარმოებს.

მეორე ქვეტიპის შემთხვევაში თავიდანვე მტკიცდება პირველი ფაზა, მას არღვევს აღექვატური აღქმის და ასიმილატური ილუზიის ტენდენცია... ამ ტენდენციათა შორის ბრძოლაში გამარჯვება რჩება განწყობის კონტრასტულ ილუზიას. ერთბაშად მტკიცდება კონტრასტული ილუზიის განწყობა. ისე, რომ ის საბოლოოდ რჩება პიროვნების განწყობის მოქმედების დამახასიათებლად.

ამ ტიპებს შორის საერთოა ობიექტური აღქმის ტენდენციის მოქმედება: მიუხედავად შექმნილი განწყობის სიმტკიცისა, ბავშვში სუსტად მაინც თავს იჩენს მისი გარღვევისაკენ ლტოლვა. ამას ნაწილობრივ ახერხებს კიდევ, მაგრამ იმდენად მტკიცეა ერთხელ შექმნილი განწყობა, რომ რეალობის აღექვატურად აღქმის ტენდენციას ადვილად სძლევს. ამრიგად, პლასტიკური (სუსტი) ტიპისათვის დამახასიათებელია: მოწინააღმდეგე განწყობათა შორის რხევა; სადაც მომენტანურად ირღვევა რეალობის სუბიექტივაციის ფარგლები და იმარჯვებს სინამდვილის წედომის ტენდენცია. მაგრამ ამას სპობს სუბიექტის ინტრავერტული განწყობა და ტიპურ მდგომარეობად რჩება უსასრულო ილუზია.

პლასტიკური (მტკიცე) ტიპის დამახასიათებელია ისევ პირველი და მეორე ფაზა, მხოლოდ აქ, მეორე ფაზაში, სავესებით არ გვხვდება ტოლობის დადასტურება. მთელი კრიტიკული ცდების

¹) ბარნაბ ხაქაპურიძე: „განწყობის ურთიერთ შეცვლის ფაზური ხასიათი“. ამ შრომაში ავტორი პირველ ფაზას უწოდებს კონტრასტულ ან ასიმილისტური ილუზიის პირველად მოქმედებას. მეორე ფაზას, როცა ჩნდება მოწინააღმდეგე ტენდენციათა შორის რხევა: ერთმანეთს ენაცვლებიან კონტრასტული, ასიმილატური და ტოლობის ტენდენციები ან რომელიმე ორი მათგანი: მესამე ფაზას კი, როცა ბავშვი 3-4-ჯერ ზედიზედ იძლევა აღექვატურ აღქმას—ადასტურებს ტოლობას.

მანძილზე სწარმოებს კონტრასტულ და ასიმილატურ განწყობის ტენდენციებს შორის ბრძოლა. აქ ბოლომდე გაბატონებულ ფორმად რჩება უსასრულო ილუზია. რომელიც განუწყვეტელი რხევის პროცესში ერთხანს თითქოს კარგავს სიმტკიცეს, მაგრამ შემდეგ ისევ ძლიერდება კონტრასტული ილუზიის სახით და უახლოვდება თავის პირველ სიმტკიცეს. აქ ოთხ ქვეტიპთან გვაქვს საქმე:

I-ლი ქვეტიპის შემთხვევაში თავიდანვე მუშავდება კონტრასტული ილუზიის განწყობა, მასში შეიქრება ასიმილატური ტენდენცია, რომელიც ბოლომდე თან სდევს ბავშვის განწყობის მოქმედებას, უკანასკნელის მოქმედება სუსტია კონტრასტულთან შედარებით. მაგრამ თანდათანობით კონტრასტული ილუზია სუსტდება და ორივეს ძალა თანაბარი ხდება. ბოლოს მათ შორის თანატოლი რხევით სრულდება განწყობის ტიპის ჩამოყალიბება.

II ქვეტიპი განსხვავდება I-ლისაგან, მხოლოდ ფაზური მოქმედების სიმტკიცით. აქაც პირველად შექმნილ ილუზიის კონტრასტულ მოქმედებას სცვლის ასიმილატური ტენდენცია და ბოლომდე მიმდინარეობს ბრძოლა შედარებით მტკიცე მოპირდაპირე განწყობათა შორის, რომელიც თანდათანობით პირველად შექმნილი განწყობის უფრო განმტკიცებით სრულდება.

III ქვეტიპის შემთხვევაში თავიდანვე მუშავდება მეტად მტკიცე კონტრასტული განწყობა. მაგ. 20-ჯერ ზედიზედ ბავშვი იძლევა კონტრასტულ ილუზიას, მაგრამ შემდეგ ის სუსტდება და კონფლიქტში ვარდება ასიმილატურ ტენდენციასთან, რადგანაც ამ უკანასკნელის მოქმედება აქ შედარებით სუსტია. სასწორი საბოლოოდ კონტრასტულისაკენ იხრება.

IV ქვეტიპი ხასიათდება თავიდანვე მტკიცე კონტრასტული განწყობით, რომელშიაც იჭრება ასეთივე მტკიცე ასიმილატური ტენდენცია, მაგრამ პირველად შექმნილი განწყობის ზემოქმედებით საბოლოოდ ისპობა და ადგილს უთმობს ისევ კონტრასტულ ილუზიის მოქმედებას.

ამრიგად, პლასტიკური (მტკიცე) ტიპისათვის (ოთხივე ქვეტიპის ჩათვლით) დამახასიათებელია განწყობის უსასრულო მოქმედება. გამღიზიანებელ კრიტიკულ ცვლებში მთლიანად სუბიექტივაციაქმნილია. აქ ნიშანწყალიც არაა რეალობის ადექვატური აღქმის მოქმედების. განწყობათა შორის კონფლიქტები იშლება რეალობის უარყოფის ტენდენციის ფონზე.

ტლანქი განწყობის ტიპი სავსებით გარკვეული სახითაა მოცემული. ბავშვი თავიდანვე გვაძლევს პირველ ფაზას. ის ბოლომდე რჩება ამ ფაზაში. ასეთი განწყობის ტიპი სანიმუშოდ ასე შეიძლება გამოიხატოს: 40 + . -- ორი ექსპოზიციით შექმნილი განწყობის საფუძველზე. იმდენად მტკიცე ხდება ახლად წარმოშობილი კონტრასტული განწყობის ილუზიის ტენდენცია, რომ სუბიექტი მას ვერას გზით ვერ არღვევს. აქ არ სწარმოებს ბრძოლა მოწინააღმდეგე ტენდენციასთან შორის. სუბიექტი აქ თითქოს ჩაძირულა სუბიექტურ განწყობაში. რეალობა კონფლიქტების გარეშე სუბიექტივაციაქმნილია: სინამდვილე ერთხელ განმტკიცებულ განწყობით თავისებურად მოდიფიცირებულია.

მაშ, მივიღეთ განწყობის ილუზიის სამი ძირითადი ტიპი (ქვე-ტიპების ჩათვლით კი რვა): პლასტიკური (სუსტი), პლასტიკური (მტკიცე) და ტლანქი. ნულეული ტიპის გამოკლებით. რომელიც თავისთავად ასეთ ბავშვობაში იშვიათ მოვლენას წარმოადგენს. დახარჩენი ს.ში ტიპისათვის დამახასიათებელია: ილუზიისადმი უსასრულო დაქვემდებარება, ინერტობა, განწყობის სიტლანქე. პირველი განწყობის კონტრასტული მიმდინარეობის ბოლომდე შენარჩუნების ტენდენცია, განწყობათა შორის კონფლიქტები ე. ი. სიტუაციის მიმართ არაადექვატური რეაქციები.

III განწყობის ირადიაცია.

ბავშვების განწყობის ტიპების მთლიანი დახასიათებისათვის აქვე შეიძლება მოვიყვანოთ ილუზიის თვალზე გავრცელების ცდებია შედეგებიც. განწყობას მართლაც ცენტრალური ხასიათის ფაქტორი რომ განსაზღვრავს, ამის საუკეთესო საბუთს წარმოადგენს განწყობის ილუზიის თვალზე გავრცელების მაგალითი. როგორც დავინახეთ, თვალდახუჭულ მდგომარეობაში შექმნილი განწყობა თავისებურად გრძელდება კრიტიკულ ცდებშიც. ეს განწყობა ხშირად ისე მძლავრად იპყრობს სუბიექტს, რომ მაშინაც კი, როდესაც მას თვალს გავახელოებთ და ამით ადექვატურ აღქმის სრულ შესაძლებლობას ვაძლევთ, ის მაინც ჩვენ მიერ შემუშავებული განწყობის გავლენის ქვეშ რჩება. თვალდახუჭულ მდგომარეობაში გამოქმუშავებული განწყობა მძლავრად მოქმედებს თვალის ასელის შექმნაზეც. თვალზე გავრცელებული განწყობის მოქმედება ჩვეულებრივი ფაზური მოქმედების კანონზომიერებას ემორჩილება. აქაც იგივე კონტრასტულ ასიმილაციურ და ადექვატურ აღქმის ტენდენციების ბრძოლას აქვს ადგილი. რაც უფრო ადვილად იქნება სუბიექტში განწყობა, ე. ი. განწყობის შექმნის მიმართ რაც უფრო ექსტრავერულია პიროვნება, მით უფრო ხანგრძლივად და მტკიცედ რჩება მასში კონტრასტული ილუზიის განწყობა. ის თვალახელილ მდგომარეობაშიც უსასრულოდ მოქმედებს.

განწყობის თვალზე გავრცელების ცდები წარმოებდა, როგორც ბურთზე, ისე ტახისტოსკოპიურად. ორივე შემთხვევაში განწყობის ტიპები ერთგვარია, მაგრამ ტახისტოსკოპიურად ჩატარებული ცდების შედეგები. ცდების წარმოების უკეთესი ტექნიკური პირობების გამო (კრიტიკულ ცდებში მრავალი ექსპოზიციის შესაძლებლობაში), უფრო გამოკვეთილად ავლენენ ტიპებს. აქ მოვიყვანთ ამ შედეგებს.

განწყობის თვალზე გავრცელების შემთხვევაში ხუთ განსხვავებულ ტიპთან გვაქვს საქმე. თვითიული ტიპი შეიცავს ქვეტიპებს. ნულეული ტიპი — ილუზია არ ვრცელდება თვალზე, საგანწყობო ცდების სუბიექტში არ ხერხდება ისეთი მტკიცე განწყობის გამოქმუშავება, რომ მისმა მოქმედებამ თავი იჩინოს შედარებით განსხვავებულ სიტუაციაში: როგორც ჩვენი მასალა გვიჩვენებს განწყობის ილუზიის თვალზე გავრცელების სიძნელე ან შეუძლებლობა დამახასიათებელია ისეთი პირობისათვის. რომლებიც საგანწყობო გამაღიზიანებლის მიმართ ნაკლებად ალგზნებადი არიან; თუ თვალ-

დახუჭულ მდგომარეობაში სუბიექტს განწყობა შედარებით სუსტად უმუშავდება, მაშინ თვალზედაც ის სუსტად ვრცელდება.

პლასტიკო-დინამიკური ტიპისათვის დამახასიათებელია ილუზიის თვალზე გავრცელება, სუბიექტში მოტორული გზით შექმნილი განწყობა, ტახისტოსკოპზე ტოლ-წრეების აღქმის მოპენტში ირღვევა და იქმნება კონტრასტული განწყობის ილუზია, ე. ი. საგანწყობო ექსპოზიციის დროს თუ მარცხნივ ვაძლეოთ დიდს და მარჯვნივ პატარას, ტახისტოსკოპში კრიტიკულ ცდებში სუბიექტს ეჩვენება მარჯვნივ პატარა და მარცხნივ დიდი წრე. არის ასიმილატური ტენდენციის მოქმედების შემთხვევებიც, კონტრასტული ილუზიაც შედარებით სუსტია, მას სძლევეს ასიმილატური ტენდენცია. სწარმოებს რხევა ასიმილატურ, კონტრასტულ და ადექვატურ აღქმის ტენდენციებს შორის, რომელიც ბოლოს სრულდება ადექვატური აღქმის გამარჯვებით. პლასტიკო-დინამიკური ტიპი თავის ქვეტიპებით სქემატურად ასე შეიძლება დახასიათდეს.

I ქვეტიპის დამახასიათებელია განწყობის ილუზიის სუსტი მოქმედება. პირველად თითქოს არც კი იქმნება განწყობა. მაგრამ შემდეგ თავს იჩენს კონტრასტული ილუზია, რომელიც რხევადობს ადექვატურ აღქმასა და კონტრასტულ ილუზიას შორის, სანამ ოთხჯერ ზედიზედ ტოლობას არ დაადასტურებს.

II-ქვეტიპი I-საგან განსხვავდება მხოლოდ ასიმილატური ილუზიის მეტად მძლავრი მოქმედებით. აქაც საბოლოოდ განწყობის გაქრობასთან გვაქვს საქმე.

III ქვეტიპის შემთხვევები პირველად შექმნილ სუსტ კონტრასტულ ილუზიას ენაცვლება ასიმილატური, სწარმოებს რხევა ამ ორ ტენდენციათა შორის და ბოლოს სუბიექტი ადასტურებს ტოლობას.

ჩვენს შემთხვევაში პლასტიკურ დინამიკური ტიპის დამახასიათებელია განწყობის სუსტი მოქმედება, რასაც ადასტურებს კონტრასტულ ილუზიის სისუსტე, ასიმილატური ილუზიისა და ადექვატური აღქმის ტენდენციის ჭარბი მოქმედება. მეორე ფაზა მძლავრ რხევას განიცდის და ყოველთვის მესამე ფაზით სრულდება.

პლასტიკური (სუსტი) ტიპი ხასიათდება კონტრასტული ილუზიის თავიდანვე ჭარბი სიმტკიცით (პირველი ფაზა). რომელიც ბოლოს მაინც გადადის მეორე ფაზაში, სადაც მიმდინარეობს ბრძოლა ადექვატურ აღქმასა, ასიმილატურ და კონტრასტულ განწყობას შორის. თვითეულ ტენდენციის ძალა თანდათანობით სუსტდება, ვერც ერთი ვერ იმარჯვებს და დაუსრულებლად გრძელდება სამივე ტენდენციათა შორის განუწყვეტელი თანაბარი რხევა.

პლასტიკურ (მტკიცე) განწყობას სრულებით არ ახასიათებს ადექვატური აღქმა. თავიდანვე შექმნილ კონტრასტულ განწყობას სცვლის ასიმილატური და შემდეგ უსასრულოდ მიმდინარეობს რხევა ამ ორ ტენდენციათა შორის. ზოგ შემთხვევაში უფრო ძლიერია განწყობის კონტრასტული მოქმედება, ზოგჯერ ჭარბობს ასიმილატური. კრიტიკულ ცდებში, ილუზიის შესუსტების ნაცვლად, მის თანდათანობით განმტკიცებასთან გვაქვს საქმე. ამრიგად, იგი ჰაბიტურად შექმნილი განწყობის მხედველობის სფეროზე მძლავრი

გავრცელებით ხასიათდება. პლასტიკური ტიპი სამ ქვეტრად შეიძლება დაიყოს:

I ხასიათდება დასაწყისშივე მოწინააღმდეგე ტენდენციათა მოქმედებით, თავიდანვე გვაქვს მეორე ფაზა, რომელიც თანდათანობით ძლიერდება. სუბიექტი ბოლომდე მაინც ამ ფაზაში რჩება.

II-ქვეტრას თავიდანვე ექმნება მტკიცე კონტრასტული განწყობა, რომელშიც იჭრება ასიმეტრიური ტენდენცია, მაგრამ აქ იმდენად ძლიერია პირველი განწყობის მოქმედება, რომ საბოლოოდ სასწორი განწყობის კონტრასტული მოქმედებისაკენ იხრება. სუბიექტი აქაც ბოლომდე მეორე ფაზაში რჩება.

III-ტიპში განწყობის მძლავრ კონტრასტულ მოქმედებას უპირისპირდება საკმაოდ ძლიერი ასიმეტრიური ტენდენცია, ირხევა ამ ორთა შორის, სიმტკიცის მხრივ აქ კონტრასტული უფრო სასარგებლო მდგომარეობაშია. აქაც სუბიექტი ბოლომდე მეორე ფაზაში რჩება.

ტლანქი ტიპი სავსებით გამოკვეთილად გვიჩვენებს. თუ რაოდენ სტაბილური შეიძლება იყოს პირველად შექმნილი განწყობის მოქმედება. აქ სუბიექტი კონტრასტული ილუზიის მოქმედების ფარგლებში ბოლომდე რჩება. მოტორული გზით მიღებული პიროვნების მთლიანი მოდიფიკაცია მოქმედებს გარკვეული მიმართულებით. ყოველი გამლიზიანებელი მოდიფიციკრებული ხდება არსებული განწყობის მიხედვით. აქ განწყობის მოწინააღმდეგე ტენდენციებს შორის ბრძოლას არ აქვს ადგილი. პიროვნება იმდენად დამორჩილებული ჰყავს ერთხელ შექმნილ განწყობას, რომ თავს ვერ აღწევს აქტუალიზირებულ განწყობის მოქმედებას.

ტლანქი ტიპი ასე შეიძლება გამოიხატოს: + 30-40 რაც ნიშნავს, კრიტიკულ ცდებში 30-40 ჯერ თანამიმდევარი ექსპოზიციის ვერ სცვლის განწყობის კონტრასტულ მიმდინარეობას.

როგორც ტიპების მიმოხილვიდან ჩანს, განწყობის მოქმედება თვალდახუჭულ და თვალხილულ მდგომარეობაში არსებითად, ტიპოლოგიის თვალსაზრისით, ურთიერთობისაგან არ განსხვავდება, პლასტიკო-დინამიკური ტიპის გამოკლებით, რომელიც სავსებით არ გვხვდება ჰაბტურ სფეროში, დანარჩენი ტიპები მეტი თუნაკლები სიმტკიცით ცდის ორივე სერიაში პოულობს გამოხატულებას.

ამრიგად, განწყობის ტიპების წინასწარი განხილვა გვიჩვენებს, რომ ამ ბავშვებისათვის დამახასიათებელი ყოფილა განწყობის შექმნის მიმართ მაღალი აღზნებადობა. ერთხელ შექმნილი განწყობის მთელი პიროვნების ქცევაზე მძლავრი გავრცელება, ირადიაცია, ყველა სიტუაციაში, თუ გნებავთ ადექვატური აღქმისათვის ხელის შემწყობ პირობებშიც პირველად შექმნილი განწყობით განსაზღვრულობა. ამის გამო სინამდვილის სუბიექტური გადაფასება, მასთან კონფლიქტები.

IV ნორმალურ და კონფლიქტების მატარებელ ბავშვთა განწყობათა ტიპების შედარება.

კონფლიქტის მატარებელ ბავშვთა განწყობის ტიპების თავიანთობის დადგენისათვის შევადარეთ ეს ტიპები ნორმალ ბავშვთა განწყობის ტიპებს. ასეთი შედარებისათვის აღნიშნული სასიათის ცდები ჩატარდა 83 ისეთ ნორმალ ბავშვზე (8-14 წლამდე), რომლებიც ყოველგვარ კონფლიქტების გარეშე სავსებით ეგუებიან სასკოლო რეჟიმს.

ნორმალ ბავშვებზე ცდების შედეგები ასეთ სურათს გვაძლევს:

I ტიპი: სავსებით არ მუშავდება განწყობა—თავიდანვე გვაქვს პირველი ფაზა = 4 ე. ი. ნულეული განწყობა.

II მუშავდება კონტრასტული განწყობა და ერთბაშად გადადის მე-3 ფაზაში. აქ საქმე გვაქვს პირველი და მე-3 ფაზის მოქმედებასთან. —ასეთ განწყობის ტიპი აღინიშნება ტლანქი-დინამიკური განწყობის სახელწოდებით.

III. მუშავდება კონტრასტული ილუზია, რომელიც მალე გადადის მეორე ფაზაში, ირხევა კონტრასტულ ასიმილატურ ილუზიასა, ადექვატურ აღქმის ტენდენციათა შორის და ბოლოს მყარდება მესამე ფაზა. ე. ი. გვაქვს პლასტიკო-დინამიკური განწყობა.

IV მუშავდება კონტრასტული ილუზია, რომელიც ირღვევა ადექვატური აღქმის მოქმედებით. შემდეგ იწყება რხევა ადექვატურ აღქმასა, კონტრასტულ და ასიმილატურ ილუზიას შორის. თანდათანობით სუსტდება განწყობის მოქმედება, მაგრამ არ ქრება. რხევა რჩება ბოლომდე. ამით განახევდება ეს ტიპი მე-3 ტიპისაგან. ასეთი განწყობა სუსტი პლასტიკური განწყობაა.

V ტიპი ძირითადადში ემაგვსება მე-4 ტიპს. მხოლოდ იმ განსხვავებით. რომ აქ განწყობა უფრო მტკიცეა. აქაც მუშავდება კონტრასტული ილუზია. შემდეგ გადადის მეორე ფაზაში. ჩნდება რხევა მოწინააღმდეგე ტენდენციათა შორის, სადაც საბოლოოდ ვერც ერთი ტენდენცია ვერ იმარჯვებს. აქ სავსებით არ გვხვდება ტოლობის დადასტურება. სუბიექტი ბოლომდე რჩება პირველად შექმნილი განწყობის გავლენის ქვეშ. განწყობა მტკიცე პლასტიკურია.

VI ტიპისათვის დამახასიათებელია კონტრასტული ილუზიის უსასრულო მოქმედება. აქ ბოლომდე ბატონობს პირველი ფაზა. ე. ი. გვაქვს ტლანქი განწყობა.

ილუზიის თვალზე გავრცელების შემთხვევაშიც ნორმალურ ბავშვებში გვხვდება შემდეგი ტიპები:

1-ლი „ნულეული“ განწყობა. ილუზია არ ვრცელდება თვალზე. კრიტიკულ ცდებში ან თავიდანვე ადასტურებს ტოლობას, ან იძლევა სუსტ კონტრასტულ ილუზიას და ისევე გადადის მტკიცე მესამე ფაზაში.

II ტიპი გვაძლევს თავიდანვე სუსტ კონტრასტულ ილუზიას, შემდეგ იწყება რხევა ტოლობას. კონტრასტსა და ასიმილატურ ტენდენციას შორის, ბოლოს ჩნდება სრული ადექვატური

აღქმა. საერთოდ, ეს ტიპი სასიათღება განწყობის სუსტი მოქმედებით. იგი განწყობის პლასტიკო-დინამიკური ტიპია.

III ტიპის შემთხვევაში განწყობის შედარებით მტკიცე მოქმედებასთან გვაქვს საქმე. ჩნდება კონტრასტული ილუზია მე-10 ექსპოზიციის ფარგლებში, შემდეგ იწყება უსასრულო რჩევა კონტრასტულ და ასიმილატურ ილუზიას შორის. ბავშვი საბოლოოდ რჩება მეორე ფაზაში. ასეთი ილუზია გვიჩვენებს მტკიცე პლასტიკურ განწყობის მოქმედებას.

მე-4 ტიპი ეს ტიპი განწყობაა, ის გვიჩვენებს ილუზიის უსასრულო კონტრასტულ მოქმედებას.

კონფლიქტების მატარებელ და ნორმალ ბავშვთა განწყობის ილუზიის ტიპების შედეგად ასეთი სურათი იშლება:

ნორმალ ბავშვებისათვის დამახასიათებელი პლასტიკურ დინამიკური და ტლანქი დინამიკური ტიპები, სადაც კონტრასტულ ილუზიას ენაცვლება პირდაპირ მესამე ფაზა ან II და მესამე ფაზა ე. ი. ისეთი მდგომარეობა. სადაც სუბიექტი აღწევს სრულადექვატურ აღქმას. კონფლიქტის მატარებელ ბავშვებში სავსებით არ გვხვდება. ამ ბავშვებში შექმნილი განწყობა ბოლომდე რჩება განწყობათა კონფლიქტების, უსასრულო კონტრასტული ილუზიის მოქმედების ფარგლებში. იგი სტატიკურია.

IV ტიპი, ანუ პლასტიკური (სუსტი) მსგავსია კონფლიქტის მატარებელ ბავშვებისათვის დამახასიათებელი სუსტი პლასტიკური ტიპისა. ორივე შემთხვევაში თავიდანვე ჩნდება კონტრასტული ილუზია, მასში იჭრება ადექვატური აღქმის და ასიმილატური ტენდენციის მოქმედება, სწარმოებს რჩევა ამ სამ ტენდენციას შორის, ისე, რომ ბოლოს სუბიექტი რჩება მეორე ფაზაში. მხოლოდ აქ მაინც საკმაოდ მნიშვნელოვან განსხვავებასთან გვაქვს საქმე. ნორმალურ ბავშვის შემთხვევაში განწყობის მოქმედება თანდათანობით სუსტდება. კონტრასტული და ასიმილატური ტენდენციები ერთმანეთს სეკლიან მომენტანურად, კონფლიქტის მატარებელ ბავშვობის დროს. პირიქით, მეორე ფაზის მოქმედება უფრო მეტძოლ ტენდენციების განმტკიცებისაკენ მიიქანება, აქ ბოლომდე არ სუსტდება პირველად შექმნილი განწყობის ილუზიის მოქმედება. ბავშვი ბოლომდე გარკვეულ განწყობის მონად რჩება. ნორმალური ბავშვების განწყობის მე-5 ტიპი ანუ პლასტიკური (მტკიცე) ემთხვევა კონფლიქტის მატარებელ ბავშვთა განწყობის პლასტიკურ (მტკიცე) ტიპს. აქაც პირველ ფაზას-სეკლის მე-2 ფაზა. ადგილი არა აქვს ადექვატური აღქმის მოქმედებას. პიროვნება ბოლომდე რჩება ილუზიაში. მხოლოდ ნორმის შემთხვევაში თანდათანობით სუსტდება პირველი განწყობის ტენდენცია. როცა კონფლიქტის მატარებელ ბავშვებთან მე-2 ფაზაში ამას ადგილი არა აქვს. ამ უკანასკნელში თავიდანვე გვხვდება მეტად მტკიცე

ასიმილაციურ და კონტრასტულ ტენდენციებს შორის ბრძოლა, როცა ნორმალურ ბავშვებში, ჩვენი მასალის მიხედვით, ასეთს არ ვხვდებით.

ნორმალურებისათვის დამახასიათებელი ნულეული და ტლანქი განწყობის ტიპი სავსებით ემთხვევა კონფლიქტის მატარებელ ბავშვების ნულეულსა და ტლანქ ტიპს. ნორმალ და კონფლიქტების მატარებელ ბავშვთა განწყობის ტიპებს შორის განსხვავება თავს იჩენს აგრეთვე ილუზიის თვალზე გავრცელების შემთხვევაშიც. აქაც ტიპები ძირითადში ერთგვარია: მაგ: სავსებით ერთმანეთს ემთხვევა ტიპი, როცა 1) სავსებით არ მუშავდება განწყობა და როცა 2) მეტად მტკიცედ მუშავდება და უსასრულო კონტრასტულ ილუზიაში ყალიბდება; ნორმალურების დამახასიათებელი პლასტიკო-დინამიკური ტიპი ემთხვევა კონფლიქტების მატარებელ ბავშვების განწყობის პლასტიკო-დინამიკურ ტიპს. ორივე შემთხვევაში იგი ვრცელდება თვალზე კონტრასტული მიმართულებით, შემდეგ მეორე ფაზის გავლით სრულდება მე-3 ფაზაში.

ნორმალ და კონფლიქტის მატარებელ ბავშვებს შორის განსხვავება აქაც ისევ განწყობის გავრცელების სიმტკიცეში მდგომარეობს. განწყობა, რომელიც მოქმედებს კონტრასტულ—ან ასიმილაციურ ტენდენციის სახით, კონფლიქტის მატარებელ ბავშვებში უფრო მტკიცედ იცავს თავს ადექვატური აღქმის ტენდენციის მოქმედებისაგან. ვიდრე ეს ემართებათ ნორმალურებს.

კონფლიქტების მატარებელი ბავშვებისათვის დამახასიათებელი განწყობის თვალზე გავრცელების მიხედვით, პლასტიკური (სუსტი) და ტლანქი დინამიკური ტიპი, ნორმალურ ბავშვებში არ გვხვდება.

კონფლიქტების მატარებელ ბავშვებისათვის დამახასიათებელ განწყობის ტიპების დადგენისათვის უნდა განვიხილოთ მათი %—სიხშირე და შევადაროთ ის ნორმალურ ბავშვების განწყობის ტიპების გავრცელების ოდენობით მხარეს. დაუყვირდით ცხრილს № 1 2 3 და 4-ს.

კონფლიქტების მატარებელი ბავშვების ჰაპტურად შექმნილი განწყობის ილუზიის ტიპების პროც. სიხშირე.

№ 1

ტიპი	ნულეული	პლასტიკური (სუსტი)		პლასტიკური (მტკიცე)			ტლანქი
		I	II	I	II	III	
ქვეტიპი		1	10	17	5	10	
სულ %	3	14		39			44

კონფლიქტ მატარებელი ბავშვ, ჰაპტურად შექმნილ განწყობის ილუზიის თვალში გაერცელების $\%$ სიხშირე. № 2.

ტიპები	ნულეული	პლასტიკო დინამიკური	პლასტიკური (სუსტი)	პლასტიკური (მტკიცე)	ტლანქი
$\%$	16	15	13	38	18

ნორმალ. ბავშვების ჰაპტურად შექმნ. გააწყ. ილუზ. ტიპ. $\%$ სიხშირე № 3.

განწყ. ტ.	ნულეული	ტლანქი დინამიკური.	პლასტიკო დინამიკ.	პლასტიკური სუსტი.	პლასტიკური მტკიცე	ტლანქი
$\%$	5	18	10	19	19	29

ნორმალ. ბავშვების ჰაპტურად შექმნ. განწყობ. ილუზიის თვალზე გაერცელების $\%$ სიხშირე № 4.

ტიპები	ნულეული	პლასტიკო დინამიკ.	პლასტიკ. მტკიცე.	ტლანქი.
$\%$	57	15	22	6.

როგორც ცხრილიდან ჩანს (ცხ. № 1), კონფლიქტების მატარებელ ბავშვებისათვის დამახასიათებელი ყოფილა 1 რიგში ტლანქი ტიპი ე. ი. კონტრასტული ილუზიის უსასრულო მოქმედება (44 $\%$). მეორე ადგილი უჭირავს პლასტიკურ (მტკიცე) ტიპს (39 პროც.), ამ უკანასკნელის დამახასიათებელია განწყობის სხვადასხვა ტენდენციებს შორის უსასრულო ბრძოლა და უსასრულოდ მოქმედ განწყობის ქვეშ დარჩენა. დანარჩენი ტიპის სიხშირე შედარებით უმნიშვნელოა. ბავშვების დიდი უმრავლესობა სავესებით არ ექვემდებარება ადექვატური აღქმის ტენდენციის ისეთ მოქმედებასაც კი, როგორც ეს სუსტი პლასტიკური ტიპისთვისაა დამახასიათებელი. აქ მტკიცე პლასტიკური და ტლანქი ტიპის სიხშირე უდრის 83 პროც. ე. ი. ბავშვთა ეს რაოდენობა ისე მძლავრად ემორჩილება ერთხელ წარმოშობილ განწყობას, რომ ტოლობის დადასტურების ტენდენცია სრულიად არ ჩნდება; რადგანაც სუსტი პლასტიკური ტიპიც გვიჩვენებს ტოლობის დადასტურების მხოლოდ მეტად სუსტ ტენდენციას, რომელიც ისპობა განწყობის მძლავრ მოქმედებით—ამიტომ ბავშვების 97 პროც. რჩება ერთხელ აქ-

ტუალიზირებულ განწყობის შეუწყვეტელი ზემოქმედების ქვეშ.
საინტერესო სურათს იძლევიან ჰაპტური ილუზიის თვალზე გავრცელების ტიპები. ბავშვთა 84 პროც. ანასიათებს ილუზიის თვალზე გავრცელება. აქედან 18 პროც. ემორჩილება უსასრულო კონტრასტულ ილუზიას. 38 პროც. ისევ უსასრულო ილუზიას. მხოლოდ 1 და 2 ფაზის სახით. ბავშვთა 13 პროც.-ში მტკიცედ ვრცელდება ილუზია, მაგრამ თავს იჩენს ტოლობის დადასტურების ტენდენციას, რომელიც საბოლოოდ ისევ ძლიერი ხდება განწყობის ილუზიის მიერ. ამრიგად, ჰაპტური ილუზიის თვალზე გავრცელების დროს ბავშვთა 69 პროც. რჩება მტკიცე უსასრულო განწყობის გავლენის ქვეშ. 15 პროც. თანდათანობით ადასტურებს ტოლობას. 16 პროც. შემთხვევაში განწყობის თვალზე გავრცელებას სულ არა აქვს ადგილი.

ნორმალ ბავშვთა შემთხვევაში ასეთი სურათი იწლება: უსასრულო კონტრასტული (იშვიათად ასიმეტრი) ილუზიის მოქმედება უდრის 29 პროც.-ს, კონფლიქტის მატარებელ ბავშვებში 44 პროც.-ს. პირველი და მე-2 ფაზა ადექვატური აღქმის ტენდენციის მოქმედების გარეშე 19 პროც. კონფ. მატარებელი ბავშვები 39 პროც. ამრიგად, უსასრულო ილუზია ტოლობის გარეშე ანასიათებს ნორმალურ ბავშვთა 48 პროც.-ს, კონფ. მატარებელ ბავშვებს კი—83%. დანარჩენი 52 პროც. მოდის განწყობის ისეთ მდგომარეობაზე, სადაც 1) სავსებით არ მუშავდება განწყობა (5 პროც.), 2) მუშავდება, მაგრამ პირდაპირ გადადის მე-3-ე ფაზაში (18 პროც.), ან 3) მუშავდება და გადადის მეორეში და ამ ფაზის სუსტი მოქმედების შემდეგ ჩნდება მე-3 ფაზა (10 პროც.). ან კიდევ 4) წარმოშობილ კონტრასტულ განწყობაში მძლავრად იკრება ტოლობის დადასტურების ტენდენცია. ჩნდება მე-2 ფაზა. სადაც ტოლობასა. ასიმეტრი და კონტრასტურ ილუზიის სუსტ ტენდენციათა შორის სწარმოებს რხევა. (19 პროც.).

ამრიგად, კონფლიქტების მატარებელი ბავშვების დიდი უმრავლესობისათვის დამახასიათებელია განწყობის სიმტკიცე და უსასრულო მოქმედება (93 პროც.). ნორმალურ ბავშვებში კი. პირიქით, ადექვატური აღქმის ტენდენციის სიმძლავრე გვხვდება 52 პროც.-ის შემთხვევაში. დანარჩენი 48 პროც. აღნიშნავს უსასრულო ილუზიის ტიპების მოქმედებას, მხოლოდ ესენიც კონფლიქტის მატარებელი ბავშვების განწყობის მსგავსი ტიპებისაგან განსხვავდებიან ნაკლები სიმტკიცით, ტოლობის დადასტურების ტენდენციით (ტლანჭი ტიპის გამოკლებით). თვალსაჩინო განსხვავებას გვაძლევს თვალზე გავრცელების შემთხვევები. როცა კონფლიქტის მატარებელი ბავშვების 84 პროც. ანასიათებს ილუზიის თვალზე გავრცელების ტენდენცია. ნორმალურ ბავშვებში ასეთი გამოკვეთილი მდგომარეობა გვხვდება მხოლოდ 43 პროც.-ის შემთხვევაში. ბავშვთა 57 პროც. შემთხვევაში სავსებით ვერ ხერხდება თვალზე გავრცელება. კონფლიქტის მატარებელ ბავშვების 69 პროც. ბოლომდე რჩება განწყობის უსასრულოდ მოქმედების გავლენის ქვეშ. როცა ასეთი მდგომარეობა ნორმალ ბავშვების მხოლოდ 28 პროც. ანასიათებს.

ამრიგად, ნორმალ და კონფლიქტის მატარებელ ბავშვთა განწყობის ტიპების ასეთი ზოგადი შედარებაც საკმაოდ ნათელს ხდის

მათ შორის განსხვავებას. კონფლიქტის მატარებელ ბავშვების შემთხვევაში საქმე გვაქვს ასალი განწყობის შექმნის სიადვილესთან, მათში ადვილად იქმნება განწყობა, მაგრამ ეს ერთხელ შექმნილი განწყობა მეტად მტკიცედ მკვიდრდება. ნორმალ ბავშვების დროს განწყობის ილუზიის ძირითადი ტენდენცია ხასიათდება განწყობის გამოქმნაებისადმი შედარებით ინტარვენტული ტენდენციით. ნორმალ ბავშვებში ორი საგანწყობო ექსპოზიცია საკმარისი არაა, რომ შემთხვევლად მტკიცე განწყობა შექმნილი განწყობა ისწრაფის აღკვეთისაკენ, ადვილად ირღევა თვალზე გავრცელების შემთხვევები.

ნორმალ და კონფლიქტის მატარებელ ბავშვთა შორის განწყობის ტიპების განსხვავების უფრო გარკვეულ სურათს გვიხატავს ასაკების მიხედვით მათი პროცენტული განაწილება. ისმის საკითხი, როგორია ნორმალ და კონფლიქტის მატარებელ ბავშვთა განწყობის ტიპების ასაკობრივი განვითარება. დავეყვირდეთ ცხრ. 5, 6, 7, 8-ს და განვიხილოთ კონფლიქტის მატარებელ ბავშვების განწყობის ტიპების განვითარება. 8-9 წლიან ბავშვებისათვის პირველ რიგში დამახასიათებელია პლასტიკური მტკიცე ტიპი. შემდეგ ტლანქი ტიპი. სხვა ტიპები უმნიშვნელოა. ეს ადასტურებს იმას, რომ აქ უსასრულო განწყობა მეტად მტკიცეა და მოკემული.

ტლანქ ტიპს ზრდის სუსტი ტენდენცია ახასიათებს. მაგ. 8-9 წელში უდრის 42 პროც.-ს; 12-13 წლამდე რჩება თითქმის უცვლელი. მხოლოდ 14-15 წელში ის აღწევს 52 პროცენტამდე. ამრიგად, ასაკის ზრდასთან ერთად იზრდება განწყობის მტკიცეობა და ერთხელ შექმნილი განწყობის მტკიცედ შენარჩუნების ტენდენცია.

8-9 წლიანებისათვის დამახასიათებელია მოპირდაპირე განწყობის ტენდენციათა შორის უსასრულოდ მერყევი პლასტიკური მტკიცე ტიპი—(56 პროც.); ის აგრეთვე ქარბადაა მოკემული 10-11 წელში (49 პროც.). შემდეგ თანდათანობით იკლებს (14-15 წ. — 24 პროც.-ს), მის ხარჯზე იზრდება. ერთის მხრივ, პლასტიკური სუსტი და მეორეს მხრივ, ტლანქი ე. ი. განწყობის მოქმედების შედარებით სუსტი ტენდენცია. აქ აღსანიშნავია ის, რომ 8-9 და 10-11 წლებში პლასტიკური მტკიცე ტიპი ყველაზე ძლიერია. ასაკის ზრდასთან ერთად იზრდება პლასტიკური სუსტი ტიპიც მაგ: ის თუ სრულეობით არ იყო 8-9 წელში, 10-11 წელში უდრის 11 პროც.-ს, 12-13 წელში აღწევს 25 პროც.-ს. ამრიგად, განწყობის ილუზიის ტიპების განვითარება მიემართება შემდეგნაირად: პლასტიკური მტკიცე ტიპის შესუსტების ხარჯზე იზრდებიან. ერთის მხრივ, მეტად სტაბილური და, მეორეს მხრივ, კი—შედარებითი ლაბილური განწყობის ტიპები.

მთავარი ადგილი ტლანქ ტიპს უჭირავს. მის გვერდით ძალაში რჩება ისევ პლასტიკური მტკიცე ტიპი. დანარჩენი ტიპები სუსტნი არიან. დამახასიათებელია ის, რომ აქ თუმცა მოკემულია განწყობის ტიპების განვითარება, მაგრამ ეს გასწვთარება მეტად ნელი ტემპით სწარმოებს. მაგ: ტლანქი ტიპის ცვლილება 8-წლიდან 15 წლამდე რხევადობს 12 პროც.-ით. უფრო ნაკლებად, მაგრამ მაინც იგივე ითქმის სხვა ტიპების შესახებაც. თავისთავად ეს ტიპე-

ბი ძირითადში ერთი და იგივე ბუნების მატარებელი არიან. ყველა მათგანის ძირითადი ტენდენცია მდგომარეობს ერთხელ შექმნილი განწყობის ილუზიის შენარჩუნებაში, ზოგი ამას მეტად ახერხებს ზოგი ნაკლებად, ასაკის ცვლასთან დაკავშირებით განწყობაში სხვადასხვა სიმძლავრის კონფლიქტებთან გვაქვს საქმე. მაგრამ მათი მოქმედების ტენდენცია მსგავსია. განსხვავებულობა გამოკვეთით მელაენდება მხოლოდ ერთხელ შექმნილი განწყობის ბოლომდე შენარჩუნების სიძლიერეში. რომელიც აყალიბებს განწყობის თავისებურ ტიპს. ასაკის ზრდის პროცესში თანდათანობით სუსტდება ერთხელ შექმნილი განწყობისადმი უსასრულო დაქვემდებარება. მაგრამ ეს შესუსტება არ შეიძლება ჩაითვალოს დამახასიათებლად კონფლიქტების მატარებელ ბავშვებისათვის.

საინტერესო სურათს იძლევა განწყობის თვალზე გავრცელების ცდების შედეგებიც. 8-9 წელში აქაც მძლავრია პლასტიკური მტკიცე და ტლანქი ტიპები (პირველი და მეორე ფაზა და მხოლოდ პირველი ფაზა). ეს ორივე ტიპი ამ ასაკში უდრის 72 პროც-ს, შემდეგ თანდათანობით სუსტდება 14-15 წელში, დადის 47 პროც-მდე. თუ პლასტიკურის (სუსტს), როგორც შეუწყვეტლად მოქმედ განწყობის ტიპს შევეერთებთ ტლანქ და პლასტიკურ (მტკიცე) ტიპთან, მაშინ 14-15 წელში კონფლიქტების მატარებელ ბავშვთა 57 პროც. იმდენად მძლავრად ექვემდებარებიან ერთხელ შექმნილ განწყობას; რომ საეცებით თვალსაჩინო სიტუაციაში შეუძლებელი ხდება მისი აღკვეთა.

აქაც განწყობის ილუზიის მოქმედების თანდათანობით შემცირებას აქვს ადგილი. ასაკის ზრდასთან ერთად იზრდება ნულეული ტიპი (თავიდანვე მესამე ფაზა).

მაგ: 14-15 წელში ის უდრის 23 პროც. აგრეთვე იზრდება პლასტიკური (სუსტი) ტიპიც. სადაც მოქმედებს სამივე ფაზა და დასასრულს იმარჯვებს ბესამე ფაზა. 8 პროც.-დან. ის აღწევს 20 პროც.-მდე, მაგრამ ამ ტიპების ზრდა დანარჩენ ტიპების სტაბილობასთან შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანია. თუ პირობით გავაერთიანებთ პლასტიკურ, სტატიკურ ტიპებს, მაშინ გამოდის, რომ ამ ბავშვების 77 პროც-ს ადვილად იპყრობს განწყობა, მისი მოქმედებისათვის ისეთ არახელსაყრელ პირობებშიც კი, როგორცაა მისი განწყობის თვალზე გავრცელების ცდები. სულ სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე ნორმალურ ბავშვობის შემთხვევაში. 8-9 წლიდან ნორმალურ და კონფლიქტის მატარებელ ბავშვთა განწყობის მოქმედებას შორის თითქოს განსხვავებაც არ ჩანს. უსასრულო კონტრასტული ილუზიის მოქმედება 8 წელში ვრცელდება 57 პროცენტზე. 9 წელში 48 პროცენტზე. ამავე ასაკში ჭარბადაა მოცემული პირველი და მეორე ფაზის ერთად მოქმედების გამომხატველი მე-5 ტიპი (ცხ. № 7).

საერთოდ, როგორც ამას სხვა მასალებიც ადასტურებენ (სკოლის წინაოდ ასაკის ბავშვებზე ჩატარებული ილუზიის განწყობის ცდები), კონფლიქტის მატარებელ ბავშვების განწყობა უფრო ენათესაება მცირე ასაკოვან ბავშვთა განწყობას, ის უახლოვდება სკოლის წინაშე ასაკის ბავშვებს. სკოლის წინაშე ასაკის ბავშვის განწყობა, საერთოდ, ლაბილური და შედარებით ნაკლებად დიფე-

რეცირებულია, ის გარგამალიზიანების ზემოქმედებით ადვილად იცვლება, ეს ცვლილება მასში მკვიდრადაც ინახება, მაგრამ ნორმალურ შემთხვევაში ასეთი განწყობა არაა კონფლიქტში თავის შესატყვის გარემოსთან. ამ ასაკში განწყობის შექმნის მიმართ ექსპერტავლობა და მისდამი უსასრულო დაქვემდებარება სრულეობით არ ნიშნავს იმას, რომ ის სიტუაციასთან კონფლიქტში უნდა იმყოფებოდეს, მაგრამ ასეთი განწყობის მქონე პიროვნება გამზადილია კონფლიქტისაკენ, მას აქვს კონფლიქტების ტენდენცია. სწორედ ამისთვისაა, რომ დაბალ ასაკებში ბავშვი უფრო მწვაედ განიცდის მოუწესრიგებელ გარემოს ზემოქმედებით ქცევაში ანორმალურ ცვლილებებს, ეიდრე მაშინ, როცა მისი განწყობა უფრო სტაბილური და დიფერენცირებულია.

ნორმალურ ბავშვებში, როგორც ამას ჩვენი მასალები ადასტურებენ, უკვე 10 წლიდანვე იწყება მეტად მნიშვნელოვანი გარდატეხა.

№ 5 კონფლიქტის მატარებელ ბავშვების ჰაპტური განწყობის ილუზიის პროც. მაჩვენებლები—ასაკებში.

ტიპი	ხულოლი	პლასტიკური სესტი			პლასტიკური (მტკიცე)				საერთო ჯამი	ტლანქი
		I	II	ჯამი	I	II	III	IV		
8-9 წლ.	2				28	11	8	8	56	42
10-11 წლ.		3	8	11	17	6	11	15	49	40
12-13 წლ.		6	19	25	13	3	9	2	27	40
14-15 წლ.		9	8	17	13	—	9	2	24	

ცხ. № 6 კონფლიქტურ ბავშვთა განწყობის ილუზიის თვალზე გავრცელების ტიპების ასაკობრივი განაწილების პროცენტული მაჩვენებლები. ცხ. გვ. 34.

ტიპი	ხულოლი	პლასტიკური დინამიკური	პლასტიკური სესტი	პლასტიკური (მტკიცე)	ტლანქი
8-9 წ.	8	8	11	46	26
10-11 წ.	6	16	16	42	20
12-13 წ.	29	13	13	31	13
14-15 წ.	23	20	10	31	16

ნორმალ ბავშვთა ქაატურად შექმნილ განწყობის ტიპების ასაკობრივი განაწილების ზ-ლი მაჩვენებლები, ცხრ. № 7.

ტიპი	ნულეული	ტლანქი დინამიკური	პლასტიკო დინამიკური	პლასტიკური სუსტი	პლასტიკური (მტკიცე)	ტლანქი
8 წლის	—	—	—	8	33	57
9 წლის	8	—	—	14	38	40
10 წლის	10	10	20	30	10	20
11 წლის	—	—	10	20	50	20
12 წლის	—	10	20	10	20	40
13 წლის	—	46	8	23	8	15
14 წლის	14	36	29	—	—	14

ნორმალ ბავშვთა ქაატურად შექმნილ განწყობის თვალზე გავრცელების ტიპების ასაკობრივი განაწილების ზ-ლი მაჩვენებელი. ცხრილი № 8.

ტიპი	ნულეული	პლასტიკო-დინამიკური	პლასტიკური მტკიცე	ტლანქი
8 წლის	—	8	50	17
9 წლის	46	—	38	16
10 წლ.	50	30	10	10
11 წლ.	40	30	30	—
12 წლ.	50	30	20	—
13 წლ.	92	—	8	—
14 წლ.	93	—	—	7

განწყობისადმი უსასრულოდ დამორჩილება ერთბაშად იკლებს, მაგ: 10 წელში დადის 20 პროც.-მდე, 12-13 წელში ის საშუალოდ უდრის 27 პროც., 14 წელში კი მხოლოდ 14 პროც. იგივე ემართება მე-5 ტაპსაც. ის ათი წლიდან თანდათანობით იცვლება, 14 წ. დადის 7 პროც. მათ ხარჯზე მატულობენ ისეთი ტიპები, სადაც ბატონობენ ადექვატური აღქმის ტენდენციები, მაგ. 10 წლიდან იწყებენ მოქმედებას ნულეული, ტლანქი დინამიკური, პლასტიკო-დინამიკური და პლასტიკური ტიპები. ამ ტიპების

დამახასიათებელია ალექვატური ალქმის ტენდენციის ბატონობა, ოთხივე ტენდენცია ერთბაშად ჩნდება 70 პროც-ით, პირველი სამი ტიპის მოქმედება ე. ი. ისეთი ტიპების, როდესაც ბავშვი ახერხებს მე-3 ფაზაში გადასვლას, 14 წლიანებს ახასიათებს 79 პროც-ით. უფრო ნათელ სურათს იძლევა თვალზე გავრცელების ცდების შედეგები. 8-9 წელში ნორმალ და კონფლიქტის მატარებელ ბავშვთა შორის არსებითი განსხვავება არაა. ორივესთან ძლიერია განწყობის თვალზე გავრცელების ტენდენცია: მაგ. 8-წელში ნორმებში ის უდრის 67 პროც-ს, 9-წელში—54 პროც-ს (ცხრ. № 8). მაგრამ 10 წლიდან ის ერთბაშად ეცემა 20 პროც-მდე. 14 წელში უდრის მხოლოდ 7 პროცენტს, მათ ხარჯზე იზრდება ნულეული და პლასტიკო-დინამიკური ტიპი: 8 წლიდან ბავშვთა 25 პროც-ს თავიდანვე არ ახასიათებს ილუზია. აღნიშნული პროცენტული მაჩვენებელი თანდათანობით იზრდება და 13-14 წელში. აღწევს 93 პროც-ს. ნორმალური ბავშვები მოზარდობის პერიოდში ნაკლებად ექვემდებარებიან ერთხელ შექმნილ განწყობის უსასრულო მოქმედებას. შეცვლილ სიტუაციაში, როგორცაა თვალზე გავრცელების პროცესი, ისინი ილუზიას ადვილად აღწევენ თავს და იძლევიან ადექვატურ ალქმას. ყოველ შემთხვევაში, საგანწყობო ექსპლოატაციათა ასეთი მცირე რიცხვი, რომელიც საკმარისია კონფლიქტის მატარებელ ბავშვებისათვის, საკმარისი არაა იმისათვის, რომ გაჩნდეს განწყობის თვალზე გავრცელების ტენდენცია.

ამრიგად, აშკარად ჩანს განსხვავება ნორმალ და კონფლიქტის მატარებელ ბავშვთა განწყობის ტიპებს შორის. კონფლიქტების დროს ბავშვების განწყობა რჩება 8-9 წლიან, ან კიდევ უფრო ნაადრევ ბავშვების განწყობის განვითარების სტადიაზე. ასეთი ბავშვების განწყობა ხდება ინფანტილური. ცნობილია კონფლიქტის დროს ბავშვების პრიმიტიული რეაქციები. ქცევის ინფანტილობა, გიპობულიკა, აზროვნების აქტების მიკერძოებითი მიმდინარეობა, ჭარბი ემოციონალობა. ამის საფუძველზე კონფლიქტები. ყოველივე ამას საფუძვლად უდევს ასაკისათვის შეუფერებელი ინფანტილური განწყობა ე. ი. განწყობის — სიტუაციის მოთხოვნილებებისადმი შეუსაბამო მოქმედება.

3. განწყობა და ქცევის ტიპების ურთიერთობა.

ახლა შეიძლება დაისვას საკითხი, რამდენად შეესაბამებიან აღნიშნული განწყობის ტიპები სინამდვილეში არსებულ ქცევის თავისებურ ტიპებს. ასეთი მიმართების დამყარებისათვის უწინარეს ყოვლისა საჭირო გახდა განწყობის ტიპების დასრულებული სურათის მოცემა. ამისათვის, თუ აქამდე ჰაპტური ილუზიისა და ილუზიის თვალზე გავრცელების ტიპებს ურთიერთობისაგან დამოუკიდებლად ვიზილავდით, ახლა მათ ვიღებთ ორივეს ერთად, როგორც სუბიექტის განწყობის მდგომარეობას, მოცულობის ილუზიისა და მისი თვალზე გავრცელების მოქმედების შემთხვევას განწყობის ირადიაციის თვალსაზრისით.

ასეთი ტიპები საკმაოდ მრავალფეროვანია, მაგრამ ისინი 5 ძირითად ჯგუფად იყოფა. ზოგიერთი ჯგუფი შეიცავს ქვეტიპს,

რომელთა შორის ისევ არსებობს ახლო ნათესაეობა, ეს ტიპებია: 1) ნულეული, 2) პლასტიკო ლოკალური, 3) პლასტიკო ირადირემული, 4) ტლანქი ლოკალური, 5) ტლანქი ირადირემული. დავახასიათოთ ისინი ცალცალკე.

1. ნულეული—მისამე ფაზა¹⁾

მისამე ფაზა

რაც ნიშნავს, ბავშვს განწყობა აღარ ექმნება, ყოველ შემთხვევაში ის მოქმედების ძალას ვერ ინარჩუნებს.

11. პლასტიკურ-ლოკალური

პირველი და მეორე ფაზა

მისამე ფაზა

რაც ნიშნავს, ბავშვი თვალდახუჭულ მდგომარეობაში იმყოფება პირველ და მეორე ფაზაში, აქვს ტოლობის დადასტურების სუსტი ტენდენცია. მაგრამ შექმნილი განწყობა მას სძლევს და ისევ რჩება უსასრულო ილუზიაში. აქ დამახასიათებელია კონფლიქტები განწყობის სხვადასხვა ტენდენციას შორის, მაგრამ ბავშვი როგორც კი გაახელს თვალს, განწყობის მოქმედება აღიკვეთება. საგანწყობო ექსპოზიციებითაც შეუძლო ხდება ილუზიის თვალზე გავრცელება.

111. პლასტიკო-ირადირებული ტიპი თავის მხრივ შეიცავს სამ ქვეტიპს

პირველი და მეორე ფაზა

ა)

პირველი, მეორე და მისამე ფაზა

ჰაპტურში ბავშვი ბოლომდე რჩება მეორე ფაზაში. ილუზია ვრცელდება თვალზე, აქ ჩნდება პირველი, მეორე ფაზაც, ბოლოს ილუზია ქრება.

პირველი და მეორე ფაზა

ბ)

პირველი და მეორე ფაზა

აქ მოქმედებს პირველი და მეორე ფაზა ტოლობის დადასტურების ტენდენციის გარეშე, ხდება ბრძოლა კონტრასტულ და ასიმეტრიურ ტენდენციათა შორის — ეს წინააღმდეგობა გრძელდება თვალზე გავრცელების შემთხვევაშიც: ბავშვი როგორც თვალშია, ისე თვალდახუჭულ მდგომარეობაში ბოლომდე რჩება პირველ და მეორე ფაზაში. მოპირდაპირე განწყობათა შორის წინააღმდეგობები უსასრულოდ გრძელდება.

პირველი და მეორე ფაზა

გ)

პირველი ფაზა

აქ დამახასიათებელია ის, რომ განწყობა თვალზე გავრცელების შემდეგ თანდათანობით ძლიერდება და ვლებუ-

¹⁾ მრიცხველი აღნიშნავს ჰაპტურ ილუზიას, მნიშვნელი — თვალზე გავრცელებას.

ლობთ უსასრულო პირველ ფაზას. იზრდება პირველი განწყობის გაძლიერების ტენდენცია.

IV ტლანქი ლოკალური ტიპი.

პირველი ფაზა

მეორე ფაზა

ე. ი. უსასრულო კონტრასტული ილუზია თვალ-დახუჭულ მდგომარეობაში მაშინვე ქრება. აქ, საერთოდ, შეუძლებელი ხდება ილუზიის თვალზე გავრცელება.

V ტლანქი ირადირებული შეიცავს სამ ქვეტიპს.

პირველი ფაზა

ა) პირველი და მეორე ფაზა

უსასრულო განწყობის ილუზია ვრცელდება თვალზე და მოქმედებს მეორე ფაზის სახით, სადაც თავს იჩენს ტოლობის ტენდენცია.

პირველი ფაზა

ბ) პირველი და მეორე ფაზა

ტოლობის დადასტურების ტენდენციის გარეშე.

პირველი ფაზა

ბ) პირველი ფაზა

ბავშვი ბოლომდე თვალზე გავრცელების შემთხვევაშიც უსასრულო ილუზიაში რჩება.

ასლა საინტერესოა ამ ტიპების და ქცევის ტიპების შორის მიმართების დასურათება.

თუ კი აღმოჩნდება, რომ ერთგვარი ქცევის ბავშვს მსგავსი განწყობის ტიპები შეესაბამებიან, ე. ი. გარკვეულ ქცევას შესატყვისი განწყობის ტიპები შეესიტყვებიან. მაშინ უნდა დაუშვათ, რომ ქცევას მისი შესაბამი განწყობა—მთლიანი მოდიფიკაცია უდევს საფუძვლად. აქედან უფლება გვეძლევა, სუბიექტები დავაჯგუფოთ ქცევის განმსაზღვრელი განწყობების მიხედვით.

როგორც აღვნიშნეთ, ბავშვები შევისწავლეთ მათს ქცევაზე ყოველმხრივი დაკვირვების გზით. შევისწავლეთ მათი ხასიათის თავისებურება, გარემოსადმი შეგუების უნარი, კონფლიქტების სახეები, კონფლიქტების გამომწვევი მიზეზები და სხვა მნიშვნელოვანი მხარეები. ეს მასალა დავაჯგუფეთ ქცევის მსგავსი ფენომენების მიხედვით ე. ი. ერთგვარი ქცევის. შედარებით ერთგვარი ხასიათის ბავშვები მოვათავსეთ ცალკე ჯგუფში. სულ მივიღეთ ოთხი ძირითადი ჯგუფი. ამ ცალკე ჯგუფების ქცევის ანალიზმა დაგვანახვა, რომ ისინი ძირითადში ერთგვრიან თანამედროვე პათოლოგიურ ფსიქოლოგიაში მიღებულ ქარაქტოლოგიურ ტიპებს, როგორცაა შიზოტიპიკები, ციკლოტიპიკები, ეპილეპტიკები

ბი, რეაქტიულად ლაბილურები, შერეულები. ჩვენ არ ვიზორებთ ასეთ ქარაქტეროლოგიის მეთოდოლოგიურ საფუძვლებს. ამასზე ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი. მაგრამ ჩვენ ხაზი გაუსვით იმასაც, რომ ქცევის ურთიერთ დინამიკურ კავშირში მყოფი სიმპტომების მიხედვით ბავშვთა კონფლიქტების ასეთი ტიპოლოგია ყველაზე მოწინავეა. ამისათვის ჩვენ ვხმარობთ პირობით ამავე ტერმინებს ე. ი. შიტომიურს. ციკლოტიმიურს, რეაქტიულად ლაბილურს, ეპილექტიკიდურს. ეს ცნობები გამოხატავენ გარკვეულ სიმპტომების მატარებელ ბავშვებს. ჩვენთვის აქ საინტერესოა არა მხოლოდ ეს სიმპტომები. ქცევის ფენომენები. არამედ ის ცენტრალური ხასიათის მოდიფიკაცია. რომელიც წარმოშობს ამ ფენომენებს. როგორც ჩვენი მასალები ადასტურებენ. ქცევის ამ გარკვეულ ფენომენთა ჯგუფს სავსებით შეესატყვისება გარკვეული განწყობა და ამიტომ უნდა ვიფიქროთ. რომ თვითვე ამ ქცევის ტიპს განსაზღვრავს შესატყვისი ცენტრალური ხასიათის მოდიფიკაცია-განწყობა. ამის გამო ჩვენ სხვა ტერმინების უქონლობის გამო ისევ ვსარგებლობთ პათოლოგიურ ფსიქოლოგიის ტერმინოლოგიით და ვხმარობთ შიზოტიმიურ. ციკლოტიმიურ, ეპილექტიკიდურ და რეაქტიულად ლაბილურ განწყობას. განწყობა განსაზღვრავს შესაბამ ქცევის ფენომენებს. ეპილექტიკიდური განწყობა -- ცნობილ ეპილექტიკიდურ ქცევის ფენომენებს. ციკლოტიმიური განწყობა -- ციკლოტიმიური ქცევის ფენომენებს და ასე შემდეგ.

როგორც აღვნიშნეთ. ჩვენი მასალის მიხედვით ბავშვები დაჯგუფდნენ: ციკლომატიურ. შიზოტიმიურ. ეპილექტიკიდურ. რეაქტიულად ლაბილურ და შერეულ ქცევის ფორმებად. შერეული ტიპები მივყავთ. ქარბი სიმპტომების მიხედვით, რომელიმე აღნიშნულ ოთხ ტიპთან. ამრიგად დარჩა ოთხი ურთიერთისაგან განსხვავებული ქცევის ბავშვი. ჩვენი ბავშვები არ მიეკუთვნებიან ფსიქოპათებს, აქ საქმე გვაქვს. -- პათოლოგიური ფსიქოლოგიის ტერმინით რომ ვილაპარაკოთ, -- ხასიათის „კონსტიტუციონალურ“ გამწვავებასთან. „კრუ ფსიქოპათიებთან“. თითქმის ყველა მათგანს ახასიათებს ფუნქციონალური გადახრები ნერვიულ სისტემაში; ნერვოზები, დაწყებული ემოციონალურად აღზნებადობიდან დამთავრებული ნევროპათიით. მაგრამ, როგორც ეს უკანასკნელად დადასტურებულია. ფსიქო-ნევროზები ვლინდებიან გარკვეული კონსტიტუციის თავისებურების ფონზე (ბუმბე, განუშკინი). ასეთი გადახრები ართულებენ მოცემულ კონსტიტუციას, მაგრამ არ ქმნიან ქარაქტეროლოგიურ ტიპს. ისინი მთლიანად შერწყმული არიან ფსიქოპათიებებში. ნევროზით შეპყრობილი ციკლოტიმიკი. შიზოტიმიკი სულ სხვადასხვა კატეგორიის ქცევის ტიპებია. ამიტომ ჩვენს მიერ ქცევის სიმპტომების მიხედვით დაჯგუფებული ბავშვები ემყარებიან ყველაზე ცნობილ ქცევის ტიპებს.

ახლა დავახასიათოთ აღნიშნული ქცევის ბავშვების და განწყობის ტიპების ურთიერთთან მიმართება. გადავხედოთ №9, 10-11 ცხრილებს. სადაც ნაჩვენებია ქცევის ტიპების და განწყობის ტიპების შესატყვისობის პროცენტული სიდიდეები.

ცხრ. № 9

ტიპები	ბელეული	პლასტიკური (სუსტი)			პლასტიკური (მტკიცე)					ტლანჯი
		I	II	ჯამი	I	II	III	IV	ჯამი	
შიხოტ.	1	1	1	2	12	2	6	6	26	67
ციკლოტ.	1	5	10	15	16	8	16	14	51	27
რედაქტ. ლაბ.		13	25	38	36	5	3		44	13
ეპილეტ.								9	9	91

ცხრ. № 10

	ბელეული	პლასტიკო- დინამ.	პლასტიკური (სუსტი)	პლასტიკური (მტკიცე)	ტლანჯი
შიხოტიმ	5		11	10	41
ციკლოტ.		31	10		
რედაქტ. ლაბ.	15	13	31	11	
ეპილეტ.	27	36		27	9

ცხრილი № 11

ტიპები	ბელეული	პლასტიკო- ლოკალური	პლასტიკო- ირადიოზებ.			ტლანჯი დო- კალური	ტლანჯი ირა- დიოზებულა		
			I	II	III		I	II	III
შიხოტიმ.	1	1	1	8	9	1	3	20	52
ციკლოტიმ.	2	6	16	32		14	13	6	9
რედაქტ ლაბ.		11	38	28	2	4	4	6	
ეპილეტ.		7				56	6	25	6

ცხრილი № 9-10 გვიჩვენებს შემდეგ სურათს: თვითელ ქსე-
ვის ტიპი გარკვეულ კანონზომიერ დამოკიდებულებაშია განწყო-
ბის ტიპებთან. დავახსიათოთ შიხოტიმიკების განწყობა.

შიზოტიმიკების 67 პროც. გარკვევით ემთხვევა (თვალდახუჭულ პირობებში) ტლანქი განწყობის ტიპს, ე. ი. ისეთ მდგომარეობას, როცა კონტრასტულ განწყობის უსასრულო მოქმედებასთან გვაქვს საქმე. თუ გადავხედავთ თვალზე გავრცელების ცდების შედეგებსაც (ცხრ. 10), აქაც იგივე სურათია: ბავშვთა 41 პროც. იძლევა განწყობის უსასრულო კონტრასტულ მოქმედებას (პირველი ფაზა), 40 პროც. პირველი და მეორე ფაზას, სადაც მოქმედებს უსასრულო განწყობა მძლავრი რხევით.

ამ სურათს უფრო ამტკიცებს ცხრილი № 11-ს ანალიზის შედეგები. სადაც მოცემულია განწყობის მოქმედების მთლიანი სურათი, აქ ბავშვთა 52 პროც. იძლევა ტლანქი ირადირებული განწყობის III ტიპს.

შიზოტიმიკებისათვის აგრეთვე დამახასიათებელია ტლანქი ირადირებული განწყობა (II-ტიპი), როცა ბავშვი ჰაპტურ ცდებში გვაძლევს პირველ ფაზას, თვალზე გავრცელების დროს კი — მძლავრ მეორე ფაზას ტოლობის ტენდენციის გარეშე. ეს ტიპი უდრის 20 პროც.-ს. ამრიგად, უსასრულო განწყობის ჰაპტურ სფეროში მოქმედებისას პირველ რიგში დგას პირველი ფაზა, თვალზე გავრცელების დროს კი — პირველი და მტკიცე მეორე ფაზა (მათი პროცენტული სიხშირე უდრის 72 პროც.-ს).

თუ ამას მივუმატებთ მხოლოდ შიზოტიმიკებისათვის დამახასიათებელ პლასტიკო-ირადირებულ განწყობის III ტიპს, როცა მტკიცე პირველი და მეორე ფაზის მოქმედება თვალზე გავრცელების დროს უფრო მტკიცდება და იქცევა უსასრულო კონტრასტულ ილუზიად (9 პროც.). მაშინ ჩვენი მასალის მიხედვით შიზოტიმიკების 81 პროც. გვაძლევს გარკვევით ჩამოყალიბებულ განწყობის ტიპს. რომლის დამახასიათებელია ერთხელ შექმნილი განწყობის უსასრულო მოქმედება, განწყობის ინერტობა, გარე გამომწიანებლების ასეთი განწყობის ზეგავლენით მოდიფიკაცია. რეალური სიტუაციის უარყოფა, სიტუაციის გათვალისწინების, ილუზიის მოსპობისათვის მეტად ხელსაყრელ პირობების შექმნის მომენტშიც განწყობაში დარჩენა, ხშირად მოწინააღმდეგე, განწყობის ტენდენციის წამოქრა. განწყობათა შორის შინაგანი კონფლიქტები. სადაც თვითეული მხარე საკმაოდ მკვეთრია, თვითეულის სურვილია შეინარჩუნოს თავისი პირვანდელი მდგომარეობა. დარჩეს ისეთ მდგომარეობაში. სადაც აღკვეთილია რეალობის ადექვატური გავების ნასახი, სადაც განწყობის მოქმედება გამოკვეთილად მიემართება კონფლიქტების შემთხვევაშიაც, შინაგანი სიმტკიცისაყენ, — ასეთია შიზოტიმიკებისათვის დამახასიათებელი განწყობის ტიპები.

ახლა ვიკითხოთ, როგორი არიან ეს სუბიექტები ქცევის მიხედვით. რომელთაც ასეთი განწყობა ახასიათებთ. თვით შიზოტიმიკის ცნება ამას ნათლად ახასიათებს. ასეთი განწყობის მქონე კონფლიქტის მატარებელ ბავშვების, როგორც (ეს. ამ საკითხის შესახებ არსებულ ლიტერატურის მიხედვით და აგრეთვე ბავშვებზე ჩვენი დაკვირვების შედეგებიდანაც დასტურდება, ძირითადი თვისება აუტისტური ტენდენცია, რომელიც, ბლეილერის დახასიათებით, ნიშნავს ცხოვრებას საკუთარ თავში, საკუთარ სუბიექტურ

სამყაროში, 'აღაც ყოველი ფანტაზია, ყოველი აზრი მხოლოდ სუბიექტისათვისაა და არა სხვისათვის. აუტიზმი. ინტრავერტობა, ფსიქოესტეტური პროპორცია, რომელსაც ჰიპერესტეტიურ და ანესტეტიური ელემენტების შერწყმის შედეგად სთვლიან, დამახასიათებელია შიზოტიმიკობისათვის; მიუთითებენ შიზოიდურ და განმრთულ შიზოტიმიკ ადამიანების სოციალურ განწყობას. რომელიც ვითარდება ფსიქოესტეტიურ პროპორციის საფუძველზე. ეს განწყობა ძირითადადში მელავსდება საზოგადოებიდან განკერძობებაში, გარემოსთან კონტაქტის შესუსტებაში. აგრეთვე დამახასიათებელია სტიმულსა და რეაქციის შორის არაადექვატური დამოკიდებულება, ხანტომობრივი ფსიქიური ტემპი აუტიზმის გამო „ქარბი“ ფანტაზია, აზროვნებაში რეზონირება, სინამდვილიდან მოწყვეტა.

შიზოტიმიკი ბავშვის ხასიათის აღნიშნული თვისებები სავსებით უდგება იმას, რაც ჩვენ ვსთქვით მათი განწყობის ტიპზე. ასეთი სუბიექტის განწყობა ინტრავერტულია, უსასრულოდ მტკიცე, რომელიც იწვევს რეალური სიტუაციის ადექვატურ გაცნობიერების აღკვეთას. აქაც ხომ სტიმულსა და რეაქციას შორის სრულ შეუსაბამობასთან გვაქვს საქმე. ან კიდევ მეტად, რეალურ სიტუაციაში ნახტომისებური ფსიქიური ტემპის კორელატად აქაც ხომ მტკიცე განწყობის ტენდენციების ურთიერთ შენაცვლებას ვაწყდებით. ზემოთ ნაჩვენები განწყობის ტიპი ხომ მთლიანად ახასიათებს და ემთხვევა იმას. რასაც სუბიექტის აუტიზტურ განწყობას უწოდებენ. ამიტომ აღნიშნული განწყობის ტიპს თამამად შეიძლება შიზოტიმიური განწყობის ტიპი ვუწოდოთ. რადგანაც განწყობა ცენტრალური ფაქტორია, რომელიც განსაზღვრავს ქცევას, ხასიათის თავისებურებას ამის გამო შიზოტიმიკის დამახასიათებელ ქცევას საფუძველად უდევს თავისებური შიზოტიმიური განწყობა, რომლის გამოვლენა ვნახეთ დამახასიათებელ განწყობის ფარგლებში და რომლის ყოველმხრივი გამოაშკარავებისათვის კიდევ მრავალი კვლევა იქნება საჭირო.

ჩვენი ცდების მიხედვით შიზოტიმიკი საგანწყობო ექსპოზიციების მიმართ ექსტრავერტულია. ორი ექსპოზიციით სავსებით ყალიბდება შიზოტიმიური განწყობის ტიპი. მაგრამ, როგორც ამას ცხრილები გვიჩვენებენ, შიზოტიმიკებს ზოგჯერ შეიძლება ახასიათებდეს ისეთი განწყობა, რომელიც შიზოტიმიკისათვის როგორც წმინდა ტიპისათვის არაა დამახასიათებელი. ქარაქტეოლოგიური თავისებურების სურათს ხშირად ართულებს ნერვიულ სისტემაში სხვადასხვა ფუნქციონალური გადახრები, ისტერიული რეაქციები. მძიმე „კრიტიკული გამოცდილება“ პიროვნების მოდიფიკაციას იწვევს. ამრიგად, ყალიბდება ახალი განწყობა—პოზიცია. რომელიც ძირითადად მაინც არსებულ დისპოზიციის ფონზე იშლება, მაგრამ მაინც კრიტიკული გამოცდილების ხარისხის და რომელობის მიხედვით მისგან განსხვავებულია. თუ ეს კრიტიკული გამოცდილება მძლავრია, მაშინ შეიძლება სახე შეუცვალოს პიროვნების განწყობას, როგორც ხასიათის საფუძველს და დროებით მაინც კონფლიქტების განმავლობაში ახალი განწყობის სახით ჩამოყალიბდეს. მაგ: ჩვენი მასალების მიხედვით შიზოტიმიკები. რომელთაც ახასია-

თებთ დამატებით ისტერიული რეაქციები უმთავრესად მიეკუთვნებიან ნულეულს და პლასტიკო-დისამიურ ტიპებს; ნევროპათები კი—უმთავრესად პლასტიკო-ირადირებული ტიპების სხვადასხვა სახეებს. ამ ტიპების დამახასიათებელია გამოიზიანებლისადმი ინტრავერტული დამოკიდებულება. განსაკუთრებით ეს ითქმის ნულეულ ტიპზე, სადაც ბავშვები რჩებიან თავიდანვე მესამე ფაზაში. ისტერიული რეაქციის მქონე სუბიექტი ხასიათდება ქარბი ემოციონალობით. პრიმიტიული ემოციები, შესატყვისი ნორმალური ინტრაფსიქიური ვადამუშავების გარეშე, მიმართულებას აძლევენ პიროვნების ქცევას. იმორჩილებენ მას, წარმოშობენ ხასიათში კონფლიქტებს, განწყობილების ცვლილებების (გურევიჩი) გამოიზიანებლის მიმართ უარყოფით რეაქციებს, მწვავე კონფლიქტებს; შიზოტიმიკის ხასიათში ისტერიული რეაქციის თანარსებობა იწვევს ასეთ ხასიათის ქარბ ლაბილობას—ინტრავერტულ კონფლიქტებს, სიტუაციის მიმართ ქარბ ინდიფერენტისმს, ან პირიქით მისადმი მომენტანურ ექსტრავერტულ დამოკიდებულებას და სხვა სახის ცვლილებებს, თუმცა ძირითადად ის მაინც რჩება შიზოტიმიური. ხასიათის ასეთ მრავალსახოვან ცვლილებებზე მიგვითითებენ თვით განწყობის ტიპები. აქაც საქმე გვაქვს, ერთის მხრივ, საგანწყობო ექსპოზიციებისადმი ინტრავერტულ დამოკიდებულებასთან. სუბიექტი ინდიფერენტულია მის მიმართ. ორი ექსპოზიცია არაა საკმარისი, რომ უკვე არსებული განწყობის საფუძველზე გამოიმუშავდეს პიროვნებაში ახალი განწყობა (ნულეული). ან მუშავდება მტკიცე განწყობა, რომელიც შეიცავს უსაზღვრო კონფლიქტებს. ამ კონფლიქტებში თავს იჩენს სიტუაციის გაცნობიერების მომენტიც. მომენტანურად ტოლობასაც ადასტურებენ.

საერთოდ, ხასიათის კონსტრუქციის ფონზე გაშლილი ნევროზების, ისტერიული რეაქციების შესატყვისი განწყობის ტიპოლოგია შედარებით მეტი რაოდენობის გამოკვეთილ პათოლოგიურ სუბიექტების მასალას მოითხოვს. ვიდრე ის ჩვენს მასალაშია მოცემული. ჩვენი მასალა მხოლოდ ადასტურებს, რომ ისტერიულ რეაქციების ან ნევროპათიის შემთხვევაში ქარაქტეროლოგიური ტიპი განიცდის ცვლილებებს და ეს ცვლილება ნათლად აღიბეჭდება ქცევის განსაზღვრულ განწყობის ტიპზედაც. ¹⁾

ახლა ვინახოთ, რას გვეტყვის ციკლოტიმიკების განწყობის ტიპების შესწავლა. ციკლოტიმიკების შემთხვევაში, ერთი შეხედვით, განწყობის ტიპების მეტად კრელი სურათი იშლება (ცხ. №9-10). მათთვის მეტად თუ ნაკლებად თითქმის. ილუზიის ყველა ტიპი დამახასიათებელი; ასეთი სურათიც ნათელს ფენს ციკლოტიმურ განწყობის თავისებურებას. თუმცა ციკლოტიმიკს ერთი გამოკვეთილი განწყობის ტიპი არ შეესიტყვისება, მან შეიძლება მოგვცეს (სხვადასხვა დროს სხვადასხვა სუბიექტის შემთხვევაში) განსხვავებული განწყობის ტიპი, მაგ: ერთხელ მოგვცეს უსასრულო განწყობა, მეორეჯერ—მეორე ფაზის მეტად მერყევი მდგომარეობა. მაგრამ ამ სიქრელეში ერთი ძირითადი ტენდენცია ყოველთვის თავს

¹⁾ ამ პრობლემის შესახებ იხ. კ. შვიდნის „ისტერიით დაავადებულ“ სუბიექტების განწყობა. (ფუნქ. ნერ. დაავ. ინსტ. შრომები).

იჩენს. ციკლოტიმიურ მდგომარეობისათვის დამახასიათებელია უმთავრესად ადექვატური აღქმისაყენ ლტოლვა. განწყობათა მწვავე კონფლიქტები. მერყევი, რხევადი განწყობა. სიტუაციის გათვალსახინოები, ილუზიის გაქრობისათვის ხელისშემწყობ პირობებში ტოლობის დადასტურების ტენდენცია, მაგ: ციკლოტიმიკების მხოლოდ 27 პროც. გვაძლევს უსასრულო ილუზიის ტიპს (ცხ. №9), 54 პროც. ენთხევეა (პლასტიკურ მტკიცეს) ტიპის სხვადასხვა ვარიაციას. 15 პროც. სუსტ პლასტიკურ ტიპს, ნულეული ტიპი კი უდრის მხოლოდ 4 პროც.-ს. ამრიგად, აქ დამახასიათებელია მაინც პლასტიკური (მტკიცე) ტიპი (შიზოტიმ. ის უდრის 26 პროც.), ე. ი. მერყევი. კონფლიქტური უსასრულო განწყობა. თუ პირობით გავართიანებთ მონათესავე პლასტიკურ ტიპებს, მაშინ ციკლოტიმიკების 69 პროც. მიეკუთვნება კონტრასტულ, ასიმილატურ და ტოლობის ტენდენციათა შორის მერყევ, კონფლიქტების მატარებელ განწყობის ტიპებს.

ციკლოტიმიკების ეს თავისებურება უფრო მეტად მკლავნდება ილუზიის თვალზე გავრცელების ცდებში (№-10): აქ მხოლოდ ბავშვთა 7 პროც. გვაძლევს ტლანქ ტიპს, ე. ი. უსასრულო კონტრასტულ განწყობას (შიზოტ. 41 პროც.), პლასტიკური მტკიცე ტიპს კი—27 პროც. (შიზოტიმიკები 40 პროც.), ბავშვთა 56 პროც. ახასიათებს ნულეული და პლასტიკო-დინამიკური ტიპი, რაც იმას ნიშნავს, რომ ციკლოტიმიკებისათვის ძირითად ტენდენციად ითვლება სიტუაციის ადექვატური აღქმა. ასეთი აღქმისათვის ხელისშემწყობ პირობებში ბავშვთა დიდი უმრავლესობა გვაძლევს ნულეულს და პლასტიკო-დინამიკურ ტიპს (აქ ილუზია ან სავსებით არ ვრცელდება თვალზე, ან სუსტად ვრცელდება და მალე ქრება). ამრიგად, ჩვენი მასალების მიხედვით, დასტურდება, რომ ციკლოტიმიკების განწყობა, შიზოტიმიკებთან განსხვავებით, აღსავსეა მოწინააღმდეგე ტენდენციათა შორის ჭარბი რხევით, კონფლიქტებით და საბოლოოდ სიტუაციის ადექვატური აღქმის ტენდენციით.

ზემოთ თქმულს უფრო ნათლად ადასტურებს ცხრ. № 11, სადაც განწყობის მთლიან ტიპებთან გვაქვს საქმე. ციკლოტიმიკებისათვის აქ თითქოს ყველა ტიპებია დამახასიათებელი. მაგრამ საბოლოოდ მაინც ცენტრალური ადგილი უჭირავს პლასტიკო-ირადირებულ I და II ტიპებს. ტლანქ ლოკალურს და ტლანქ ირადირებულ I-ლ ქვეტიპს. აქედან ყველაზე დიდ მაჩვენებლებს გვაძლევს პლასტიკო-ირადირებული II ქვეტიპი (32 პროც.). კონტრასტული ილუზიის უსასრულო მოქმედების ტიპი (ტლანქი ირადირებულიის მესამე ქვეტიპი) აქ უდრის მხოლოდ 9 პროც.-ს. II ქვეტიპი. ეს თვალდახუჭულ მდგომარეობაში მტკიცე პირველი ფაზა, თვალხილულად კი მტკიცე უსასრულო პირველი და მეორე ფაზა ტოლობის ტენდენციის გამორიცხვით, უდრის 8 პროც.-ს. ამრიგად, დამახასიათებლად რჩება, ერთის მხრივ, ტლანქი ლოკალური და ტლანქი ირადირებულის I ქვეტიპი (27 პროც.) და, მეორეს მხრივ, პლასტიკური ირადირებული I და II ქვეტიპები (48 პროც.). ამ ტიპების თავისებურება ჩვენთვის უკვე გამოჩვენებულია:

1) ერთ შემთხვევაში (ტლანქი ლოკალური) იქმნება მტკიცე გან-

წყობა, მაგრამ თვალზე გავრცელების დროს არ ქრება. ან გადასვლის უმაღლეს მიექანება გაქრობისაკენ. 2) იქმნება უსასრულო რხევა კონტრასტულ. ასიმილაციურ და ტოლობის ტენდენციებს შორის. ამავე დროს ხასიათდება თვალზე გავრცელების სუსტი ტენდენციით, რომელიც შემდეგ ქრება (პლ. ირად. 1 ქვეტ.), 3) ჩნდება მტკიცე მეორე ფაზა ტოლობის მოქმედების გარეშე, თავს იჩენს მძლავრი კონფლიქტები. თვალზე გავრცელების დროს ეს კონფლიქტები უფრო ძლიერდება (პლ. ირ. 11 ქვეტ.), აქ ჩვენ ყველგან ვაშჩხვით განწყობის ტიპების ერთ ძირითად ნათესაობას. მოწინააღმდეგე განწყობათა შორის რხევას. რხევის თვალზე გავრცელების დროს უფრო გაძლიერებას, ან. პირიქით, თანდათანობით შესუსტებას და სიტუაციის მიმართ აღქვავატურ რეაქციას.

შეესიტყვისება თუ არ ასეთი განწყობა ციკლომიკების ქცევას? ჩვენი ცდის ობიექტების ქცევაზე დაკვირვების მასალა, რომელიც მთლიანად ეთანხმება ციკლოტიმიკების შესახებ არსებულ მოსაზრებებს, ნათლად ადასტურებს მათ გარკვეულ შესატყვისობას.

ციკლოტიმიკისათვის ხომ დამახასიათებელია დიატეტიური პროპორცია, რომელიც შედგენდება ჰიპერმანიაკალურ და დეპრესიულ განწყობილების თანაარსებობაში და ურთიერთ შეწყობაში; აღზნებული ქარბი აფექტების ბატონობის მდგომარეობიდან დეპრესიულში გადასვლა, რომლებიც შეიძლება მოკლე დროის ხარვეზებში სცვლიდნენ ურთიერთს. მაგ: შესაძლოა, ერთ შემთხვევაში თანაბრად მომქმედი განწყობილება განმტკიცდეს, აღზნებული ან დეპრესიული მდგომარეობის დროს ჩამოყალიბდეს აწეული ბიოტენსით, ფსიქომოტორულად აღზნებული, ჰიპერმანიაკალური ან, პირიქით, დეპრესიული, დაწეული ბიოტენსით, ფსიქომოტორულად შეფერხებული პიროვნება. მიუხედავად განწყობილების ასეთი ცვლილებებისა, ყველგან ძირითადში საქმე გვაქვს ექსტრავერტულ სოციალურ განწყობილებასთან. სუბიექტს აქვს რეალობასთან კონტაქტი, იგი სოციალურია. ციკლოტიმიური ბავშვები, ჩვენი მასალის მიხედვით. უფრო ჰიპერექსტრავერტული არიან, რაც იწვევს გარემოსთან მძლავრ კონფლიქტებს. ქცევის აღნიშნულ თავისებურებებს საფუძვლად უდევს სავსებით შესატყვისი განწყობა, რომელიც ჩვენ ვნახეთ განწყობის მოქმედებაში. დიატეტიური პროპორციის შესატყვისად გამოყოფილად გვეძლევა კონფლიქტებით, მოწინააღმდეგე განწყობათა შორის მძლავრი რხევით აღსავსე განწყობის ტიპები. ციკლოტიმიკების ექსტრავერტობა განწყობაში აღქვავატური აღქმის ტენდენციის ბატონობაში ვლინდება განსაკუთრებით მაშინ. როცა სიტუაცია ცხელს უწყობს ასეთ აღქმას. ამრიგად, ცვალებად განწყობილების ექსტრავერტულ ციკლოტიმიკებს ახასიათებთ სხვადასხვა განწყობის ტენდენციათა შორის მერყეობა, რეალობის გაუგებრობა, მაგრამ ამავე დროს ამ რეალობასთან მტკიცე კონტაქტის დამყარებისაკენ ღრმად, რომელიც თავს იჩენს აღქვავატური აღქმის ტენდენციაში (თვალზე გავრცელების დროს).

ჩვენი მასალების მიხედვით, ერთი საინტერესო ფაქტიც დასტურდება, რეაქტიულად ლაბირილების და ციკლოტიმიკების განწყობის ტიპები თითქოს ერთმანეთს ემთხვევიან, ორივე

შემთხვევაში გაბატონებულ ტიპად ითვლება ჰაპტურ სფერო-ში პლასტიკური მტკიცე ტიპი (ციკლოტიმიკი—54 პროც. რეაქტ. ლაბ. 44 პროც.). თვალსილუღად ორივესთან ბატონობენ ნულეული და პლასტიკო-დინამიკური ტიპები. განსხვავება მხოლოდ შემდეგშია: — რეაქტიულად ლაბირილების შემთხვევაში განწყობის ტიპების მეტ სიკრულესთან გვაქვს საქმე. აქ უფრო ქარბადაა მოცემული, ერთის მხრივ, პლასტიკური (სუსტი) ტიპი (ციკლოტიმიკები —15 პროც. რეაქტ. ლაბილ. 38 პროც.) და, მეორეს მხრივ, თვალზე გავრცელების დროს პლასტიკური მტკიცე ტიპი. (ციკლოტ. 27 პროც., რეაქტ. ლაბ. 41 პროც.). ეს ადასტურებს იმას, რომ რეაქტიულად ლაბილურობის შემთხვევაში განწყობის მოწინააღმდეგე ტენდენციათა შორის შედარებით ქარბ რხევასთან, ცვალებადობასთან გვაქვს საქმე.

ამას უფრო ხაზს უსვამს ცხრილი № 11. კონტრასტულ, ასიმეტრულ განწყობის და ტოლობის დადასტურების ტენდენციათა შორის რხევის მაჩვენებელი პლასტიკო-ირადირებული განწყობის 1-ლი ქვეტიპი უდრის 38 პროც-ს (ციკლოტ. 16 პროც.). პლასტიკო-ლოკალური ტიპი თავს იჩენს შედარებით მეტი რაოდენობით (11 პროც.), ნულეული ციკლოტიმიკებში უდრის 2 პროც-ს. რეაქტიულად ლაბილურებში 7 პროც-ს. მაგრამ, მიუხედავად ასეთი ფაქტებისა, განწყობის ტიპიურობის თვალსაზრისით. ძირითადად არ განსხვავდება ციკლოტიმიკურ მდგომარეობისაგან. აქ არაა ისეთი განსხვავება, როგორც არსებობს შიზოტიმიკებსა და ციკლოტიმიკებს ან ეპილუბტიმიკებს შორის. რეაქტიულად ლაბილური განწყობის ილუზიის ტიპები ემთხვევა ციკლოტიმიკურს, მხოლოდ აქ ზოგიერთი ციკლოტიმიკური თვისებების გამახვილებასთან, გამწვავებასთან გვაქვს საქმე. ჩვენი მასალების მიხედვით, რეაქტიულად ლაბილური განწყობის ტიპებს უფრო ლაბილურს, მერყევს, მრავალსახოვანს ქმნის ის ვარემოება, რომ ბავშვთა დიდ უმრავლესობას ახასიათებს ქარბი ნერვიული აღმზრდელობა, ისტერიული რეაქციები და სხვა ფაქტორებით გართულებული ფუნქციონალური გადახრები ნერვიულ სისტემაში. მიუხედავად ამისა, რეაქტიულად ლაბილურებს არ ახასიათებთ ციკლოტიმიკებისაგან ძირითადად განსხვავებული განწყობის ილუზია. რეაქტიულად ლაბილური განწყობა იგივე ციკლოტიმიკური განწყობაა. თუ განწყობას ჩათვლით ისეთ ცენტრალურ ფაქტორად, რომელიც განსაზღვრავს ქცევას. მაშინ, ჩვენი მასალის მიხედვით, გამოდის, რომ დამოუკიდებელი რეაქტიულად ლაბილურის ტიპი არ არსებობს. ამ მიმართულებით წარმოებულ კვლევა უნდა დაეხმაროს რეაქტიულად ლაბილური ხასიათის სხვა ტიპებთან დამოკიდებულების პრობლემის გადაჭრას. ზოგიერთი ავტორიტეტული მკვლევარი (გურევიჩი, სუხარევა) მას აერთებენ ისტერიულ ფსიქოპათიასთან. მანუშკინი მას უწოდებს ემოციონალურად ლაბილურებს. ბლეილერი მას სავსებით არ ახსენებს, ე. ი. ვერ ამჩნევს მის დამოუკიდებელ არსებობას. მრავალნი აღნიშნავენ მისი ციკლოტიმიკებთან ნათესაობას.

სავსებით თავისებურ სურათს გვაძლევს ეპილუბტიმიკ ბავშვთა განწყობის ტიპები. აქ, მსგავსად შიზოტიმიკებისა,

გარკვევით ყალიბდება ეპილეპტოიდური განწყობის ტიპები (ცხრ. № 9). ეპილეპტოიდების 91 პროც. გვაძლევს უსასრულო განწყობის ტიპს. აქ თითქოს, ერთის შეხედვით, შიზოტიმიკებისაგან განსხვავება უმნიშვნელოა, მაგრამ ილუზიის თვალზე გავრცელების შემთხვევაში ეს განსხვავება ნათელი ხდება, მაგ: 63 პროც. გვაძლევს ნულეულსა და პლასტიკო-დინამიკურ ტიპს (ცხრ. № 10). ამრიგად, ეპილეპტოიდებისათვის დამახასიათებელია განწყობის შექმნისადმი ქარბი ექსტრავერტობა. მტკიცე განწყობის გამოუმუშავება. ამავე დროს განწყობის თვალზე ირადიაციის შეუძლებლობა განწყობის ლოკლობა.

ზემოთ აღწერილი სურათი ნათლად მოჩანს (ცხრ. № 11 ში). ბავშვთა 56 პროც. გვაძლევს ტლანქ ლოკალურ ტიპს, ე. ი. იქმნება მტკიცე კონტრასტული ილუზიის განწყობა და თვალზე გავრცელების ცდების დროს მაშინვე აღიკვეთება. პლასტიკო-ლოკალური ტიპი უდრის 7 პროც.-ს. აქ საქმე გვაქვს მოწინააღმდეგე ტენდენციებით აღსავსე განწყობის ილუზიის შექმნასთან და თვალზე გავრცელების ცდის დროს მის სწრაფ აღკვეთასთან. ეს უკანასკნელი ტიპი შეიძლება ჩაითვალოს ტლანქი ლოკალური ტიპის მონათესავედ. თუ ამ ორ მონათესავე ტიპის მაჩვენებელს შევადარებთ, მაშინ გამოდის, რომ ეპილეპტოიდების 63 პროც.-ს ექმნება მეტად მტკიცე განწყობა, მხოლოდ ეს განწყობა არ ვრცელდება თვალზე. განწყობის ასეთი ტიპები შიზოტიმიკებში გვხვდება 2 %-ი, ციკლოტიმიკებში 20 %-ი, რეაქ. ლაბილურებში 15 %-ი. აქ განსხვავება აშკარაა.

ცდის პირველ სერიაში ეპილოპტოიდების და შიზოტიმიკის განწყობის ტიპებს შორის თითქოს განსხვავება არაა (ცხრ. № 9); უსასრულო კონტრასტულ ილუზიას გვაძლევს შიზოტიმიკების 67 პროც. ეპილეპტოიდებში კი 91 პროც. თითქოს ორივესათვის ეს ტიპიურია, მაგრამ მათ შორის განსხვავებას ამყარებენ განწყობის ირადიაციის მაჩვენებლები. შიზოტიმიკებიდან მხოლოდ 7-8 პროც. არ ექვემდებარება ილუზიის თვალზე გავრცელებას. როცა ეპილეპტოიდებში ასეთი მდგომარეობა ახასიათებს ბავშვთა 63 პროც.-ს (ცხრ. № 10). ამრიგად, ეპილეპტოიდებისათვის დამახასიათებელია: განწყობის ტლანქი ტიპი (ცხრ. № 9), თვალზე გავრცელების დროს კი ნულეული და პლასტიკო-დინამიკური ტიპი (ცხრ. № 10). მთლიანი ირადიაციის მიხედვით კი ტლანქი ლოკალური ტიპი (ცხრ. № 11). ყველა ეს ტიპი გვეუბნება, რომ სუბიექტში ადვილად იქმნება არსებულის მოწინააღმდეგე განწყობა. შექმნილი განწყობა, კონფლიქტებით ან კონფლიქტების გარეშე, ერთი მიმართულებით დიდხანს იპყრობს პიროვნებას; მისგან თავის დაღწევა ხერხდება მხოლოდ სიტუაციის უკიდურესად გათვალსაჩინოების შემთხვევაში.

განწყობის ასეთი ტიპი ეთანხმება ეპილეპტოიდის ქცევის თავისებურებას¹⁾. ეპილეპტოიდის დამახასიათებელია ქარბი აფექტები, აფექტების გამოწვევის სიაღვილე. ქცევის ყველა ფორმების ასეთი

¹⁾ იხ. ბჟალავა—ეპილეფსიით დაავადებულთა განწყობა 1937 წ.

აფექტით განსაზღვრულობა. გულჩათხრობილობა, წყენის ხანგრძლივი დამახსოვრება. აგრესიული დამოკიდებულება გარემოსადმი. განწყობილებას ცვალებადობა: მხიარულ, ბოროტად აღგზნებულ მდგომარეობიდან, სევდიან. მოდუნებულად გალიხიანებულ განწყობილებაში გადასვლა. მეტად ჭარბი აფექტური აღგზნებადობის. უკიდურესად თავშეკავებულ. გაუმეებელი მდგომარეობით შეცვლა. აფექტში ხანგრძლივად დარჩენის შემდეგ ბოლოს მისგან განტვირთვის ტენდენციის მატონობა. საკუთარი ვიწრო ინტერესებით განსაზღვრულობა. გარემოსადმი აგრესიული დამოკიდებულება, მაგრამ მასთან მუდმივად კონფლიქტში ყოფნა, ამ მხრივ—თავისებური ექსტრავერტობა.

ასეთი ქცევის ფორმების გამოვლენა შესაძლებელია მართლაც მხოლოდ ისეთი განწყობის საფუძველზე, რომელიც მელანქოლიკური განწყობის პლასტიკო-ლოკალურ და ტლანქი ლოკალური განწყობის ტიპებში, რომელთა თავისებურების შესახებ ჩვენ უკვე გვექონდა ლაპარაკი.

ახლა ვიკითხოთ, როგორია ქარაქტეროლოგიური ტიპების განწყობის განვითარება?

როგორც ჩვენი მასალებიდან ჩანს, ასაკის ცვლასთან ერთად განწყობის ტიპების ცვლილება უმნიშვნელოა. ყველგან. ყველა ასაკში, ტიპიური მაინც ზემოთ აღწერილ ქარაქტეროლოგიურ ტიპებთან შესაბამისი განწყობის ტიპები რჩებიან. მხოლოდ მათთვის დამახასიათებელია თავისივე ტიპის ფარგლებში თავისებური გადაჯგუფება; მაგ. შიზოტიმიკების შემთხვევაში თანდათანობით სუსტდება განწყობაში კონფლიქტების გარეშე უსასრულოდ დარჩენის ტენდენცია. ამ ტლანქი ირადირებული განწყობის III ქვეტიპი 8-9 წელში თუ 58 პროც-ია, 14-15 წელში დადის 35 პროც-მდე, ამის ნაცვლად იზრდება პლასტიკო-ირადირებულის III ქვეტიპი და ტლანქი ირადირებულის I-ლი ქვეტიპი. ამრიგად, მოზარდობის ასაკში, რომელიც განვითარებაში მწვავე კონფლიქტებით ხასიათდება, უსასრულო განწყობა ისევ გაბატონებულ ტენდენციად რჩება, მაგრამ განწყობის მოწინააღმდეგე ტენდენციათა შორის კონფლიქტები რთულდება, ამის მაჩვენებელია აღნიშნული განწყობის ტიპიც. ამ ასაკში ბავშვებში ადვილად მუშავდება განწყობა, მაგრამ ის ექვემდებარება ჭარბ რხევას, რომელიც შემდეგ მტკიცდება და უსასრულო სტაბილურ მდგომარეობაში გადადის. ამრიგად. კრიზისების პერიოდში შიზოტიმიურ განწყობაში იჭრება კონფლიქტების მატარებელი განწყობა. ასეთი კრიზისები თავს იჩენენ 12-13 წლიდან.

ციკლოტიმიურ ბავშვების განწყობა ასაკის ზრდასთან ერთად უფრო ინტრავერტული ხდება. ერთის მხრივ. თითქოს სწარმოებს მათი შიზოტიმიზაცია, მეორეს მხრივ. კი—განწყობის მოქმედების მწვავე კონფლიქტებში დასრულება მაგ. პლასტიკო-ირადირებული და პლასტიკო-ლოკალური ტიპი 8-9 წელში უდრის 60 პროც., 14-15 წელში კი—47 პროც. მატულობს ტლანქი ლოკალური და ტლანქი ირადირებულის III ქვეტიპი, რაც ნიშნავს იმას, რომ ბავშვებში იზრდება ინტრავერტული. კონფლიქტებით აღსავსე განწყობა. ამრიგად, ნეგატიურ ფრაზაში საერთო დეპრესიის, კრი-

ზისების პერიოდში. ციკლოტიმიკის განწყობაც აღნიშნული ქცევის შესატყვისი ხდება, მაგრამ ის ამით საკუთარ ძირითად ტიპურ სახეს არ კარგავს.

ეპილეპტიოდის განწყობა ასაკის ზრდასთან ერთად თანდათან უფრო ჩამოყალიბებული ხდება, თუ ტლანქი ლოკალური განწყობის ტიპი 8-9 წელში 50 პროცენტია, 14-15 წელში ის აღწევს 67 პროც., კრიზისების პერიოდში ჩნდება ეპილეპტიოდისათვის დამახასიათებელი კონფლიქტების მატარებელი პლასტიკო-ლოკალური განწყობა. საერთოდ ასაკის ზრდასთან ერთად ეპილეპტიოდებში მცირდება ილუზიისადმი უსასრულო დაქვემდებარების ტენდენცია, სუსტდება ირადიაცია, ტლანქი ლოკალური განწყობა, და, საერთოდ, განწყობის ლოკლობა უფრო გამოკვეთილი ხდება ისე, რომ 14-15 წელში ბავშვთა 100 პროც. თვალთა მდგომარეობაში გვაძლევს ადექვატურ აღქმას.

ამრიგად, ეპილეპტიოდების ილუზიის განწყობის ტიპი კრიზისების პერიოდში სავსებით გამოკვეთილად გვეძლევა.

ამრიგად, როგორც დავინახეთ ჩვენი მასალის საფუძველზე, ნათლად გამოიკვეთა კონფლიქტის მატარებელ ბავშვების განწყობის სამი თავისებური ძირითადი ტიპი, ამ ტიპებს პირობით შეიძლება ვუწოდოთ: 1) შიზოტიმიური, 2) ციკლოტიმიური, 3) ეპილეპტიოიდური. ამ ბავშვების ქცევის თავისებურებას განსაზღვრავენ ასეთი განწყობის ტიპები.

შიზოტიმიური განწყობის ტიპი შეესატყვისება ტლანქი ირადირებული განწყობის ტიპს.

ციკლოტიმიურია ყველა ტიპი, რომელთაც კი ახასიათებთ მოწინააღმდეგე ტენდენციათა შორის ბრძოლა, კონფლიქტები და ადექვატურ აღქმისაკენ ლტოლვა, როგორცაა ნაწილობრივ პლასტიკო-ლოკალური განსაკუთრებით კი პლასტიკო-ირადირებულ ტიპები. რეაქტიურად ლაბილურის შემთხვევაში გვხვდება იგივე ტიპები. განსხვავება მხოლოდ მათი ქარბ ლაბილობაში მდგომარეობს.

ეპილეპტიოიდური განწყობა კი მთლიანად ტლანქი ლოკალურია და ნაწილობრივ პლასტიკო-ლოკალური განწყობაა. განწყობის აღნიშნული ტიპები განსაზღვრავენ კონფლიქტის მატარებელ სუბიექტთა ქცევაში განსხვავებულებას.

VI. განწყობის ტიპების კონსტანტობის პრობლემა. დასკვნები.
ჩვენთვის საინტერესოა შემდეგი პრობლემის გადაჭრა: თუ კი ბავშვთა კონფლიქტებს მთლიანი პიროვნების მორტიფიკაცია — განწყობა განსაზღვრავს და ეს კონფლიქტები გამოწვეულია განწყობის ცვლილებებით, რა დაემართება განწყობის ტიპს, თუ კი სპეციალური მედიკო-პედაგოგიური ზეგავლენით სუბიექტი სავსებით განიკურნება, დაუბრუნდება ნორმალურ მდგომარეობას? ამ პრობლემის გადაჭრისათვის ჩვენ მთელი წლის განმავლობაში ბავშვთა გარკვეულ რაოდენობის მიმართ (143 ბავშვი 12-16 წლამდე) მივიღეთ სპეციალური ღონისძიებები. ბავშვების მშობლებს, პედაგოგებს გაეწიათ სათანადო კონსულტაცია ბავშვის აღზრდის საკითხზე. ჩატარდა ბავშვებზე, საჭიროების მიხედვით, სპეციალური მკურნალობა, ადენოიდების, პოლიპების ოპე-

რაცია. პრაზიტების განდევნა და სხვა. ბავშვები სამკურნალოდ მიმავრებულ იქნენ სანგიგეინურ, სამალარიო, ფსიქონერვოლოგიურ ინსტიტუტებში. რაც მთავარია, მიღებულ იქნა ზომები სკოლის აღმზრდელობრივი ზეგავლენის შესაძლებლობის ფარგლებში გაუმჯობესებისათვის. ერთი წლის შემდეგ შედგენილ იქნა ამ ბავშვებზე პედაგოგიური დახასიათებები. ამ დახასიათებების ანალიზის შემდეგ გამოიჩინა, რომ ბავშვთა საერთო რაოდენობიდან 93-მა განიცადა სრული გაუმჯობესება. ბავშვებში ძირითადად აღიკვეთა კონფლიქტები. ამ ბავშვებზე ჩატარდა განმეორებითი განწყობის ცდები იმავე სახით. როგორც ეს პირველად ჩავატარეთ. აქაც საგანწყობო ცდები ორ ექსპოზიციას არ აღემატებოდა.

ჩვენ გავაანალიზეთ უკვე გამოსწორებული და ჭერ ისევ კონფლიქტების მატარებელი ბავშვების განწყობის ტიპები ცალცალკე. უკვე გამოსწორებულ ბავშვებში გაჩნდა განწყობის საესეებით ახალი ტიპები, რომელიც მათ არ ახასიათებთ მაშინ, როცა ისინი მძიმე კონფლიქტში იმყოფებოდნენ. ჩამოვთვალოთ აქ ძირითადი ტიპები, რომელნიც დამახასიათებელია ამ ბავშვებისათვის. ასეთებია: I ნულეული, II ტლანქი დინამიკური, III პლასტიკო-დინამიკური, IV პლასტიკო-ირადირებული, V ტლანქი-ირადირებული.

განვიხილოთ ამ ტიპების პროცენტული განაწილება ცხრ. №12.

ტიპები	ნულეული	ტლანქი დინამიკური.	პლასტიკო დინამიკური.	პლასტიკო ირადირებული		ტლანქი ირადირებული	
				I	II	I	II
	2	30	39	9	9	8	3

გამოსწორებულ ბავშვთა განწყობის ილუზიის ტიპების ანალიზი ადასტურებს. რომ ეს ტიპები დაუახლოვდნენ ნორმალურ ბავშვთა განწყობის ტიპებს. თუ შევადარებთ ურთიერთ ჩვენს მიერ დადასტურებულ ნორმალურ ბავშვებში განწყობის ტიპებს და გამოსწორებულ ბავშვთა ამავე ტიპებს, დავინახავთ თითქმის იგივეობას, ორივე შემთხვევაში 11-12 წლის ასაკის შემდეგ ტიპების დამახასიათებელია თავიდანვე კონტრასტული ილუზიის წარმოშობა და შემდეგ ობიექტური აღქმის ტენდენციის ბატონობა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია პლასტიკო-დინამიკური და ტლანქი დინამიკური ტიპები. მათთვის დამახასიათებელია განწყობის სრული ადექვატური აღქმისაყენ გადასვლის ტენდენცია. ასეთი ტენდენციის მატარებელი ტიპები ნორმალური ბავშვების განწყობის ტიპებია. როგორც ჩვენი გამოკვლევიდან დასტურდება (ცხრ. № 7) ნორმალურ ბავშვთა დიდი უმრავლესობა 12 წლის შემდეგ გვაძლევს სწორედ ტენდენციის მატარებელ ტიპებს.

ახლა დაუყვირდეთ ცხრ. № 12-ს. ეს ცხრილი ნათლად ადასტურებს შემდეგ გარემოებას: გამოსწორებულ ბავშვთა 30 პროც. იძ-

ლევა ტლანქი-დინამიკური განწყობის ტიპს, ე. ი. ისეთ მდგომარეობას, როცა კონსტრასტული განწყობა პირდაპირ, რხევის გარეშე გადადის ტროლობაში, 39 პროც. გვაძლევს პლასტიკო-დინამიკურს. აქაც მოწინააღმდეგე განწყობის ტენდენციათა შორის ბრძოლა სრულდება ადექვატური აღქმით. თუ ამ მხრივ ორივე მონათესავე ტიპებს შევადარებთ, მაშინ მივიღებთ, რომ გამოსწორებულ ბავშვთა 69 პროცს-ს ორი საგანწყობო ექსპოზიციის შემდეგ უმეტადად განწყობა, მაგრამ ეს განწყობა იმდენად მტკიცე არაა, რომ შეუძლებელი გახდეს მისი დარღვევა. შემუშავებული განწყობის ნაკლები სიმტკიცის გამო ბავშვი თავს აღწევს მას და ასერხებს სინამდვილის ობიექტურ აღქმას.

თუ გავიხსენებთ იმას, რომ ამ ბავშვთა 100 პროც. მძიმე კონფლიქტების შემთხვევაში გვაძლევდა სტატური განწყობის ისეთ ტიპებს. სადაც ობიექტური აღქმის ტენდენცია სავსებით აღკვეთილი იყო, მაშინ აუცილებელია, ვთქვათ. რომ ბავშვის ქცევის ცვლილებებთან ერთად შეიცვალა განწყობის ტიპიც.

ჩვენ გავანალიზებთ აგრეთვე იმ ბავშვთა განწყობის ტიპები, რომელნიც მედიკო-პედაგოგიური ზეგავლენით ჯერ კიდევ ვერ გამოსწორდნენ. 53 ბავშვიდან, რომელნიც ისევ კონფლიქტში იმყოფებიან გარემოსთან, მხოლოდ 14-ს შეეცვალა რადიკალურად განწყობის ტიპი. ამ 14-დან 11 ციკლოტიმიკები, რეაქტიურად ლაბილურები. ისტერიული რეაქციის ბავშვები არიან, რადგანაც, როგორც ჩვენი ისე სხვების გამოკვლევებიდან დასტურდება, რომ ასეთი რეაქციის მატარებელი სუბიექტები ხშირად იცვლიან განწყობას, ამის გამო ეს ზემოთ დადასტურებულ დებულებებს სავსებით ვერ სცვლის. დანარჩენი 39 ყველა ტიპის რეაქციის ბავშვები ძირითადად იძლევიან პლასტიკო-ირადირებულ, ტლანქ-ლოკალურ და ტლანქ-ირადირებულ განწყობის ტიპებს. ე. ი. აქ განწყობის ილუზიის რადიკალურ ცვლილებებთან არა გვაქვს საქმე. აქაც, ამ შედეგების საფუძველზე, უნდა დავასკვნათ, რომ ბავშვებს, რომელნიც ისევ ძველ მდგომარეობაში დარჩნენ, ე. ი. ისევ კონფლიქტების მატარებელნი არიან, შერჩათ იგივე განწყობის ტიპები. რაც მათთვის დამახასიათებელი იყო პირველი შემოწმების დროს. არ შეიცვალა ბავშვის ქცევის ტიპი, არ შეიცვალა განწყობის ტიპიც. რადგანაც ჩვენს მიერ სასელმძღვანელოდ მიღებული კონცეპციის მიხედვით განწყობა ის ცენტრალური ფაქტორია, რომელიც განსაზღვრავს ქცევას. აქედან გამომდინარეობს დებულება, რომ ყველა ამ შემთხვევაში ცვლილებები ბავშვის ქცევაში, უწინარეს ყოვლისა, განწყობაში ცვლილებითაა გამოწვეული. ამრიგად, აქ დასტურდება ის გარემოებაც, რომ ბავშვთა კონფლიქტების შემთხვევაში, ამ კონფლიქტების ფატალურ-ბიოლოგიურ ფაქტორით განსაზღვრულობასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ „გარკვეული კრიტიკული გამოცდილების“ ზეგავლენით განვითარების პროცესში ჩამოყალიბებულ განწყობის ცვლილებებთან. სათანადო პედაგოგიური ზემოქმედების შედეგად შესაძლო ხდება განწყობის ხელახალი, ნორმალური მიმართულებით მორიფიკაცია, რითაც, როგორც სუბიექტში, ისე სუბიექტსა და გარემოს შორის, მწვავე კონფლიქტები ისაობა.

ჩვენი გამოკვლევების შედეგები შესაძლებლობას გვაძლევს, გარკვეული შეხედულება ვიქონიოთ კონფლიქტების მატარებელ ბავშვების ტიპების კვლევის პრინციპების შესახებ. ჩვენ, შესაძლებლობის ფარგლებში, გვაანალიზოთ ყველა აქამდე არსებული ტიპოლოგია. ამ ანალიზის საფუძველზე ჩვენთვის გამოირკვა, რომ მკვლევარები ტიპის დახასიათების დროს იძლევიან არა მთლიან ტიპებს დასაიათებას, არამედ მხოლოდ ფენომენებს, აქტებს. საუკეთესო შემთხვევაში, მთლიან ტიპებს ეძებენ ამ აქტებს შორის კავშირების დაყარების გზით. ქცევის ფენომენების წარმომშობი ფაქტორი დაყავთ ისეთ ფაქტორამდე, რომელიც თვითონ პიროვნებაში ერთერთი სიმპტომია მის მრავალ სიმპტომთა შორის. ამ შეხედულებებს ჩვენ დაეუპირისპირეთ კონფლიქტის მატარებელ ბავშვების განწყობის კვლევის იდეა. ამისათვის ჩვენ მოვიმარჯვეთ განწყობის ტიპების ექსპერიმენტალური კვლევის მეთოდი. ჩვენ სხვა გამოკვლევებიდან ვიცით, რომ მოცულობის ილუზიაში ყველაზე გამოკვეთილად მოჩანს განწყობის მოქმედება. ამისათვის კონფლიქტის მატარებელ ბავშვთა განწყობის ტიპების კვლევის პირველ დასაწყისის ფაზად მივიჩნით ამ ფენომენების წიხვდვით ბავშვთა ტიპოლოგია. თუ აღმოჩნდებოდა, რომ მართლაც კონფლიქტების მატარებელ ბავშვებს ახასიათებთ თავისებური განწყობის ტიპები. ეს ტიპები შეესატყვისებიან ქცევის ტიპებს, ე. ი. თუ დადასტურდებოდა განწყობის ტიპებსა და ქცევას შორის ფსიქოლოგიური შესატყვისობა, მაშინ შეგვეძლო სათანადო დასკვნების გამოტანა. მართლაც კვლევის შედეგები ნათლად ადასტურებენ იმას, რომ გარკვეული ქცევის ბავშვებს გარკვეული განწყობის ტიპები შეესაბამებათ. ჩვენი მასალის მიხედვით კონფლიქტის მატარებელ ბავშვთა ქცევის ტიპები დაიყო ოთხ ძირითად ჯგუფად რომელნიც დაემსგავსნენ თანამედროვე პათოლოგიურ ფსიქოლოგიაში ყველაზე ცნობილ ქარაქტეროლოგიურ ტიპებს: შიზოტიმიურს, ციკლოტიმიურს, რეაქტიურად ლაბილურს და ეპილეპტოიდურს. ამ ტიპების სახელწოდება ჩვენთვის მხოლოდ პირობითი ტერმინებია გარკვეული ქცევის ფენომენების მატარებელი სუბიექტებისა. ისინი ატარებენ იმ შინაარსს განსაკუთრებით ეტილოგიისა და პათოგენეზის მიხედვით, რასაც კონსტიტუციონალური თეორიის ავტორები მათში გულისხმობდნენ; კონფლიქტების მატარებელ ბავშვების ქცევის კვლევა, ტიპების დაჯგუფება, თანდათანობით დაუახლოვდა მთლიანი ტიპების დადგენის იდეას. ამ იდეამ თავისი გამოხატულება ჰპოვა აღნიშნული ქცევის სახეების დადასტურებაში. ჩვენი ბავშვებიც ძირითადში ამჟღავნებენ ქცევის ამავე სახეებს, მაგრამ ფენომენების კრებული ჭერ კიდევ არ ადასტურებს, რომ ჩვენ აქ გარკვეულ ტიპთან გვაქვს საქმე. ტიპის დადასტურებისათვის საჭირო იყო იმ მთლიანი ფაქტორის მოძებნა. რომელიც განსაზღვრავს ამ ქცევის აქტების ასეთი კანონზომიერებით მოვლენას. ეს ფაქტორი—ჩვენი გამოკვლევის მიხედვით—არის განწყობა. ბავშვთა კონფლიქტების განმსაზღვრელია პლასტიკო-ირადირებელი. ტლანქი-ირადირებული და ტლანქი-ლოკალური განწყობის ტიპები.

ყველა ზემოთ მოთხრობილი მაგალითი ნათლად ადასტუ-

რებს, რომ ქცევას განსაზღვრავს მათი შესატყვისი ცენტრალური ხასიათის მოდიფიკაცია. როგორც დავინახეთ, გარკვეული ხასიათის ცდების საშუალებით შესაძლო ხდება ასეთი ცენტრალური ხასიათის ცვლილებების დიფერენციალური შესწავლა — ტიპოლოგია. ასეთი ტიპოლოგია საშუალებას გვაძლევს, ვწვდეთ სუბიექტის ქცევის განმსაზღვრელ ცენტრალურ ფაქტორებს. ჩვენ აქ ვიძლევიტ მხოლოდ კონფლიქტების მატარებელ ბავშვების განწყობის ტიპოლოგიისათვის საორიენტაციო ხაზს. ასეთი ბავშვების განწყობის ტიპების საბოლოო დადგენისათვის საჭირო იქნება განსაკუთრებით ინტენსიური ხასიათის კვლევა. როგორცაა, ერთდამავე სუბიექტში განწყობის დინამიკა. სიტუაციის როლი განწყობის შექმნაში, განწყობის სტაბილობა, განწყობის გამომუშავებისათვის აღზნებადობის ზღრუბლის მონახვა და მრავალი ისეთი პრობლემის გადაჭრა, რომლებიც დაკავშირებულნი არიან განწყობის ბუნების ყოველმხრივ გაცნობიერებასთან.

გამოცდილების გავლენა აღქმაზე

(გამოცდილების ფსიქოლოგიისათვის)

§ 1. შესავალი

ცნობილია, რომ ყოველი აღქმა თავის წარმოშობისათვის გარკვეული გამლიზიანებლის ზემოქმედებას გულისხმობს. მაგრამ ისიც ცნობილია, რომ მისი შინაარსი არ განისაზღვრება მხოლოდ იმით, რასაც ამ გამლიზიანებლის სახით ნამდვილად უნდა განვიცდიდეთ: აღქმას ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე თვითონ აღქმელ სუბიექტსაც. ყოველდღიური და მეცნიერული დაკვირვება მუდამ გვარწმუნებს ამაში: შემცდარად დაწერილი სიტყვის სწორად წაითხვა, საგანთა ცნობის ფაქტი, ილუზიების ფენომენი აღქმაში და სხვა მრავალი სწორედ ამის მაჩვენებელია. ერთი სიტყვით აღქმის სუბიექტის მხრივაც განსაზღვრულობის აზრი დღეს საყოველთაოდ აღიარებულია და არ არსებობს ისეთი ფსიქოლოგი, არც ძველთაგან და არც ახლებიდან, რომელიც მას უარყოფს. ამ უამად სადავო შეიძლება იყოს მხოლოდ ის, თუ როგორ უნდა გვესმოდეს სუბიექტის როლი, რა უნდა ვიგულისხმოთ „სუბიექტის მხრივ განსაზღვრულობაში“.

ვფიქრობთ, გამოცდილების აღქმაზე გავლენის საკითხიც სწორედ ამ პრობლემას უკავშირდება. მაგრამ ჩვენს მიზანს არ შეადგენს ამ საკითხის განხილვა შემეცნების თეორიის თვალსაზრისით. ჩვენ წინასწარ ვიღებთ სუბიექტის გამოცდილებას როგორც ფაქტს, რომელიც არსებობს და „ობიექტურად გვეძლევა“, — რომელიც გარემოს ზეგავლენით „წარმონაქმია“, ობიექტური ვითარებით პირობადებული, მაშასადამე, მეორადი¹ და ამის შემდეგ ვაყენებთ საკითხს: რა გზებით მუშავდება იგი სუბიექტში და როგორია მისი გავლენა აღქმაზე? ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ გამლიზიანებლის ზემოქმედება მექანიკურად იწვევს წარსულის შთაბეჭდილებებს, ე. ი. მოცემულ ობიექტურ შინაარსს უკვე შემუშავებულ და მრავალის გზით განმეორებულ ასოციაციურ კომპლექსებად შლის, — თუ, პირიქით, არსებობს რაღაც პიროვნული ფაქტორიც. სუბიექტის მხრივ აქტივობაც, რომელიც ამ ზეგავლენას განსაზღვრავს.

ძველს ფსიქოლოგიაში აღნიშნული საკითხის გადაჭრას. მრავალი თეორია იძლევა. მათ შორის ყველაზე უფრო ტიპიურია აპერცეპციის თეორია ჰერბარტისა, ცეჰენის კონსტელაციის თეორია და ასიმილაციის თეორია ვუნდტისა.

ჩვენ აქ არ გვჭირდება თითოეული მათგანის სპეციალურად განხილვა. ყველა ისინი პრინციპში ასოციაციური თეორიებია და. მაშასადამე, ის, რაც გამოცდილებას აგებს და მისი მოქმედების მექანიზმს შეადგენს მათი აზრით ელემენტარული განცდების ასოციაციაა, — ასოციაცია, რომელიც ამ განცდათა მექანიკური, თანმიმდევარი ან ერთდროული განმეორების სიხშირით იქმნება.

¹ Ленин „Материализм и Эп приоритизм“ стр. 105—110—1936 г.

გამოცდილების ისეთი გაგება, — რომ იგი თითქოს ელემენტების მექანიკური შეჯამებაა და ამიტომ მისი აღქმასზე გავლენაც მოცემული შინაარსის კვლავ ამ ჩვეულ ელემენტებად დაშლაში უნდა გამოიხატებოდეს, — ჩვენსდრომდე ერთად ერთი გაბატონებული შეხედულება იყო ფსიქოლოგიაში, რომელიც ყველაზე პირველად და ექსპერიმენტულად, გემსტალტ-ფსიქოლოგიურმა მიმართულებამ შეარყია.

ამ მხრივ განსაკუთრებით ტიპური და ცნობილია: კ. გოჩალდის¹ ექსპერიმენტული გამოკვლევა „გამოცდილების გავლენისა ფიგურების აღქმასზე“ და ე. რუბინისა — „ფიგურა — ფონის“ აღქმის შესახებ²; სხვა თანამედროვე მიმართულებიდან. განსაზღვრულის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია აგრეთვე ედ. თორნდაიკის ცდებიც ადამიანის სწავლის შესახებ.³

რას გვეუბნება აღნიშნული გამოკვლევები ჩვენს საკითხზე

1. გოჩალდის ცდები მდგომარეობდა შემდეგში: ცდის პირს ეძლეოდა რამდენიმეჯერ განმეორებით მარტივი ფიგურა (ვთქვათ. უწესო ექვსკუთხედი 100-ჯერ), რომელიც მას კარგად უნდა აღებეჭდა მეხსიერებაში: ამის შემდეგ კი მხოლოდ ერთხელ უჩვენებდნენ ისეთ რთულ ფიგურას, რომელშიაც პირველი ფიგურა შედიოდა ერთ-ერთი ნაწილის სახით. იგულისხმებოდა, რომ, თუ ფიგურის ანუ გემსტალტის აღქმა მართლაც ემორჩილება გამოცდილების გავლენას, მაშინ რთული ფიგურაც ამ წინასწარ აღბეჭდილი ნაწილის მნიშვნელობით უნდა აღქმულიყო. ე. ი. რთულ ფიგურაში ცდის პირს უნდა აღეჭვა ის ნაწილი, რომლისადმი მას გამოცდილება შეუქმნეს. ამ ცდების საფუძველზე გოჩალდმა მართებულად ჩასთვალა შემდეგა დასკვნა მიეღო: ნაწილის მრავალჯერ დამოუკიდებელი აღბეჭდვა (ანუ გამოცდილება) საერთოდ ვერაერთარ გავლენას ვერ ახდენს რთული კომპლექსური ფიგურის აღქმასზე და იქ, სადაც თითქოს ამ ნაწილის განმეორებასაც უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა (ნაკლები „სიმეტრიის“ გემსტალტების მიმართ), ნამდვილად გარდამწყვეტ როლს ისევ ის თავისებური „გემსტალტ ფაქტორი“ თამაშობს, რომელსაც „სიტუაციის ვექტორი“ წარმოადგენს და რომელიც თვითონ ობიექტური ცდის მიმდინარეობის სტრუქტურით იქმნება. მაგრამ მეორის მხრივ, რა კი ამ „სიტუაციის ვექტორის“ განწვდომილობის არე მეტად განსაზღვრულია, ამიტომ პირველობაც ისევ ფიგურას ანუ „ობიექტურ გემსტალტ-ფაქტორს“ რჩება: „მას“ ვერ არღვევს სუბიექტის გამოცდილება და, მასასადა.

¹) K. Gottschaldt „Über d. Einfluss d. Erfahrung auf. Wahrnehmung von Figuren“ Psychol. Forsch. B. S. H. 3/4. 1926. B. 12, H. 1. 1929.

²) E. Rubin „Visuel wahrgenommene Figuren“.

³) Д. Торндаик „Процесс учения у человека“, 1935 г.

ზე ვერ ცვლის აღქმას თავის შინაარსის შესათერისად“ ო. ამბობს გოჩალდი.

2. განსხვავებული ცდები აწარმოვა რუბინმა. იგი აეარჯიშებდა ცდ. პირებს მრავალი თეთრ-შავი „ფიგურა-ფონის“ გარკვეული სახით აღქმაში (მაგალ. მხოლოდ „თეთრის“, მხოლოდ „შავი“ ფიგურის აღქმაში) და ამის შემდეგ მათ უჩვენებდა სხვა თეთრ-შავ ფიგურა-ფონებს“. გამოიკვია, რომ უკანასკნელთა აღქმა წინასწარი გაეარჯიშების შესათერად ხდებოდა. თუ ცდ. პირი „შავი“ ფიგურის აღქმაში იყო გაეარჯიშებული, ე. ი. მთლიან ფიგურა-ფონიდან „შავი ნაწილის“ გამოყოფაში, მაშინ სხვა უცნობ „ფიგურა ფონებშიც“ იგი „შავ ნაწილს“ აღიქვამდა ფიგურის სახით. ამ ცდების ნიადაგზე რუბინის დასკვნით „ფიგურა-ფონის“ აღქმა ემორჩილება გამოცდილების გაელენას.

3. რაც შეეხება ე. თორნდაიკს. მართალია, მას სპეციალურად არ უკვლევია გამოცდილების აღქმაზე გავლენის საკითხი. მაგრამ სამაგიეროდ იგი ფართოდ შეეხო განმეორების მნიშვნელობას საერთოდ ადამიანის გამოცდილების შემუშავებისათვის. მისი ცდების ძირითადი პრინციპი შემდეგია: ცდ. პირს ამეორებინებენ ერთსა და იმავე რეაქციას მრავალჯერ (ხაზის გაყვანა, მარცვლებისათვის ასოების მიწერა, წყვილი სიტყვა-ციფრების განმეორებითი აღბეჭდვა და სხვ.). და არკვევენ ზუსტდება თუ არა რეაქცია ამ განმეორებათა კვალობაზე. ამ ცდების საფუძველზე თორნდაიკი შემდეგნაირად დაასკვნის: „ერთსადიმავე სიტუაციის განმეორება ისევე ნაკლებ ცვლილებას ქმნის ადამიანის ფსიქიკაში, როგორც ერთსადა იმავე დეპეშის განმეორება სატელეგრაფო მავთულში ამ უკანასკნელის ბუნებას ცვლის“—ო.

ასეთია ძირითადი ცდები ჩვენს საკითხზე.—როგორც ვიცით, გოჩალდიც და რუბინიც ორივე გეშტალტ-თეორიის მიმდევრებია და თანახმად ამ მიმართულების პრინციპულ მოსაზრებებისა თითქოს პირველი უფრო თანამიმდევარია თავის დასკვნებში. ვიდრე მეორე. მაგრამ მეორის მხრავ საგულისხმოა ისიც, რომ თორნდაიკს, როგორც უკიდურეს „კონექციონისტს“. ბევრი რამ აქვს საერთო ასოციაციონიზმთან, — ყოველ შემთხვევაში შეუღარებლად მეტი, ვიდრე გეშტალტ-თეორიასთან, რომელსაც იგი „გაუგებრად“ კი თვლის, — მაგრამ მიუხედავად ამისა განმეორების გზით შექმნილი გამოცდილება არც მას მიაჩნია რეაქციაზე ზეგამულენ ფაქტორად. მაშ რაშია საქმე?

ჩვენ ვფიქრობთ აზრთა ასეთი შეუთანხმებლობა მაჩვენებელია იმის, რომ, ჯერ ერთი, არც თვითონ გამოცდილების პრობლემა ბოლომდე გააზრებული და მერმე არც მათი შედეგებია საკმარისი სათანადო დასკვნების გამოსატანად. ე. ი. საჭიროა ცდების სხვა გვარად დაყენებაც. განვიხილოთ ჯერ პირველი.

1. ჩვენის აზრით, გოჩალდის გამოკვლევა პასუხს იძლევა მხოლოდ შემდეგ კითხვაზე: ახდენს თუ არა გავლენას ნაწილის დამოუკიდებელი განმეორებითი აღბეჭდვა გეშტალტის აღქმაზე? მაგ-

რამ თვითონ გოჩაღლი გაცილებით უფრო შორს მიდის და იმ ფაქტიდან, რომ ნაწილის ხშირი განმეორება ვერ ცვლის აღქმას, შემდეგნაირად დაასკვნის: გეშტალტის აღქმა არ ემორჩილება გამოცდილების გავლენასო. ჩვენ ვფიქრობთ, მისი ცდები არ იძლევა ასეთი განზოგადების საკმაო საფუძველს. ნაწილის განმეორებითი აღბეჭდვის უმნიშვნელობიდან არ შეიძლება დავასკვნათ, რომ აღქმა თითქოს, საერთოდაც ხელუხლებელია გამოცდილებისათვის, რადგან ასეთ შემთხვევაში პრობლემატური ხდება სწორედ ის, რაც გოჩაღლს წინასწარ აქვს მიღებული: სახელობრ, გამოცდილება მხოლოდ და მხოლოდ ნაწილის განმეორების გზით შექმნის შესაძლებლობა. ---და მართლაც, გოჩაღლის დასკვნა სწორი იქნებოდა მხოლოდ მაშინ, თუ წინასწარ ვიგულისხმებთ, რომ ნაწილის დამოუკიდებელი განმეორება ერთად ერთი გზაა, რითაც საერთოდ ადამიანური გამოცდილება შეიძლება იქმნებოდეს; მაგრამ დასამტკიცებელიც სწორედ ეს არის.

რატომ არ შეიძლება, მაგალითად, გეშტალტის აღქმაში რომელიმე ნაწილის გამოყოფა სპეციალურმა ვარჯიშმა განსაზღვროს, ე.ი. თუ ამას ნაწილის დამოუკიდებელი აღბეჭდვა ვერ იძლევა, ხომ არაა შესაძლებელი იგი მსგავს ოპერაციაში ვარჯიშმა მოგვეცეს. რომ გოჩაღლს ამ მხრივაც გაემართა კვლევა და მაინც უარყოფითი შედეგები მიეღო, მაშინ მისი დასკვნაც გეშტალტის აღქმის გამოცდილებისაგან დამოუკიდებლობის შესახებ მართლაც დასაბუთებული განზოგადება იქნებოდა; ფაქტიურად კი ნაწილის განმეორების ხერხი, რომელსაც იგი თავის ცდებში ბოლომდე შერჩა, მხოლოდ ერთს გვეუბნება: ელემენტის განმეორებითი აღბეჭდვა არ ქმნის გეშტალტის აღქმის სპეციპიკურ გამოცდილებას და, მაშასადამე, არ არის გამორიცხული არც ის, რომ ასეთი გამოცდილება სუბიექტზე სხვა გვარი ზეგავლენით ან სხვა მიმართულებით შეიძლება იქმნებოდეს.

მაგრამ, მეორის მხრივ, არ შეიძლება არ აღენიშნოთ, რომ გოჩაღლის ცდების საფუძველზე თვითონ ნაწილის განმეორების სრული უმნიშვნელობაც საეჭვო ხდება. მართლაც და, რა საერთო აქვს ამ ცდებში ნაწილის პრაქტიკურ განმეორებით განცდას რაღაც შემადგენლობის მტკიცე გეშტალტის აღქმასთან, რომ მას ამ უკანასკნელის მიმართ თავისი ძალა ემხილა!? პირველი მხოლოდ და მხოლოდ მეხსიერებაში აღბეჭდვას გულისხმობს. მეორე კი, რთული ფიგურის დაშლას, ანალიზს, ესე-იგი ადგილი აქვს ორს სრულიად განსხვავებულ ოპერაციას, რომელთა შორის ისევე არათერია საერთო, როგორც ცეკვაში მიღებულ გამოცდილებასა და უაზრო მარცვლების დამახსოვრებას შორის. ასეთ პირობებში, ცხადია, განმეორება ყოველთვის უფექტო იქნება და არც შეიძლება სხვაგვარად მოხდეს, მაგრამ მისი უმნიშვნელობა საერთოდ გამოცდილებისათვის ამით მაინც ვერ დამტკიცდება.

ამ რიგად გოჩაღლის გამოკვლევა ვერც იმას ამტკიცებს, რომ ფიგურის აღქმა საერთოდაც ხელუხლებელია გამოცდილებისათვის, და ვერც, ნაწილის განმეორების სრულს უმნიშვნელობაში გვარწმუნებს.

2. რაც შეეხება რუბინის გამოკვლევას, გამოცდილების გავლენა გეშტალტის (ფიგურა-ფონის) აღქმაზე პირველი შეხედვით აქ ოთქოს ფაქტია, მაგრამ მეთოდოლოგიური უსრულობის გამო მისი დასკვნებიც მოკლებულია საკმაო დამაჯერებლობას.

როგორც ცნობილია გამოცდილების შესაქმნელად მან მიმართა ვარჯიშის მეთოდს და ამ მხრივ გოჩაღღისაგან დიამეტრალურად განსხვავებულ გზას დაადგა; მაგრამ მისი სისწორით გამოყენებას ასცდა და მიწოდებულ ფიგურების გარკვეული სახით აღქმა ფაქტიურად დამოკიდებული გახდა არა ვარჯიშით შექმნილ გამოცდილებაზე, არამედ წინასწარ შემუშავებულ და ნაკარნახევ თვალსაზრისზე ცდ. პირისა. მიუხედავად ამისა. რუბინი მაინც სწორად მიუღდა საკითხს, რადგან. თუ გამოცდილება თავს უნდა იჩინდეს მტკიცე გეშტალტის შესაფერ „დაშლაში“. მაშინ თვითონ შემუშავებდაც ამ გამოცდილებისა სწორედ „დაშლაში“ ვარჯიშის გზით უნდა იქმნებოდეს და არა ნაწილის „დამოუკიდებელი“ აღბეჭდვით მესხიერებაში.

3. დაბოლოს ორიოდ სიტყვა თორდაიკის გამოკვლევის შესახებაც. მისი დასკვნა განხილვის ძნიშვნელობაზე, ყოველ შემთხვევაში მის მიერ აღწერილ ცდებიდან, ვერ არის საესებით დამარწმუნებელი. ასე, მაგალითად. წყვილი „სიტყვა-რიცხვების“ მრავალჯერ ექსპონიციის ცდები არ შეიძლება განხილვის ღმნიშვნელობის საბუთად გამოდგეს; პირიქით, განსაწდერულის აზრით, იგი მის მნიშვნელობას ასაწტებს: და მართლაც, სადაც ამ ცდებში საქმე ეხებოდა სიტყვის მომდევნო ცფრის აღდგენას, ამას ცდ. პირები მრავალჯერ განხილვის წყალობით ადვილად ახერხებდნენ, მაგრამ როცა მათ სთხოვდნენ ამ მიცემულ ციფრზე უკვე მომდევნო წყვილის სიტყვა აღედგინათ, ეს მათთვის შეუძლებელი იყო. ისმის საკითხი: რატომ? — იმიტომ რომ ცდ. პირთათვის რეალურ განხილვას შეადგენდა ცალკე სიტყვების და ცალკე რიცხვების განხილვა კი არა, არამედ წყვილი „სიტყვა რიცხვების“, როგორც დამოუკიდებელი ერთეულების განხილვა. ერთი სიტყვით განხილვა კავშირს ქმნიდა სიტყვა-რიცხვს შორის და შედეგად კი ცდ. პირს ავალბდნენ. რათა ამ რიცხვით მომდევნო წყვილის სიტყვა აღედგინა, ე. ი. ფაქტიურად მას უნდა დაერღვია ის კავშირი, რომელიც განხილვებამ შეუქმნა. ამ თვალსაზრისით თორდაიკის ცდები იმას კი არ იკვლევს. რაც უშუალოდ განხილვის გზით შექმნილა, არამედ ამ შექმნილის დარღვევას.

ამრიგად განხილულ გამოკვლევებში არ არის დამტკიცებული არც ის, რომ განხილვა საერთოდ უმნიშვნელოა გამოცდილების შემუშავებისათვის, — არც ის, რომ გამოცდილება სხვა გზითაც შეიძლება იქმნებოდეს, — და მით უმეტეს არც ის, რომ გეშტალტის აღქმა გამოცდილების გარეშე ანემორჩილება მის გავლენას. ყველა ეს საკითხი ფაქტიურად ღია რჩება და განხილული ცდებიც მხოლოდ კერძობითი მნიშვნელობის ფაქტებს იძლევა. უდავოა, რომ მათი გადაჭრა განსხვავებულ ცდებს საჭიროებს და ჩვენი გამოკვლევაც თავიდანვე სწორედ აქეთკენ იყო მიმართული.

§ 3. საკითხის დაქვემდებარების

თანახმად შემოთქმულისა ფორმალურად შესაძლებელია საკითხის ორგვარად დასმა: 1. მოქმედებს თუ არა სუბიექტის გამოცდილება გეშტალტის აღქმაზე, და 2. როგორია გამოცდილების აღქმაზე გავლენა ანუ ამ გამოცდილების ბუნება არსებითად კი ამ ორ შესაძლებლობიდან სწორია მხოლოდ უკანასკნელი. რომელიც შემდეგ დებულებას ემყარება: აღქმა ემორჩილება სუბიექტის გამოცდილებას ანუ სხვა მრავალ ფაქტორთა შორის იგი გამოცდილებითაც არის განსაზღვრული. -- რა კი ეს დებულება უდავოა როგორც ყოველდღიური ისე მეცნიერული დაკვირვების ფაქტებითაც (სიტყვის კითხვა. საგანთა ცნობა, აღქმის ილუზიები და სხვ.), ამიტომ გამოცდილების აღქმაზე გავლენის კვლევამაც ამ თვალსაზრისით მხოლოდ შემდეგი მიმართულება შეიძლება მიიღოს:

ის კი არ უნდა ეიკვლიოთ, ემორჩილება თუ არა გამოცდილების გავლენას ესა თუ ის მოქმედება ან აღქმა, -- არა, რომ ემორჩილება ეს უდავო ფაქტია და იგი არც კვლევას საჭიროებს, -- არამედ ის, თუ სუბიექტის გამოცდილების საერთო მარაგიდან რა რისი გამოცდილებაა. რა ახდენს გავლენას საკუთრივ აღქმაზე და რა ხასიათისაა ეს გავლენა; ან სხვაგვარად: რა და რა გზებით ექმნება ადამიანს გამოცდილება, რომელიც აღქმაზე ზეგავლენობს, და რა ფსიქოლოგიური მექანიზმებით ხორციელდება იგი? ჩვენი გამოკვლევაც სწორედ საკითხის დაყენების ამ პრინციპიდან გამოდის.

როგორც ზემოთ განიხილულ გამოკვლევებიდან დაეინახეთ, ნაწილის მრავალჯერ განმეორებითი აღბეჭდვა ვერ ახდენს გავლენას რთული ფიგურის (გეშტალტის) აღქმაზე. მაშასადამე მტკიცდება არა ის, რომ საერთოდ გეშტალტი არ ემორჩილება გამოცდილებას, არამედ ის, რომ განმეორების გზით არ იქმნება მისთვისპეციფიკური გამოცდილება და უკანასკნელი კვლავ გამოსანახს რჩება. კითხვა იბადება: რა შეიძლება ასეთად ვიგულისხმოთ? -- თანახმი მად ჩვენი ანალიზისა ასეთად უნდა ვიგულისხმოთ ის, რაც გავლენას იქონებს რთული ფიგურის (გეშტალტის) აღქმაზე, ე. ი. რაც მას წინასწარ განცდილ შინაარსების შესაფერად შეცვლის.

* * *

როგორ არის შესაძლებელი ამ საკითხის კვლევა? -- უნდა აღინიშნოს, რომ იგი არ სერხდება ცდის ერთი რომელიმე სერიის ჩატარებით: გზა და გზა მრავალი ქვე-საკითხი ჩნდება, რომლებიც თავის მხრივ სპეციალური ცდების დაყენებას მოითხოვენ და, რადგან ამის გამო ჩვენს კვლევას სერიული ცდების ხასიათი ჰქონდა და თითოეული მათგანი თავისებური მეთოდით წარმოებდა, ამიტომ ამ მეთოდებსაც ცალკეული ცდების განხილვისას გავარჩევთ.

§ 4. რთული ფიგურის „გუნებარივი“ ანუ დამოუკიდებელი აღქმის ცდები

როგორც ვიცით, ყოველი ფიგურა. გეშტალტი შინაგანად დაწვევებული მთლიანის სახით განიცდება. იგი მთლიანია, მაგრამ ისეთი მთლიანი, რომელსაც შინაგანი აგებულებაც ანუ სტრუქტურ-

რაც გააჩნია. მოკლედ: იგი ნაწილების ისეთი ერთიანობაა, რომლის აღქმაში მეტ-ნაკლები სიძნელით ეს ნაწილებიც შეიმჩნევიან. ამიტომ კითხვა იბადება: როგორი შეიძლება იყოს ეს შემჩნევა ანუ ფიგურის აღქმა სხვა და სხვა სუბიექტში? ყველანი სავსებით ერთნაირად აღვიქვამთ ყოველს ცალკე მოცემულ ფიგურას, მის შინაგან დანაწევრებულობას, თუ არსებობს რაღაც განსხვავება, რომლის დასაბამი თვითონ სუბიექტში, მისი ცხოვრების გამოცდილებაში უნდა ვეძიოთ?

ამ საკითხის გადასაქრელად ვაწარმოეთ შემდეგი ცდა: ცდ. პირს ეპიდიასკოპით (4 მეტრის დაშორებით) ვუჩვენებდით ეკრანზე 2 სექუნდის განმავლობაში „გეომეტრიულ ფიგურას“; წინასწარი დავალება ისეთი იყო, რომ კარგად უნდა დაკვირვებოდა ამ ფიგურას და ეკრანიდან მისი გაქრობის შემდეგ უნდა აღეწერა იგი დაწერილობით. ამ სახით თითოეულ სუბიექტზე ცდა ტარდებოდა 31 ფიგურით (რომლებიც შერჩეული იყო კ. გოჩალდის მასალიდან).

როგორც ვხედავთ (იხ. ფიგურები), ყველა ჩვენს მიერ გამოყენებული ფიგურა „უაზროა“ იმ მნიშვნელობით, რომ არც ერთი მათგანი რომელიმე ცნობილ გეომეტრიულ ფიგურას (სამკუთხედს, კვადრატს, მრავალკუთხედს და სხვ.) არ წარმოადგენს. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, ძალიან აძნელებდა მათ აღწერას, მაგრამ ამის გამო მათ ნაცვლად ჩვეულებრივი გეომეტრიული ფიგურების გამოყენება მეთოდოლოგიურად გაუმართლებელი იქნებოდა, რადგან მაშინ ცდ. პირი მხოლოდ დაასახელებდა დანახულ ფიგურას და ამით აღარც აღწერას ექნებოდა ადგილი.

აღნიშნული ფიგურებით (ცდა ჩატარდა 12 ინდივიდზე. ყველა ისინი ასაკით ზრდა დამთავრებული (30—40 წ.) და უმაღლესი განათლებით იყვნენ. პროფესიის მიხედვით მათ შორის ექვსი იყო მასწავლებელი (ისტორიის და ლიტერატურის) და 6 ინჟინერი (კონსტრუქტორები და მშენებელნი).—რა შედეგები იქნა მიღებული ამ ცდაში?

პირველყოფლისა ხაზი უნდა გაესვას შემდეგ გარემოებას: ყოველი ფიგურა გეომეტრიული თვალსაზრისით თითქმის ყველა შესაძლო ნაწილს შეიცავს: თითოეულს ფიგურაში ხაზების ყველა შეხების წერტილები რომ ასოებით აღვნიშნოთ,—ვთქვათ ისე, როგორც ეს გეომეტრიის სწავლებისას ხდება,—და შემდეგ იგი ამის მიხედვით სხვადასხვა კომბინაციით წაეიკითხოთ, მის შემადგენლობაში თითქმის ყველა ცნობილ სიბრტყის ფიგურებსა და ხაზებს აღმოვაჩენდით: სამკუთხედებს, რომბებს, პარალელოგრამებს, კვადრატებს, ტრაპეციებს, მრავალკუთხედებს,—ტუხილ: პარალელურ. გამკვეთ ხაზებს და სხვ; მაგრამ მიუხედავად „ნაწილების“ მხრივ ასეთი სიმდიდრისა, ცდ. პირთა ჩვენება ფრიად „ძუნწია“ ანდა სრულიადაც არ შეიცავს ფიგურის ამ ნაწილების მიხედვით აღწერას.

ამ თვალსაზრისით ჩვენს ცდ. პირთა ჩვენებებში უნდა გარჩეულ იქნას სამი ძირითადი ჯგუფი:


I. განსაკუთრებით ზოგი ფიგურის მიმართ ცდ. პირები სრულიად არ აღნიშნავენ იმას, რაც ობიექტურად არის მოცემული, რაც ფიგურას, როგორც ასეთს, ახასიათებს. ნაჩვენებ ფიგურებს

ჴიგურები


ძლიერი გეშტალტ-სიმბავისი




ა,




1




2



3



4



5




6




7




ა₂




8




9




10



11




12




13




14




15




16




17



18




19




20




α_4




20




21




22



23




24




25




α_5




26




27




28



29



30



31

ისინი აღიქვამდნენ გარკვეული მნიშვნელობის ან რაიმესადმი მიმს-
გავსების მიხედვით. ასე რომ თვითონ ფიგურის შინაგანი დანაწევ-
რებულობის შესახებ არაფერს იტყვიან არ ჩვენებას არ იძლეოდნენ; მაგალი-
თად: „ფიგურა სახლის სახურავივით“ (№ 6); — „ობობას ქსელსა-
ვით იყო ხაზები ოთკუთხედში გაყვანილი“ (№ 18) და სხ.ას.

II. აღწერის მეორე ჯგუფს ისეთი ჩვენებები შეადგენენ. რომ-
ლებიც წმინდა გეომეტრიული ცნებებით არიან ნაწარმოები. აქ
უნდა გარჩეულ იქნას სამი შემთხვევა: ა) ჩვენება იმის. თუ რა
მთლიან ფიგურებისაგან (ქვე-გიშტალტებისაგან) შესდგება აღქმული
კომპლექსური ფიგურა;—ბ) ჩვენება ამ მთლიან შემადგენელ ფიგურ-
ებთან ერთად ცალკე ნაწილებისა(ც: ხაზების კუთხეების, გვერდებ-
ის და სხვ:—გ) ჩვენება ფიგურის მხოლოდ საერთო კონტურისა
მისი შინაგანი ხაზოვანი დანაწევრებულობით; მაგალითად: „შუაში
დიდი კვადრატით, რომელსაც გარშემო შემოხატული ჰქონდა კვად-
რატული უჯრედები“ (ფიგ. № 9):—„დიდი ოთკუთხედი იყო, ო-
მელშიც მოჩანდა ორი სამკუთხედი ერთმანეთისკენ გვერდებით მიბ-
რუნებული.ამ სამკუთხედებზე გაყვანილი იყო პარალელურად გამკვე-
თი ხაზები“ (№ 10):—„მოგრძო ოთკუთხედი, რომელშიც გაყვანი-
ლია სწორი და ტეხილი ხაზები“ (№ 22)— და სხ. ას.

III. დაბოლოს ჩვენებების მესამე ჯგუფი წარმოადგენს პირვე-
ლი ორი ჯგუფის ერთგვარ კომბინაციას იმ მნიშვნელობით, რომ
აქ ფიგურის აღწერა გეომეტრიული ცნებებითაც არის წარმოებუ-
ლი და საგნისადმი მიმსგავსებითაც.

როგორც ვხედავთ, ფიგურის სახეებით ერთნაირი აღწერა არ

დასტურდება, ე. ი. ფაქტია, რომ ფიგურები სხვადასხვა ცდ. პირის მიერ განსხვავებულად აღიქმებიან. — რა უნდა იყოს ამის მიზეზი? პასუხი ნათელი ხდება. როგორც კი ამ ჩვენებებს ცდ. პირთა ჯგუფების მიხედვით წარმოვიდგენთ.

მასწავლებელ და ინჟინერ ცდ. პირთა ჩვენებების შედარებით განხილვა გვიჩვენებს, რომ „ბ“ და „გ“ ჯგუფი, რომელიც წმინდა გეომეტრიულ აღწერებს შეიცავს და მამ ფიგურის აღქმის მიერ განაწვევრებულობას მეტ ანალიტიურობას აქვს, მეტად ინჟინერთათვის არის დამახასიათებელი: მათა ჩვენებების საერთო რაოდენობიდან (186 პასუხიდან) 88.8 %-ს სწორედ ამ ჯგუფის ჩვენებები შეადგენენ. მასწავლებელთა შორის კი ეს „ბ“ მხოლოდ 43,4-მდე აღწევს (იხ. ცხრ. № 1.)

ცხრილი № 1

პასუხ. ჯგ.	I	II „ა“	II „ბ“	II „გ“	III	IV
მასწავლ.	8,1	25,3	21,5	26,9	14,8	13,1
ინჟინრ.	—	8,6	50,2	38,6	2,2	—

თუ ამასთანავე ერთად ყურადღებას მივაქცევთ შემცდარი ჩვენების ან სრული დუმილის შემთხვევებსაც, რაც ინჟინერთათვის სრულიად უცხოა, ხოლო მასწავლებელთათვის კი საკმაოდ ხშირი, — უფლება გვეძლევა შემდეგი დასკვნა მივიღოთ:

დადასტურებული განსხვავების ფაქტი სუბიექტის გამოცდილებით, მისი პრაქტიკით უნდა იყოს პირობადებული, რომელიც კერძოდ ჩვენს შემთხვევაში, პროფესიული გამოცდილების სახით იჩენს თავს. ინჟინრობისათვის მზადებამ, ხანგრძლივმა და ყოველდღიურმა მუშაობამ ამ პიმართულებით. რომელიც განუწყვეტლივ მსგავს მასალაზე წარმოებს, შეუძლებელია თავისებური გავლენა არ იქონიოს სუბიექტზე, შეუძლებელია არ შეუქმნას მას გარკვეული თვალსაზრისები ანუ ერთგვარი წინასწარი მომართვა ფიგურის აღქმისას. ამიტომ სრულიად ბუნებრივი და გასაგებია, რომ მათ მიერ ფიგურების აღქმა უფრო ნაკლებ გლობალური და მეტად ანალიტიური და დიფერენცირებული ხდება, ვიდრე მასწავლებლებში.

ამრიგად ირკვევა, რომ ყოველგვარი ხელოვნურად შექმნილი გამოცდილების გარეშეაც ფიგურის ანუ გეშტალტის აღქმა უკვე მანამდე და თავისთავადაა სუბიექტის „ბუნებრივი“ გამოცდილებით განსაზღვრული, ე. ი. იმით, რაც მის სერიოზულ შრომითს ცხოვრებიდან თავისთავად მომდინარეობს. რა თქმა უნდა, ამით ფიგურა არ კარგავს თავის გეშტალტობას. მაგრამ ყოველი სუბიექტის აღქმაში იგი არსებობს შესაფერად მისი გამოცდილებისა ანუ ამ გამოცდილების იერით აღბეჭდილი.

რა კი „ბუნებრივი“ ანუ ჩვეულებრივს შრომითს ცხოვრებაში შექმნილი გამოცდილება თავს იჩენს იმაში, რომ რთული ფიგურა მეტ-ნაკლები ანალიტიურობით ანუ მეტ ნაკლები შინაგანი დანა-

წივრებულობით აღიქმება. მაშინ მოსალოდნელია, რომ მას მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს აგრეთვე რომელიმე წინასწარ აღბეჭდილი ნაწილის ამ რთულს ფიგურაში აღქმის შემთხვევაშიაც. ამ საკითხის გადასაქრელად ვაწარმოვეთ შემდეგი ცდები:

§ 5. რთულს ფიგურაში ნაწილის დამოუკიდებელი აღქმის ცდები.

ცდის პირს ვუჩვენებდით მარტივ გეომეტრიულ ფიგურას, რომელიც მას კარგად უნდა აღებეჭდა მეხსიერებაში. ამისათვის მიღებული იყო სათანადო ზომებიც: ვახატინებდით რამდენიმეჯერ, ვაკვირვებდით მის კონტურზე და ბოლოს ვუჩვენებდით ეპიდიასკოპით ეკრანზედაც (10-ჯერ). ამის შემდეგ ეკრანზე, იმავე ადგილას 2 სეკუნდის ხანგრძლივობით. ვაჩენდით რთულ ფიგურას, რომელშიაც წინასწარ მიცემული ინსტრუქციის თანახმად ცდ. პირს უნდა დაენახა აღბეჭდილი ნაწილი—ფიგურა. ინსტრუქცია ასეთი იყო: „ახლა რთულ ფიგურას გიჩვენებ, ყურადღებით უკვირე და, თუ დაინახო მასში როგორმე ეს ნაცნობი ფიგურა მაშინვე მითხარი“ (ვადღევდით შესრულების ნიმუშსაც).

ამ სახით თითოეულ სუბიექტზე ცდა ტარდებოდა 31 რთული ფიგურით და 5 ნაწილობრივი (ი₁—ი₅) ფიგურით, რომელთაგან თითოეული უნდა გამონახულიყო 6-7 რთულ ფიგურაში (იხ. საექსპ. ფიგურები).

ცდის პირის დადებით პასუხს („დავინახე“ „გამოჩნდა“, „არის“ და სხვ.) საგანგებოდ ვამოწმებდით: ვთხოვდით ეკრანთან მისვლას, სწორედ იმ ადგილას, სადაც რთული ფიგურა აღიქვა,—და ვაჯალვებდით ამავე ფიგურის განმეორებით ვაჩენისთანავე შემოეხაზა მასში (ეჩვენებია თითოთ) ნაწილობრივი ფიგურის კონტური.

ჩვენს ხელთ არის 20 ცდ. პირის ჩვენებები,—მათ შორის 10 მასწავლებლის, 5 ინჟინრის და 5 სხვა პროფესიის. ყველა ისინი საერთო ჯამში პასუხების 620 (31×20) შემთხვევას იძლევიან. ხოლო ამ პასუხების ანალიზი ხუთ ძირითად ჯგუფს გვიდასტურებს.

I. უარყოფითი პასუხები: ცდ. პირი ვერ ხედავს ფიგურა-ნაწილს რთულ ფიგურაში („არ ჩანს, ვერ დავინახე“), რაც ძალიან ხშირად გავოცებისა და უარყოფითი ემოციის ტონითაც გამოითქმის: „უჰ, ეს რაა?!“—„ნუ თუ ამაში არის?!“—„არავითარი მსგავსი“ და სხვ.

II. მეორე ჯგუფს მიეკუთვნებიან ისეთი პასუხები, როცა ცდ. პირი ფიგურა-ნაწილის მხოლოდ ერთ რომელიმე მონაკვეთს ხედავს რთულ ფიგურაში, მაგრამ არ შეუძლია სათანადო პირობებში (განმეორებით ჩვენებისას) ამ მონაკვეთის მიხედვით ფიგურის მთელ კონტურს მიაგნოს.

III. მესამე ჯგუფის ჩვენებათათვისაც ფიგურა-ნაწილის ერთი რომელიმე მონაკვეთის აღქმა და მახასიათებელი, მაგრამ იმ განს-

ხევაებით, რომ ცდ. პირმა წინასწარ იცის და დარწმუნებულია იმაში, თუ როგორ შეიძლება ამ მონაკვეთის მიხედვით მთელი ფიგურა-ნაწილის გამონახვა რთულ ფიგურაში: (რაც ხელმეორედ ჩვენებისას მართლაც დაუყოვნებლივ სრულდებოდა).

დანარჩენი ორი ჯგუფის ჩვენებები მთლიანი ფიგურა-ნაწილის დასრულებულ აღქმას ეხება, მაგრამ მოცემის დროის მიხედვით ჩვენ მათ ორ განსხვავებულ ჯგუფად ვყოფთ:

VI. ფიგურა ნაწილის დაგვიანებით აღქმა რთულ კომპლექსურ ფიგურაში, როცა თითქოს საგანგებო ძიების გამო ამ დანახვას ცდ. პირი ექსპოზიციის შემდეგ აღნიშნავდა, და V. მყისთაღადი, უშუალო აღქმა, რომელიც რთული ფიგურის ექსპოზიციისთანავე ან გაქრობამდე ჩნდება და მყისვე ლაკონურად და სიამოვნების ტონით აღნიშნება: „ეტყ“, — „არის“, — „უპ,რა კარგად მოჩანს“, — „აშკარად ვხედავ“, — „ნათელია“ და სხვ.

განვიხილოთ ახლა, თუ რა სიხშირით გვხვდება თითოეული ეს ჯგუფი ცდ. პირთა ჩვენებების საერთო რაოდენობაში. ამაზე პასუხს იძლევა ცხრილი № 2.

ცხრილი № 2.

პასუხთა ჯგუფი	I სრული აღუქმნელობა	II მხოლოდ ნაწილის აღქმა	III ნაწილის მიხედვით მთელის აღდგენა	IV დაგვიანებ. უშუალო აღქმა	V მყისთანადი უშუალო აღქმა
აბსოლუტ. რაოდენ.	467	24	38	72	19
%	75,3	3,9	6,1	11,6	3,1

როგორც ვხედავთ, რთულ ფიგურაში ნაწილის აღქმა საერთოდ ძალიან ძნელია: პასუხების 620 შემთხვევიდან 79,2%-ი პირველ და მეორე ჯგუფს ხვდება, ე. ი. ფიგურა ნაწილის სრულ აღუქმელობას; ხოლო დანარჩენებიდან მთლად იშვიათია (3,1%) მისი მყისთანადი, უშუალო აღქმის შემთხვევები. — ერთი სიტყვით მოცემული რთული ფიგურები იმდენად მტკიცე გეშტალტის არიან, რომ ცდ. პირის საგანგებო განზრახვის პირობებშიაც კი წინასწარ აღბეჭდილი ნაწილის მათში დანახვა შეუძლებელი ხდება.

მიუხედავად ამისა ბუნებრივი გამოცდილების ფაქტორი აქაც ძალაში რჩება. ეს ცხადად ჩანს შემდეგ ცხრილიდან (იხ. ცხრ. №3):

კლება	პასუხები	I სრული ალექმე- ლობა	II. მხოლოდ ნაწილის ალქმა	III ნაწილით მთელის ალღვენა	IV დავეთან. უშელო ალქმა	V მყისთანა- დი უშეა- ლო ალქმა
მასწავლე- ბელი	აბსოლუტ რაოდენს.		3	2		4
		89,0	1,0	0,6	8,1	1,3
ინჟინრები	აბსოლუტ რაოდენს	103		11	23	8
		66,5	4,5	9,0	14,8	

რთულს ფიგურაში ნაწილის სრული ალექმელობის $\%$ -ი (I და II ჯგუფ. ჩვენები) მასწავლებელ ცდ. პირებთან 90 $\%$ სუდრის, ინჟინრებთან კი—71 $\%$. ამასთანავე ნაწილის დადებითი ალქმის ცალკეულ ჯგუფებზეც უკანასკნელთა შორის რამდენიმეჯერ მეტი $\%$ -ი მოდის. ვიდრე პირველთა შორის (საერთოდ 29,0 $\%$ -ი 10 $\%$ -ის წინააღმდეგ)

ამ რიგად ჩენი ვარაუდი გამართლებულია: „ბუნებრივი“ გამოცდილება არა მარტო იმ მხრივ „იჩენს თავს, რომ დამოუკიდებლად ალქმული კომპლექსური ფიგურა მეტის განაწევრებულობით, მეტი შინაგანი ნაწილების შემჩნევით გახიცილება, არამედ იმ მხრივაც, რომ მასში იგი გარკვეული ნაწილობრივი ფიგურის უშუალო ალქმასაც აადვილებს.

ჩენს დასკვნას ოდნავადაც ვერ ხდის საეკვოდ შესაფერი $\%$ -ული მაჩვენებლებს სიმცირე და ვერც ის, რომ „ბუნებრივი“ გამოცდილება წინა ცდებში გაცილებით მეტი $\%$ -ით იჩენს თავს (88,8 $\%$), ვიდრე უკანასკნელში (29,0 $\%$). ეს გარემოება მხოლოდ იმას გვიჩვენებს, რომ წინასწარ აღბეჭდილი ნაწილის რთულ ფიგურაში აქტიური ალქმა საერთოდ „ბუნებრივი“ გამოცდილების პირობებშიაც კი უფრო ძნელია, ვიდრე ამ რთული ფიგურის დამოუკიდებელი ალქმა. მაგრამ მეორეს მხრივ, სწორედ ეს ფაქტია, რომელიც ერთგვარ მეთოდოლოგიურ გასაღებს გვაძლევს იმისას, თუ რა უნდა ვიგულისხმოთ, სახელდობრ, რთულ ფიგურაში ნაწილის ალქმის სპეციფიკურ გამოცდილებად და, მაშასადამე, როგორ და რა გზით შეიძლება მისი შემუშავება.

და მართლაც, თუ კომპლექსურ ფიგურაში ნაწილის ალქმა რალაცნაირად მაინც „ბუნებრივი“ გამოცდილებაზე დამოკიდებულებას ამჟღავნებს, ხოლო ეს გამოცდილება კი იმას ნიშნავს, რომ სუბიექტს თავისი სერიოზული შრომითი ცხოვრების პროცესი მსგავს მახალაზე ოპერაციების საკიროებას და, მაშასადამე, ერთგვარ

ვარჯიშს უქმნიდა, — მაშინ კანონიერი ხდება შემდეგი ჰიპოთეზის წამოყენება: რთულ ფიგურაში ნაწილის აღქმის „ბუნებრივი“ გამოცდილება არ წარმოადგენს სპეციფიკურს, სავსებით ადექვატურ გამოცდილებას; მაგრამ მისი მნიშვნელობის ფაქტიდან ნათლად ჩანს, რომ ალბათ ასეთ ადექვატურ გამოცდილებას თვითონ რთულ ფიგურაში ნაწილის გამოყოფის მრავალგზისი ვარჯიში შექმნიდა, ე. ი. მრავალჯერ განმეორება სავსებით იმავე მთლიანი ოპერაციისაა (და არა ნაწილის აღბეჭდვის), რაც ცდ. პირს ამოცანით ვეალება. ვფიქრობთ, თუ წინა ცდები საქმის ნამდვილ ვითარებას გვითვალისწინებს, მაშინ ეს ჰიპოთეზიც უნდა გამართლდეს. სწორედ ამას ემსახურება შემდეგი ცდა.

§ 6. რთულ ფიგურაში ნაწილის აღქმის ცდები წინასწარი ვარჯიშით.

მთელი ვარჯიშის ცდები შეიცავდა ორ ეტაპს: საკუთრივ „ვარჯიშის ცდებს“ და „შემოწმების ცდებს“.

პირველ ეტაპზე ცდ. პირი ხანგრძლივად ვარჯიშობდა მრავალ სხვა და სხვა რთულ ფიგურადან¹ რომელიმე ნაწილობრივი ფიგურის გამოყოფაში და მისი კონტურის დამოუკიდებლად დანახვაში. ფიგურების ჩვენება ჯერ წარმოებდა ჩვეულებრივი სახით (ხელში მიცემით დროის განუსაზღვრელად) და შემდეგ ეპიდიასკოპით. უკანასკნელ შემთხვევაში რთული ფიგურა ჩნდებოდა ეკრანზე 2 სეკუნდის ხანგრძლივობით, რის განმავლობაშიაც ცდ. პირს უნდა მოესწრო მასში იმ ნაწილობრივი ფიგურის აღქმა, რომელსაც რთულ ფიგურის აღქმამდე წინასწარ რამდენიმეჯერ უჩვენებდნენ. თუ ვინც ცდობა ამას ვერ მოახერხებდა, მაშინ ხანგრძლივად ვაჩენდით ეკრანზე იმავე რთულ ფიგურას, სანამ ცდ. პირი ნაწილის დანახვას არ შეძლებდა.

ასეთი ხანგრძლივი ვარჯიშის შემდეგ, რომელიც მრავალი ფიგურით განუწყვეტლივ მეორდებოდა მანამდე, ვიდრე ცდ. პირი აღვილად და სწრაფად არ გამოჰყოფდა ნაწილობრივ ფიგურას, იწყებოდა შემოწმების ცდები: უკანასკნელი ტარდებოდა სავსებით იმ სახით, როგორადაც წინანდელი ცდა (§ 5): ეპიდიასკოპით რამდენიმეჯერ ვუჩვენებდით ფიგურა-ნაწილს და შემდეგ იმავე ადგილას რთულ ფიგურას მხოლოდ ერთხელ 2 სეკუნდის ხანგრძლივობით.

ამ რიგად, ამ ცდების მიხედვით გამოცდილების გავლენას თავი უნდა ეჩინა იმაში, რომ წინასწარ ვარჯიშს ფიგურა-გემეტალტის „დაშლაში“ უნდა გაეადვილებია ნაწილის აღქმა ახალ რთულ „ფიგურებშიაც“.

ცდა ჩატარდა 22 ინდივიდზე, რომელთაგან, გარდა ორისა ყველანი პროფესიით მასწავლებელი იყვნენ.

მიღებული შედეგების შედარება წინა ცდის (§ 5) შედეგ-

¹ სავარჯიშოდ შერჩეული იყო ფიგურების ცალკე ჯგუფი — რიცხვით 42—48-დგ.

გებთან გვიჩვენებს, რომ რთულ ფიგურაში ნაწილის ალქმა უფარჯი-
შოდ და წინასწარი ვარჯიშით მძაფრ განსხვავებას იძლევა. რო-
გორც ცხრილიდან № 4 ჩანს, სრული ალქმელოზის შემთხვევები

ცხრილი № 4

ცდ. პირ.	პასუხები	I სრული ალქმე- ლობა	II მხოლოდ ნაწილია ალქმა	III ნაწილით მთელის აღდგენა	IV დავეიან. უშუალო ალქმა	V მყისთანა- დი უშუა- ლო ალქმა
უფარჯიშოდ	აბსოლუტ რაოდენ.	467	24	38	72	19
		72,3	3,9	6,1	11,6	3,1
ვარჯიშით	აბსოლუტ რაოდენ	68	—	95	131	113
		16,7	—	23,3	32,2	27,8

(I—II ჯგ. პასუხები) წინასწარი ვარჯიშით ჩატარებულ ცდებში უმნიშვნელოა (16,7 %) იმ დროს, როცა ვარჯიშის გარეშე წარმოე-
ბულ ცდებში ტიპური და დამახასიათებელი სწორედ ეს შემთ-
ხვევებია (79,2 %). რაც შეეხება „დადებით ალქმებს“ (III—IV—V
ჯგ. პასუხები), აქ უკვე პირიქით ვარჯიშის ცდები მათ $\frac{1}{10}$ -ს ყველ-
გან არაჩვეულებრივად ზრდის, სახელდობრ: 20,8% —დან (რომელ-
საც უფარჯიშოდ ჩატარებული ცდები დადებითი პასუხების სამივე
ჯგუფზე იძლევა) 83,3%-მდე.

მაგრამ კიდევ უფრო მძაფრია ეს განსხვავება, თუ შედარებას
ცდ. პირთა ჰომოგენური ჯგუფის ფარგლებში ვაწარმოებთ: მარტო
მასწავლებლებზე მიღებული შედეგები გვიჩვენებს, რომ რთულს
ფიგურაში ნაწილის ალქმის დადებითი შემთხვევები უფარჯიშოდ
ჩატარებულ ცდებში 10 %-ს აღწევს, ხოლო ვარჯიშის ცდებში კი
83,3 %-ს (შეად. ცდ. № 3 და № 4).

ამრიგად ვარჯიშის გავლენა ფრიად თვალსაჩინოდ იკვეთება
მასში რაიმეს მხრივ შეეჭვება შეუძლებელია; და თუ გამოვიდილე-
ბაა ის, რაც აწმყოს წინა მოქმედების შესაფერად განსაზღვრავს,
მამინ ჩვენი ცდებით საკმაოდ დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს,
რომ მტკიცე გეშტალტის ალქმის სპეციფიკური გამოცდილება
სწორედ ვარჯიშის გზით იქმნება.



ყველა შემოთქმულთან დაკავშირებით აღნიშნულ ცდებში სა-
ყურადღებო ხდება კიდევ შემდეგი ფაქტი: ფიგურა-ნაწილის ალქმა
ყველა რთულ ფიგურაში არა თუ ერთნაირის სიადგილია არ ხერხ-
დება, არამედ ზოგ მათგანში იგი აბსოლუტურად შეუძლებელიც კი

ხდება. 31-დან ასეთებია 8 ფიგურა: №№ 9, 18, 26, 27, 24, 29, 30, 31.

რაც შეეხება ნაწილის აღქმის მეტ ნაკლებ სიაღვრეს, იგი დამოკიდებულია იმაზე, თუ რაძენად შტაკიც ვეშტალტში გვეძლევა რთული ფიგურის შინაგანი დანაწიერებულობა: ასე. მაგალითად: ექვსკუხედის აღქმა შეუდარებლად უფრო ადვილია ფიგურაში № 8. ვიდრე № 13 ფიგურაში. (იხ. ფიგურები), იმიტომ რომ პირველში იგი (ექვსკუთხედი) უფრო დამოუკიდებელი ნაწილის ანუ ქვეშთლიანის სახით შედის, ხოლო მეორეში კი მისი კონტური თვითონ რთული ფიგურის შინაგანი დანაწიერებულობით იფარება; და რამდენადაც დიდია ეს „დაფარვა“ რომელიმე ფიგურა-ნაწილისა რთული ფიგურის შინაგანს დანაწიერებულობაში ანუ რამდენად მეტად ნაწილდება იგი უკანასკნელის ქვეშთლიანთა შორის, იმდენად უფრო ძნელი ხდება მისი დამოუკიდებელი აღქმა. ამ მხრივ შეიძლება გამოყოფილ იქნას ფიგურების ორი ჯგუფი: „ადვილი“ (№№ 1, 2, 3, 4, 5, 6, 8, 10, 11, 14, 15, 16) და „ძნელი“ ფიგურები (№№ 7, 12, 13, 17, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25).

ამ ფიგურებიდან არსებითად განსხვავდება ზემოთ დასახელებული 8 ფიგურა: საქმე იმაშია, რომ ორივე ჯგუფის ფიგურებში, ადვილად თუ ძნელად. მაინც ხერხდება შესაფერი ნაწილის აღქმა, დახახვა. ხოლო აღნიშნული 8 ფიგურა კი არავითარ შემთხვევაში ამის შესაძლებლობას არ იძლევა: ანა თუ ორი სეკუნდის განმავლობაში; არამედ განუსაზღვრელად შეიძლება მათ ეაკვირდეთ. ძალიანაც ვეცადოთ, სხვა და სხვა ხერხებს მივმართოთ, მაგრამ შესაფერი ნაწილის დანახვას მათში მაინც ვერ შევძლებთ. სულ დიდი, რასაც აქ ვარჯიშით შეიძლება მივალწიოთ, ის იქნება, რომ უკვე კარვად გვეცოდინება. თუ როგორ შეიძლება ამ რთულ ფიგურებით „გამოვქრათ“ „შემოვხაზოთ“ ნაეარაუდვეი ნაწილი. მაგრამ უკანასკნელის რეალურად დანახვაში ამ შემოხაზვის შემდეგაც წინანდებურად უძღური ვიქნებით. ერთი სიტყვით აღქმისათვის და, მაშასადამე. ფსიქოლოგიურად, — აღნიშნულ ფიგურებში ნაეარაუდვეი ნაწილი არ არსებობს და რა ვასაკვირია, რომ ჩვენი ვარჯიშის ცდებმაც ამ ფიგურების მიმართ არავითარი მიღწევა არ მოგვცა.

გოჩაღდი აქედან საერთოდ გეშტალტის „აუტობტონობაზე“ დაასკენიდა, რომ იგი თითქოს არ ემორჩილება გამოცდილების გავლენას, მაგრამ ჩვენი ცდებით სხვა მტკიცდება: გეშტალტის აღქმაც გვიჩვენებს გამოცდილების გავლენას, თუ, რა აქმა უნდა, ამ მიზნით მისთვის სპეციფიკური გამოცდილება იქნება მიგნებული; და აი ასეთი სპეციფიკური გამოცდილება მისი რომელიმე ნაწილის დამოუკიდებელი განმჟორებითი აღბეჭდვის გზით კი არ იქმნება. არამედ სუბიექტის მთლიანს ოპერაციაში ვარჯიშის გზით. ერთი სიტყვით, როცა გეშტალტის აღქმაზე გამოცდილების გავლენამ თავი უნდა იჩინოს მის „დაშლაში“ შესაფერად წინანდელი აღქმებისა, მაშინ ამ გამოცდილებასაც სწორედ „დაშლაში“ ვარჯიშში იძლევა.

რაც შეეხება კერძოდ 8 ფიგურას, ამ თვალსაზრისით, მათში ნაწილის აბსოლუტური აღუქმელობა სრულიადაც არ ნიშნავს, რომ გამოცდილება უძღურია გეშტალტის მიმართ; იგი მხოლოდ უბრალო დემონსტრაციაა იმის, რაც სწორედ გამოცდილებისათვის არის

არსებითი: რადგან გამოცდილება არ არის თავიდან ბოლომდე სუ-
ბიექტის შემოქმედება. ვინაიდან იგი მუდამ რისაშე გამოცდილებაა,
მუდამ რაიბესენ მიმართული, ამიტომ მისი გაულების შესაძლებ-
ლობაც ობიექტური ვითარებით არის პირობადებული. ე. ი. ნორ-
მალურს პირობებში მას მხოლოდ ის შეუძლია დაგვიანახოს. რაც
ობიექტურად არსებობს, რაც ნამდვილად არის საკანში. აღნიშნუ-
ლ მ ფიგურაში კი ნაწილის დანახვა ობიექტურად შეუძლებელია.
იგი არ არსებობს და, მაშასადამე. გამოცდილებასაც არ ევალება ეს
არ არსებული ანუ ობიექტურად შეუძლებელი დაგვიანახოს.


§ ნაწილის განმეორების ცდები სუსტი პეუბალტ. სიმბაძისის ამონე შიგურაში.

როგორც დავინახეთ, გეშტალტის აღქმის სპეციფიკური გამო-
ცდილება ვარჯიშის გზით იქმნება. მაგრამ მიუხედავად ამისა ნაწი-
ლის განმეორების როლის აბსოლუტურად უარყოფა, ჩვენის აზრით,
მინც დაუსაბუთებელი დასკვნა იქნებოდა.


და მართლაც, ზემოთ განხილულ ცდებში, რთული ფიგურები
იმდენად ძლიერი გეშტალტ-სიმბაძისის არიან, რომ მათში შესაფე-
რი ფიგურა-ნაწილის აღქმა-მრავალგზისი წინასწარი ვარჯიშის პი-
რობებშიაც კი ძნელდება. (იმ მ ფიგურის გამორიცხვითაც, რომლე-
ბიც ამის შესაძლებლობას აბსოლუტურად არ ძძლევიან.), მაშასა-
დამე არ არის მართებული განმეორების გამოცდილებისათვის მნიშ-
ვნელობა, გოჩაღლის მსგავსად, მხოლოდ ასეთი ფიგურების მიხედ-
ვით გადაწყდეს; საჭიროა სხვა უფრო სუსტი გეშტალტ-სიმბაძისის
ფიგურებიც იქნას გასინჯული, — ისეთები, რომლების ამა თუ იმ
ნაწილის დამოუკიდებლად აღქმა არავითარ სიძნელეს არ ქმნის.

ამ მიზნით საექსპერიმენტოდ ავიღეთ 4 რთული ფიგურა თავ-
თავიანთი ნაწილობრივი ფიგურებით (იხ. ნახაზები), რომელნიც თი-
თოეულს მათგანში მეტი თუ ნაკლები ხარისხით ქვე-მთლიანის სა-
ხით შედიან (ნამდვილი ქვე-მთლიანის სახით კი № 1'-ში) და ამიტო-
მაც „წინასწარი ცოდნის პირობებში“ დაუბრკოლებლივ აღიქმე-
ბიან.

ცდა ტარდებოდა შემდეგნაირად: ეკრანზე ვაჩენდით ფიგურა-
ნაწილს (ა) — ზედიზედ რამდენიმეჯერ განმეორებით და ჩვენებრისა
და პაუზების ერთსა და იმავე ხანგრძლივობით (1 სეკ.). ამის შემ-
დეგ 2 სეკ. ხანგრძლივობით ჩნდებოდა რთული (ბ) ფიგურა, რომე-
ლიც გაქრობისთანავე ცდ. პირს უნდა აღეწერა. რადგან მან წინას-
წარ არათერი არ იცოდა იმის შესახებ, რომ მრავალჯერ განმეორე-
ბული ფიგურა რთული ფიგურის ნაწილს შეადგენდა. ამიტომ
მიღებული აღწერით შესაძლებელი ხდებოდა გაგვერკვია. თუ რო-
გორ აღიქვამდა ცდ. პირი რთულ ფიგურას ნაწილის შემჩნევი-
თუ დამოუკიდებლად, ე. ი. იქონიებდა თუ არა გავლენას ნაწილის
მრავალჯერ აღქმა რთული ფიგურის აღქმაზე. ამ სახით ჩატარებუ-
ლი იქნა ცდების სამი სერია:




A1




B1




A2



B2




A3



B3



A4



B4

1. ნაწილის სხვა და სხვა რაოდენობით განმეორების ცდები: წარმოებდა ცდ. პირების სამ ჯგუფზე (დაუსწრებელი პედ. ინსტიტუტის მსგებნელებიდან): პირველ ჯგუფზე (28 ცდ. პირი) – ფიგურა-ნაწილის 5-ჯერ განმეორებით. მეორე ჯგუფზე (28 ცდ. პირი) 30-ჯერ განმეორებით და მესამეზე (21 ცდ. პირი) 100-ჯერ განმეორებით. ინსტრუქცია ასეთი იყო: „ორ ფიგურას გიჩვენებ; ერთს რამდენიმეჯერ, მეორეს კი ერთხელ. კარგად დააკვირდი ორივეს, დაიმახსოვრე მათი ფორმა და, როცა ჩვენებას შევსწყვეტ, ამიწერე ისინი.“

აღნიშნულ ცდებს უნდა გაერკვია — გაიზრდებოდა თუ არა ნაწილის აღქმის მთელზე გავლენის შემთხვევები ამ ნაწილის განმეორების ზრდის კვალობაზე.

განიხილეთ ჯერ, თუ როგორ აღწერდნენ ცდ. პირები მიწოდებულ ფიგურებს. სულ დასტურდება პასუხების სამი ჯგუფი: 1. რთული ფიგურის აღწერა წინასწარ აღქმული ნაწილის მნიშვნელობით, — 2. რთული ფიგურისა და ნაწილის ურთიერთისგან დამოუკიდებლად აღწერა და 3. უარის თქმა რომელიმე მათგანის ან ორივეს აღწერაზე.

პირველი ჯგუფის აღწერებში გარკვევითაა ნაჩვენები, რომ რთული ფიგურა შეიცავს პირველად ნაჩვენებ ფიგურა-ნაწილს, ე. ი. რთული (11) ფიგურა აღქმულია მრავალჯერ განმეორებული (11) ნაწილის მნიშვნელობით; მაგალითად:

„პირველი იყო სწორკუთხედი, მეორე კი შედგებოდა ორი ასეთი სწორკუთხედისაგან, რომლებიც გვერდებით იყვნენ მიდებული ერთმანეთზე“ ($a_1 - B_1$); — „პირველი მრავალკუთხედი იყო და მეორეც ასეთ მრავალკუთხედებს შეიცავდა, ზევით სამკუთხედი“ ($a_2 - B_2$); „პირველად გამოჩნდა სწორი კუთხეებიანი ფიგურა და, მეორე, რომ მიჩვენეთ, მასაც ერთ მხარეზე ისეთივე ნაწილი ჰქონდა“ ($a_3 - B_3$); „პირველი ოთხკუთხედი იყო, ზევით ჩაზნექილი გვერდით, მეორეც ისეთივე იყო, ხოლო ტარი ჰქონდა მოდგმული და ჩანგალს ჰგავდა“ ($a_4 - B_4$).

მეორე ჯგუფის პასუხთათვის დამახასიათებელია ნაწილისა და რთული ფიგურის დამოუკიდებელი აღწერა და ხშირად პირდაპირ ჩვენებაც იმის, რომ იგინი სხვადასხვა ფიგურებია. მაშასადამე განმეორებული ნაწილის რთულ ფიგურაზე გაველნას აქ ადგილი არ აქვს და ამიტომ ყველა ასეთი ჩვენებები უარყოფით პასუხებს მიეკუთვნებიან.

რაც შეეხება მესამე ჯგუფის ჩვენებებს, საყურადღებოა, რომ ბევრი ცდ. პირი ძალიან უქმყოფილო იყო ჩვენი ფიგურების: „როგორ აღწერო, არაფერს არ ვაგსო“ და ამით ამთავრებდნენ პასუხს.

მიღებული რეზულტატები მარტო სწორი პასუხების მიხედვით თავმოყრილია შემდეგ ცხრილში.

ცხრილი № 5

განმ. №	5 განმეორებით				30 განმეორებით				100 განმეორებით			
	B_1	B_2	B_3	B_4	B_1	B_2	B_3	B_4	B_1	B_2	B_3	B_4
რთული ფიგურა												
ცდ. პირ %	3,6	—	—	15,4	50	21,4	39	62,5	66,7	30,8	50	70
	საშუალ. 4,7 %				საშუალ. 44 %				საშუალ. 54,5			

როგორც ვხედავთ ნაწილის მრავალჯერ განმეორებითი აღქმა არა მარტო ზეგავლენის ფაქტს ადასტურებს, არამედ იმასაც, რომ ეს ზეგავლენა კანონზომიერად მატულობს თვითონ განმეორებათა რაოდენობის ზრდის კვალობაზე: ნაწილის 5-ჯერ განმეორებისას საშუალოდ ცდ. პირთა 4,7 %-ია, რომელნიც ამ ზეგავლენას გვიჩვენებენ,

30-ჯერ განმეორებისას იგი 44 %-ს უდასტურდება, ხოლო 100-ჯერ განმეორებისას კი—54,5 %-ს. კიდევ უფრო მძაფრად იკვეთება კანონზომიერება, თუ ამ %-ულ მაჩვენებლებს ცალკეული ფიგურების მიხედვით განვიხილავთ, რადგან ასეთ შემთხვევაში ზოგი ფიგურის მიმართ ზეგაულების მაჩვენებელ ცდ. პირთა რაოდენობა 50-70 %-ს აღწევს.

ამ რიგად ფაქტური ვითარება ისეთია, რომ როცა ცდ. პირი ფიგურა-ნაწილის რამდენიმეჯერ განმეორებითი აღქმის შემდეგ სუსტი გეშტალტ-სიმტკიცის რთულ ფიგურას აღიქვამს, უკანასკნელსაც იგი ამ წინეთ აღქმულ ნაწილის მნიშვნელობით განიცდის. მაშასადამე განსაზღვრულ პირობებში გეშტალტის აღქმის სპეციფიკური გამოცდილება ნაწილის განმეორების გზითაც შეიძლება იქმნეოდეს.

* * *

2. ცდები შთამაგონებელი ინსტრუქციით: თუმცა ზემოთ აღწერილ ცდებში განმეორების დადებითი მნიშვნელობა საკმაო დამაჯერებლობით ირკვევა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ამ მნიშვნელობას თითქოს ყოველთვის გარდუვალად და აუცილებელი ხასიათი აქვს; შეიძლება გეშტალტის შინაგანი სიმტკიცე ძალიანაც სუსტი იყოს. მაგრამ განსაზღვრულს პირობებში მისი ნაწილის ცალკე განმეორებები სრულიად უმნიშვნელო აღმოჩნდეს. ამ გარემოებას არსებითი მნიშვნელობა აქვს, როგორც საკუთრივ განმეორების ნამდვილი როლის, ისე საერთოდ გამოცდილების ბუნების გარკვევისათვის. ამის შესახებ ფრიად საყურადღებო ფაქტს გვიდასტურებს შემდეგი ცდა:

სავსებით იმავე სახით და ისეთივე წინასწარი ინსტრუქციით, როგორც ზემოთ განხილულ ცდებში, სუბიექტს ვუჩვენებდით 30-ჯერ ერთსა და იმავე ფიგურა ნაწილს; განსხვავებას მხოლოდ ის ქმნიდა, რომ ამ 30-ჯერ ჩვენების შემდეგ რთული ფიგურის ექსპოზიციამდე დამატებით ინსტრუქციის სახით წინასწარ ვეუბნებოდით: „აბა ახლა სულ სხვა ფიგურას გიჩვენებ და ისიც ამიწერე“.

ეს ცდა ჩატარდა 20 ინდივიდზე და შედეგებიც მეტად დემონსტრატული აღმოჩნდა: თუ პირველ ცდებში ნაწილის 30-ჯერ განმეორება თავის ეფექტს ცდ. პირთა 44 %-ში ავლენდა (იხ. ცხრილი № 5), აქ უკვე განმეორება თითქმის უეფექტოა ($a_1 - B_1$ ფიგურების მიმართ მხოლოდ 5 %-ი, $a_4 - B_4 - 10\%$, ხოლო დანარჩენ ორზე — არც ერთი. $M-3$ %).

ისმის საკითხი: რა ქმნის ამ განსხვავებას? ორივე შემთხვევაში ფიგურებიც იგივეა და განმეორებათა რიცხვიც; მაშასადამე უბრალო გამორიცხვის წესით ადვილი მისახვედრია, რომ ამ განსხვავებას დამატებითი ინსტრუქცია უნდა ჰქმნიდეს; როცა ცდ. პირს ფიგურა-ნაწილის ექსპოზიციების შემდეგ უშუალოდ კი არ ვაწვდით რთულ ფიგურას, არამედ წინასწარ ვაფრთხილებთ, რომ ახლა „სულ სხვა ფიგურას“ ვუჩვენებთ, ამით იგი თავიდანვე გარკვეულ შთაგონებას ეძლევა, — შთაგონებას იმისას, რომ მომდევნო ფიგურა მართლაც სხვა არის და „სხვა ფიგურად“ უნდა აღიქვას; და აი სწორედ ამის გამოა, რომ განმეორებასაც ძალა ეკარგვის.

მაგრამ გვიჩვენებს თუ არა ეს საერთოდ განმეორების უმნიშვნელობას გამოცდილებისათვის? რა თქმა უნდა, არა!—აღნიშნული ცდა მხოლოდ შემდეგს ადასტურებს: არ უნდა დავივიწყოთ რომ განმეორება მხოლოდ ერთ-ერთი სხვა სუბიექტზე ზეგავლენისა და ამიტომ რასაც ერთ შემთხვევაში განმეორება აკეთებს (ე. ი. გავლენას ახდენს) სხვა შემთხვევაში იგივე შეიძლება კეთდებოდეს სხვა გზითაც, სახელდობრ, ჩვენს ცდებში შთაგონებით. მაშასადამე აღნიშნული ცდები იმას კა არ გვიჩვენებს, რომ განმეორება თითქოს იქაც უმნიშვნელოა, სადაც მისი ეფექტი ასე ნათლად ჩანდა, არამედ მხოლოდ იმას, რომ ადგილი აქვს სუბიექტზე ზეგავლენის ერთი ფორმის შეცვლას სულ სხვა საწინააღმდეგო ზეგავლენის ფორმით.

თუ რაში გამოიხატება კონკრეტულად „სუბიექტზე ზეგავლენა“ ეს უკვე გამოცდილების მოქმედების მექანიზმს ეხება და მის გარკვევას ქვემოთ შევეცდებით; ახლა კი საქმის ვითარების უფრო მეტის სისრულით წარმოდგენისათვის საჭიროა განხილული იქნას შემდეგი ცდაც.

3. ცდები ფიგურა-ნაწილის წინასწარი ჩახატვით და აღწერა-დასახელებით.—წინა ცდებში ყველა უარყოფითად მოპასუხე ცდპირებიდან ერთი და იგივე საყვედური გვესმოდა: „როგორ აღწერო, არაფერს არ გავს“ — „სახელი არ ვიცი, როგორ გითხრათო“. ამ გარემოებამ ბუნებრივად გვაფიქრებინა: როგორი იქნებოდა საქმის ვითარება, რომ ცდ. პირს თითოეული ფიგურა-ნაწილი გარკვეული სახელწოდებითაც აღებეჭდა.

მეორე მხრივ, არ შეიძლებოდა ყურადღება არ მიგვექციათ თვითონ განმეორების უმნიშვნელობაზეც: მართლაც და, თუ უკანასკნელის საჭიროება მხოლოდ იმით არის გამოწვეული, რომ ცდ. პირის მეხსიერებაში მტკიცედ აღიბეჭდოს მიწოდებული ფიგურა, მაშინ ეს აღბეჭდვა სხვა გზითაც შეიძლება მოხდეს და, რაც მთავარია, გაცილებით მეტი სიმტკიცით და სუბიექტის მეტი პიროვნული ძალების ამოქმედებით, ვიდრე ამას ნაწილის მხოლოდ ოპტიკური ექსპოზიციების უბრალო თანმიმდევრობითი განმეორება მოგვცემდა.

ორივე ამ მოსაზრებით ჩავატარეთ შემდეგი ცდა: ეკრანზე ვაჩენდით ფიგურა-ნაწილს და მოვითხოვდით დაეხატა იგი ცდ. პირს. ეს დახატვა არც მთლად ადვილი აღმოჩნდა: საჭირო იყო ფიგურის რამდენიმეჯერ ექსპოზიცია (ყოველი მცდარი დახატვის შემდეგ), რათა ცდ. პირს თანდათანობრივი შესწორების გზით ფიგურის სრული კონტური მოეცა.

სრული დახატვის შემდეგ წარმოებდა აღწერა-დასახელება: თითოეული ფიგურა ცდ. პირს უნდა აეწერა და დაერქმია მისთვის რაღაც სახელი; მაგრამ სახელწოდების გამონახვა თვითონ ცდ. პირთა მიერ შეუძლებელი აღმოჩნდა და ამიტომ იგი ფაქტურად ექსპერიმენტატორის მიერ სრულდებოდა. ცდ. პირთან შეთანხმებით ვიმუშავებდით შემდეგ სახელწოდებას: α_1 ფიგურა-ნაწილზე— „გონიო“, α_2 — „დროშა“, α_3 — „ქილანა“, — α_4 -ზე იგივე რაც α_2 -ზე; ამასთანავე ყოველ სახელწოდებას ვასაბუთებდით კიდევ, ე. ი. თვითონ ფიგურის აღწერით ვუჩვენებდით, თუ რატომ შეიძლებოდა, ვთქვათ, მისი ამგვარად დასახელება.

სახელწოდებათა მიცემის შემდეგ იმავე ფიგურებს ვაჩენდით ეკრანზე ოც-ოცჯერ და მოვითხოვდით, რა ფიგურაც გამოჩნდებოდა, დაესახელებიათ. საერთოდ ამ დახატვა-დასახელებისათვის თითოეულ ცდ. პირს ვაძლევდით მხოლოდ ორ ფიგურა-ნაწილს (ან A_1 და A_2 ანდა $A_3 - A_1$). ამით მთავრდებოდა საკუთრივ ნაწილის აღბეჭდვა.

აღბეჭდვის შემდეგ იწყებოდა შესაფერი რთული ფიგურების ექსპოზიცია ეკრანზე (2 სეკუნდის ხანგრძლივობით). ინსტრუქცია ასეთი იყო: „ახლა კიდევ ორ ფიგურას გიჩვენებ, კარგად დააკვირდი და, როცა ჩვენებან შევწყვეტ, ამიწერე ისინი“. ცდა ჩატარდა ინდივიდების ორ ჯგუფზე: პირველზე $A_1 - B_1$ და $A_2 - B_2$ ფიგურებით, ხოლო მეორეზე $A_2 - B_2$ და $A_1 - B_1$ ფიგურებით (თითოეულ ჯგუფში 15 ცდ. პირზე). რეზულტატები მოცემულია ცხრილში № 6.

ცხრილი №6

ფიგურ.	B_1	B_2	B_3	B_4	საშ. %
ცდ. პირ.	86,7	53,3	73,3	93,3	76,7
%					

როგორც ვხედავთ, აქ დადებითი აღწერა (რთულს ფიგურაში ნაწილის აღქმა) არა თუ ფაქტია, არამედ იგი გაცილებით უფრო მეტი რაოდენობით იჩენს თავს, ვიდრე რომელიმე წინა ორ ცდაში: „ნაწილის სხვადასხვა რაოდენობით განმეორების ცდებში“ საშუალოდ იგი 44 და 54,5% -ს აღწევს (შეად. ცხრ. №3), აქ კი 76,7% -ს. ამასთანავე არც ერთი ფიგურა არ არის ისეთი, რომელზედაც ეს მომატება არ ვრცელდება.

მაგრამ აღნიშნული ცდა სხვა მხრივაც არის საგულისხმო, სახელდობრ, აღწერის სიადვილის მხრივ, რომელსაც ცდ. პირები რთული (B) ფიგურების შესაბამისად იძლეოდნენ: თუ „სხვადასხვა რაოდენობით განმეორების ცდებში“ დადებითი აღწერა ძალიან ხშირად ბუნდოვანი და მრავალსიტყვიანი იყო, აქ იგი, პირიქით, მუდამ ლაკონურად და „შექმნილი სახელების“ გამოყენებით წარმოებდა (მაგალ. B_1 -ზე: „ისეთივე გონიოები მარჯვნივ და მარცხნივ, შებრუნებულად“—და სხ. ას.)

თანახმად ამ შედეგებისა ჯერ-ჯერობით ასე შეგვიძლია დავასკვნათ: ნაწილის ჩახატვისა და აღწერა-დასახელების ოპერაციებით ცდ. პირი, თუ შეიძლება ასე ითქვას, სწავლობს ფიგურის აღწერას, ნახულობს თვალსაზრისებს ამ აღწერისა. ხოლო სიტყვა-სახელწოდება კი ასრულებს გეშტალტის შინაგანი დანაწევრებულობის აღქმას. თუ ახლა ამ ოპერაციების ეფექტის აღსანიშნავად ჩვეულებრივ სიტყვას „აღბეჭდვა“-ს ვიხმართ, მაშინ შეიძლება ასედაც გვეთქვას: ჩახატვისა და აღწერა-დასახელების გზით ფიგურა-ნაწილის აღბეჭდვა უფრო ხელსაყრელ პირობებს ქმნის მისი რთულს ფიგურაში აღქმისათვის, ვიდრე მხოლოდ ოპტიკური ექსპოზიციების უბრალო თანამიმდევრობით განმეორება.

დაბოლოს კიდევ ერთი ფაქტი: შედარებით უბრალო განმეორებასთან, ჩახატვისა და აღწერა-დასახელების გავლენა ხანგრძლივობის მხრივაც უფრო გამძლეა: ფიგურა-ნაწილის 10 თანამიმდევრობითი განმეორების შემდეგ რომ რამდენიმე მინუტით დაეაყოვნეთ და მხოლოდ ამის შემდეგ ვუჩვენეთ ცდ. პირებს შესაფერი რთული ფიგურა, გავლენის ფაქტი არც ერთ შემთხვევაში არ დადასტურდა (10 ცდ. პირზე), ხოლო ჩახატვისა და აღწერა-დასახელებისას კი ეს გავლენა 2-3 დღის შემდეგაც თავს იჩენდა (25 ცდ. პირში: $1/4$ თი-გურაზე—40 %-ით, $1/3$ —32 %-ით).

§. 8 შედეგების ახსნა და გამოცდილების მექანიზმის საკითხი.

თვალი რომ გადაეავლოთ ყველაფერს იმას, რაც საერთოდ ჩვენს ცდებში დადასტურდა, ნათელი ხდება შემდეგი: ყველა ცდაში მიწოდებული ფიგურების სახით ობიექტურად მოცემული შინაარსი თუმცა ერთია. მაგრამ მისი განცდა, მისი გარკვეულ ნაწილებად დაჯგუფება განსხვავებულია იმის მიხედვით, თუ რა შინაარსის აღქმა უსწრებდა მას წინ: 1. ფიგურა გემტალტის შინაგანი დანაწევრებულობა სუბიექტის „ბუნებრივ“ ანუ სერიოზულ შრომითს ცხოვრებაში შეძენილ გამოცდილების შესაფერად აღიქმება; 2. ასევე, რთულ ფიგურაში ნაწილის გამონახვისა და აღქმის წინასწარი სპეციალური ვარჯიში მნიშვნელოვნად ზრდის ჩვენს მიღწევებს მსგავსი ოპერაციების შესრულებაში, იმ დროს, როცა მართო „გამონახვის“ განზრახვა თითქმის უშედეგაოა; 3. დაბოლოს ადვილი გემტალტ-სიმტკიცის ფიგურების განცდა ერთია, როცა ისინი დამოუკიდებლად აღიქმებიან, და სულ სხვაა. როცა ამ აღქმას წინ უსწრებს მათი ერთი რომელიმე ქვემთლიანი ნაწილის განცდა. ერთი სიტყვით ის, რაც დამოუკიდებელ აღქმაში იყო მოცემული, ახლა უკვე ირღვევა და წინეთ განცდილი შინაარსის შესაფერად ჯგუფდება. გამოცდილების ფაქტი მეტს არაფერს გულისხმობს და, მაშასადამე, ფიგურის აღქმის მიმართ მისი შექმნის სპეციფიკური გზები ამით უკვე მიგნებულად მიგვაჩნია.

მაგრამ ჯერჯერობით ჩვენ მხოლოდ ფაქტთან გვაქვს საქმე, რომელიც მეტს არაფერს გვეუბნება გარდა იმისა, რომ წინეთ განცდილი გავლენას ახდენს მომდევნო შინაარსის აღქმაზე.

კი მაგრამ შეიძლება გვითხრან—რატომ ახდენს გავლენას წინეთ განცდილი მომდევნოზე? ეს უკვე სხვა საკითხია, იგი ეხება ახსნას ფაქტებისას და, მაშასადამე, იმ მექანიზმის ჩვენებას, რითაც საერთოდ გამოცდილება უნდა ხორციელდებოდეს. განვიხილოთ ეს საკითხი.

ჩვენ გამოვდივართ შემდეგი მოსაზრებიდან: ყველა ზემოთ აღწერილ ცდაში საქმე გვაქვს გარკვეული ობიექტური შინაარსის აღქმასთან. მაშასადამე, ის ფაქტორი, რომელიც ამ აღქმის ყველა შემთხვევას აგვიხსნიდა, არ შეიძლება იყოს მრავალი. ახსნა უნდა იყოს ისეთი, რომელიც დადასტურებული ფაქტების ურთიერთთან შეჯერებით მიაკვლევდა ერთ ძირითად პირობას და ამით გასაგებად გახდიდა ყველა ზემოდ აღწერილ შემთხვევას. ამ თვალსაზრისით. ვფიქრობ, ჩვენი ცდები არ წარმოადგენენ მხოლოდ ფაქტების უბრა

ლო გროვას, რომელთაც, რა ფორმასაც მისცემს, თითქოს სულერთია; არა, თვითონ ეს ფაქტებია, რომლებიც გარკვეულ კანონზომიერებისაკენ გვითითებენ,—ფაქტები, რომლებშიც მოსჩანს მათი ამხსნელი მიზეზი.

ახსნის ერთი მიმართულება, რომელიც პირველად შეიძლება გაუჩნდეს დაკვირვებულ ადამიანს, „კვალის თეორიაა“: ნაწილის მრავალჯერ განმეორებითი აღბეჭდვა ქმნის ერთგვარ „კვალს“, რეზიდუუმს თავის ტვინში და, ვინაიდან რთული ფიგურა—გეშტალტის მიერ აგზნებულ არეში მისი „ნაწილის“ არეც შედის, ამიტომ პირველის აგზნებით უკანასკნელიც აღიგზნება და ამის გამოა, რომ რთულს ფიგურაში წინათ აღბეჭდილ ნაწილს ეხებადეთ. მაშასადამე, ამ თეორიის თანახმად „კვალის“ ავტომატური რეპროდუქციის ტენდენცია ყოფილან ის მექანიზმი, რითაც გამოცდილება ხორციელდება, რითაც წინანდელი განცდები გავლენას ახდენს მომდევნო შინაარსის აღქმაზე.

დადასტურებული ფაქტების შეჯერება გვიჩვენებს, რომ „კვალის თეორია“ არ უნდა იყოს სწორი:

1. თუ კვალის ავტომატური მოქმედებაა გამოცდილების მექანიზმი, მაშინ კვალის ასეთ გავლენას ადგილი უნდა ჰქონებოდა ძლიერი გეშტალტ-სიმტკიცის ფიგურების მიმართაც; ნამდვილად კი, როგორც დავინახეთ, ნაწილის 100-ჯერ ექსპოზიცია და ამასთანავე მისი მტკიცედ აღბეჭდვაც მრავალჯერ ჩაბატებით და აღწერა-დასახელებით აბსოლუტურად უშედეგო აღმოჩნდა. მაშ კვალი უდავოდ უნდა შექმნილიყო, მაგრამ მისი ეფექტი არსად ჩანს.

იმავე ძნელ ფიგურებზე ვარჯიშით ნაწილის აღქმა ფაქტია, მაგრამ ეს სწორედ იმას გვიჩვენებს, რომ იგი სხვა ფაქტორზე დამოკიდებულია: რა თქმა უნდა, გარდა საკუთრივ ვარჯიშისა, აქაც ჰქონდა ადგილი ნაწილის განმეორებით ექსპოზიციებს და მის მტკიცედ აღბეჭდვას მეხსიერებაში, მაგრამ თუ იგი პირველ ცდებში უშედეგო იყო, ცხადია, არც აქ შეიძლებოდა მას ემოქმედა. მაშასადამე, უნდა ვიმსჯელოთ ასე: ვარჯიშის ცდებში თვითონ განმეორება-აღბეჭდვა კი არ ქმნის დადებით ეფექტს. არამედ ვარჯიში, რომელიც შესაფერი ოპერაციების შესრულებაში გამოიხატება. კი მაგრამ—შეიძლება გვითხრან—ვარჯიშიც ხომ შეიძლება კვალს ქმნიდეს?! და, მაშასადამე, ამ კერძო შემთხვევაში მაინც, „კვალის თეორია“ ძალაში რჩება.

ჩვენ ვფიქრობთ, არც ეს მოსაზრებაა სწორი: მართლაც და, რა უნდა აღბეჭდილიყო კვალის სახით საკუთრივ ისეთ ცდებში, როცა ცდ. პირს გასავარჯიშებლად მრავალს ფიგურა-გეშტალტში განსაზღვრული ნაწილი უნდა გამოეყო, აღექვა მისი კონტური, როცა ვარჯიში მხოლოდ და მხოლოდ რთული ფიგურის დაშლას შეეხებოდა და არა ნაწილის დამოუკიდებელ აღბეჭდვას? ცხადია, თუ აუცილებლად კვალის შესახებ უნდა ვილაპარაკოთ, მაშინ კვალის სახით უნდა აღბეჭდილიყო სწორედ ეს „დაშლა“ და არა ცალკე ნაწილი ფიგურა, რომლის დამოუკიდებელ განმეორებებს არც ჰქონიათ ადგილი.

მაგრამ რა არის თვითონ ეს „დაშლა?“—რა პროცესია იგი?

არაერთარ შემთხვევაში არ შეიძლება ითქვას, რომ იგი ათთ-
ქოს საესებით ისეთივე პროცესია, როგორც ნაწილის მრავალჯერ
ობტიკური აღქმა. რა თქმა უნდა, თუ განმეორების ცდებს ფარ-
თო მნიშვნელობით ავიღებთ, მაშინ, ცხადია, ვარჯიშიც განმეორე-
ბაა, რადგან იგულისხმება, რომ რაღაც ოპერაცია მრავალჯერ სრუ-
ლდება სუბიექტის მიერ და, მაშასადამე, ჩვენს „ვარჯიშის ცდებ-
შიაც“ გამოცდილების შექმნის გზად ბოლოს და ბოლოს ისევ გან-
მეორება რჩება. მაგრამ ერთ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს რთუ-
ლი ფიგურის ნაწილის დამოუკიდებელ განმეორებითს აღქმებთან,
ხოლო მეორეში კი ამ ნაწილის რთულში გამოხატვის ანუ მთლიანი
ობერაციის განმეორებითს შესრულებებთან. უეჭველია რომ შინაარ-
სეულად ისინი განსხვავდებიან ურთიერთისაგან და ეს გაძღვეს
უფლებას, რათა პირველს მხოლოდ განმეორება ვუწოდოთ, ხოლო
მეორეს ვარჯიში. და აი როცა ცდ. პირი ვარჯიშობს: რთულ ფი-
გურას შლის, ანალიზებს, ეძებს ნაწილს, ცდილობს მისი კონტურის
გამოკვეთილად აღქმას, ყოველივე ეს მთელი მუშაობაა, რთული
ობერაცია, რომელიც პიროვნების მთელ ფსიქოფიზიკურ არსებას
მოიცავს, რომელსაც მთლიანი სუბიექტი ასრულებს და არა ერთი,
რომელიმე მისი ორგანო. მაშასადამე, რაკი „დაშლა-ვარჯში“ მთლი-
ანი სუბიექტის ამოქმედებაა, ამიტომ, მისი შესატყვისი კვლიც არ
შეიძლება მკაცრად ლოკალური იყოს; და თუ რაღაც კვლისე-
ბური მაინც უნდა ვიგულისხმოთ, ასეთი შეიძლება იყოს სუბიექტის
მთლიანი არსების, მთელი მისი ფსიქოფიზიკური ორგანიზმის ცვლი-
ლება. მაგრამ ასეთი მთლიანი ხასიათის ცვლილების დაშვებით
„კვალის თეორია“ კარგავს უკვე საფუძვლს, რადგან „კვალი-
მაშინაც კი, როცა იგი დინამიკურ ბუნებისად არის წარმოდგენილი,
ყოველთვის ლოკალურია და ამ ლოკალობის გარეშე იგი ვერ იახრება“

მეორეს მხრივ, თუ საქმის ვითარებას კარგად ჩაუკვირდებით
კვალის საწინააღმდეგოდ სხვა საბუთსაც დაგინახავთ; მაგალითად,
თუ ვიგულისხმებთ, რომ ვარჯიშის ცდებიც ვარჯიშულ კვალს ქმნიდა
ამ კვალს მაინც არ შეეძლო ემოქმედა შემოწმების ცდებში მოწო-
დებული ფიგურების აღქმაზე, რადგან კვალს ყოველთვის ვარჯიშულ-
ობა ახასიათებს, იგი რისიმე კვალია და, მაშასადამე, შემოწმების
ცდებში ტლანქად განსხვავებულ ფიგურების მიმართაც, სადაც სა-
ვარჯიშო ფიგურებთან შედარებით სულ სხვა ნაწილები იყო გამო-
სანახი, ასეთი კვალი ვერავითარ შემთხვევაში ვერ ემოქმედებდა.

დაბოლოს „კვალის თეორიის“ საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს
აგრეთვე შემდეგი ცდებიც: „ფიგურა-ნაწილის სხვადასხვა რაო-
დენობით განმეორების ცდებში“ 30-ჯერ განმეორება დადებითი
აღქმის საკმაოდ დიდ $\frac{1}{e}$ -ს იძლევა, ხოლო „შთამავგონებელი ინსტ-
რუქციით“ ჩატარებულ ცდებში კი იმდენივე განმეორება სრუ-
ლიად უეფექტო რჩება. მაშასადამე, ვინც იტყვის, რომ ნაწილის
განმეორების ცდებში დადებითი შედეგები ხშირი განმეორებით
შექმნილი კვალის ავტომატური მოქმედების პროდუქტიაა, მან
„შთამავგონებელი ინსტრუქციით“ წარმოებულ ცდების მიმართ
შემდეგი ახსნა უნდა წამოაყენოს: „კვალის მოქმედებას აქაც აქვს
ადგილი, მაგრამ თუ დადებით შედეგებს არ ვღებულობთ, ეს იმი-

ტომ, რომ შთაგონება მოქმედობს“. ცხადია, ასეთი ახსნა ვერ არის კონსექვენტური. რადგან ერთ შემთხვევაში იგი ლოკალურ-ფიზიოლოგიურ ფაქტორს მიმართავს, ხოლო მეორე შემთხვევაში — პიროვნულ ფაქტორს: შთაგონებას, რომელიც თავის ეფექტით მთლიანი პიროვნების შეცვლაა, მთლიანს პიროვნებაზე ზემოქმედება და არა ადგილობრივად შემოფარგლული კვალი.

ამგვარად, ჩვენი ფაქტების შეჯერება გვარწმუნებს, რომ „კვალის“ თეორია ვერ გვითვალისწინებს საქმის ნამდვილ ვითარებას. მაგრამ არსებობს სხვაგვარი ახსნის შესაძლებლობაც: საგულისხმოა ამ მხრივ „სიტუაციის ვექტორის“ თეორია, რომელიც გეშტალტ-ფსიქოლოგიის პრინციპებიდან გამოდის.

კ. გოჩალდი „სიტუაციის ვექტორის“ ცნებას შემდეგნაირად განსაზღვრავს: „იგი არის მოვლენის ობიექტური მიმდინარეობის სტრუქტურულიდან გამომდინარე ძალა, რომელიც აიძულებს სუბიექტს ამ სტრუქტურას მიჰყვეს და მის შესაფერისად იმოქმედოს“-ო. მაშასადამე, ამ მიმდინარეობას სავსებით გეშტალტური ხასიათი აქვს, იგი პროცესის გეშტალტია, რომელიც ისწრაფის „დასრულდეს“, „დამთავრდეს“ ისევე, როგორც „თავლია სამკუთხედის“ განცდა გეშტალტ-ფსიქოლოგების თვალსაზრისით.

აღნიშნული თეორიის თანახმად, ნაწილის თანმიმდევარი განმეორების შემდეგ რომ რთულს ფიგურა-გეშტალტშიც ამ ნაწილს ვხედავთ. ეს აიხსნება შექმნილი სტრუქტურის დასრულებით: ნაწილის თანმიმდევარი ექსპოზიცია ცდ. პირის წინაშე გარკვეული სტრუქტურის სახით წარმოსდგება, რომელიც „ისწრაფის“, „ტენდირობს“ დასრულებისაკენ და ამ დასრულებას რთულ ფიგურაში შესაფერი ნაწილის აღქმით აღწევს. ასეთია „სიტუაციის ვექტორის“ დედააზრი. განვიხილოთ ახლა, თუ რამდენად ხსნის იგი ჩვენს შედეგებს.

1. რადგან „სიტუაციის ვექტორი“ მოვლენის ობიექტური მიმდინარეობის სტრუქტურიდან გამომდინარე ძალაა, ამიტომ სადაც კი ჩვენ ცდებში ეს „ობიექტური სტრუქტურის“ ფაქტორი შეიძლება ვიგულოთ. იქ ნაწილის ფიგურაში აღქმაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს. ნამდვილად კი ფაქტი სულ სხვას გვიჩვენებს; ასე, მაგალითად: ჩვენს ცდებში „შთამაგონებელი ინსტრუქციით“ — ნაწილის მრავალჯერ თანმიმდევარი ექსპოზიცია უთუოდ გარკვეულ სტრუქტურას უნდა ქმნიდეს, მაგრამ მიუხედავად ამისა სიტუაციის ვექტორის დადებითი მოქმედება არსად ჩანს. რატომ ხდება ასე? თქმა იმისა, რომ შთაგონება მოვლენის ობიექტური მიმდინარეობის სტრუქტურას სპობს, აბსურდია, — ყოველ შემთხვევაში „სიტუაციის ვექტორის“ თეორიის დამცველთ არ აქვთ უფლება ასე იგულისხმონ, რადგან თანახმად ამ თეორიისა სუბიექტი თვითონაა დამოკიდებული ამ ობიექტურ სტრუქტურაზე და სხვაგვარად მოქმედება, თუ არა ამ სტრუქტურის შესაფერისად, მას არ შეუძლია. მაშასადამე რჩება მხოლოდ შემდეგი შესაძლებლობა: „ობიექტურ სტრუქტურას“ ჰქონდა ადგილი, „სიტუაციის ვექტორიც“ ნამდვილად იყო, მაგრამ იგი სუბიექტის შთაგონებამ შეაფერხა. დაარღვია მისი მოქმედება. უდავოა, რომ ამ დებულების მიღება უკვე გადანაცვლება თვითონ ახსნისა, მისი გადატა-

ნა ობიექტურ სტრუქტურაიდან თვითონ სუბიექტის მნიშვნელობაზე, მდგომარეობაზე და, როგორც ქვემოთ დავინახავთ, იმავე დროს ნამდვილი ახსნის მიგნებაც არის.

2. აღსანიშნავია კიდევ შემდეგი ფაქტიური ხასიათის დაბრკოლებაც; ძნელი ფიგურებით ვარჯიშის ცდებში და აგრეთვე „ცდებში ნაწილის ჩასატვითა და აღწერა-დასახელებით“ (სუსტი გეშტალტ-სიმტკიცის ფიგურებზე) თვითეული ცდის აგებულება ისეთი იყო. რომ არსად არ ქონდა ადგილი მოვლენის ობიექტური თანმიმდევრობითი მიმდინარეობის სტრუქტურას და, მაშასადამე, ვერც სიტუაციის ვექტორი განხედობდა; მიუხედავად ამისა რთულ ფიგურაში ნაწილის აღქმას ყველაზე მეტად სწორედ ეს ცდები იძლეოდნენ. ერთი სიტყვით ეს ცდები იმას გვეუბნება, რომ სიტუაციის ვექტორს შეიძლება არ ქონდეს ადგილი, მაგრამ ნაწილის რთულ ფიგურაში აღქმა მაინც ფაქტი იყოს.

3. დაბოლოს ამ ფაქტიურ დაბრკოლებებთან ერთად არ შეიძლება არ აღვნიშნოთ კიდევ შემდეგაც: ჩვენ არ მიგვაჩნია დამაჯერებლად „სიტუაციის ვექტორის“ ის მთავარი თეორიული წინამძღვარი, რომლის თანახმად სუბიექტის მოქმედება თითქოს მთლიანად ობიექტური სტრუქტურის ტენდირობითაა განსაზღვრული, — რომ იგი თითქოს ამ სტრუქტურის ბრძანებლობით არის შებორკილი. ეს დაუფასებლობაა სუბიექტის როლის, მისი აქტივობის, მისი იმ თვისებების, რომ იგი არ ემორჩილება მოცემულ სიტუაციას, რომ იგი შემომქმედი არსებაა, სახეს უცვლის სინამდვილეს და, მაშასადამე, თვითონაც ქმნის ასეთ სიტუაციებს. ჩვენ ვფიქრობთ, სუბიექტის ასეთი მიჯაჭვულობა ობიექტურ სტრუქტურაზე და უკანასკნელის შეუზღუდველი კანონმდებლობა გადაქარბებული ობიექტივიზმია, საკითხისადმი არაისტორიული მიდგომა რაც, შეიძლება ითქვას, საერთო ნაკლია მთელი იმ მიმართულებისათვის, საიდანაც „სიტუაციის ვექტორის“ თეორია გამოდის.

ამგვარად, ვერც „კვალის“ და ვერც „სიტუაციის ვექტორის“ თეორია ვერ გვაძლევს დადასტურებულ ფაქტების დამაჯერებელ ახსნას. ამიტომაც ისინი არ შეიძლება მიღებულ იქნას გამოცდილების იმ მექანიზმად. რითაც წარსულის განცდები გავლენას ახდენენ მომდევნო შინაარსის აღქმაზე.

საგულისხმოა, რომ ყველა ჩვენს ცდაში გარჩეული თეორიები სწორედ იქ იჩენენ უძლურებას, სადაც ფაქტები სუბიექტის მნიშვნელობას ამჟღავნებენ; და ეს გასაგებიც არის, რადგან ძირითადი წინამძღვარი, საიდანაც ისინი გამოდიან. შემდეგშია: თითქოს არსებობს სუბიექტი. როგორც უცვლელი. მარად თავისთავთან იღებურია რაღაც. რომელზეც ყველაფერა მოქმედობს და იგი მხოლოდ სტერეოტიპურად რეაგირობს. ისე რომ არაფერი ამ რეაგირებაში მას თავისმხრივ არ შეაქვს. — აი სწორედ ეს თუხა დასარღვევი და მაშინ საჰმის ვითარებაც სულ სხვა მხრივ წარმოსდგება.

მაგრამ ფაქტიურად ეს თუხა უკვე დარღვეულია მარქსიზმის კლასიკოსების მიერ. ფ. ენგელსი თავგამოდებით ებრძოდა ისტორიის ნატურალისტურ გაგებას, რომ თითქოს „მხოლოდ ბუნება მოქმედებს ადამიანზე და რომ თითქოს მარტო ბუნებრივი პირო-

ბებია, რომლებიც ყველგან მის ისტორიულ განვითარებას განსაზღვრავენ". ასეთ შეხედულებას იგი ცალმხრივად თვლიდა, რადგან „უკანასკნელი ივიწყებს, რომ აგრეთვე ადამიანიც მოქმედობს ბუნებაზე, ცვლის მას; ქმნის ახალ პირობებს თავის არსებობისა. გერმანიის „ბუნებიდან“, როგორც იგი იყო დასახლების ეპოქაში საოცრად მძიკრე დარჩა. მიწის ზედაპირი, ჰავა, მცენარეულობა, ცხოველთა სამეფო და თვით ადამიანიც განუსაზღვრელად შეიცვალა, და ყველაფერი ეს ადამიანის მოქმედების წყალობით“-ო!). მაშასადამე ადამიანი. მოქმედებს რა გარე ბუნებაზე და ცვლის რა მას, იმავე დროს თვითონაც იცვლება და სწორედ ამ ურთიერთზე გაველნა-შეცვლაშია მისი განვითარების ძირითადი პირობა. მაგრამ, თუ ამაშია ადამიანის ისტორიული განვითარების გასაღები, მაშინ იგივე უნდა ვიგულისხმოთ ყოველს კონკრეტ შემთხვევაში გამლიზიანებელისა და სუბიექტის ურთიერთდამოკიდებულების შესახებაც; — და მაშინ ფსიქოლოგიაშიაც ამ საკითხის გადაჭრამ კვლევა-ძიების შემდეგი წინამძღვარი უნდა შექმნას:

თუ გარემო თავისი ნაირნაირი გამლიზიანებლებით ზემოქმედებს სუბიექტზე და იმავე დროს უკანასკნელიც უკუმოქმედებს მასზე, მაშინ ამ უკუმოქმედებას შესაძლებლად უნდა ხლიდეს ის, რომ გარემოს ზეგავლენის შედეგად თვითონ სუბიექტი აღარ რჩება იმით, რაც მანამდე იყო: იგი იცვლება. ვითარდება და, მაშასადამე, მისი საპასუხო მოქმედებებიც ამიერიდან განსხვავებულ მიმართულებას იძენენ. და მართლაც, რომ ეს ზემოქმედება მუდამ ცალმხრივი ყოფილიყო, რომ არ ჰქონებოდა ადგილი სუბიექტის შეცვლას, მაშინ გარემოს ყოველ მოქმედებაზეც ადამიანს მუდამ სტერეოტიპულად, დასაბამიდანვე (რეფლექსის მზგავსად) ერთნაირის რეაქციით უნდა ეპასუხნა. ე. ი. აღარ იქნებოდა განვითარება, უკუმოქმედება, ვითარცა სინამდვილისათვის სახის შეცვლა ანუ მისი გარდაქმნა.

ამგვარად ძირითადი წინამძღვარი, საიდანაც ფსიქოლოგიური კვლევა-ძიება უნდა გამოვიდეს. გარემოს ზემოქმედებით სუბიექტის შეცვლის ფაქტი უნდა იყოს. ჩვენს მეცნიერებაში იგი შემდეგ ფორმულირებას იღებს: რაკი სუბიექტმა გარკვეული მოქმედება შეასრულა. რაკი მან გარკვეული ზეგავლენა განიცადა, რომელიც, არა მარტო ტვინის განსაზღვრულ ნაწილს, არამედ მთელს მის არსებას სწვდა, მთელი მისი არსება შეარხია, — ამის შემდეგ, თუ შეიძლება ასე ითქვას, იგი უკვე „სხვა“ სუბიექტია, ე. ი. შესაძლებელია იმავე ფსიქოფიზიკური ძალებისა და მოძრაობების ინვენტარით, რომლებიც მანამდეც ჰქონდა. მაგრამ ახლა უკვე მათი სხვა გვარის განწესრიგებით, სხვაგვარი მომართვით, ანუ მთლიანი პიროვნების სხვაგვარად ამოქმედების მზაობით. თანამედროვე ფსიქოლოგიაში საქმის ვითარების ამგვარ გაგებას განწყობის ცნება იტევს და, ჩვენ ვფიქრობთ. ზემოთ განხილულ შედეგებსაც სწორედ ეს განწყობა უნდა ხსნიდეს.

განწყობა, როგორც სუბიექტის მთლიანი ცვლილება, როგორც მთელი მისი არსების ფსიქოფიზიკური მოდიფიკაცია, რომელსაც ობიექტური სინამდვილის ზემოქმედება ქმნის და რომელიც სათა-

1) ფ. ენგელს „Дialeктика природы“ стр. 16. 1932.

ნადო პირობებში შესაფერად განსაზღვრავს ჩვენს ქცევა-მოქმედებას, შეიძლება ითქვას. საკმაოდ დასაბუთებული თეორიაა თანამედროვე ფსიქოლოგიაში; და კიდევ მეტიც: უკანასკნელ ხანებში პროფ. დ. უზნაძისა და მისი ხელმძღვანელობით*) ფართოდ გაშლილი კვლევა-ძიება „განწყობის ილუზიის“ შესახებ ამ თეორიის მტკიცე ექსპერიმენტულ დასაყრდენს აძლევს.

რომ წარსული განცდების მოქმედება მოცემული შინაარსის აღქმაზე სუბიექტის განწყობის საფუძველზე ხორციელდება და რომ. მაშასადამე, გამოცდილების მექანიზმს სწორედ ეს განწყობა უნდა ქმნიდეს, ჩვენს ცდებში ეს ცხადად ჩანს შემდეგი ფაქტებიდან:

როცა ნაწილის განმეორების ცდებს შთაგონებელი ინსტრუქციით ვატარებდით, შედეგი უარყოფითი იყო, ხოლო იგივე ცდები ნეიტრალური ინსტრუქციით უკვე დადებით ეფექტს გვაძლევდა. უდავოა, რომ შთაგონება არც „კვალის“ მოქმედებაა და არც მოვლენის ობიექტური მიმდინარეობის სტრუქტურა; იგი პირველ ყოვლისა სუბიექტზე ზეგავლენაა და. მაშასადამე, თვითონ სუბიექტის მდგომარეობა, ე. ი. მთლიანი პიროვნების შეცვლა და არა „კვალის“ სახით მის ტვინში განსაზღვრულ ადგილზე გამოწვეული ცვლილება. და მართლაც, რაზე უნდა მოეხდინა შთაგონებას გავლენა, თუ არა მთლიანს სუბიექტზე? ამ სიტყვის ყოველდღიური ხმარებაც კი სწორედ იმას გულისხმობს, რომ შთაგონებული სუბიექტი „სხვა“ სუბიექტია, რომ იგი ისე აღარ მოქმედობს, როგორც მანამდე. ერთი სიტყვით რჩება მხოლოდ ახსნის შემდეგი შესაძლებლობა: შთაგონებული სუბიექტი წინასწარ ხდება განწყობილი „სხვა“ ფიგურის აღქმისადმი და ამიტომ არის. რომ მოწოდებულ რთულ ფიგურასაც ამ შექმნილი განწყობის შესაფერად (როგორც „სხვას“) აღიქვამს.

მაგრამ, მეორეს მხრივ, რა კი აღნიშნულ ცდაში რთული ფიგურის „დამოუკიდებელ“ აღქმას (ე. ი. არა ნაწილის მნიშვნელობით) წინასწარ შექმნილი განწყობა განსაზღვრავს. ცხადია, იგივე ფაქტორი უნდა განსაზღვრავდეს ამ რთულ ფიგურის აღქმას, მაშინაც, როცა იგი მრავალჯერ განმეორებული ან სხვა რაიმე სახით აღბეჭდილი ნაწილის მნიშვნელობით განიცდებდა: ე. ი. „ნაწილის თანმიმდევრობითი განმეორების“, „ნაწილის ჩახატვა დასახელებისა“ და „ვარჯიშის“ ცდებშიაც იგივე ფაქტორი უნდა მოქმედებდეს.

რა თქმა უნდა, ამ ცდებში შთაგონებას ადგილი არ აქვს, მაგრამ არც სავალდებულოა რომ მას ყველგან ჰქონდეს ადგილი,

*) პროფ. დ. უზნაძე „განწყობის ფსიქოლოგია“. სახ. უნივერსიტეტის შრომები. VII. 1939.

D. Usnadze „Untersuchung zur Psychologie der Einstellung.“ იხ. „Acta Psychologica“.

D. Usnadze „Über Gewichtstäuschung und ihre Analogie“ იხ. Psych. Forsch. B. 14. H. 4.

Д. Уснадзе „К вопросу об основном законе смены установок“ жур. Психология в III 1930.

პროფ. უზნაძე „პოპტიპნოტური შთაგონების თეორიისათვის“ კრ.-ში „ფუნქციონ. ნერვ. დაავადებათა ინსტიტის შრომები“ 1936.

„მასალები განწყობის ფსიქოლოგიისათვის“ კრებული 1938.

სადაც კი რაიმესადმი განწყობის მოქმედებას ვადასტურებთ. როგორც ზემოდაც აღნიშნეთ, შთაგონება მხოლოდ ერთ ერთი ფორმაა სუბიექტზე ზეგავლენისა. რითაც მას გარკვეული მიმართულებით მოქმედების მზაობა ანუ განწყობა ექმნება; მაგრამ არსებობს ზეგავლენის სხვა ფორმებიც; ჩვენ ცდებში ასეთებია: „ნაწილის მრავალჯერ განმეორება,“ მისი „ჩახატვა-დასახელება“ და „დაშლაში“ ვარჯიშიც.

1. როცა სუბიექტი ერთსა-და იმავე ფიგურა-ნაწილს მრავალჯერ განმეორებით აღიქვამს, ყოველ მომდევნო განმეორებისას მას უმუშავდება განწყობა ამ „ფიგურის კვლავ დანახვისადმი“ და ამიტომ მომდევნო რთულ ფიგურაშიაც იმავე ნაწილს ხედავს, რისადმიც განწყობა ჰქონდა შექმნილი.

ერთი სიტყვით, შთამაგონებელი ინსტრუქციით ჩატარებულ ცდებისგან განსხვავებით, აღნიშნულ ცდაში განწყობა ექმნება არა „სხვა ფიგურის“ აღქმისადმი, არამედ „სწორედ გარკვეული ფიგურის დანახვისადმი“ და ამიტომაც ხდება, რომ ნაწილის მრავალჯერ აღქმა ახლა უკვე გამოცდილებად იქცევა ანუ გავლენას ახდენს რთული ფიგურის აღქმაზე.

ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით განმეორების ნამდვილი მნიშვნელობაც ნათელი ხდება: შთამაგონებელი ინსტრუქციით ჩატარებულ ცდებში განმეორების უეფექტობა არ ნიშნავს იმას, რომ იგი საერთოდ უმნიშვნელოა გამოცდილების შექმნაში; მისი უეფექტობა მხოლოდ იმით აიხსნება, აღნიშნულ ცდებში სხვა ფაქტორი ზეგავლენობს სუბიექტზე (შთაგონება) და, მაშასადამე, სულ სხვა განწყობა მოქმედებს, ვიდრე ეს, შთაგონების გარეშე, მხოლოდ ნაწილის მრავალჯერადი განმეორებით შეიძლებოდა შექმნილიყო.

ამრიგად ირკვევა, რომ გამოცდილების შექმნაში განმეორებას მნიშვნელობა აქვს არა თავისთავად და ყოველთვის, არამედ მაშინ. როცა იგი გავლენას ახდენს სუბიექტზე, როცა ამ უკანასკნელს გარკვეული სახით ამოქმედებისადმი განწყობას უქმნის.

2. იგივე ითქმის „ჩახატვა-დასახელების ცდებზეც“. პირველი შეხედვით ისე შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ ცდებში გარდამწყვეტი მნიშვნელობა თვითონ ნაწილის აღბეჭდვის სიმტკიცეს ანუ კვალის სიძლიერეს უნდა ჰქონდეს; მაგრამ ნამდვილად, თუ ასეთი კვალი მართლაც იქმნება, გარდამწყვეტი მნიშვნელობა თვითონ მას კი არ შეიძლება ჰქონდეს. არამედ ამ ოპერაციების გზით მთლიან სუბიექტზე წარმოებულ ზეგავლენის სასიკეთსა და არეს; ფიგურა-ნაწილის მრავალჯერ ჩახატვა, მისი დეტალების შემჩნევა, სისრულით აღწერა და შემდეგ დასახელებაც, — ყოველივე ეს ისეთი ოპერაციებია, რომელთა გავლენა უფრო ფართო და შორსმჭვდომია, ვიდრე მხოლოდ თანმიმდევარი ოპტიკური აღქმა. რადგან მათი შესრულება უფრო მეტის ყოველმხრივობით და მეტის სისრულით ამოქმედებს სუბიექტს, ვიდრე ეს უბრალო განმეორებისას არის შესაძლებელი. ერთი სიტყვით. მიცემული შინაარსის განცდა იმდენად მწვავე და ღრმა არის, რომ მისი გავლენა პიროვნების ფართო არეზე ვრცელდება ანუ, თუ შეიძლება ასე ითქვას, პიროვნება ბო-

ლომდე ამ მწვავედ განცდილი შთაბეჭდილების ქვეშ რჩება და ყველა მზგავს ოპერაციებში ექსპონირებულ რთულ ფიგურებსაც ამ შთაბეჭდილებებით შექმნილი განწყობის საფუძველზე აღიქვამს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს შემდეგი ფაქტიც: აღნიშნული ცდა რომ „გავლენის“ მეტ პროც.-ს იძლევა, ვიდრე „ნაწილის სხვადასხვა რაოდენობითი განმეორების ცდები“ და რომ ამ გავლენას რამდენიმე დღის შემდეგაც კი ამჟღავნებს, — ყოველივე ეს მოწმობს, რომ ჩახატვისა და აღწერა-დასახელების აქტები უფრო მეტად მოქმედებს სუბიექტზე შესაფერი განწყობის შესაქმნელად, ვიდრე მხოლოდ თანმიმდევარი ოპტიკური ექსპოზიცია.

3. ზემოთქმულის შემდეგ გასაგები ხდება კერძოთ ვარჯიშის გავლენაც ძლიერი გეშტალტ-სიმტკიცის მქონე ფიგურების აღქმაზე. უვარჯიშოთ, ნაწილის მხოლოდ დამოუკიდებელი განმეორებითი აღქმით სუბიექტი აბსოლუტურად უძღურია რთულ ფიგურებშიც ეს ნაწილი აღიქვას; მაგრამ ფიგურა-ნაწილის მრავალჯერ გამოყოფით და დანახვით, თვითონ რთული ფიგურის მრავალგზისი „დაშლის“ შემდეგ მთელი მისი ენერგია ახალ მიმართულებას იძენს, ე. ი. ამიერიდან რთული ფიგურის აღქმას მისი პიროვნული ენერგიის ახალი წყარო კვებს; ვარჯიშის წყალობით სუბიექტი ახლა წინასწარაა განწყობილი ყოველ მიწოდებულ ფიგურალურ კომპლექსში გარკვეული ნაწილი დაინახოს და, ცხადია, ეფექტსაც მეტს იძლევა. ამრიგად „დაშლაში“ ვარჯიში სათანადო განწყობის მეოხებით გავლენას ახდენს რთული ფიგურის აღქმაზე და, მაშასადამე, აქაც იგივე პიროვნული ფაქტორი მოქმედებს, რაც საერთოდ გამოცდილების გავლენის სხვა შემთხვევებშიც.

დასკვნა

ყველა ზემოთ გარჩეულ ფაქტებისა და თეორიული მოსაზრებების მიხედვით უფლება გვეძლევა შემდეგი დასკვნა გავაკეთოთ:

1. არ არსებობს ფიგურა-გეშტალტის აბსოლუტურად დამოუკიდებელი აღქმა. ობიექტური გეშტალტის აღქმა უკვე თავისთავად და მანამდეა სუბიექტის გამოცდილებით განსაზღვრული, სანამ მისი ნაწილების გამოყოფისა და განცალკევებულ აღქმისათვის ხელოვნურად შექმნილ სპეციფიკურ გამოცდილებას მივაკვლევდეთ: სხვადასხვა პროფესიული გამოცდილების პირნი, — მიხედვით იმისა, თუ რამდენად მზგავს ოპერაციებს შეიცავს მათი შრომითი მოქმედება, — ერთსა და იმავე ფიგურას განსხვავებულ შინაგანი დანაწევრებულობით აღიქვამენ.

ეს გამოცდილება, რომელსაც ჩვენ „ბუნებრივი გამოცდილება“ ვუწოდებთ, თავს იჩენს არა მარტო განცალკევებულს აღქმაში რთული ფიგურისა, არამედ მაშინაც, როცა რთული შინაგანი დანაწევრებულობის გეშტალტში ერთი რომელიმე ნაწილის აქტიური აღქმაა საჭირო. — თუმცა უკანასკნელ შემთხვევაში საესეებით სპეციფიკურ-ადექვატურ გამოცდილებას იგი მაინც არ შეადგენს და ასეთ გამოცდილებას მხოლოდ სპეციალური ვარჯიში შეიძლება ქმნიდეს.

2. ის ფაქტი, რომ მტკიცე გეშტალტ-ფიგურების მიმართ ნაწილის დამოუკიდებელი აღბეჭდვა-განმეორება ვერ უზრუნველყოფს გეშტალტის აღქმას ამ აღბეჭდილი ნაწილის მნიშვნელობით, ხოლო სუსტი გეშტალტ-სიმტკიცის ფიგურების მიმართ კი იგივე განმეორება გარკვეულ მნიშვნელობას იძენს, და ამასთანავე ის ფაქტიც, რომ თვითონ მტკიცე გეშტალტ-ფიგურების შემთხვევაში წინასწარი ვარჯიში გარკვეულ ეფექტს იძლევა — შემდეგს ნიშნავს: გამოცდილება, რისაღმი და რა გზითაც უნდა იქმნებოდეს იგი, არ არის ყველაფრის გამოცდილება. არამედ იგი განსაზღვრული და სპეციფიკურია მხოლოდ გარკვეულ შინაარსისათვის, სუბიექტის გარკვეული მოქმედების მიმართ: განმეორება მტკიცე გეშტალტ-ფიგურების მიმართ უშედეგოა, ე. ი. ამ გზით არ იქმნება მისთვის სპეციფიკური გამოცდილება (რასაც მხოლოდ ვარჯიში ქმნის), მაგრამ მეორის მხრივ იგივე განმეორება სუსტი გეშტალტ-სიმტკიცის ფიგურებისათვის უკვე შესაფერ გამოცდილებას ქმნის და, მაშასადამე, მისთვის არის სპეციფიკური.

3. გამოცდილების ასეთი სპეციფიკურობა არ უნდა იყოს მხოლოდ ჩვენს ცდებში დადასტურებული კერძო შემთხვევა. ჩვენ ვფიქრობთ, იგი საერთოდ დამახასიათებელია ადამიანის გამოცდილებისათვის. ადამიანს შეიძლება მრავალს დარგში ჰქონდეს გამოცდილება და, ცხადია, მისი პიროვნების ერთიანობის თვალსაზრისით ეს მრავალი გამოცდილება ფაქტურად ერთი გამოცდილებაა. მაგრამ, მეორეს მხრივ, რამდენადაც პიროვნება იმავე დროს მრავალს განსხვავებულ მოქმედებაში ამჟღავნებს თავის არსებას, ამ ერთ გამოცდილებიდანაც თვითეულ მოქმედებას თავისი შესაფერისი შინაარსი განსაზღვრავს.

4. ფაქტორი, რითაც წარსულის განცდები გავლენას ახდენს მომდევნო შინაარსის აღქმაზე და, მაშასადამე, მექანიზმი, რომლითაც ჩვენი გამოცდილების ფაქტი ხორციელდება, სუბიექტის განწყობაა, — პიროვნების ის მთლიანი ფსიქოფიზიკური მოდიფიკაცია, რომელიც მას გარემოს ზემოქმედების შედეგად ექმნება და მუდამ იმაში გამოხატება. რომ იგი მის ძალებს გარკვეული მიმართულებით ამოქმედების მზაობას უქმნის. გარემო ზემოქმედებს ადამიანზე, მაგრამ ადამიანიც უკუმოქმედებს მასზე, და ამ ურთიერთ ზემოქმედებაში იგი ვითარდება, აღარ არის ის, რაც წინეთ იყო; იგი იცვლება და ამით შესაძლებლობას იძენს მუდამ ახალ-ახალი მოქმედებები ანხორციელოს.

5. განწყობა, როგორც გამოცდილების მექანიზმი და, მაშასადამე, თვითონ გამოცდილება, როგორც ამ მექანიზმით მოქმედი, — შეიძლება წარმოიშვას: შთაბეჭდილების ხშირი განმეორებითაც, ერთხელობრივი შთაბეჭდილებითაც, — თუ კი უკანასკნელი გარკვეულ სტრუქტურაშია მოცემული, ან კიდევ ძლიერი ემოციებით არის აღბეჭდილი. — ვარჯიშით ან ისეთი ოპერაციების შესრულებით. რომელიც სუბიექტის მრავალმხრივ ამოქმედებას მოითხოვს, და ბოლოს სიტყვიერი ზეგავლენითაც.

6. გამოცდილების მხოლოდდამხოლოდ ერთი რომელიმე გზით შემუშავების შესაძლებლობა ჩვენი ცდებით დარღვეულია; და თუ რისამე მიმართ გამოცდილების შემუშავების შესახებ დაისმის სა-

კითხი, უკანასკნელის დადებითად თუ უარყოფითად გადაჭრის მიზნით საჭიროა მის შესაქმნელად სუბიექტზე ზეგავლენის ყველა ამ გზებს მიემართოს.

7. საკუთრივ განმეორების დაუფასებლობა ადამიანური გამოცდილების წარმოშობაში, როგორც ამას მრავალი მკვლევარი ჩადის, აშკარა შეცდომაა და ამ შეცდომის მიზეზი იმაშია, რომ მათ მიერ შთაბეჭდილების განმეორება სუბიექტისაგან გათიშვით ანუ მექანიკურად არის გაგებული. განმეორება ერთ-ერთი გზაა, რომლითაც გამოცდილება მუშავდება; მაგრამ მხოლოდ იმ პირობით ხდება იგი ასეთად, თუ კი იგი გავლენას ახდენს, სუბიექტის არსებას წვდება, მისი პიროვნების ფართო არეზე ვრცელდება და მის ძალებს გარკვეული მიმართულებით ამოქმედებს. ეს პირობა საერთოა: იგი ძალაშია, როგორც განმეორების, ისე ვარჯიშისა და ზემოქმედების სხვა გზების მიმართაც.

8. განწყობა, როგორც გამოცდილების მექანიზმი. უფრო ეგუება ადამიანის ცოცხალი გამოცდილების მდიდარ ბუნებას, მის აქტივობას, მის იმ თვისებას, რომ იგი არა მარტო განიცდის გარემოს ზეგავლენას, არამედ, ამ ზეგავლენით შეცვლილი, თვითონაც უკუმოქმედებს და სახეს უცვლის მას, — რომ იგი არ არის შებოქვილი მხოლოდ ობიექტური სიტუაციით, გამოცდილების შექენისათვის საჭირო ერთი რომელიმე გზით. ჩვენი ცდების თანახმად მისთვის მრავალი გზა და საშუალება არსებობს; იგი შეიძლება მოქმედებს: მრავალჯერ განმეორებით, ვარჯიშით, სიტყვიერი ზეგავლენით, და ყველა ამ შემთხვევაში ობიექტური ვითარების შესაფერ გამოცდილებას ქმნიდეს. ყოველივე ეს შესაძლებელი ხდება იმით, რომ გამოცდილება არ არის შთაბეჭდილებების უბრალო რაოდენობით დაგროვება, ურთიერთზე დამატება და ამ სახით მათი პასიური მექანიკური აღბეჭდვა მეხსიერებაში, არამედ ამასთან ერთად იგი სუბიექტის მონაწილეობას. მის ერთგვარ აქტივობასაც გულისხმობს. ადამიანის ცოცხალ გამოცდილებაში ორივე ეს მხარე — ობიექტურიც და სუბიექტურიც — განუყრელს ერთიანობაშია მოცემული და მარტო რომელიმე მათგანის სახით იგი ფაქტურად არ არსებობს.

Л. И. РОЗИН.

Художественные и стилистические особенности древне-русской повести «О Фроле Скобееве».

I. Краткий обзор истории изучения повести «О Фроле Скобееве».

Первые указания о повести «Фрол Скобеев» встречаются в журналах XVIII столетия. В журнале Чулкова «И то, и се» (1769 год) говорится о под'ячем в отставке, который занимался тем, что переписывал для продажи различные повести. В числе целого ряда повестей, переписываемых под'ячим, наряду с «Бовой, королевичем», «Петром златые ключи», указана и повесть «О Фроле Скобееве».


*. შესავალი სიტყვა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის საბჭოს საჯარო სხდომაზე, 25 ივნისს 1940 წ. მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო შრომის („აპარული კილოს თავისებურებანი“) დაცვისას.

აქარლები მშობლიურ კერას, მშობლიურ კულტურასა და ენას მხოლოდ დიადი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დაუბრუნა.

აქარული კილო გავრცელებულია აქარის ასს რესპუბლიკის ფარგლებში ხულოს, ქედის, ბათუმის და ქობულეთის რაიონებში.

აქარული კილო იყოფა ორ შტოდ, ე. წ. ბარისა და მთის აქარულად. მთის აქარული გავრცელებულია ხულოს, ქედის და ნაწილობრივ ბათუმის რაიონებში, ე. ი. მდინარე აქარისწყლის ხეობაში, ხოლო ბარის აქარული ქობულეთის და ბათუმის რაიონებში.

აღნიშნული დაყოფა გამართლებულია შემდეგი მდგომარეობით: მთის აქარული სამხრეთის კილოების (შავშური, იმერხეული, ახალციხური) დიდ გავლენას განიცდის, ხოლო ბარის აქარული—გურჯლისას.

მთელი რიგი მოვლენებით განსხვავდება მთის აქარული ბარის აქარულისაგან, სახელდობრ:

1. მთის აქარულში დაცულია უკანაენის ყელისმიერი ბგერები, ბარის აქარულში კი ისინი წინ არიან წამოწეული.

2. შავშურისა და ახალციხური მეტყველების გავლენით, მთის აქარულში უფრო გავრცელებულია—ენ—სუფიქსი ენ-ის გვერდით, ხოლო ბარის აქარულში ენ სუფიქსია გაბატონებული.

3. მთის აქარულში ინტონაცია მკვეთრად გამოხატულია და ბარისაში კი არა.

4. მთის აქარულში მო წინდებულთან ვიდა ზმნაში ზოგიერთგან (შუახევი, მერისი) ფუძისეული გ იკარგება (მოვიდა—მოიდა).

5. სახელობითში ბრუნვის ნიშანს ი-ს მთის აქარულში ზოგან უკვე გავლენა მოუხდენია და ფუძე შეუკუმშავს ურემი—ურმ ი ღრუბელი—ღრუბ-ლი და სხვა).

6. მთის აქარულში კრებითი სახელი ქვემდებარე აზრის მიხედვით ითანხმებს შემასმენელს მრავლობით რიცხვში, ხოლო ბარისაში პირიქით,—კრებით სახელ-ქვემდებარესთან შემასმენელი ფორმითაა შეთანხმებული.

თურქული ენა ხულოს, ქედის და ნაწილობრივ ბათუმის რაიონის მოსახლეობის უმრავლესობამ იცის ხოლო ქობულეთის და ბათუმის რაიონებში თურქული ენის გავრცელებულობა ძალზე მცირეა.

აღნიშნულის გამო, თურქული ენის გავლენა განსაკუთრებით მთის აქარულში მარტივ წინადადებებს ეტყობა.

აქარული კილოს შესახებ პირველი შრომა მაკარ ხუბუას ეკუთვნის. მის „ზემო აქარის ენობრივ მიმოხილვა“-ში ხულოს და ნაწილობრივ ქედის რაიონის ენობრივი თავისებურებებია განხილული.

მეორე შრომა ჩვენ გვეკუთვნის—„აქარა დიალექტოლოგიურად“.

აქარული დიალექტი ლიტერატურაში გამოყენებული აქვს კოლა ლომთათიძეს. (გვ. 297-304, II ტომი.) ნაწილი აქარული ფორმებისა სწორად არის ნახმარი, ხოლო ზოგან აქარულის სპეციფიკუ-

რობა დარღვეულია. ზაქარია კიკინაძის მიერ ჩაწერილ ტექსტებში ბევრი შეცდომაა.

აკადემიკოს ნიკო მარის მიერ შეფუთსა და კლარჯეთში ჩაწერილი ტექსტების ენა დიდად უახლოვდება აქარულს.

ბგერითი შემადგენლობით აქარული კილო ქართულ სალიტერატურო ენისაგან თითქმის არ განსხვავდება. ის ბგერები, რომლებითაც აქარული განსხვავდება სალიტერატურო ქართულისაგან, ჩვეულებრივ დამახასიათებელი იყო ძველი ქართულისათვის. ასეთებია, მაგალითად, *ჟ* და *ჟ* ამათ გარდა დადასტურებულია მთის აქარულში *ც* ბგერა.

თურქულის გავლენა აქარულზე ერთობ საგრძნობია. საერთოდ ქართული ენის სამხრეთის კილოებზე თურქულ ენას საკმაოდ დიდი გავლენა მოუხდენია. ეს გავლენა ჩანს განსაკუთრებით ლექსიკაში.

თურქულის გავლენით აქარულში საკმაოდ განვითარებულა აღმავალი დიფთონგები. ქართულს სალიტერატურო ენაში, და მის კილოებში დადასტურებულია დიფთონგის მეორე ნაწილი—დაღმავალი *ე. ი. უმარცვლო ჟ (ჟოტი) ბოლოში უწევს*. ამას პროფ. არნოლდ ჩიქობავას მოსაზრებაც გვიმტკიცებს: „ქანურ სიტყვებში თითქმის ყველგან *ჟ* დიფთონგის პირველ ნაწილს წარმოადგენს: *ჟა ჟე ჟო ჟუ* ქართულს კილოებში შემონახული *ჟ*, როგორც წესი, დიფთონგის მეორე ნაწილს წარმოადგენს: *ჟა ეჟ ოჟ უჟ* ქართულ კილოებში შემონახული *ჟოტი (ჟ)* არც ისე შორსაა სრულხმოვან *ი-ზე*, ქანური მკვეთრად გამოხატული ნახევარ ხმოვანია (შდრ. იმერ. „რამა მაგი, აგი სხვაჟა“ და ქან: „ღულჟა, ჟჟუსთუ, ჟჟატენ“) (პროფ. არნ. ჩიქობავა, — „ქანურის გრამატიკული ანალიზი“ გვ. 13.)

აქარულში ორივე სახის დიფთონგები გვხვდება. გვხვდება აღმავალი და დაღმავალიც. აქარულში დაღმავალი დიფთონგები რომ საკმაოდ ბევრია, ამით ის უახლოვდება სხვა ქართულ კილოებს, მაგრამ იგი განირჩევა სხვა ქართული კილოებისგან სწორედ აღმავალი დიფთონგებით. ასე რომ—ერთი ნიშნით აქარული ქართულს კილოებთან იგივეობაშია, მეორე ნიშნით განსხვავებულად მოსჩანს. ეს აიხსნება მხოლოდ და მხოლოდ თურქულის გავლენით.

როგორც ცნობილია, თურქულისათვის ძირითადია აღმავალი დიფთონგი. ის უამრავი ლექსიკური მარაგი, რომელიც თურქულიდან ქართულში შემოსულა საერთოდ და კერძოდ აქარულს კილოში, თურქულის ყაიდაზე არის გაფორმებული. ამგვარს სიტყვებს უამრავს ვიპოვით აქარულში.

„*ჟაჟაშ*“ (მოიცა, ნელა,) „*ჟაზლოლი*“ (აივანი), „*ჟეშილბაში*“ (მანალი იხვი), „*ჟეთიმი*-(ობოლი) „*ჟესირი*,“ (ტყვე) და მრავალი სხვა.

აქარულში არა მარტო ნასესხებ სიტყვებში დასტურდება აღმავალი დიფთონგი, არამედ საკუთარშიაც. ლელაები, კაბაები, ნეფჯაობაში, ხაები და მისთანანი.

თურქულ ენას, აგრეთვე, სინტაქსური ცვლილებები გამოუწ-

ვევია აქარულში. ეს გავლენა უპირველეს ყოვლისა თავს იჩენს მცირე ყალიბიან ფრაზებში. აქ განსაკუთრებით საგულისხმოა თურქულის ენის სინტაქსური გახშიანება უარყოფით მოკლე ფრაზებში.

აქარელი, რომელსაც ეკითხებიან:— რას იჯები კო?

არასოდეს არ იტყვის—არაფერს, არამედ—აფერს არა, რაც თურქული პასუხის პირდაპირ თარგმანს უდრის: ბიშე მოქ.

მაგალითები:	აქარული	თურქული
რას იჯები კო?	აფერს არა	ბიშე მოქ
სხვა რა გაქ?	აფერი არა	ბიშე მოქ
ვინ მუა კო?	არვინ არა	ქიმსე მოქ
ჰ/სად იყავ?	არსათ არა	ბირ ერდე მოქ
	იმერეთი	ოთექი
	იმ ერთი ბაღვი	ოთექი ჩოჯუქ

და მრავალი სხვა.

მაშასადამე, აღნიშნული მოკლე ყალიბის ფრაზები, როგორც ვხედავთ, პირდაპირ თურქულ ყაიდაზეა გაფორმებული და ეს გავლენა განსაკუთრებით შემჩნეულია უარყოფით მოკლე ფრაზებში. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ თურქულის სინტაქსური გავლენა დადასტურებულია ხულოსა და ქედის რაიონებში, თურქეთის მოსაზღვრე რაიონებში.

მთელი რიგი მოვლენები უკავშირებს აქარულს სხვა დიალექტებს: გურულს, ქვემო იმერულს, ქართლურს, კახურს და სხვას. ძირითად თავისებურებათაგან აღსანიშნავია შემდეგი:

1. სათავისოს ან სასხვისოს ი სრულად იმსგავსებს პრევერბის ხმოვანს.

2. დამსგავსების შემდეგ ი იკარგება.

3. დამსგავსებით მიღებული პრევერბისეული ე იქცევა ა (მოტი.)

4. ოა/ე ან ოვა/ე იქცევა უა/ე—ღ (უბრჯგუ)

5. მაქცევარ ი-ს ან ე-ს პრევერბის ხმოვნის დამსგავსება შეუძლია მაშინაც, როცა მათ შორის არის ობიექტური პრეფიქსი.

მაგ.: დამიპირე—დიმიპირე

აღნიშნული მოვლენები, რომლებიც აქარული დიალექტის თავისებურებებს წარმოადგენს, გვხვდება ნაწილობრივ გურულსა და იმერულში.

ამგვარი მოვლენების ახსნას იმერულში ცდილობს С. Бахвед-იან მეგრულის გავლენით („Яфетический сбор.“ წიგნი VI, გვ.159)

იმერულია—აუ—ოუ—უუ.

მაგ.: დაუძახე—დოუძახე—დუუძახე.

მეგრული მოურქ—მუურქ და სხვა.

შეიძლება თუ არა ასეთივე ახსნა მოვეუყენოთ აქარულს? აქა-

რულის მსგავსი თავისებურებანი მეგრულსაც მოეპოება. (იხ. ი. ყიფშიძის „მეგრული ენის გრამატიკა“)

1. სრული ასიმილაცია პრევერბის ხმოვანსა და ი-ს შორის.

ქო — იბთხი — ქი — იბთხი (ვითხოვე).

გინიიბგი (გადავიხადე).

2. ასიმილაციის შემდეგ ი-ს დაკარგვა.

ეი — ეა — ე

გე — გი — წუ — უღეს — გე — გე — წუ — უღეს — გე — გწუ — უღეს

მაშასადამე, ამ ორ მოვლენაში საერთო აქვს აქარულს მეგრულთან. რა პირობებში შეიძლებოდა ასეთი გავლენა. რომ მეგრულქანური ფენა არის იმერულ, გურულ და აქარულ დიალექტებში. ამას აკადემიკოსი ნიკო მარი ხაზს უსვამს. იმ ტერიტორიაზე, სადაც ახლა იმერეთი, გურია და აქარა მდებარეობს, ოდესღაც ქან-მეგრელები სახლებულან. ამას გეოგრაფიული სახელებიც ადასტურებს. მაგრამ კითხვა იბადება: მეგრულში როგორ გაჩნდა აქარულის მსგავსი მოვლენები? თუ აქარულის თავისებურებებს მეგრულის გავლენით ავხსნით, რატომ იმავე მეგრულმა ვერ მოახდინა გავლენა თუნდაც ქვემო იმერულზე, უშუალო მეზობლობაში მყოფ მეტყველებზე; ან რა საბუთით შეიძლება მტკიცება — მეგრულის გავლენის შესახებ აქარულზე, როცა მსგავსი მოვლენები არც გურულში გვაქვს, რომელიც აქარას უშუალოდ ემეზობლება და არც იმერულში, რომელიც მეგრულს მეზობლობს.

აღნიშნულის საფუძველზე უნდა ვივარაუდოთ, რომ აქარულსა და მეგრულში არსებული მსგავსი თავისებურებანი ურთიერთგავლენით, ი არ არიან გამოწვეულნი, არამედ არსებობდნენ საერთო ფაქტორები, რომლებმაც მსგავსი მოვლენების გაჩენა გამოიწვიეს; როგორც მეგრულში, ისე აქარულში.

აქარულის თავისებურებებს უნდა მივაკუთვნოთ აგრეთვე სახელობით ბრუნვაში მომხდარი ცვლილება.

როგორც ცნობილია, კუმშვადი სახელები ქართულში ცვლილებას განიცდის სამ უკანასკნელ ბრუნვაში, ეს ბრუნვებია: ვითარებითი, ნათესაობითი და მოქმედებითი.

პროფ. ა. შანიძის დასკვნით, — სამს უკანასკნელ ბრუნვაში ფუძისეული ხმოვანი იმიტომ ამოვარდება, რომ აქ ფორმანტები ხმოვნით იწყება და ეს ხმოვანი გავლენას ახდენს ფუძეზე, კუმშავს მას ხმოვნის ამოღების საშუალებით.

მაგრამ ბუნებრივად ისმება კითხვა: რატომ სახელობითში ვერ ახდენს გავლენას ფლექსია, აქაც ხომ ხმოვნით იწყება დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსი? ამ საკითხს პროფ. აკაკი შანიძე შემდეგნაირად მარტავს: — სამი უკანასკნელი ბრუნვა — ვითარებითი, ნათესაობითი და მოქმედებითი ძველი ბრუნვებია. აღნიშნულ ბრუნვებში ფლექსიის ხმოვნები უკვე გავლენას ახდენენ ფუძის ხმოვნებზე. ხოლო სახელობით ბრუნვაში ცვლილებები იმიტომ არ ხდება, რომ სახელობითი ბრუნვა შედარებით ახალია, მას ჯერ ვერ

მოუხდენია გავლენა ფუძეზე, და ამიტომ ვერ იწვევს სიტყვის ფუძის შეკუმშვას.

მაშასადამე, როგორც ჩანს, ქართულს სალიტერატურო ენაში სახელობით ბრუნვას სათანადო ცვლილებები, (მისი სიახლის გამო). ჯერჯერობით ვერ გამოუწვევია. არც დიალექტებში შეუმჩნევია ვინმეს ეს ცვლილება. უკანასკნელ ხანებში აქარულ კილოში ჩვენ მიერ შემჩნეულია სიტყვები, სადაც სახელობით ბრუნვის ნიშან ი-ს სათანადო გავლენა უკვე მოუხდენია ფუძისეულ ხმოვანზე და ის ამოუგდია. ასეთი სიტყვებია ურში, ლურბლი, საქონლი, მქედლი და სხვა.

მაგალითები: ბილაღე, წაჰ ქო, სახში, ხარები ჩამეყვანე, ურში წეღე.

—ქო, ლურბლი გამოჩთა ცაზე, არ გაწვიმდეს!

—წრეულ საქონლი აღრე ვერ გავდენე თაზე და ბეერი სხვა.

ცხადია, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს აღნიშნულ სიტყვები სახელობით ბრუნვაში სახეცვლილი მასობრივად იხმარებოდეს, მაგრამ ერთი საათიც საკმარისია, გულდასმით დაუგდოთ ყური ხალხის ბუნებრივ მეტყველებას, რომ თქვენ ეს თავისებურება შეამჩნიოთ.

აღნიშნული სიტყვებიდან საყურადღებოა: ურში, ლურბლი და საქონლი, რადგან მათი ხმარება ეკვს არ ბადებს, რომ ინდივიდუალური წარმოშობისა იყოს. ხოლო დანარჩენი სიტყვები, მაგ.: აგრონმი და სხვა, ჯერ კიდევ შემოწმებას მოითხოვს.

სახელობით ბრუნვაში ცვლილებები უმთავრესად ნარნარა და ნახალ ბგერებთან არის დადასტურებული. როგორც მაგალითებიდან ჩანს უმეტესად ე — ხმოვნის ამოვარდნასთან გვაქვს საქმე. აღნიშნულ სიტყვათა ფუძის შეკუმშვა სახელობით ბრუნვაში უმთავრესად მთის აქარულში გამიგონია და უფრო მეტად მოხუცთა მეტყველებაში.

ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ სახელობით ბრუნვაში მომხდარი ცვლილება გამოწვეული იყოს ნათესაობითი და მოქმედებით ბრუნვათა გავლენით, როგორც ამას, პირად საუბრის დროს ზოგიერთი პროფესორი აღნიშნავდა? ჯერჯერობით მოცემული სიტყვები ტექსტში ამის საბუთს არ იძლევიან.

მაშასადამე, როგორც ზევით გვქონდა აღნიშნული, ქართულ სალიტერატურო ენაში სახელობით ბრუნვაში ფუძის შეკუმშვა, შემჩნეული არ არის; არც კუთხურ მეტყველებაში იყო მოძებნილი დღემდე. რომ სალიტერატურო ენაში ცვლილება არ მომხდარა, ბუნებრივად არის, რადგან გრამატიკული ნორმები კონტროლს უწევს, ცვლილების საშუალებას არ აძლევს მას. ხოლო რაც შეეხება ხალხურ მეტყველებას, რომელიც ყოველგვარი კონტროლის გარეშე, ცვლილებები სწორედ აქ უფრო მეტად არის მოსალოდნელი.

აღნიშნულის საუკეთესო დადასტურებას აქარული დიალექტი იძლევა.

აქარული კილოს მრავალ თავისებურებებიდან კიდევ ერთს

მინდა აღვნიშნო, ეს შეეხება ობიექტური პრეფიქსების ხმარებას აქარულში.

როდესაც ფუნქციონალურად სხვადასხვა, მაგრამ აკუსტიკურად მონათესავე ბგერები ერთმანეთს ხედებიან, მაშინ აქარულში უფრო ხშირად სრული ასიმილაციაა მოსალოდნელი. სრული ასიმილაცია წარმოებს მაშინ, როცა ობიექტის შესაძვე პირის ნიშანი და ძირეული ბგერა ერთმანეთთან შეზობლობენ და ისინი ცოტად თუ ბევრად მონათესავენი არიან.

მაგალითები: წასძლია—წახძლია—წასზზლია.

სძ—, ხძ—, ხზ.

შესჩენია—, შეშჩენია—, შეშშენია.

სჩა—, შჩა—, შშა.

სჯერაა—, ეჯერაა—, ეეერაა.

სჯ—, ეჯ—, ეე.

აქარულ კილოში საერთოდ და განსაკუთრებით ბარის აქარულში, ობიექტური შესაძვე პირის პრეფიქსი შ ფუძისეულ ყ-ს შეზობლობაში გადადის ხ-ში.

ჰყ—, ხ

როგორ უნდა მომზადებულიყო ეს პროცესი? აქ, როგორც ჩანს, მეტად რთულ პროცესთან გვაქვს საქმე. გვექონდა ჰყ:—ობიექტურ პრეფიქსის შ—ს და ფუძისეულ ყ—ს შეზობლობა. აქედან აქარულში ყ ბგერამ დაიბლოცა შ და მივიღეთ ხ. ხოლო შემდეგ თითქოს ყ იკარგება და მარტო ხ ვერჩება. მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ უნდა იყოს.

საერთოდ უნდა აღვნიშნოს, რომ აქარულ კილოში და განსაკუთრებით ბარის აქარულში ისე, როგორც გურულ კილოში, უკანა ბგერების წინ წამოწვევის პროცესი მეტად შესამჩნევია. ხორხის მიერი შ გამოქანდა წინ პირის ლრუსკენ და უკანა ენის მიერ ხ—დ იქცა. ხოლო შემდეგ კი მეორე პროცესია მომხდარი: ყელისმიერი ყ ბგერაც წინ მოიწვეს და ხ ბგერასთან ასიმილაციას განიცდის.

მაშასადამე, ჰყ—დან რომ მიღებული გვაქვს ხ, შემდეგი თანდათან ცვლილებები უნდა გაველო მას:

ჰყ—>ხყ—>ხხ—>ხ.

ჰყავს—>ხყავს—>ხხავს—>ხავს,

ასეთსავე ცვლილებებს განიცდის ჰქ:

ჰქონდა—>ხქონდა—>ხხონდა—>ხონდა.

კიდევ უფრო საინტერესო მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ:

ჰგ—, ლგ—, ლლ—, ლ.

ჰგონია—, ლგონია—, ლღონია—, ლონია.

აქარულში, როგორც დადასტურებულია, სრული ასიმილაცია ძალზე გავრცელებულია. ზყავდა-ში ხ იმსგავსებს ყ-ს სრულიად და აქცევს ხ—დ, ზყავდა—>ხხავდა. ხქონდა-ში ხ იმსგავსებს ქ-ს და აქცევს ხ—დ. ხქონდა—>ხხონდა.

ჰგონია-ში ჯერ გ იახლოვებს ჰ—ს ადგილმდებარეობის მიხედ-
ვით, შემდეგ აუღერებს და აქცევს ლ--დ.

მაგრამ კითხვა იბადება: როგორ მივიღეთ—ხხავდა, ხხონდა
და ლღონია-დან ხავდა, ხონდა, ლღონია?

აქ კი ფონეტიკის მოშველიების გარეშე შორს ვერ წავალთ.
მოცემულ მაგალითების მიხედვით ორი ერთიდაიგივე თანხმოვანი
იმყოფება მეზობლობაში. ცნობილია ბგერის წარმოთქმის დროს
სამი მომენტი: შემართვა, დაყოვნება და დამართვა. ჩვეულებრივად,
როცა სხვადასხვა ბგერასთან გვაქვს საქმე, ბგერებს მეტნაკლები
ინტენსივობით სამივე მომენტი ახასიათებს: შემართვა, დაყოვნება
და დამართვაც, მაგრამ სულ სხვა მდგომარეობაა, როცა ორი ერთ-
ნაირი ბგერა მეზობლობაში იმყოფება. აქ მაშინ, პირველის დამართ-
ვის მომენტში იწყება მეორეს შემართვა. ასე, რომ ორი ერთნაირი,
მეზობლობაში მყოფი თანხმოვნის წარმოთქმის დროს ხანგრძლივ-
დება დაყოვნების მომენტი, რის გამო გრძელი თანხმოვნის შთაბეჭ-
დილება იბადება. აქედან უნდა ვივარაუდოთ, რომ ხარი და ხავს
სიტყვებში ხ—ერთნაირი არ არის.

მ. ძიძიგური.

ლექსიკონის განვითარების გზები და დიალექტური სალექსიკონო მასალის შეგროვების პრინციპები

ქართული ლექსიკონი მრავალსაუკუნოვანი განვითარების შედეგია. მისი ქმნადობა-ჩამოყალიბების ძირითადი წყაროებია, როგორც, ერთი მხრივ, საკუთარი ლექსიკური შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება, ისე, მეორე მხრივ, უცხო ენათა ლექსიკონის შეწოვა და ათვისება. ეს არის ხვედრი ყოველი ენისა.

საკუთარი ლექსიკური შესაძლებლობების ქვეშ იგულისხმება ენის შინაგანი ლექსიკური პოტენცია, რომელიც თავის გამოხატულებას პოულობს სხვადასხვა სახით. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ენის გაშლა გეოგრაფიულ სივრცეში, ე. ი. დიალექტურ ნაირსახეობათა არსებობა. დიალექტების ანუ კილოების სიმდიდრე, და მრავალფეროვნება საწინდარია საზოგადო სალექსიკონო ფონდის სიმდიდრისა და სხვადასხვაობისა. მაგალითად, არაბულ ენას მრავალი ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავებული, დიალექტი გააჩნია. არაბული ლექსიკონის სიმდიდრე უწინარეს ყოვლისა ამით აიხსნება ყოველი ენის საზოგადო ლექსიკონი მრავალშენაკადოვანი მდინარეა, რომელსაც ერთვიან დიალექტურ სინამდვილიდან მომდინარე შენაკადები.

ეს საზოგადო ლექსიკონი, მაშასადამე, გამაერთიანებელი ფონდია, რომელშიც თავს იყრის ცალკეული დიალექტების საუკეთესო, დახვეწილი, საყოველთაო სიტყვაზმარებისათვის გამოსაყენებელი მასალა. დროთა ვითარებაში კილიურ სინამდვილიდან შენაწოვ ფორმებს ეძლევა ლიტერატურული გამოხატულება, იქცევიან მწიგნობრული მეტყველების ორგანულ საკუთრებად.

სალიტერატურო ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე სხვადასხვაგვარია მიმართება ხალხურ მეტყველებასთან. თითოეული სალიტერატურო ენის ისტორია ამ მხრივ თავისებურ სურათს გადაგვიშლის თვალწინ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ „სტანდარტული ენის“ ორიენტაცია ძირითად კილო-სადმი (ანუ დედა-კილოსადმი) იცვლება ქვეყნის სოციალ-ეკონომიურ-პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით: ამათუიმ ტომობრივი წრის პოლიტიკურ-კულტურული ჰეგემონობის (ენგელსის განმარტებით, დიალექტი ტომის ენაა!) დაკარგვა და ახალი ცენტრის გაჩენა ბუნებრივად იწვევს სალიტერატურო ენის საყრდენის გადანაცვლებას. ახალი დიალექტური საფუძვლის ჩამოკეთა-ჩამოყალიბებას. მაგ., ქართული სამწერლო ენის დედა-კილოებს ისტორიულ წარსულში წარმოადგენდნენ ქართლურიც და მესხურიც (მესხურის ფარგალში რამდენადმე მოხვედ-

რილი უნდა ყოფილიყო გურია-აჭარის მეტყველება(1). მეორე მხრივ, ვიცი, რომ ქართულ სალიტერატურო ენაში ხალხური მეტყველების ფორმების შექრა ნამეტურ XI საუკუნიდან იწყება, როდესაც ჩვენში საერო ლიტერატურამ იწყო გაფურჩქვნა-განვითარება. ვეფხის-ტყაოსანში, ვისრამიანში, ამირან დარეჯანიანში ნათლად შეიგრძნობა ეს ფაქტი, საეკლესიო ქართულის დოგმატიზმთან და სიმშრალესთან შეპირისპირებით... სალიტერატურო ენის დემოკრატიზაცია უფრო და უფრო ახლო საუკუნეებში ხდება. ცნობილია, რომ დავით გურამიშვილის ან საბა ორბელიანის ენა („სიბრძნესი ციკრუსა“) უკვე სხვა ლექსიკურ მასალაზეა აგებული. ვიღრე თუნდაც იმავე ეპოქის სხვა მწერლების მეტყველება. XIX საუკუნის პირველ ნახევრიდან ეს პროცესი ფრიად დემონსტრაციულია და ნათლად მონაზულია ახალი სალიტერატურო ლექსიკონის განვითარების პერსპექტივა.

ლექსიკონის გამდიდრების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია თავად სალიტერატურო ენის ლექსიკის ისტორიული სახეცვალება, შინაგანი განვითარება. ბუნებრივია, რომ რამდენადაც დიდი და შინაარსიანი ლიტერატურული ტრადიცია გააჩნია ამათუიმ ენას, იმდენად უფრო მდიდარია მისი ლექსიკონი.

ლექსიკონის გადახალისებისა და გამდიდრების დიდი საშუალებაა სიტყვათა სესხება. მსოფლიოს არც ერთი ენა არაა აცდენილი უცხო სიტყვიერი ფორმების გადმონერგვას თავის ენობრივ ნიადაგში.

სიტყვის სესხების საწინდარია ცნების სესხება. *rem verba sequuntur* (სიტყვები მისდევენ საგნებს). მაგალითად, როდესაც ჩვენს ცხოვრებაში შემოვიდა ახალი საგანი ტრაქტორი, სახელიც შემოჰყვა მას. მაგრამ მარტოდენ საჭიროება არ განსაზღვრავს სესხების ფაქტს. ხშირად კულტურულად მალა მდგომი ენა ინტენსიურ დაწოლას ახდენს კულტურულად შედარებით დაბლა მდგომ ენაზე და ამ შემთხვევაში ადგილი აქვს სიტყვების შეუჩერებელ დინებას, იმისდამიუხედავად, რომ „მიმღებ ენას“ ამ ცნების შესატყვისი სიტყვიერი ასახება შეიძლება მოკავებოდეს კიდევაც. გავლენა შეიძლება მოახდინოს კულტურულად დაბლა მდგომ ენამაც, მაგრამ არა ისეთის პროდუქტულობით. მაშასადამე, ვლენბულობთ ერთდამიგივე ცნებისათვის ორ ან მეტ სიტყვას, ანუ სინონიმებს. ამ სინონიმებში დროთა ვითარებაში შინაარსობრივი დიფერენციაცია ხდება. რა თქმაუნდა, ეს ფაქტი ლექსიკის გამამდიდრებელი და გამაფართოვებელი პროცესია.

ქართულ სალიტერატურო ენაში ძირითადად მოიპოება მცირე აზიის კულტურული ენების ბერძნულის, ლათინურის, სომხურის, სპარსულის, არაბულის, თურქულის და დასავლეთ ევროპის ენათა ელემენტები.

როდესაც სალიტერატურო ენას დიდი ტრადიცია აქვს და მტკიცედაა ჩამოყალიბებული, მაშინ იგი არ უღებს ფართოდ კარებს უცხო ენის ელემენტებს, თუ ეს ელემენტები ცნების სესხების საჭიროებით არაა გამოწვეული, ან სიერთაშორისო ინტერნაციონალური სიტყვების სალაროდან არ მოდიან. ასე, მაგალ., მეფის რუსე-

თის რუსიფიკატორული პოლიტიკისდა მიუხედავად, ქართულ სალიტერატურო ენაში არ შემოიქრა რუსული სიტყვები (მკირეოდენ გამონაკლისის გარდა, რომლებიც საერთაშორისო მნიშვნელობის სიტყვებია). მართალია, XIX საუკუნის ბევრ მწერალს (და თვით ილია ჭავჭავაძესაც) შემოეპარა თავიანთ ნაწერებში რუსიციზმები, მაგრამ ამ სიტყვებმა ვერ მოიპოვეს მოქალაქობრივობა, რადგანაც არ იყო საჭიროება სათანადო სიტყვების სესხებისა, რომელთა ეკვივალენტი ჩვენს ენას გააჩნდა. მაგრამ რუსული სიტყვები ხალხურ მეტყველებაში მრავლად შემოიქრა, და ეს იმიტომ, რომ დიალექტებს არა აქვს ის ზღუდე, რომელიც იფარავს სალიტერატურო ენას გაუმართლებელი ფორმების ტალღისაგან. უცხო სიტყვათა გარდაშეტებული სესხება კი ენის შინაგანი სალექსიკონო განვითარების შემათერხებელია. მაგალითად, ინგლისურში იმდენად მოზღვავედა ისტორიულად უცხო ენათა ელემენტები, რომ ამ სიქარბემ შეანელა ინგლისური ლექსიკონის საკუთარი ფორმების იმანენტური განვითარება.

ზემოთ აღინიშნა, თუ რამდენად ფასეულია ხალხური მეტყველების ლექსიკური სხვადასხვაობა ენის საზოგადო ლექსიკონისათვის. ქართული კილოების ლექსიკა ჯერ კიდევ სათანადოდ შესწავლილი და გამოძხეურებული არ არის. ლექსიკონის საერთო მარაგის გასათვალისწინებლად, გარდა წიგნიერი ფორმების აღნუსხვისა, უნდა იქნეს შეგროვილი თანამედროვე ცოცხალი მეტყველების სალექსიკონო მასალა. დიდი ქართული განმარტებითი ლექსიკონის შესადგენად ეს უწინარესი პირობაა. ამ საქმეს კი ეწევა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქ. ფალიალის ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის სალექსიკოლოგიო განყოფილება (გამგე—პროფ. ვ. თოფურია).

ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა შევკრიბოთ ქართული დიალექტური სალექსიკონო ფორმები რაც შეიძლება დაჩქარებით, რადგანაც ჩვენი სოფლის სოციალისტური რეკონსტრუქცია დღითიდღე გვაფიწყებს ძველი ყოფის დამახასიათებელ ტერმინებს, გარდასულ საუკუნეთა მანძილზე გამომუშაებულ მრავალ სიტყვას, რომელთა შეგროვება, შესწავლა და სალი ნაწილის გამოყენება ჩვენი ენის განვითარების აუცილებელი პირობაა. კერძოდ, ტერმინოლოგიური ძიებები ამას მოითხოვენ.

მასალის შეგროვება უნდა ითავონ ადგილობრივმა ინტელიგენტებმა, პირველ რიგში მისწავლებლობამ. შენაკრები მასალა უნდა გადმოეგზავნოს უშუალოდ ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის სალექსიკოლოგიო განყოფილებას (თბილისი, ლერმონტოვის, 3) ან რუსთაველის სახელობის ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის ენების კათედრას (ბათუმი, ნინოშვილის, 35).

მასალების შეგროვების დროს უნდა იქნეს გამოყენებული სახელმძღვანელო მითითებანი.

I. ვისგან უნდა იყოს შემკრებილი მასალა

1. მასალები უნდა იქნეს ჩაწერილი ყველა ასაკის მოქალაქისაგან, უწინარეს ყოვლისა მოხუცებისაგან, რომელნიც ამ მიდამოს მუდმივ ბინადრებად ითვლებიან.

2. საკიროა მიემართოს სხვადასხვა ხელობის პირებს, მაგ., მებაღეებს, მქედლებს. დურგლებს, თეხსაცმლის მკერავეებს, მწყემსებს, მეფუტკრეებს და სხვ. ამათ შეუძლიათ მოგვაწოდონ ცნობები თავთავისი დარგიდან.

II. როგორ უნდა იყოს შემკრებილი მასალა

1. ყოველი სიტყვა უნდა ჩაიწეროს ისე, როგორც მთქმელი გვაწვდის.

2. სიტყვა უნდა განიმარტოს. სასურველია ჩაიწეროს მთქმელის განმარტებაც, თუ ახსნა სრული არ არის, აღიწეროს საგანი ყოველმხრივ.

შენიშვნა: ჩვენ გვინტერესებს ისეთი სიტყვები, რომლებიც განსხვავებულია საერთოდ მიღებული სახელისაგან და განმარტებას საჭიროებენ.

3. აგრეთვე ჩაიწეროს არაპირდაპირი გადატანითი მნიშვნელობით ნახშიარი სიტყვები (მაგ., გველის სახელებია: „უხსენებელი“, „შაეჩობიანი“ და სხვა).

4. თუ ამათუიმ საგანს მოეპოვება ორი ან მეტი სახელწოდება უნდა აღინიშნოს, რომელი ამათგანი გვხვდება უფრო ხშირად (მაგ., ეირი, სახედარი).

5. შესაძლებელია ამათუიმ საგანს არ მოეპოვება თავისი საკუთარი სახელი და გაერთიანებულია სხვა მონათესავე საგნებთან ერთ სახელწოდებაში. ამ შემთხვევაში დაწერილებით უნდა იქნეს აღწერილი ამ საგნის განმასხვავებელი ნიშნები,

შენიშვნა: უკეთესი ესათუის სიტყვა შენიშნულია არა ყოველდღიურ სასაუბრო ენაში, არამედ მხოლოდ ზღაპრებში, ლექსებში, გამოცანებში და სხვ., აუცილებელია მოცემულ იქნეს ის წინადადებები, რომლებშიც ვხვდებით მას.

მასალების შემკრებმა უნდა აღნიშნოს:

1. თავისი სახელი, გვარი და პროფესია.

2. სადაა შეგროვილი მასალა (სოფლის სახელი, რაიონი). თუ სიტყვა სხვადასხვა სოფელშია დადასტურებული, ყველა უნდა იყოს აღნიშნული.

3. ვისგანაა შეგროვილი მასალა (სახელი, გვარი, ასაკი, ხელობა).

I. ადამიანი და მასთან დაკავშირებული ტერმინები.

1. გვარები, შინაური სახელები, რომლებიც გვხვდება ამ რაიონში.
2. მოიპოვება თუ არა კომლური გვარები. აგრეთვე: ზედმეტი და შერქმეული სახელები (მაგ., ლვანდვა, ცხვირა, პრანქა და სხვ.)
3. სახელ-გვარები, რომლებიც მარტოოდენ ხალხური სიტყვიერების ნიმუშებშია შემონახული (ზღაპრებში, ლექსებში, გადმოცემებში, ლეგენდებში).
4. ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინები (მაგ., ბაღია, სიდედარი, მამამთილი, ცოლიძმა, ბაბუა და სხვ.).
5. ადამიანის ორგანოების (სხეულის ნაწილების) სახელწოდებანი.
6. ავადმყოფობის სახელები. სხვადასხვა წამლის სახელები.
7. დამახასიათებელი ტანსაცმელები და მათი ნაწილები.

II. ცხოველთა სამეფო

1. ზოგადი სახელები ჯიშის და სქესობრივი (დედალ-მამალი) განსხვავების მიხედვით.

ა) შინაური ცხოველები (ცხენი, ძროხა, თხა, ცხვარი, ღორი ძაღლი, კამეჩი, კატა და სხვ. მაგალითად ცხენი: ლაფშა, თოხარკი, იორლა, მატარებელა, ულაყი (მამალი), ფაშატი (დედალი). ქაკი (დედალი); ცხვარი: დოლა, ყოჩი, თოხლი, ქედილა...; ღორი: კრატე, ნეზვი, ტახი, ბლინკი....; ძაღლი: ნაგაზი, გომბაქი, ძუნკალი).

ბ) გარეული და მტაცებელი ცხოველები (კურდღელი, მელა, მგელი, დათვი, ვეფხვი, ლომი და სხვ.).

გ) შინაური და გარეული ფრინველები (ქათამი, ბატი, იხვი, ინდოური, ბუ, მიმინო, არწივი, ქორი და სხვ.).

დ) თევზები (კალმახი, ღლავი; ცოცხალი, ღორჯო და სხვ.).

ე) ქვეწარმავალნი და მწერები (ზღარბი, ხელიკი, ბადაღო, ყვაკიქა, პკალი....).

2. რა სახელწოდება მოეპოვება ახალგაზრდა ცხოველებსა და ფრინველებს (მაგალ. ბურვაკი (გოქი), უშობელი, დეკეული (ხბო), ლოლო, ზაქი (კამეჩი), კნუტი, ცინდალი (კატა), ბეიტები, ქუქულები....).

3. რა სახელწოდება მოეპოვება ბებერ ცხოველებს და ფრინველებს (მაგალ., ქოფაკი (ძაღლი), ჯაჯა (ქორი)...).

4. სახელები და ეპითეტები (ჯაგლაგა, ლურჯა, ქვირა, ნიშა (ხარი), ბლინკია, ლინტილა (ღორი)...).

5. რა ეწოდება დადალულ (დალდასმულ) ხარს, ცხენს, ძროხას, კამეჩს.

6. გარდა ამ სიტყვებისა „დაკოდეა“, „დადალეა“ რა ზმნებს მარობენ ამ შემთხვევაში.

7. ცხოველებისა და ფრინველების გამრავლებასთან დაკავშირებული სახელები. რა სიტყვებით (ზმნებით) გამოიხატება ცხოველებისა და ფრინველების დაბადება. მაგალ., ძროხამ ხბო მოიგო... (ცხენმა კეცი დააგლო... ღორმა გოქები დაყარა... გამოჩეკვა, გამობარტყვა...).

8. რა ეწოდება მაკე ცხოველებს (მაგ., ორეცი, საფსე, ძარძლალი, გაბერილი და სხვ.).

9. რა სიტყვები და გამოთქმები იხმარება ფრინველებისა და ცხოველების სქესობრივ მოთხოვნილებასთან დაკავშირებით (მაგ., ანძუებული, იშტა (მოუვიდა), ატეხილი, აყრილი, მოჩინჩლეა, დამამლვა...).

10. რა ეწოდება უნაყოფო ცხოველებს და ფრინველებს (მაგ., ბერწი, უჯიშო, უნაყოფო...).

11. როგორ მიმართავენ ცხოველებს ან ფრინველებს (მაგ., ჰამო (ხარების მიმართ), აცე (სახედრის მიმართ), აჩუ (ცხენის მიმართ), ნწწ... წწ (ღორის მიმართ), —ჯუ-ჯუ ჯუ, ამეჩი-მეჩი (ქათმების მიმართ) და სხვ.).

12. რას უწოდებენ ცხოველთა ძახილს, (მაგ., ბლავილი, წკმუ ტუნი, ხვიზინი, ღრუტუნი, კნავილი, ღმუილი, ზმუილი, ბურტყუნი, ელურტული, კაკანი, წიაფ-წიაფი, სისინი...).

13. ცხოველების სხეულის ნაწილთა სახელები (სუკი, სათბური).

14. რა ეწოდება ცხოველთა ან ფრინველთა კრებადობას (მაგ., (ძროხათა) ჯოგი, (მგელთა) ხროვა, (ფრინველთა) გუნდი).

15. ცხოველების და ფრინველების ავადმყოფობათა სახელწოდებანი (მაგ., თურქულე, ზისხა, თანთა).

III ურველგვარი შენობა და მისი ნაწილების სახელწოდებანი

- ა) საცხოვრებელი სახლისა,
- ბ) სამზარეულოსი,
- გ) საქონლის ბინისა,
- დ) სასიმინდის, ბელლისა,
- ე) კარვისა,
- ზ) საღორისა,
- ბ) თაელისა,
- ი) წისქვილისა,
- კ) საბძლისა და სხვ.

შანიშნა: უნდა აღიწეროს სულ მცირე ნაწილებიც კი (მაგ. ღარის, ბორბლის, კარების და სხვ. შემადგენელი ნაწილები), თუ სახელწოდებანი მოეპოვებათ.

IV. სახლის მოწყობილობანი (კერპლეულობა, ავეჩეულობა: სკამლოგინა, საკვარცხელი, კვებო და სხვ.)

V. იარაღები

ა) სამუშაო იარაღები (გუთანნი და მისი ნაწილები, სახნისი და მისი ნაწილები, შალაშინი, ეჩო, ხერხი, გაზი და სხვ.).

აგრეთვე უნდა იქნეს დახასიათებული სხვადასხვა ტიპის ურემი და მისი ნაწილები.

ბ) საომარი იარაღები (სხვადასხვაგვარი თოფები, ხმლები, ხანჯლები, შუბები, ისრები და მათი ნაწილები. მაგალ., მაქახელაი, ფიშტო).

გ) სამუსიკო იარაღები (მაგალ., ჩონგური, ზურნა, დაირა, დაფი და სხვა).

VI. საჭმელები და მათი საკმაზავი, ანუ საკთავი სასმელები.

VII. მთების, გორაკების, მინდვრების, საძოვრების, წაღების და სხვა მნიშვნელოვან ადგილთა სახელწოდებანი.

VIII. მცენარეები, ვენახები, ბაღი, გოსტანი

ა) ბალახეულობის სახელები (მაგ., სამყურა).

ბ) სხვადასხვა ხის სახელები (მაგ., მუხა, კოპიტი ქანდარი).

გ) პურისა და სიმინდის ჯიშები.

დ) ვენახი და მისი ნაწილები (მაგ., ხარდანი); აგრეთვე ყურძნის სხვადასხვა ჯიშები (მაგ. ცოლიკოური, ალადასტური, ციცკა და სხვ.)

ე) ხილეულობა.

ვ) მწვანელიეულობა (ბოსტნეულობა. მაგ., კატაპრასაი, საშტრამი).

ზ) მცენარეულობის დაავადება.

IX მიწა

ა) სხვადასხვაგვარი ფერისა და თვისების (მაგალ., აყალო წითელი, თეთრი, ქვიანი, დამუშავებული... სწორი, ვაკე, ოღროჩოღრო...).

ბ) ყანისა და ვენახის დამუშავება (მაგ., გამოროდება, დაშარგელა, გასხლეა...).

X. საზომების, სასწორების და საწყაულების სახელები (მაგ., ალაბი, გოჯი, მხარი, ფუთი, კვერცხი; ქსანი, ბათმანი, ჩაფი, ქცევა).

XI. თვლის წესები. ხომ არ ითვლიან ასე: ხუთოცი, ექვსოცი, შვიდათი და მისთანანი.

XII. თამაშობათა სახელები (მაგ. გოჯიჯაობა, რიკტაფელა, ლელოობა...)

XIII. სიმღერების და ცეკვების სახელები (მაგ., ოდელია, ხასანბეგურა, ფერხული; ცერული და სხვ.).



პლატონ იოსელიანის წერილები აკად.

მარი ბროსესადმი

პლატონ ეგნატეს-ძე იოსელიანი (1809-1875 წ.წ.) ჩვენი წარსულის დაუღალავი მკვლევარი იყო. 1829 წ. დაამთავრა მან თბილისის სასულიერო სემინარია და იმავე წელს შევიდა პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში, რომელიც დაამთავრა 1831 წ. 1835 წ. დაბრუნდა საქართველოში და დაინიშნა ფიზიკისა და ფილოსოფიის მასწავლებლად თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1837 წ. იენისში მარი ბროსე ჩამოდის პეტერბურგში და იწყებს მუშაობას სამეცნიერო აკადემიაში. ბროსე უახლოვდება პეტერბურგში მყოფ ბატონიშვილებს (თეიმურაზ ბატონიშვილთან მიმოწერა მას საფრანგეთიდანაც ჰქონდა) და საქართველოში მყოფ ისტორიკოსებს, რომელთაგანაც ლებულობდა ის. ცნობებს ამათუიმ საკითხის შესახებ. პ. იოსელიანის დაახლოვება მ. ბროსესთან იწყება 1838 წ. და ნაყოფიერ მუშაობასაც ამ დროიდან იწყებს. ხელნაწერების შესაგროვებლად და ეპიგრაფიკების ამოსაკითხავად პ. იოსელიანი სპეციალურად მოგზაურობდა საქართველოს სხვადასვა კუთხეში და თავის მრავალრიცხოვან ნაბეჭდ წერილებში, შენიშვნებში და მონოგრაფიებში საყურადღებო საისტორიო-სალიტერატურო ხასიათის შემცველ ცნობებს აქვეყნებდა. ასეთივე საყურადღებო ცნობების შემცველია მისი წერილებიც აკად. მარი ბროსესადმი.) რომელთაგანაც ჩვენ არა ერთსა და ორ საყურადღებო ცნობას ვტყობილობთ ჩვენი ხალხისა და კულტურის წარსულის ისტორიიდან.

წერილების სიდიდემ და კრებულის მოკულობამ საშუალება არ მოგვცა ამ წერილების მნიშვნელობის შესახებ ფართოდ მოგვესაუბრა აქ და ვრცელი შენიშვნებიც დაგვეერთო. ამიტომ ეკმაყოფილდებით მხოლოდ ამ პატარა წინასიტყვაობით და მცირე შენიშვნების დართვით.

წერილები იბეჭდება ქარაგმების გახსნით და ავტორის მართლწერის დაცვით, ოღონდ სტამბაში არქაული ანბნის უქონლობის გამო ც შეცვლილია ჩვეულებრივი ე-თი, კ—ხ-თი და ვ—ვი-თ.

სოლ. ყუბანეიშვილი.

1) ეს წერილები დატულია საქ. საზ. მუზეუმის პალეოგრაფიის განყოფილების 5 ფონდში, 4797 №-ით.

ადიუნქტ-პროფესორს ს. პეტერბურღის მეცნიერებათა აკადემიისას უფალს ბროსეტს,

მოწყალეო ხელმწიფევი!

განვლო ღუმელმან საუკუნეთა, და გონებათა განიღვიძეს დასაბამად ამა დიდისა ეპოხისა; ვიტყვი პირუთვნებელად გამოსჩნდით თქვენ. რასა იქმოდინ ქართველნი, ვისა განაკვირვებდენ მწერლობასა თვისსა, და რომელთა ნაყოფთა მწერლობისათა ბერძენთა და რომაელთა შორის, შეაფარდებდენ თვისთა წერილთა, უკეთუ არა გამოსჩნდებოდა ღირსებისა მათისა აღმწონი თვით ევროპასა შინა? აქა არს პირველი სიქადული ქართველთა და იმედი შემდგომადისა ყურადღებისა, რომელსა მოიღებს განათლებული კერძო ქვეყანისა!

მრავალჯერ მსუროდა აღწერა რამხმეასა საჩუენებელად და დასამტკიცებელად, რომელ ერიცა ქართველთა არა დარჩენილ არს უძრავად დროსა საზოგადოასა ჰსწავლათა განფენილებისა — (ვიტყვი სხოლასტიკოსთასა თუმცალა) გარნა შიში, რათა არა უფროს საცინელ ვეჭმნე მეცნთა ევროპისათა, მაყენებდა მე ესრეთისა განზრახვისაგან. აწ ყოველსავე ქართველსა აქტს მოვალეობა, რათა ძალისაებრ თვისისა შეეწოდეს საზოგადოსა ზრუნტასა აღდგენისათვის დაცემულისა სიტყვიერებისა და მწერლობისა (Литература) ჩუენისა. ესრეთითა განზრახვითა აღძრულმან, ხელ-ეპყავ მეცა აღწერად: „ისტორიებრი და დეოღრაფიული აღწერა ძველისა საქართველოასა“, შედგენილი ცნობათა ზედა საკუთართა ჩუენთა მწერალთა, და გარეშეთა ბერძენთა და რომაელთასა. შრომასა ამას ჩემსა რუსულსა ზედა ენასა წარმოუდგენ აკადემიასა სასოებითა ღმერთსა ზედა იენისისა თთუედმდე. სხუანიცა მაქუნან შრომანი კუალად რუსულსა ზედა ენასა, რომელთაცა აკლს განმართუაჲ, და მათცა თვისსავე დროსა მოგართმევთ თქუენ.

დიდად ვარ მეძიებელი ქართულთა წიგნთასა, არცა ვიშურვი ფულთა მოსყიდტად მათდა, მიმოვლასა ჩემსაჲ საქართველოდ, ჟამთა თავისუფალთა თანამდებობისაგან ჩემისა დღეთასა შეუდგების მოპოვნა ძველთა წიგნთა ყოვლისა გვარისათა. ჩემთვის მითუმეტეს არს ესე ადვილ, რომელ კვირაში მხოლოდ მაქტს 12 საათი თანამდებობისა, და სხვანი ჟამნი სრულიად თავისუფალ, და გარდა ამისა ზაფხულ კანიკული ორნი სრულნი თთუენი.

არის თთუე ერთი რაცლა ვიპოვე შემთხვევითად ცხოვრება

ქართველთა მეფის ძისა პეტრესი¹ რომელიცა იყო ძე ვარზ ბაქარ მეფისა, აღწერილი მოწათისა მიერ თვით პეტრესა რომლისალაცა ზაქარიასა, წელსა ქრისტესითგან 398-სა. მე ვჭგონებ, უწინარეს და უძველეს წერილისა ამის არა იპოებოდეს ჩვენ შორის. თვით შტილცა წერისა ამტკიცებს ამას.

თქვენ ითხოვთ „ქართლისა ცხოვრებასა“. აქა აქუს მღვდელსა ერთსა მშვენიერი ნაწერი. სრული თავისისა ტაბლიცებითა და ჰსდებს მას ფასსა 40 მანეთსა თეთრსა, რუმელიცა იქმს ასიგნაციად 130 რუბლსა. ესე ფრიად იეფია, მაგრამ არღა გამოვგზავნე ამა მიზეზისათვის, რომელ ლუბერნატორმა მითხრა ადრევე, მე გაუგზავნო, და აგერ ერთი თთჲე ავად არის სიმსივნითა მუხლთათა, და ველარ ვნახე. სხუანიცა აქუნნ წიგნები და ისტუმრებს თქვენთანა. ამ კვირია მე მას ვნახავ და ეპკითხავ. ჰგზავნის თუ არა მას სხუათა თანა, და უკეთუ არა, გამოვგზავნი უთუოთ.

მე თვით მაქუნ წიგნები მრავალნი პროზად და სტიხად აღწერილნი ძველად ხელწერილნი და ახლადცა. და რასაცა სხვით გზით მოვიპოებ ორს ვგზემპლარად, მას აკადემიას მოვართმევ.

„მამათა ცხოვრება“² საქართველოში ერთი იპოება და არის იგი შეწირული დავით გარესჯის მონასტრისა, შეჩვენებითა აღბეჭდული, უკეთუ იგი გამოსწიროს ვინმე მას.

ესე აქუნდეს, ჩემის ჰაზრით, საქართველოს უკეთესია და თქვენ ძალგიდსთ ჰპოვოთ იგი პეტერბურღშიაც. ამისთვის, რომელ მეფის ძეს ბაგრატს³ ახლავს იგი, მე თვით მრავალჯერ მიხილავს და წამიკითხავსცა, სავსე ხატთაცა მიერ წმიდათასა, რომელთაცა ცხოვრება მუნ აღიწერების. წიგნი ესე აღწერილი ხუცურად უკეთეს იქმნება გარდამოიწეროს მხედრულისა ასოებითა, აკადემიისათვის თქვენისა ესე არა იქმნების სამძიმო შრომასა, რათა ზედამხედველობისა ქტეშე ჩემის იქმნას ესე, მე მივიღებ თავსა ზედა ჩემსა, უკეთუ იქმნება ამას ზედა მნდობაჲ აკადემიისა.

წარმოგზავნილსა ჩემგან „წყობილსიტყუაობასა“¹, ვჭგონებ აქამდე მიიღებდით.

არა ძალმიძს შესაფერად მოგახსენოთ მადლობა მის შრომისათვის, რომელიცა თვით თქვენ მიიღეთ მოწერითა წერილისათა ჩემთან, და შექმენით მიზეზ წერილთა განგრძელებისა სასარგებლოდ ენისა ჩემისა, მე უფრორე ვიხარი მას, რომელ ვიწინავე წერილისა მოწერა და გაცნობა თქვენი. საზოგადო კეთილი და ჰსწავლა და სარგებლობათა საზოგადოებისათა საქმე ითხოვენ გაბედვასა და განცხადებულთა ჰაზრთა, და არა ოდეს კდემათა. გთხოვ მიილოთ

ამით კუალად დამტკიცებაჲ კეშმარიტისა პატივის-ცემისა, რომელიცა მაქჳს თქჳნენდამი და მოვალეცა ვარ რათა მაქჳნდეს.

თქჳნენდა უმორჩილესი მოსამსახურე საქართველოს აზნაურშვილი

• პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი .

გთხოვთ მომიტევოთ, რომ მე თვით ვერ გადავჳსწერე სრულად წერილი ესე აწ შეუძლებლობისა გამო ჩემისა. აკადემიკს შეგარენს⁶ გთხოვ უბოძოთ აქავე მდებარე წერილი მისის სახელით.

ლენერალმან ალექსანდრე ქაეკავაძემან ჩემისა წერილითა გაუწყუათ მოკითხუა.

აპრილის 14-სა დღესა
1833 წელსა
ტფილისით.

2.

უ პ ა ტ ი ვ - ც ე მ უ ლ ე ს ო ი მ პ ე რ ა ტ ო რ ი ს ა კ ა დ ე მ ი ი ს თ ა ნ ა -
წ ე ვ რ ო , უ ფ ა ლ ო ბ რ ო ს ს ე ტ !

მივიღე წერილი თქჳნი, და მასთანავე გამოგზავნილნი ჩემთან საჩუქრად შრომანი თქჳნენნი და სხვ. დიდად ვარ მადლობელი ესრეთისა ძღჳნისათვის და დიდადაც ვისიამოვნე რომ ხელ-ვიგდე წიგნნი, რომელთაცა წარკითხვასა მსურველ ვიყავ აღრითვან.

ჩემსა შრომასა,⁶ რომელიცა მომიხსენებია წინარე ამისა წერილსა შინა თქჳნეთან, გამოვჳგზავნი მალე. დაგვიანებულ ვიქმენ მცირედ მიზეზისა გამო რაოდენთამე წიგნთა შოვნისა და საკუთრივ მოგახსენოთ სტრაბონისა.⁷

ზედა-წარწერანი უცხოდ არიან მოხაზულნი და მრავალნი არცა ძნელ გამოსაცნობნი: აქჳსთა მათ განმარტება თვით „ბულლეტენთა“ შინა დაბეჭდილნი, გთხოვთ მაცნობოთ და ანუ რა ღირს წელიწადისა ყოვლადისა ნომერთა რიცხვი? ფრიად სასარგებლო ჟურნალი არის, და აქეთ არავის მოჰსდის. რადგანაც არ ვიცოდი თუ რომელნი უფ. დჳბოას⁶ დაჰკლებია გადახატუა ზედა-წარწერათა, — ამისათვის ვერ ვიგულე მათი გადმოწერა და გამოგზავნა, რათა არა ყოფილ[იყო] უსარგებლო.

მცხეთიდან აღრევე მჰქონდა გადმოწერილი ზედა-წარწერა ქჳსასა ზედა საფლავისა ანტონი I-სა⁸, და ესე მიირთვით ჯერეთ. მას ჰპოვებთ ამანათსა შინა, რომელსაცა მიიღებს უფ. შეგარენი, და აგრეთჳე ორთა სხჳათა წარწერათა საფლავთა ზედა მეფეთა ირაკლი და გიორგისათა ენასა ზედა როსსიულსა.

„ქართლისა ცხოვრება“ თქვენთვის მოშოვნელი მზად მაქვს და როგორც მომიწერია, ველი პასუხსა თქვენგან.

საულ-დავითიანი¹⁰ ძნელი საშოვნელი წიგნი ყოფილა, აქა ერთს ადგილსა მიმაჰსწავლეს და ეგების ვიშოვნო. ბატონის-შვილთა პეტერბურღში უნდა აქენდესთ იგი.

ისტორიებრივი წერილნი ძალიან მიბნეულნი არიან, დავეძებ აქა-იქ, და ესევეთარი ძიება არა დაჰშთებდის წარუმატებელად ხოლმე. ეხლაც ეჰპოვე წიგნი ერთი მცირე და არა იეფადცა მოვისყიდე.

დიდად მსურის ვიცოდე, რასა ჰგონებს აკადემია წერილთათვის. რომელნიც იპოებიან ათონისა მთასა შინა და იეროსალიმსა. ერთხელ კი იყო მოწადინება რუსეთისა და ამბოხისა გამო ბერძენთასა დაიშალა საქმე. არა შესაძლებელია განახლდეს იგი¹¹.

გარდა ამისა დიდად და მრავლად სასარგებლო იქმნება მოეპკრიფოთ ეკლესიათა და მონასტერთა გუჯარნი, რომელნიცა სინოდისა კანტორსა აქ ტფილისში მოსახმარად თვისსა აქვსთ. აქა იპოებიან ძველთა მეფეთა შეწირულებათა სიგელნი და სხ. სრულეზით გამოტანა მათი არა შესაძლებელია და კოპიოთა შოვნა ადვილი. მაგრამ ესეცა არ მოიქმედება, უკეთუ არა მოუფა თავათ კანტორსა ბრძანება პეტერბურღისა სინოდლიდამ, რომელსა ზედაცა დამოეკიდების კანტორა ესე. მაშინ შრომა ჩენი იქმნების მჰსჯავსი შრომისა, რომელიცა ჰქმნა უფ. აკადემიკმან ხტროვე რუსეთსა შინა.

სხტებრ დავჰშთები მარად თქვენდა პატივისმცემელი უმორჩილესი მოსამსახურე საქ. აზნაურ-შვილი
პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი.

1838-სა წელსა
მაისის 12-სა დღესა
თფილისით.

3.

მისს მალალ-კეთილ შობილებას
ორ დინარნის აკადემიკოსს

უფ. ბროსსეტს!

მომივიდა აკადემიიდან რავდენნიმე ფურცელნი ქართულთა სიტყვიერებისათვის თქვენ მიერ ქმნილნი, და დიდად ვისიამოვნე მით: და ჰეშმარითად სასიამოვნოც არის ამისათვის, რომ დღედ-დღედ მიეცემისთ ევროპიელთა შემთხუვეა ცნობისათვის ჩენთა მწერლობისა.

ალექსანდრე ჰავკავაძეს მივართვი წერილი თქვენ მიერ მისდა მოწერილი, მე გარწმუნებთ დიდათ იამა, და რადგანაც იმ დროს იყო შეუძლოთ, მე წარუკითხე ერთ-გზის, და სხტათა და სხტათა დროთა შინა კუალად და კუალად მოისურვა მისი წაკითხტა. დიდად იამა მოხატულებებიცა, რომელნი აღრევეცა მე ვაჩენე და მაქვსცა წაკითხული და გამოწერილი. მეორეს ფოჩტით თუ საკიროდ დავინახე, ეჰგონებ მოგართოთცა.

ჩემგან შედგენილი წიგნი: „ისტორიული და ლეოლრაფიულნი აღწერა ძქელისა საქართველოჲსა“, სრულ ეკყავ, ამას, „ქართლის ცხოვრებას“ და სხ. ერთად გამოვისტუმრებ მეორეს ფოჩტით.

თქვენგან თხოვნილი „პეტრეს მიამუსის ცხოვრებას“ მიწერენ მეორეს ეკზემპლარად, და მასცა მათთანავე მოგართმევ თუ მოასწრო მწერალმან, რადგანაც არის მოწაფე ჩემი და მომხადებანი გუაქტენ ექზამენისათვის, რომელიც იქმნება ამ თთვის 22-სა დღესა, და მერეთ ორი თთჲე ეაკაცია.

გთხოვთ ამასთან მდებარე წერილი იმერეთის დედოფალს მიართოთ,¹² დიდად საკირო წერილია მისთვის.

გთხოვთ უფ. შეგრენ მომიკითხოთ, წერილი მოეკსწერე და წიგნი ლექსიკონიც გამოუგზავნე: ეკგონებ აქამდე მიიღებდა, თქვენთანაც იყო წერილი.

თუ შეიძლებოდეს თქვენგან ქმნილი ორნი წიგნი მიბოძეთ:

- 1) Memoire inedita relatifs a la langue et a la litterature georgienne,
- 2) Ironie georgienne, traduit par von. ნაცუულად-გებასა მოელოდებით ჩემგანცა.

დავკშთები პატივისცემითა მარად მზა ნებისა თქვენისა აღსრულებისა

იოსელიანი პლატონ.

ივნისის 16-სა
1838 სა წელსა
ქ. თფილისით.

4.

უფალს იმპერატორის აკადემიის ორდინარნის
აკადემიკოსს ბროსსეტს!

მოწყალეო ხელმწიფეე!

აკადემიას ამავე ფოჩტით მოვართვი ჩემგან ქმნილი წიგნი რუსულს ენაზედ: „ისტორ. და ლეოლრ. აღწერა ძქელისა საქართველოჲსა“; მასთანავე ერთად გამოეკზავნე ვახუშტისა „ისტორია“, რომელსაცა ფასი შეცთომით ვსთქვი 130, ამისათვის რომელ პატრონი მისი ტფ. მღვდელი ეფრემ აღექსიევი თხოულობს 40 რუბლსა თეთრსა ფულსა. ესე იცის აქა თვით ნიკოლაი დავიდიჩმა ჩუბინოვმან,¹³ რომელისაცა არის იგი მცნობი და მეგობარი. რათა ვკსწერ ამას? მკითხავთ... მეშინიან შესულა ფულის ანგარისში.

ზედა-წარწერა სიონის ტფილისში ეკლესიისა, ნამდვილ გადმოხატულსა მუნვე ჰპოებთ. ამ ეამათ მეტი ვერა ვპოვე რა აქა, და ივლისის 2-ს ვაპირებ საქართველოს მოვლასა და რაჲცა შეუდგება თავისს დროს გაცნობებთ.

„პეტრე ქართველისა ცხოვრებასა“ ჰსწერენ და მასცა მალე მოგართმევთ.

სენატორს ღანს (Han) მოუვიდა თქვენი წერილი, როგორც მიაგმო აღექს. ქავკავაძემ, და ეძებს რომ გამოგზავნოს რაჲმე.

ალექსანდრე ჭავჭავაძემან კჷალადცა მოგვიტხათ. და ბევრთა საქმეთა გამო წერილისა პასუხი ვერ მოგწერათ.

მომიტვეთ სიმოკლე წერილისა,—ვეშურები ფოჩტას, წარსულის ფოჩტით წერილი მოგართვით, ეჭონებ მიიღებდით. გთხოვთ გაისარჯოთ და ბატონის-შვილს თეიმურაზს¹¹ ჩემ-მიერ თაყუანის ცემა განუცხადოთ.

სხტებრ დაეშთები მარად მზა სამსახურისა თქვენდა ჩვენებად

იოსელიანი პლატონ.

იენისის 23-სა დღესა

1833-სა წელსა

ქ. თფილისით.

რამ შეუდგება ჩემს წიგნსა აკადემიაში, მაქტს იმედი მაცნობებთ. ქართული ტექსტი ჩქარად დამიჯღაბეს,—ნუ შერიხხავთ. საულ-დავითიანი ერთი იპოება თელავის ქალაქში და არ იძლევიან. ვეცდები როგორმე ჩავიგდო ხელში. დავით ჩუბინოვი¹² მომიკითხეთ. სხტას დროს მოვიცლი და წერილსაც მოვსწერ.

5.

თქვენო მაღალ-კეთილშობილებავ!

მოწყალეო ხელმწიფევ!

უფ. ბროსეტ!

აგერ იქმნება ორი თთჷე რომელ წერილი თქვენი და ამბავი არ მიმიღია. მიზეზად ამისა ეჭონებ იყოს ესე, რომელ თქვენ გეგონებოდათ, როცა მე ტფილისს არ ვიშყოფებოდე. ესე უეპტელად ესრეთ უნდა იყოს. ამისათვის, რომ მე თვით ესრეთ გაცნობეთ. აწ მე დიდად ვასწუხებარ, რომ ამ ორთა თთჷეთა კანიკულათასა არა მაქტნდა მარჯჷე დრო მოგზაურობისა და კარგად მოხილვისა საქართველოასა, რომლისათვისცა სრულიად ვიყავ განმზადებული.

ახალციხეს იელისის პირველიდგან გაჩნდა ქირი და გზები იმერეთისა და ახალციხისა შეჰკრეს და მე ვითარლა განვეტევებოდი გზად? დამიშთა მხოლოდ ერთი მხარეჲ საქართველოასი — დუშეთი ანუ არაგვი, სადაცა ვიყავ ერთი თთჷე. კერძო ესე კინილა მარადის იყო შეუხებელ მტერთაგან, და მაშასადამე წიგნებითა და წერილებითა უნდა იყოს სავსე. აქა მოძიება ჩემი არა დაჰშთა უნაყოფოდ, თუმცა მოშოვნა მათი ფრიად ძნელ არს, ამისათვის, რომელ აფასებენ ძვირად და არა იმეტებენ, ანუ აქტსთ ეკკლესიებათა შინა ძტელადგან ნაშენთა, და ინახვენ მათ არა მლტდელნი, არამედ უმეცარნი ერნი, სახელწოდებით დეკანოზნი.—მაგრამ ყოვლისა ღონის ძიებითსა მოხმარებითა მოვიპოვე ოცდაერთი ძტელი წიგნნი; მათგან

ექუსნი პერლამენტა ზედა წერილნი და სხ. ქალაღებზედ. ამა უკანასკნელთა ზედა წერილნი არიან სამი დავითნი შემცველნი თვის შორის სხუთა და სხუთა ცუალებათა (variations) ყოველნივე ესე აღწერილნი ხუტურად, ტყავზედ შესანიშნავი უმეტესად სრული. სახარება ყოვლად ძუელი ხატებიოურთ, ოთხთა მახარებელთა, აგრეთუ გრაგნილი ტყავზედ დაწერილი კონდაკი, რომლისა სიგანე არის ერთი მტკაველი და სიგრძე რუა ადლი რუსული.

გარდა ამასა სხუანიცა რუეულნი ისტორიულნი და საეკლესიო უწყებათანი. სიმოკლისათვის წერილისა აქ მათ ვერ მოვიხსენებ და ამისათვის მე მინდა მოკლილსა ჟამსა საქმიოგან უქმნა ყოვლადსა აწ ჩემსა ქართულისა ენისა ბიბლიოტეკასა რეესტრი ანუ სია საცნობელად თქუენდა. ბიბლიოტეკა ჩემი აწ შეიცავს უმეტეს 140 წიგნისა.

ახალციხეს მპქონდა იმედი მრავალთა წიგნთა შოვნისა, და მესმის, რომელი ადრითგან ვათათრებულთა მუნქართუელთა აქუნან იგინი და შიშისათვის თურქთასა ინახეედენ ფარულად. მეორეს წლამდინ დაპშოთეს ეს საქმე.

აღთქმულსა თქუენდა ჩემგან „ცხოვრებასა პეტრე მაიმუსისსა“ და სხ. მალე მოგართმევთ.

ჩემი წიგნი აკადემიაში, ვპგონებ, მოვიდა. რა შეემთხუევა მას, მე არა ვიცი, გთხოვ კუალადცა მისთვის ცნობა მიბრძანოთ.

გთხოვთ, გაისარჯოთ და მეფის-ძეს თეიმურაზს ჩემ-მიერი თაყუანისცემა განუცხადოთ.

დავპშოთები მარად პატივისმცემელი თქუენი

ი ო ს ე ლ ი ა ნ ი პ ლ ა ტ ო ნ .

ავვისტოს 4-სა დღესა

1838-სა წელსა

თფილისით.

ალექსანდრე ქავკაეაძე აქ არ იმყოფება, ის დაინიშნა დროებით ზედამხედველად კარანტინებისა სამზლუართა ზედა ახალციხისა და იმერეთისა.

6

მ ო წ ყ ა ლ ე ო ფ ე ლ მ წ ი ფ ე ე !

უ ფ ა ლ ო ა კ ა დ ე მ ი კ ო ბ რ ო ს ს ე !

ამა მცირეს წერილისა მოწერისა-მიზეზად შემქმნა პროფესორი პეტერბურლის უნივერსიტეტისა პოროშინი¹, რომელმანცა დაჰყო აქა მხოლოდ ერთი კვირა და დაუტევა საქართუელო შიშისათვის კა.

1. პოროშინი იყო ფილოსოფიის დოქტორი. ს. ყ.

რანტინთასა, რომელნიცა მზადდებიან ვითამც რუსეთის სამზღტარ-
ზედ—განძლიერებისა გამო მომსტრელისა სენისა ქ. ახალციხეს.

გთხოვთ მომიკითხოთ უფ. შეგრენ. დიდად სასიამოვნო არის
ჩემთვის მისთვის კეთილისა ამბავისა სმენა.

სხტებრ დაეჰშთები მარად თქუენი პატივის-მცემელი

იოსელიანი პლატონ.

ავვისტოს 26-სა დღესა

18:35-სა წელსა

ქ. თფილი'ით.

7

უფალს აკადემიკოსს ბროსეტს!
მოწყალეო ხელმწიფეე!

თქუენგან გამოგზავნილნი წიგნნი Discours Ac. და სხტანი
რტუელნი უფ. შეგრენისაგან მივილე ხელითა ზიაბლოტსკისათა და
ფროფესორის პეტერბ. უნივერსიტეტისა უფ. პოროშინისათა,
რომელიცა დაბრუნდა უკანვე აქედამ შიშისათვის განძლიერებულ-
ისა ქირისა ქალაქსავე ახალ-ციხეს. პოროშინი მოგიტანსთა წერილსა
ჩემსა მცირესა. თქუენი სიტყუა მართლად დიდად მომეწონა და
დიდად გმადლობთ ბოძებისათვის მისისა. მეორე ეკუმპლარი გაუუგ-
ზავნე მჰსწრაფლვე თ. ქავკავაძეს.

თუმცა კატალოლსა შინა წიგნთასა შეველენან მრავალნი ეს-
რეთნი წიგნნი, რომელნიცა არა ემჰსავსებიან წიგნთა და არცა
ღირს-არიან რათა იწოდებოდენ ნაყოფად ქართუელთა ლიტერატუ-
რისა, მაგრამ არცალა ავნებენ პირველ-შემთხტევისათვის არა რა-
სა, რათა მოხსენებულ-იუტუნემცა იგინი. ჩემის ჰაზრით, ღირსება
ლიტერატურისა აღიწონების და დაფასდების არა რაოდენობითა
წიგნთათა, არამედ ვითარებითა მათითა. მიხედვით რომელთა და
ბერძენთა? რაედენნი დაგვიშთენ შემდგომად მათსა წიგნნი? რაე-
დენთა მოიპოვეს ღირსება, რათა გადაცემულ ყოფილიუტუნენ საუკუ-
ნეთადმი უშემდგომესთა? ყოველთა წიგნთა და ანუ ნაყოფთა ლიტე-
რატურისათა ყოველსა ზედა ენასა აქტუსთ ორ-გტუარი ღირსება, ე. ი.
ანუ ეკუთნიან მას საუკუნესა, ოდეს იგინი დაიბეჰდებიან, ანუ შე-
იქნებიან საკუთრებად ყოველთა უშემდგომესთა საუკუნეთასა; და
ესრეთ მარადის დაიდებიან საწამებლად ანუ ძეგლად პატივისა საუ-
კუნისა ეამთა და მეფობათა, ოდეს მათ მიუღიესთ მყოფობა, მრავ-
ალნი ესე ვითართა წიგნთაგანნი არა ექმნებიან პატივად მშრო-
მელთა მათთა, მაგ. № 26, სხოლიოჯთა თვისითა 146 ო 210. ხოლო
წიგნი № 118 ეკუთენის საკეთილ-შობილოს სასწავლებლის ყოფი-

ლის მოძღვარს მღვდელს იოანე ქართველოვს, რომელიცა შავად აღწერილი საკუთარი ხელწერილი მე მაქვს დღეს, მასვე უწერია სხ. წიგნი რომელნიცა დღეს მე მაქვს მოშოვნილნი. არა ჯერ არს რათა დაეკარგოს თვისი (სიუნი) კაცსა ღირსსა, და ისტორიულსაცა გჭამსა უკანასკნელთა დროთა ქართულთასა.

წარუიკითხე № 46, მაღლობელი ვარ მისთვის, რომელ აქაცა მოეცით საზრდელი თავის-მოყვარებასა და ამოვებასა კაცისასა, მაგრამ აქვს როგორც მე მახსოვს საკუთარიცა უსრულება. მე დავწერე იგი პირდაპირ თეთრად. ესე ექმნების მას მიზეზად ბრალთა მიტევებისა. ჩემგან ქმნილნი და თარგმნილნი წიგნი სხუაცა იპოებიან პეტერბურღში: აჰა ივინი:

1. მოკლენი მოთხრობანი საქართველოჲსანი, რომელნიცა მივართვი გარდაცვალებულს ბატონის-რძალს და ჩემდა ნათლად ყოფილს ელენას დავით ბატონის-შვილის მეუღლეს.

2. წმინდის მიტროფანის ცხოვრება.

3. სენატისა საქმეთა წარმოება.

4. ტვიროს ზედა წ-წყლებათა აღსრულება.

5. ივანგ.—ლუტერან. წირვა ნემეცუ-რიდამ.

6. ცხოვრება იოანე ოქროპირისა.

7. სიტყუა და ისტორიული განხილუა მაგუთათვის ქრისტეს და მისრულთა.

8. ფიზიკურნი განხილუანი კომეტათვის, მოარულობათა მათთა და სხ.

9. ანდერძი არჩილ მეფისა და წერილი კონსტანტინე ქართველთ მეფისა იზაბელასადმი ისპანიას.

მივართვი მეფის-ძეს ბაგრატს.

მეფის-ძეს ფარნაოზს.

10. იესო ქრისტე ძეგლსა შინა აღთქმასა, იმერთა დედოფალს მარიამს.

11. ლუტერისა გამოჩენისა ისტორია და მასთანავე სიტყუა მოსკ. მიტროპოლიტისა ფილარეტისა თქმული წინაშე ხელმწიფე იმპერატორისა 1835 აპრ. 30, ესეცა აქვს მეფის-ძეს ბაგრატს.

12. წესი კურთხევისა რუსეთის მემკვიდრისა—ესე გარდამოვიღე რუსულითგან განსუენებულის პატიოსანის მღვდლის იოანე ჯაფარიძისათვის და აქვს მას.

ამასთან მივიღებთ აღთქმულსა ჩემგან „ცხოვრებასა პეტრე ქართველისასა“ და ორთა წიგნთა ენათა ზედა სპარსულსა და არაბულსა, ევრეთეფ ოთხთა სხუათაცა ფურცელთა ზედა აღწერილთა

გარდასაცემლად აკადემიასა შინა. ესენი ახლად მოვიშოვნე აქა. ვჰგონებ არ აღმოჩნდნენ უნაყოფოდ და უსარგებლოდ აკადემიისათვის. გარდა ამათთა მიიღებთ რვეულსა ზედა რუსულად აღწერილსა წიგნაკსა „მოხელეობათათვის ქართულთ და იმერეთის სამეფოთა“. გთხოვთ ესე ყოველნი თქუენდავე მოსახმარად გარდაჰსცეთ აკადემიაში. ესე უკანასკნელი რუსულს ენაზედ მქონდა, და დამზარდა გადაღება ქართულზედ. ახლა ვჰგონებ თვით თქუენც საკმაოდ შეიმეცნეთ ენაჲ რუსული, ფრიად საქირო თქუენთვის.

გთხოვ განუცხადოთ ჩემ-მიერი თაყუანის-ცემა მეფის-ძეს თეიმურაზს და მეუღლესა მისსა მეფის-ჰრძალს ელენას.

დავჰშთები მარად პატივის-ცემითა უმორჩილესი მოსამსახურე
პლატონ იოსელიანი.

სექტემბრის 1-სა დღესა

1838 წელსა

ქ. თფილისით.

პროტასოვისაგან ჯერეთ მოწერილობა არ მოსულა აქა, თუ ეს შესრულდა მრავალს შემწეობას მიეჰცემთ ისტორიასა, როგორც ვჰცან დოკუმენტი და გუჯარნი იასებიან მხოლოდ სინოდის კონტორაში, აქ ვიდრე 4000 დმდე.

გთხოვთ ეს წიგნი წარაკითხოთ მეფის-ძეს თეიმურაზს. არა მჰრცხუენის მისი რაჲცა ზევით დავჰწერე. პეტერბურღს ყოფნაში ვიყავ მისგან დიდად მიღებული.

გთხოვთ განუცხადოთ უფალს შეგრენს ჩემ-მიერი პატივის-ცემა და აქუთ მას, რომელ ხრისტოფორემან გუშინ ე. ი. 31 აგვისტოს მიიღო მისი წერილი და 50 ფული და აქამომდე ფოჩტა მატსა ვერ-ეპოვნა იგი. წერილი მან მეც წამაკითხა და მეცადინებს აღასრულოს ყოველივე დარიგებისამებრ მისისა. ჰსწუხს რომ ფული გამოგზავნეთქო, და ვერცადა ჰკადრა უკუ-ბრუნუა მისი. მეორის ფოჩტით თვით ისიც მოჰსწერს წერილსა.

გთხოვ გაისარჯოთ და მიშოვნოთ მანდ ჩემის ხარჯით ორი წიგნი: 1, 1837 წლისა ოქდომბრისა თვისა ჟურნალი Библиотека для чтения; და 2, 1837 დეკებრის თვისა ჟურნალი Министерства Народнаго Просвещения, დიდად ეიქნები მმადლობელი, სემინარიის ბიბლიოტეკიდან როგორღაც დავჰკარგე და მაკლიან. ფასი მათი თქუენ უბოძეთ და მოგართმევთ. ცალკე და ცალკე თუმც არ ისყიდებიან, მაგრამ ადვილია მანდ მოშოვნა მათი. შეგრენს ამცნენით ესე.

მ ო წ ყ ა ლ ე ო ხ ე ლ მ წ ი ფ ე ვ!

შემდგომად ვრცელ ქაშითისა მოლოდებისა, მომივიდა წერილი თქვენნი ჩემთვის დიდად სასიამოვნო. გმადლობთ ყოვლისათვის, რასა მჰსწერთ, ყოვლისათვის რასაცა ჰსწერთ ძველისა და პირუტყუაშითისა დიდებისათვის საქართველოჲსა და მწერლობისა მისისა, აწ თქვენ მიერ მიზეზებულისა რათა განიღვიძოს იგი საუკუნობითთა დუმილისაგან, რომელსაცა შინა იყოფევოდა ვიდრე აქამდე ქართველთა ყოველთავე გჰცნეს თქვენ, და დიდითა განკვირებითა, პატივითა და კნინლა მოწიწებითა მოიხსენებენ სახელსა თქვენსა. ბ რ ო ს ს ე ბაგეთა შინა დიდთასა და გულთა შინა ახალ მოსწავლეთასა ხმაურობს, და ამისათვის არა არს საიკვო რომელ მრავალთა შორის მათთაგანსა აღიძრვის წადილი, რათა იჩინნეს თავნი თვისნი სარბიელსა ზედა ჰსწავლისა ბუნებითისა თვისისა ენისა, და ძიებისა ყოვლისა მის რაჲცა აღიდებს სახელსა ესრეთ ძველისა ერისა ვითარიცა არს ქართველი. ნუ მიიღებთ, მოწყალეო ხელმწიფე! სიტყუათა ამათ რეცა წარმოთქმულად გულისაგან არა წრფელისა, ენისაგან ცუდ მეტყუელისა და სულისაგან პირ-მოთნებითა მჰსჯელისა. აზიელთა ევროპელნი ჰსწამობენ მრავალსა რასამე, დამეტადრე ლექსთა განდიდებულთა, ქებათა მომატებულთა და სიტყუათა მომაცდუნებულთა. გარნა მე ჟამსა ამას. სრულიად ვარ განშორებულ ესე გჳართა ვნებათაგან, რომელთაც განდევნა არს ვალი ყოვლისა კეთილ-გონიერისა კაცისა. გარნა უტევოთ ესე გჳარი ზრახუა; შეუდგეთ საქმესა უფრორე სარგებლოვანსა.

1. რაპორტსა შინა თქვენსა ზ ი ვ ნ. ვჰსცან მოლოდებაჲ თქვენნი ჩემგან პეტრეს მიერ კმნილისა ისტორიისა. ესე მე ვჰგონებ ესრეთ არ მომეწეროს. მხოლოდ წიგნი ესე იყო იგივე, რომელიცა მე წარმოგიგზავნეთ სახელდებით „ც ხ ო ვ რ ე ბ ა პ ე ტ რ ე მ ა ი მ უ ს ე ლ ე პ ი ს კ ო პ ო ს ი ს ა“, აღწერილი ფრიად ძველად და მწერლობა კნინლა 5- საუკუნისა. გთხოვთ ამისათვის ჩემი პირუტყელი თქვენთან წერილი განჰსჩხრიკოთ უკეთუ გაქუსთლა იგი.

2. 1-ს ოკდომბერს ვიყავ მე მცხეთას საკუთრივ მოსაკრეფად ზედ-წარწერათა: მოვძებნე იგინი, გადმოვჰსწერე და მოგართმევ სხუათა თანა ნაშრომთა ჩემთა.

3. გუჯართათვის ჯერეთ აქა არა რაჲმე არა ისმის რა, რომელთათვის მე ფრიად ვარი მზა.

4. გთხოვთ მაცნობოთ, მიიღეთა წერილნი ჩემნი 1-ს და 7-ს სექტემბრიდამ. დისკური თქვენნი მივიღე და ვჰგონებთ გაცნობებოტა მათა შინა მისთვის.

5. მცხეთაში არიან მხატვრობანი კედელთა ზედა გამოხატულნი სახეთა ვახტანგ გორგასლანისა, კათოლიკოზის ნიკოლოზისა, მეფის გიორგისა მის მიერ დამგვირგვინებულისა და სხვათა კაცთა და ქალთა ძტელთა შესამოსთა შორის მოსილთა. უკეთუ ესენი დაჰშინენ ესრეთ, სრულიად წაიბლალებიან და დაგვიშთების ამისათვის შემდეგ სინანული დიდი. ამისთვის გთხოვ წარუდგინოთ ესე აკადემიასა, რათა მიიღოს მზრუნველობა რაჲმე, რათა გარდაიხატონ იგინი მჰსწრაფლვე. ამასა მეცა ვითა ვებდი, უკეთუ ვიყო ესოდნად შემძლე. რათა წარვიყუანო მუნ მხატვართი. ამისთვის უკეთუ აკადემია ჰსთხოვს აქაურს მთავარს გოლოგინსა¹ ადვილად წარგზავნის და გარდამოახატვინებს, და უკეთუ მეცა ესრეთსა შემთხვევასა შინა მიმიწოდებენ, არა იქმნება უსარგებლო, ამისათვის რომელ უჩტენებ რაჲცა საჭირო არს, და ვერცა რასმე შესცუთიან. შეცუთლება და დაუდევნელობა მხატვართა შორის არა არის იშვიათი, მეტადრე მაშინ, როდესაც უსასყიდლოდ აღასრუბენ ესე გუართა მინდობილებათა.

6. იკითხავთ, რაჲ მჰსურს მე რეცა სამაგიერო წიგნისა ჩემგან მჰსწრაფლ ნაშრომისა, და ანუ რაჲ იყო აზრი რომელ გამოვჰგზავნე იგი აკადემიაში. უკანასკნელი ესე განვაყხადე წინასიტყუობასა შინა და პირველისა პასუხი ჰეშმარტად ვაპრკოლდები რაჲ მოვიწერო. ღირსებისა ნიჭნი ვიცი აქტს მრავალ გუარი აკადემიასა: მე უკეთუ აღმოვჰსჩნდები მით ღირსი რაჲსამე უეჭუელად დავისაჩუქრები მით, რომელ იქმნება სასარგებლო მეცნიერთათვის. თუ არა ვჰსცდები მცირედცა არი. მაგრამ პატივი რაჲმე აკადემიისაგან და წოდებაჲ რაჲმე ჩლენისა კორრესპონდენტ¹ ანუ სხუად იქმნების ჩემთვის, უძვირფასეს ყოველთა საჩუქართა... სხუებრ მე ვიკდიმები ესე გუარსა მოუბარობასა ზედა და გთხოვ ამისთვის ეზრახოთ უფ. მე გ რ ე ნ ს და დიდს პატივისცემით მომიკითხოთცა.

7. შეგრენს აცნობთ, რომელ წიგნსა „ვეფხისტყაოსანსა“, რომელიცა აქტს ყორღანოვსა, მიცემულსა უფ. შოპენისაგან, მალე გამოუგზავნი მე შეგრენს, რათა გარდაჰსცეს იგი ანუ პატრონისად, ანუ იპურას თვით. შოპენ¹ ვჰგონებ ახლა იყოს პეტერბურლს.

სხუებრ დავჰშთები მარად თქუენი პატივის-მცემელი, უმორჩილესი მოსამსახურე

პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი.

ოკდომბრის 6-სა დღესა

1938-სა წელსა

ქ. თფილისით.

წილოსანს თქუენგან წერილი მიუუტანე, პასუხს თვით მოგწერსთ.

პირველ გვერდზე მიწერილია: გთხოვთ მეფის-ძეს თეიმურაზს განუცხადოთ ჩემ-მიერ პატივის-ცემა და თაყუანის-ცემა.

¹) ეს სიტყვა გაურკვეველი ხვეულითაა დამთავრებული. ხ. ყ.

მოწყალეო ხელმწიფე!

წერილი თქვენი მივიღე და მასთან თქვენგან კმნილი *Explication de diverses inscriptions Georg Ac.* დიდის სიამოვნით წარვიკითხე და მადლობელიცა ვარ მისთვის. მეორესა მსგავსსა წარუგზავნი ქუთათელაძეს; -თუმცა მან არ იცის ფრანციზული ენა, მაგრამ ისიამოვნებს ქართულსა რასამე მუნ.

მძიმესა ფოჩტით გამოვგზავნე თქვენთან დაბეკდილნი ჩემ-მიერ აქა პოემანი¹⁶ რიცხვით 35 წყვილი. ამა რიცხუთაგან გთხოვთ გაისარჯოთ, ანუ სხუასა ვისმე მიანდოთ თუ თქვენდა სიმძიმე იყოს, დარიგებაჲ მათი შემდგომისამებრ:

1. დედოფალს და მიხაილ ბატონის-შვილს სამ-სამი ექვემ-პლარი; ესენი ცალკედ ჩამიწყვიან ამანათში და ესრეთ ჰპოვებთ.

2. 5 ექვემპლარი, ნამდვილი ხელ-წერილი და მათთანავე რა-პორტი, ცენსორაში გარდაჰსცეთ; --და სთხოვოთ პროფ. პოროშინს, რომ ცენსორიდამ ბილეთი ჩქარა მოგვივიდეს.

3. დადიანთა გრიგოლ¹⁷ და კონსტანტინესთვის 2 ექვ.

4. მუხრანის ბატონისა ძეთათვის ირაკლისა, ალექსანდრესა და გიორგისა 3.

5. უნივერს. პროფ. მირზა ჯაფარას 1;

6. იზმაილოვს მიხაილს 1;

7. ბიძასა ჩემსა ლენერალს იოსელიანსა¹⁸ 2.

8. ლენერალთა ბაგრატიონთა 2;

9. მეფის-ძეს თეიმურაზს 2;

10. მეფის ძეს ფარნაოზს 2;

11. მეფის ასულს რიფსიმას 1;

12. მეფის ძეს ბაგრატს 2;

13. პროფ. პოროშინსა 1;

14. უფ. შეგრენს 1;

15. აკადემიკს ძრენს 1;

16. მეფის ძის ძეს ლუარსაბს 1;

დანაშთენი გთხოვთ თქვენ მიიღოთ და ამათგან თვითო ექვემპლარი ჩემ-მიერ შეჰსწიროთ თქვენისა აკადემიისა მუზეუმსა.

ამა წიგნებთანა მოგართვით ზედ-წარწერანი *au facsimile* სასაფლაოთა ზედა მცხეთაშიდ გადმოწერილნი; ეჭვონებ არღარა დამიშთა მეტი; გარდა რამდენთამე სრულიად წაბლალულთა და უჩინოთა თუალთაგა. ჩემის წიგნისათვის, თქვენგან და უფ. უსტრიალოვისაგან განხილულისა, არ ვიცი რა მოვიწერო? მომინდვია ყოვლად თქვენთვის.

საულ-დავითიანი ჯერ არ მომსჭლია, ვჭკონებ მატყუებენ დ იმედსა ცრუსა მადლევენ მოპოვნებისასა; ზაფხულს უთუოთ უნდ მე თვით წავიდე და ვიხილო იგი-თელავს.

ჩემისა-ბიბლიოტეკისა კატალოგსა მალე მოგართმევ.

არ იქმნებოდა ცული ერთი ექვ. თქვენგან ქმნილისა წიგნისა ღენ. ქვეკვაძისთვის გამოგვგზავნათ. დიდად იამა მისი ხილვა, და რადგანაც თვით უძლურად იყო, მე უკითხავდი ორსა დღესა და ისიამოვნებდა ყოველსავე. მიბრძანა მოკითხუა მოგახსენოთ მის- მიერ.

სხტებრ დავჭმთები მარად პატივის-მცემელი თქენი

იოსელიანი პლატონ.

ნომბ. 10-სა

1838-სა წ.

ქ. თფილისით.

10.

მ ო წ ყ ა ლ ე ო ხ ე ლ მ წ ი ფ ე ე !

უ ფ. ბ რ ო ს ს ე !

წერილი თქენი მივიღე. დიდად ვარ მადლობელი ყოველთა მათ ცნობათათვის, რომელთაცა თქტენ განმიცხადებთ მე.

თქტენ მაუწყებთ მე თქტენ მიერსა შეწევნასა კორრესპონ- დენტთა შორის მიღებისასა. მე არა ვარ ამაზედ იქტნეულ, რომელ ძალ-გიძსთ ქმნა ამისი, ვირყევი მხოლოდ ამაზედ. რომ მეძიებელ- თა ამა პატივისა კაცთა არა ექმნებით ჩემ-მიერ დაბრკოლება, ამის- თვის, რომ აკადემიკნი და ჩლენნი აკადემიისა საზოგადოებისანი აღირჩევიან საგანთა გამო თვითოეულისა ენისა და ლიტერატურის- სა; და ქართულსა ენასა ზედა არა ვჭკონებ რეცა აქტნდეს ვისმე ადგილისა ამისთვის ცილება... სხტებრ იყოს ნება თქტენი, მე მაინც არ დავჰსუსტდები ამით, რათა ძიებათა თქტენთა მწე-ვექმნე.

თხოვისამებრ თქტენისა ვიპოვე ერთი ძტელი სიგელი, რომელ- საცა აქტნდა საზე გიორგი მეფისა—რომლისა? თვით ჰსცნობთ. თვით პირი სიგელისა მის და სხ. ძტელნი უწყებანი ვჭკონებ დიდად სახ- მარნი თქტენთვის ერთს რტეულად გადმოვაწერინე და მოგართ- ვი მძიმეს ფოჩტით ამა თთვის 26-საჲ რიცხტსა. არა ვიქადი ამას და რაღაა საქადელი (როდესაც ვილტწი მამულისათვის, რომლისად- მიცა მაქტს მოვალეობა ყოვლადი)—მაგრამ არა ვჭოგავ არცა ფულსა. არცა შრომათა და არცა სიმრთელესა განვრცელებისათვის ძალისამებრ ჩემისა ჰსწავლათა და სიძტეულეთა მოძიებისა. რტეული ესე და საზე მეფისა გიორგისა მომიძტნია აკადემიისათვის და გთხოვთ წარუდგინოთ იგი ჩემ-მიერ კონფერენციასა.

მკითხავთ, რაჲ ჰქმნათ წიგნისათვის ჩემ-მიერ ქმნილისა: მე ვისურვებ რათა დაჰმთეს იგი შორის მანუსკრიბთა აკადემიისათა¹.

გუჯართათვის სინოდისა კანტორისათა აქა,—გთხოვთ არ დაივიწ-

ყოთ: მრავლად შეეწევიან იგი ისტორიასა, ესლა კუალად ვჰსცან, რომ ესე გუარნი იპოვებინ მუნ ვიდრე 10.000-მდე. მე გარდამოღებინათვის მათისა ვარ მზა; და კმა იქმნება განსამზნობელად უკეთუ მექმნება პატივი კორარესპონდენტებისა თქუენ შორის.

ვახტანგისა ისტორია აქუს აქა ერთსა თავადისა-შვილსა. ვმეცადინეობ რომ დაუთმოს იგი აკადემიასა და ვნახოთ. გამოგზავნილი თქუენ მიერ 140 ასსიგნ. მივეც ვისცა ეკუთუნოდა.

ჩემისა წიგნებისა სია ვერ მოვასწარ მომერთმევიანა როგორც მიბრძანა მეფის-ძემან თეიმურაზმანცა. იმელი მაქუს ჰსრულ ვჰყო მალე ისი.

ძეულთა ფულებთათვის რაჲცა მოგიწერიათ, მე აღრევე მაქუნდა ჰაზრში წარმომეგზავნა იგინი, მაგრამ ველოდი შეგროვებასა, ავერ მაქუნან მათგანნი ა თ ი, დამპირდენ აქა-იქაც და შეგროვებისა შემდგომად უთუოდ გამოვგზავნი.

მცხეთისა მოხატულებათათვის თუ გნებავსთ მოილაპარაკებთ უფ. კოცებუსთან, რომელიცა წამოვიდა მანდეთ 24-ს ამ თთუეს და ნახავთ მას უფ. აკადემიკს კეპუნთან. ესე მისი მეგობარია და მე და მისი ერთად ვიყავით მუნ სანახავად. თუ ესე მე მომენდობთ აკადემიისგან. ვჰგონებ გადმოსახატავად მუნ პოებულთა სახეთა: მეფისა გიორგისა. განმაახლებელისა ტაძრისა მის და დამხატულისა; კათალიკოზის ნიკოლოზისა; გორგასლანისა; ორთა სხუათა რომელთაცა სახელი სიმაღლისა გამო ვერ წარვიკითხეთ და სხ. წერილთა საპიროთა მოხატულებათა; კმა იყოს 300 ასიგნაცია. მე კუალად ვჰგონებ რომ მეტობით იყოს რიცხვი ესე. და უკეთუ გარდაშთება რაჲმე, უეჭუელად უნდა იყოს აკადემია, რომელ უკუ-მიიღებს ნეშტთა.

გაზეთსა „სალიტ. ნაწ ტფ. უწყებათანი“²² ვეცდები ვიშოვნო. მიმასწავლეს ადგილ-ადგილ და ვარ მათსა მოძიებაში. აქაური აწინდელი გაზეთი²³—არა ღირს რომ იქონიოთ, ამისათვის, რომელ იბეჭდება მუნ მხოლოდ სასამართლოთა ადგილთა განცხადებანი და სხუა არა რაჲ—და ესეცა რუსულად. გაზეთსა 1832 წ. აბეჭდინებდა ს. დოდაევი და უბედურსა ამას მოუხდა ცუდად, რომ თურმე საამბოზოდ ერისა ყოფილა და ექუესს თთუზედ აღკრძალეს. თვით იგი წარგზავნეს ვიატკას და მუნ გარდაიკუალა. მეცადინება მისი იყო ფრიად კეთილი, მაგრამ შეაცთინეს სხუათა უთუოდ და დაჰკარგა თვისი პატივი.—თუ ღმერთსა ნებავს, მსურს ვარნა არა ესლა ვითხოვო ნება ჟურნალისა რასამე გამოცემისა. შემწენი აქა არა იპოვებინ და ცოტად მიმძიმს.

პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი.

(პირველ გვერდზე მიწერილი): უფ. შეგრენ მომიკითხეთ და განუცხადეთ ჩემ-მიერ პატივის-ცემა.

დგვ. 29-სა დღესა
1838-სა წელსა
თფილისით.

მოწყალეო ხელმწიფევე!
უფალო ბროსსე!

დიდი, დიდი ხანია არ მიმიღია თქვენგან წერილი. მომლოდინე წერილისა თქვენისა დავაგვიანე წერილისა მოწერა. სინოდისა უქაზი გუჯართათვის მოუვიდა აქაურსა სინოდისა კანტორსა და ჭერეთ ჩემთვის არ გამოუცხადებიათ. ფულები ძველი ნუმისმატიკისათვის აკადემიისა გიშოვეთ საკმაოდ, და რადგანაც შეგროვებისა მათისა პაზრი პირველად მომცა უფ. შეგრენმან, გამოვგზავნი მისსა სახელზედ. თქვენგან თხოვნილსა ყურნალსაც დოდ. გამოვგზავნი მეორისა ფოჩით.

მეორისავე ფოჩით ყოველთავე მოვსწერ წერილსა, მეტადრე მრცხტენის ბატონის-შვილის თეიმურაზისა, რომლისაცა წერილი მივიღე და ჭერეთ პასუხი ვერ მოვართვი.

სხტებრ დავჰშთები მარად პატივისმცემელი

თქვენი პლატონ იოსელიანი.

მარტის 2-სა დღესა

1839-სა წელსა

ქ. თფილისით.

უფალს ექსტრა-ორდინარნის
აკადემიკს ბროსსეტს!

მოწყალეო ხელმწიფევე!

შემდგომად გრძელითისა მოლოდებისა, მივიღე წერილი თქვენი, მაგრამ არა მწერთ გარდაეცითა წერილი ჩემი უფ. პოროშინს. პოემათა ბილეთი დამიგვიანა ცენზურამან და გთხოვთ კიდევაც განუმეოროთ თუ ჟამი გაქნდესთ. ვკგონებ თქვენზედ ახლოს იყოს დგომით, რადგანაც უნივერსიტეტში არის ადიუნქტად. გაზეთებით ვჰსცან, რომ დოქტორობა ფილოსოფიისა მიუღია. უკეთუ თქვენ თვით ნახოთ იგი, არქტ, დისერტაცია თვისი დოქტორობაზედ (დაბეჭდილი) გამომიგზავნოს.

რადცა პორტრეტათვის მეფეთა ჩვენთა მოგეწერათ ვჰსცან. დიდის სურვილით ვეცდები აღსრულებასა მისსა. მე თვით წავალ და წავეყუან უკეთესსა მხატვარსა გარდამოსახატავად მათთა. აქ ორნი იპოებიან კარგნი იტალიით მოსულნი მხატვარნი. პასეკისა ორსა კვირას ვიქნები მოცლილი და მაშინ შეწევნითა ღმრთისათა

ჰსრულ-ეპყოფ ამა დიდად სასიხარულოსა ჩემთვის აკადემიისა მონ-
ლობილებასა.

გუჯართათვის ძლივს მივიღეთ ბრძანება და 6-სა მარტსა
გამომიციხადეს და ხელიც მომაწირინეს. აკადემიამ კარგად ინება
ექსარხისა¹ ჩუენისა ჩლენად კორრესპონდენტად აღრჩევა, ამა
ჟამიღვან უფრო დიდსა შემწეობასა მაძლევს, და ისიცა დიდად
განვახალისე ბე(ჯი)თობაზედ.—თქუენ კეთილად უენიშნეთ ესე,
რომ უგუჯრებოდ ისტორიისა ქმნა და კრიტიკისა პოვნა სრულიად
შეუძლებელია, ამისთვის ამათა მოკრებაში უნდა ჭერეთ დაეშტირეთ.
—ერთიცა სხუა რტუელი უწყებათა მოგართვით, რომელსაც მიი-
ღებთ ჩემისა მანდ მეგობრისა ნიკიტსკისა მიერ, ეპკონებ აქამდე
მიიღებდით მასცა. მას გამოეუგზავნე საჩუქარი და მასთან ერთად
ისიცა გამოვისტუმრე, ერთი თთუე იქნება. თუ დაგიგვიანოსთ,
მოსტეზნეთ ისი на Литейной улице у церкви св. Сергия в квар-
тире протоиерея Петра Духовскаго.

მოგსმენიათ რეცამე დამეწეროს თამარისა ისტორია და დამე-
ბეკვდინებოთ გაზეთებში. ესე ქმნა ერთმა ჩემმა თანამსახურ-
მან სემინარიასა შინა, და მთელი ცხოვრება მისი არის შეცულ
სამოცს სტრიქონში. ამისათვის რად სახმარია მისი წარმოვლენა
და თვით ეს გაზეთი არის მხოლოდ უწყებათათვის სასამართლოთა
ადგილთასა და ისტორიული გარდა მისა არაჩად იპოება მუნ.

აგერ სამი დღეა გამოვგზავნე უფ. შეგერენის სახელზედ 39
ძტელი ფულები, რომელთა შორის იპოებიან რუსუდანიისა ორი,
ვერცხლისა და სპილენძისა, თეიმურაზისა, ირაკლისა, გიორგისა
XIII და სხ. სპარსეთისა ყაენთა. სამსა დღეს შემდეგ გამოვისტუმ-
რებ: 1, სალიტერატუროსა გაზეთსა ტფილისასა და 2. შეკრებილთა
ჩემ-მიერ გამოცანათა ძტელთა ჟამთაგან ზეპირ გარდამოცემულთა
ერთა შორის ქართულთასა. ესრეთი შრომა ჭერეთ არავისგან არს
ქმნილ. ჩუბინოვისა მიერ მოკრებილნი მაქუენან მე ანდაზები, თუ
არ გაქუთსთ, მოგართმევთ ამათცა.

სალიტერატურო გაზეთი 5 ნომერზედ მეტი არა ყოფილა
აღბეჭდილი. და ამისთვის არ ვიცი ელოდით თქუენ მეტთა ნომერ-
თა თუ არა?

ვახტანიგისა მიერ ცხოვრება საქართულოდსა აქუს დავითს
დადიანს²⁵ და ესე მითხრა, ვუგზავნიო ბატ. თეიმურაზს. თვით ჩქა-
რა წავიდა სამეგრელოს და ველარ ვსსცან დასასრული ამისი.

მასვე აქუს ფული სპილენძისა თამარ დიდისა და ვერ დავახ-
წიე, ვერცა თუ გადმოსახატავად რომ გამომეგზავნა. ჰსთხოვოს
ბატ. თეიმურაზმა და მოართმევს—ეპკონებ. ამ გუარებში ვნება
აქუთს. წიგნებიცა აქუთს ბევრი, მაგრამ დიდი ბიბლიოტაფი არის.

მამათ-ცხოვრებათათვის და საულ-დავითიანისათვის მღვიძარე
ვარ, რომ ვუშოვნო აკადემიას.

აღრევე დამპირდით ჩამგან დაჯღაბნილის წიგნისათვის რა-
პორტი თქუენი და უსტრიალოვისა, გთხოვთ მიბოძოთ. აგრეთუე

ბულეტენისა ფურცლები (lire) მიგზავნოთ ხოლმე როგორა-
თაც ადრე იქმოდით. თვით დროსა ბულეტენსა ბატ. თეიმურაზ
თავის დროზედ მიბოძებს.

სხტებრ დავკშოთები მარად მზა. რათა ვილტწიდე ძალისამებრ
ჩემისა მამულისათვის და ლიტერატურისა მისისა.

უმორჩილესად მოსამსახურე თქენი

პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი.

მარტის 9-სა

1839-სა წელსა

ქ. თფილისით.

ცალკე ფურცელზეა: გთხოვთ თუ საჭიროდ დაინახოთ წერილ-
თა უპაკეთოთა პაკეთი უქმნათ. ხოლო დედოფლისა სახელზედ წე-
რილსა თუ საჭირო იყოს, შავი ლაქა უცტალოთ.

13.

ე ქ ს ტ რ ა - ო რ დ ი ნ ა რ ნ ის ა კ ა დ ე მ ი კ ს

უ ფ ა ლ ბ რ ო ს ს ე ტ ს !

მ ო წ ყ ა ლ ე ო ხ ე ლ მ წ ი ფ ე ვ !

აგერ არის კვირა სამი რაც წერილი თქენი და უფ. შეგრე-
ნისა მივიღე. აგრეთვე მათთანავე თქენიგან ქმნილნი ბროშურენი.
რომელთათვის დიდად ვარ მადლობელი. მომივიდა აგრეთვე მად-
ლობა აკადემიისაგანცა კონფერენციისა ძტელთა ფულთათვის,
—მაგრამ დიდად ვჰსწუხ რომ დამიგვიანდა პასუხი ცენზურიდამ
პოემათა და ანბანისა. ამისთვის ველარა მოგწერეთ რა, რომ ველო-
დი მას და აწ განსრული მოთმინებიდამ გთხოვთ დაპრწმუნებით
ჩემის გულისათვის მიიღოთ შრომა და ნამდვილი შემიტყოთ.

აღდგომისა დღეებში მცხეთას ვიყავ და მუნ ვჰპოვე ღირსი
შენიშვნისა სამი რაჲმე: 1. ცხოვრება წმინდისა ნინასი სხტად აღ-
წერილი, 2. კრებისა ამბავი რომელიცა იქმნა საქართველოსა ში-
ნა მეფობასა დავით მეფისათა, რომელიცა ქართლისა ცხოვრებასა
შინა მოიხსენების,²⁶ 3. ფერემ მცირისაგან აღწერილი სამს თაბახ-
ზედ მოხსენება ქართველთა მოქცევისათვის, საფუძტელსა ზედა
ბერძენთა მწერალთასა,²⁷ 4. წიგნი ეტრატზედ ნაწერი უსახელო
ვრცელი და ზრქელი, რომელშიაც მოიხსენების ვრცელი ტრაქტატი
ქორონიკონთათვის და ზედნადებთა, მათ შინა შერეულნი იპო-
ვებიან მრავალნი სხტა და სხტანი ჰაზრი ქართველთათვის. წიგ-
ნი ესე სავსე არს ძილის-პირებითა და უეჭტულად ეჰგონებ იყოს
ესე თვით იგი ძილის-პირი, რომელსაცა მოიხსენებს საბა ორბე-
ლიანი მიღებულად იმერეთიდამ, და რომელთათვის თქენცა
სწეროთ დისსურტაციასა შინა თქენსა 7 დეკ. 1838.—ესე ყოველნი
გარდავეც მწერალსა რათა გარდამიწერონ და ჯერეთ ადრეა შეს-
რულება მათი.

მოხატულებათათვის მცხეთისა დიდსა ეკკლესიასა შინა ამოდ
ვეცადე მრავალი, ამისთვის რომ მხატვარმა დრო ვერ ჰპოვა მა-

შინ მარჯტე. და იენისის გასულსა მპირდება და მაშინ უთუოთ
ჰსრულ-ვჰყოფთ ჰაზრსა ამას, ამისთვის უფრო. რომ მე ორსა
სრულსა თატესა ე. ი. ივლისსა და აგვისტოსა ვიქმნები მოცილილ.

გუჯარებისა საქმესა ბეჯითად ვარ შედგომილ. მაგრამ მამრკო-
ლებენ წევრნი რომელთაცა აქტნან იგინი მინდობილ დასაცუ-
ლად მიზეზითა მიწერელებისათა მათდა სინოდისაგან და კონტო-
რისა აქაურისა. მუნ უწერენ ესრეთ: приказали Грузино-Име-
ретинской Синодальной Конторе предписать указом до-
пустить кандидата, Платона Иос. к снятию копии с хра-
нящихся в архиве ея старины, а то в копия будут ему ука-
заны Императорскою Академиею наук — თუ შეიძლებოდეს ამა
უქანასკნელისა ჰაზრისა განსადევენელად ჰომეწეროს აკადემიადამ
მე რომ განვჩხრეკდე და გადმოვწერდე მათ დოკუმენტთა, რომელ-
თაც მე დავინახავ საქიროდ—ისე იქნებოდა უკეთეს, თორემ იგინი
ჰგონებენ რომ მე თვითეულისა დოკუმენტისათვის უნდა საკუთა-
რი მაქტნდეს ქალაღი და указание აკადემიისა.

ადრე მოგეწერათ გვირგვინისათვის ძვირფასისა ნაპოვნისა
თქტენ მიერ მოსკოვისა საღაროთა შინა სამეფოთასა და იწერებო-
დით რომ არა უწყვიოთ ოდეს იყო იგი მოტანილ რუსეთს. ამისთვის
ვჰპოვე მე რომელ იგი წარმოიღო აქედამ მოსკოვს მეფემან არჩილ
1686-სა წელსა და მასთანავე სამკუთალიცა იგი და სხ. წმინდანი
ნაწილნი, რომელნიცა დღემდე იპოვებიან მოსკოვის უსპენის სო-
ბოროსა შინა. ესრეთ ვჰპოვე მე აღწერილ წიგნთა შინა რუსთასა
ყოფასა ჩემა პეტერბურღს, ხოლო რომელთა შინა არა ვუწყვი. და-
მავიწყდა, ვჰგონებ в Bubliont რუსთა სიძტელეთასა.

აღ. სულხანოვსა მეორესა ფოჩტით მოვჰსწერ წერილსა ჰა-
სუხად მისისა ჩემდა წერილისა, და გთხოვ მომიკითხოთ.

დავჰშთები მარად მონა და მორჩილი

პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი.

18 $\frac{V}{25}$ 39

პირველ გვერდზე:

გთხოვთ მეფის-ძესა თეიმურაზს თაყუანის-ცემა ჩემ-მიერ მოახ-
სენოთ და უფ. შეგარენს მოკითხუა, წერილსა მალე მოვჰსწერ.

14.

უ ფ ა ლ ს ე ქ ს ტ რ ა - ო რ დ ი ნ ა რ ნ ი ს

ა კ ა დ ე მ ი კ ო ს ს უ ფ. ბ რ ო ს ს ე ტ ს!

მ ო წ ყ ა ლ ე ო ხ ე ლ მ წ ი ფ ე ე!

ღიახ დიდი ხანია წერილი არარაჲ მიმიღია თქტენგან; არ ვიცი
რაჲ არის მიზეზი ამისი. მეც ველად მოვიცალე სემინარიისა საქმე-
თა გამო ვერა რაჲსა მოწერა. ახლა მკითხავი მშვიდობით სუფევი-
სა თქტენისა ვისურვებ კუალად გებასა ბედნიერებით სასარგებ-

ლოდ ქართულთა პატივისა. აკადემიისათვის ვაგროებ ძველთა ხარკითა გუჯრებთასა, და რადგანაც ორთა ამა თთვეთა ვარ სრულად თავისუფალ, ამისთვის ვიმყოფები დიდსა წარმატებასა შინა, რათა აკადემიას შეეგროვოს მრავალნი მათგანნი.

მცხეთასა შინა მოხატულებათა გადმოსახატავად ამ ერთს კვირას შემდგომად მიმყავს მხატვარი. რათა სრულ-ვჰყო სურვილი აკადემიისა და მოლოდება თქვენნი.

ჩვენმა არხიერმა მოისურვა ქონტა ზედა-წარწერათა თქვენ მიერ ქმნილი წიგნი და ჩემ-მიერ გთხოვთ ერთი ექვ. გამოუგზავნოთ. თუ არ იყოს ესე თქვენთვის ძნელ, გთხოვთ აღასრულოთ ესე. უფ. შეგრენს გთხოვ განუცხადოთ ჩემ მიერი პატივის-ცემა. დავჰშთები მარად მზა მსახურებად აკადემიისა და მსწავლათ

პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი.

18-სა ივლისსა

1839-სა წ.

ქ. თფილისით.

15

უ ფ ა ლ ს ე ქ ს ტ რ ა-ო რ დ ი ნ ა რ ნ ი ს
ა კ ა დ ე მ ი კ ო ს ს ბ რ ო ს ს ე ტ ს!

მ ო წ ყ ა ლ ე ზ ო ხ ე ლ მ წ ი ფ ე ე!

კარგა ხანია რაც აღარა მსმენია რა პეტერბურლით. მეც ვერ ვიწერებოდი ხშირად ჭერ ბევრთა საქმეთა გამო, და უკანასკნელ ავათმყოფობისა გამო ჩემისა. ციებ-ციხელებამა თუმცა მცირეს უამს, მაგრამ დამტანჯა. უწვიმროებისა გამო ჰაერი თფილისისა არის თითქმის მოწამლული. აგერ ოთხი თთჲ სრულდება წვიმა არა გვინახავს და აქედამ იწარმოა რომ მრავალნი არიან სნეულნი და მდებარენი თფილისს.

სასიხარულოდ თქვენდა, და ჩემდა მრთელისა აკადემიისა გაუწყებთ, რომ ვჰპოვე ძველი ისტორია საქართველოსა სომხურსა ენასა ზედა აღწერილი. ესე აქტის აქაურს სომეხთა არხიეპისკოპოსს კარაბეტს. ერთი ფურცელი კიდევ გადმოვაწერინე და მალე მოუხდა წასტლა ახაბატს. ერთს კვირაზედ მოელიან მას თფილისს. უთუოდ გადმოვაწერინებ და მოვართმევ აკადემიას. ასრუთ უყუარს მას ეს წიგნი, რომ არ მანდობს შინ. მხოლოდ მისსა სახლში მწერალი მიწერს. თვით წიგნი თუმცა არის ქალაღზედ და არა ტყავზედ ნაწერი, მაგრამ მაინც ჰსჩანს სიძველე მისი. ავტორი არა ჰსჩანს ჭერეთ.

გუჯრებისა საქმე კარგად მოდის და არა ვაკლებ მეცადინებასა ჩემსა რათამცა შემწე ვექმნე ძალისამებრ ჩემისა ძიებათა აკადემიისათა პორტრეტნი ძველთა მეფეთა გადმოვახატვინე ერთს კარგს იტალიიდგან მხატვარს და მალე გამოვისტუმრებ. გთხოვთ

განუცხადოთ ჩემ-მიერი პატივისცემა უფ. შეგრენს. სხტას დროს საკუთრივ მოვართმევ წერილსა.

დავკმთები მარად პატივის-მცემელი თქუენი უმორჩილესი მოსამსახურე

პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი .

1839-სა წ.

აგვისტოს 31-სა დღესა

ქ. თფილისიჟ.

16.

ე ქ ს ტ რ ა - ო რ დ ი ნ ა რ ნ ი ს ა კ ა დ ე მ ი კ ს

უ ფ . ბ რ ო ს ს ე ტ ს !

ძალიან დამიგვიანა თქუენმან წერილმან, და ვკსწუხვარ არამც შეუძლოთ ბრძანდებოდეთ. ვკონებ ოთხი მომეწეროს წერილი და ვერცა ერთისა მიმელოს პასუხი. სხტებრ ბრძანდებოდეთ მშვიდობით, და მე მაინც ვიქმნები კმაყოფილ. ცენზორილამ არცა ანბანისა, არცა ორთა პოემათა ბილეთები на выпуск в свет ჯერეთ არ მიმიღია. გთხოვთ კუალად მიიღოთ შრომა და შემიძეყოთ, რომლისა ნომერიოთ, რომელსა რიცხუსა თთვისასა და ვის სახელწუედ ცენზურამ გამოისტუმრა იგინი.

მოხაზულებათა მცხეთისა ეკკლესიისათა და სხვ. გუჯართა მალე გამოვისტუმრებ მხატვარი პირველთა ავად გახდა დიდად და ჯერეთ არ გამრთელებულა, ამისთვის დაბრკოლდა საქმე, და ესეც უნდა ვკსტატა, რომ თვითცა საკმაოდ ზარმაცი არის. მოხაზულე-ბი არიან მზად და უნდა შემზადება კუალად მცირედი სხტა და სხტა ფერებითა.

სომხურსა ენაწუედ ქართულთა ისტორიასა მიწერენ აქა, როგორც აღრე მომიწერია. ვკონებ ახალი მრავალი რაჲმე იყოს მუნ. ამასთან გთხოვ თქუენგან ნამუშავები ახალი რაჲმე წარმომიგზავნოთ ხოლმე ძუელის ჩუეულეებისამებრ. წილოსანმა მოგაკითხათ, მაგრამ როგორცა კსჩანს წერილწუედ უნდა ზარმაცი იყოს. — ესეცა ვარქე მას, რომ უფ. ბროსსეტს ასრე მივწერ მეთქი.

ამასთან ჩემი თხოვნა თქუენთან ხომ უწყით რაც არის: ნუ გამიწყრებით რომ აქ მინდა განვაქეორო და მოგავგონოთცა თქუენგან აღთქმული. რადგანაც მოაწია ეჲბი აღრჩევისა, ამისთვის ვკონებ არ იყოს უდროვო წინათვე თხოვისა ამისთანას საქმეწუედ, რომელიც თქუენგან ადვილ შესაძლებელია, შეწევნითა ღმრთისათა და შეამდგომელობითა თქუენისა და უფ. შეგრენისათა. ერთს წერილში, ნოემბ. 22. 1838, მწერთ ამას: თუ ამ წელს შესაძლებელი არ იყოს რიცხვისა გამო პატივის მეძიებულთა და ღირსთა, ვკსასოებ რომ მომავალს წელს აღესრულება წადილი თქუენი. წელმან მან განვლო. მაშასადამე, ამა წელს უნდა მაქტნდეს სასოება, რომ მეცა ღირს-მყოს აკადემიამ თვისისა ჩლენობისა (კორრესპ.). მე კუალად გთხოვთ ამაწუედ შეწევნასა და მაქტს იმედიცა კსრულ იქმნას უკეთუ თქუენც წადიერ-იქმნებით. მეცა ვეცდები დავამტკიცო ძალისამებრ

ჩემისა ესრეთი წოდება ჩემი, და გარდაგისალოცა, თქვენ საკუთრივ ნაცუალ-გებადი.

დაექმთები მარად პატივისმცემელი თქვენი უმორჩილესი მოსამსახურე პლატონ იოსელიანი.

1840 წლისათვის ვაბეჭდინებ აქა კალენდარსა ქართულად. მანდეთაც წარმოგივლენთ. გთხოვთ ესე ამცხსოთ მეფის-ძესა თეიმურაზს და თაყუანისცემაყა მიუძღვნათ ჩემ-მიერი. უფ. ალექსანდრე სულხანოვი მომიკითხეთ.

ოკლ. 5-სა
1839-სა წელსა
თფილისით.

17.

მოწყალეო ხელმწიფე!

წერილი თქვენი მივიღე და მასთანავე გამოგზავნილნი თქვენ მიერ ქმნილნი წიგნი, რომელთაგან ორი მოწერილებისამებრ თქვენისა წარუდგინე მასვე დღესა ექნარხსა. ამა წიგნთათვის დაიდად დაკშთა მადლობელი, და მიბრძანა რომ მადლობა მის მიერი ამა წერილთა წარმოგივლინოთ. და თვითყა მიჰსწერს წიგნსა უფ. შეგრენსა და მისისა პირითაც გამოგიცხადებთ მადლობასა. ასრეთ ვით მიბრძანა.

ღრამატიკისა ამბავი სრულად არ არის ჩემთვის საწყინო. მე თვით ვიცოდი მისი ნაკლულევიანება. მე კრიტიკისთვის ღიახ ვიქმნები მადლობელიყა. ეს უნდა უწყოდეთ, რომ 1. ღრამატიკა ვაგეტე აგერ არის 4 წელიწადი, და მიმოვიდოდა აქა-იქი; 2. მას ეამსა სრულად არა მაქტნდა თქვენი ლიტოლრაფიისა ღრამატიკა; 3. იყო მიწეზიცა სხტა უმეტეს ამათსა, რომელიყა ადრევე აქ შეგრენისავე ყოფაში სანივარ იყო და სანანტელ ჩემთვის. შეგრენსაც შევჩივოდი. ამაყოფელთა თავისსა დროსა ჰსცნობთ ნათლად. დროდმდე იყოს ესე დაფარული. ჰსჯობს რომ მევე ვიყო ბრალეულ. კრიტიკული რაპორტი თქვენი ჯერეთ არ მოგტსლია. და იყტენით დარწმუნებულ შეუდგები ქეშმარიტთა დარიგებათა და შენიშტნათა თქვენთა, ესრეთ ვითარყა ეყადრება ქეშმარიტსა ჰსწავლათა მოყტარესა და არა ვითარყა ამოღ დიდებისა მოყტარესა ავქსონსა.

ვილაც ბეროვეი მოსულა და თურმე აქტს მას ჩემთან წიგნი თქვენი. ჯერეთ არ მინახავს. არყა კნიაზ ბარათაევი¹ მოსულა ჯერეთ.

მონატულებათათვის მცირედ მომითმინეთ. მხატვარი როცი ავადა არის, თორემ რათ დავაგვიანებდი. ერთის სიტყვით დიდად იქმნება ჩემთვის საწუხარი და უკანონი ჩემზედ შენიშტნა აყადემიისა, უკეთუ ამა დავგიანებასა მიაწერენ სიზარმაყესა და უღლებებასა ჩემსა. მერწმუნეთ, მერწმუნეთ, ვარ მღვიძარე და არა რასა ვჰზოგავ აყადემიისათვის. მალე კულად დამტკიცდებით ამა ჰაზრში.

რადცა მოგეწერათ ყოველივე თვისსა დროსა მოვა ჩემ-მიერ აღსრულებაში სასოებითა ღმერთსა ზედა.

დავჰმთები პატივის-ცემითა თქვენდა ვითარცა პირტელისა და უპირტელისისა ქართულისად

უმორჩილესი მოსამსახურე

იოსელიანი პლატონ.

მიწერილი პირველ გვერდზე:

უფ. შეგრენს გთხოვთ განუცხადოთ ჩემ-მიერი პატივისცემა. რაც წარსულს წერილში მოგახსენეთ და გთხოვთ, გამაბედნიერეთ მათისა აღსრულებითა.

1839-სა წ.

ოქტ. 26-სა

თფილისით.

18.

მოწყალეო ხელმწიფეე!

წერილნი თქვენნი მივიღენ, გარდა ერთისა, რომელიცა წარმოგეზვნათ ვილაცას ხელითა, რომლისადაცა სახელი თქვენცა არა განსოვთ. დაგიგვიანე პასუხი ამისთვის, რომ მცხეთისა მონაზულებათა ველოდი გამოგზავნასა. ერწმუნეთ ჰეშმარიტსა, უცთომელსა და წმინდისა სვინიდისისა სიტყუტასა, რომ აკლია შესრულებასა მცირე რაჲმე. ველოდი შესრულებასა და არ იქმნა. გუშინ ვიყავ მხატვარს როცისთან და მომცა ფიცი სარწმუნო, რომ მეორისა ფორტისათვის მოგიზადებო. ვეცდები თუ არ მომატყუა (და არა მგონი რომ კიდევ მომატყუოს), მეორესა ფორტით მოგართათ და მათთანა გუჯრებიცა, რომელთაცა თეთრად ვაწერინებ—და შავად მრავალნი მაქტნან გადმოწერილნი. თუმცა ძნელია გადმოწერა მათი სიძტელეთა გამო, მაგრამ არა ვჰზოგავ თავსა ჩემსა შრომისაგან. რომ ჰსრულ-ვჰყო კეთილად და წარმატებით, ესე ვითარი მინდობილება აკადემიისა, და მათთვის ნაცტალ-გებადსა არცა რასა ვიკადრებ რომ ვჰსთხოვო აკადემიასა. ესე იქმნება ჩემთვის დიდა სირცხვილი, ამისთვის რომ საკუთრად ეკუთვნის ჩემსა მამულსა და სარგებლობასა მისსა.

გთხოვთ აღქმა თქტენი ჩემზენ. მიუხედველად ყოველთა გარემოებთა, ჰსრულ-ჰყოთ, და არა გარდასტტათ შემდეგისა წლისათვის. ნუთუ ბროსეტს, შეგრენს და კუჰპენს არა ძალ-უძსთ ქმნა ამისი?

წარსულისა ფორტით მოგართვით 30 კალენდარი ქართული ჩემ-მიერ აქ აღბეჰქდილი. კალენდარი შეიცავს ხუთსა თაბახსა დაბეჰქდილსა, და ესე ჳერეთ პირველს შეძთხტევაზედ კმა არს. დავაბეჰქდინე 600 ეკზ. მათთანავე მოგართვი ერთი თეიმურაზისა დიდისა ფული, არა მეორისა, რომელიც თქტენ არა გაქტსთ. ესეცა იდუმალ, რათა არ ეცნა უფ. ბარატაევს, თორემ კოპიოსა მანდ გამოგზავნიდა და ნამდვილს თვით მიიღებდა. თუ დაჰსწერთ

მისთვის რასმე, მოიხსენეთ რომ არა ესლა, არამედ აღრევი გამო-
გიგზავნეთ მე თქვენ იგი. გარდა ამისა მათთანავე გამოვისტუმრე
ორი რტეული ქართულთა ისტორიისა სომხურსა ენასა ზედა.
უკი არის დაწერილი IV-სა საუკუნესა შინა ლეონტისა ძეგრ (ვკგო-
ნებ პატრიარხად ყოფილისა სომეხთა შემდგომად გრიგორი განმა-
ნათლებელისა)მოწათისა გრიგორისა ბრძანებითა ამა უკანასკნე-
ლისათა აღწერილი. წარიკითხეთ და თქვენი ჰაზრი მიბრძანეთ და
რტეულები თუ გენებოსთ თქვენ შეინახეთ და მე შემდგომთაცა
გამოვისტუმრებ.

აკადემიკი შეგრენ პატივის-ცემით მომიკითხეთ, პასუხსა მის
წერილზედ მალე მოვიწერები. ალექსანდრე სულსანოვისაცა მომი-
ვიდა წერილი და მასცა მალე მოვქსწერ წერილსა.

ლრამატიკისა პასუხი ჭერეთ არ მომწვლია. ვეცდები თუ მევე
მომანდრეს პლანისამებრ თქვენისა შედგენასა.

სხტებრ დაეკშთები მომლოდნე თქვენისა პასუხისა და სასი-
აზონით ჩემთვის აღთქმულისა თქვენმიერ ჰსრულ ყოფის უმ არჩი-
ლესი მონა და მოსამსახურე

პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი.

ნოემბ. 30-სა

1839-სა წ.

ქ. თბილისით.

ქ. ბარატაევმან წამიკითხა თქვენთან მოწერილი წიგნი. დიდად
მწყალობს და ხშირად ვარ მასთან. ჭერეთ ავთ არის ფეხისა ტკი-
ნეულებითა. ქ. ალექსანდრე ქაეკვაძემან და კოცებუმან² მოგ-
კითხათ. წილოსანი იმერეთს წავიდა აგერ ერთი კვირა არის.

19.

ე ქ ს ტ რ ა - ო რ დ ი ნ ა რ ნ ის ა კ ა დ ე მ ი კ ს
უ ფ . ბ რ ო ს ს ე ტ ს !

მ ო წ ყ ა ლ ე ო ხ ე ლ მ წ ი ფ ე ვ !

წარსულისა ფოჩტით მოგართვი წერილი. რომლითაცა უეჭუე-
ლად ელით მოხატულებათა მცხეთისათა. ერწმუნეთ უტყუელსა სიტ-
ყუტასა, რომ ვერ მოასწრო კიდევ მხატვარმა თეთრად გადალება
მათი, და კიდევ გარდასდტა მეორისა ფოჩტისათვის. ამაზედ
იყტენით დარწმუნებულ, რომ უთუოდ მალე შევასრულებინებ
და ვსთხოვ ხტალე რომ ქ. ბარატაევი ნახოს და ესეც ეტყვის შეს-
რულებისათვის. მათთანავე გამოვისტუმრებ გუჯრებდაცა.

სომხურსა ენაზედ ისტორია ქართულთა იწერება; თუმცა
წარსრულს ფოჩტით, მძიმედ გამოვისტუმრე, მაგრამ ფოჩტამ
უკანვე დამიბრუნა, რომ მანუსკრიპტი არ წაიღებო. ამისთვის 30
ეკზ. კალენდარი და 1 მონეტა თეიმურაზისა 1-სი, მძიმეს ფოჩტით
წამოვიდა; და 2, რტეული ქართ. ისტორიისა სომხურად ფოჩტი-
თა ექსტრათი ამა წერილთან მიიღებთ. თუმცა ძვირად მიღირს

ამისი გამოსტუმრება, მაგრამ მოგეცით სიტყუა და მგზავრსა ვე-
ლარავის ვანდე, რომ არ დაგვიანებულ-იყო. გარდა ამისა ვპოვე
სომხურსა ენაზედვე ისტორია სომხითისა, აღწერილი სტეფანე
ტარონელისაგან, ვპოვნებ წიგნი ესე იყოს ჭერეთ უცნოთური
აკადემიისათვის, ამისთვისცა მომწერეთ რამე.

კალენდარნი, უკეთუ თქვენ არა გქონდესო დრო — გთხოვთ
უბოძოთ ალექსანდრე სულხანოვს და ისი დაარიგებს ესრეთ:

1. დედოფალს იმერეთისას მარიამს 1.
2. მეფის-ძეს ბაგრატს 1.
- 3, 4, 5, 6 — თეიმ. ფარნ. მიხ. ოქროპ. 4.
- 7, 8. ლუარსაბს და დიმიტრის იულონისა ძეთა 2.
9. მეფის ასულს რიფსიმას 1.
- 10, 11. კნ. ალექსანდრეს და დიმიტრის ბაგრატიონთა 2.
12. ლენ. ზაქარია იოსელიანს 1.
- 13, 14, 15. ირაკლის, ალექსანდ. და გიორგის ბაგრატიონთა
კონსტანტინესი ძეთა 3.
16. კნ. ივანე ორბელიანს (უფ. ნათლიას) 1.
17. ალექს. სულხანოვს ჩემის გულისათვის დაარიგებსცა 1.
- 18, 19. მეფის-ძისა ბაგრატიისა ძეთა დავ. და ალექს. 2.
20. დავითს ჩუბინოვს 1.
21. მიხაილ იზმაილოვს 1.
- 22, 23, 24. აკადემიკთა: ფრენს, შეგრენს და ბროსეტს 3.
25. კოცებუშან მიაართუა აკად. კეპქენს 1.

5 დანაშთენი ვისდაცა გენებოსთ უბოძეთ.

ჭერეთ ქრთულთა ფულთათვის ნურას დაქსწერთ: ვეცდებით
ვპოვოთ სადმე კიდევ. ბარატაევმა იპოვა ორი ჭერეთ უცნობი
თქვენთვის ფული: ერთი სხტა გტარი თამარისი, და ერთიცა სხტა
გტარი ირაკლისა 11-სა. კოპიოთა მალე ვამოგზავნის. კიდევ სულ-
სხტა გტარსა თამარისსა ფულსა ვეცდებით გამოვართუად მთავარსა
დადიანსა ესრეთისა წარწერიოთა ჭერეთ არის იგი სამეგ-
რელოს დიდსა მწუხარებასა შინა სიკრდილისა გამო
დედისა თვისსა.

ამასთანა მდებარე წერილი გთხოვთ უბოძოთ აკად.
შეგრენს.

დავკშთები მომლოდნე სასიამოვნოდას ჩემთვის უწყებისა
და წერილისა თქვენისა.

უმორჩილესი მონა და მოსამსახურე

პლატონ იოსელიანი.

დევ. 7-სა
1839-სა წ.
თფილისით.

აგერ ერთი თთჲე არის წარვადგინე კიევის აკადემიისა კონფერენ-
ციასი ჩემგან შედგენილი რუსულსა ენაზედ „ისტორია ქარ-
თთელთა ეკკლესიისა“.³³ ვპოვნებ მალე გაისტუმრებენ
კიევიდგან პეტერბურლს უფ. ობერ-პროკურორთან უწმ. სინოდისა.
შესაძლებელია თქვენ გამოგიგზავნონ განსახილველად. წიგნი ჩემი
შეიცავს 27-სა თაბახსა დაწერილსა.

მოწყალეო ხელმწიფევი.

უფალო ბროსსე!

მომივიდა ორი თქტენი წერილი. ვკვონებ მრისხანებთ პასუხისა დაგვიანებისათვის. ესე მიქმნა სირცხულმან რომ მცხეთისა კარტინები ვერ გამოვკვზავენე. რა ვქმნა, შემობრალეთ და მომითმინეთა. მეორის ფოჩით სრული იმედი მაქტს გამოვკვზავენო. ორი კიდევ დაუშთა მხატვარს შეუსრულეილი. ვიმოწმებ კხ. ბარათაევს და მრთელსა თფილისსა რომ გადაევიდე იმისთანას ცრუსა მხატვარსა. მათვე ველი რომ გუჯრებიც მოგართუა.

ლრამატიკა მომივიდა (ფებ. 23-სა), დიდად მადლობელი ვარ შემეცნებათათვის, რომელთაგანი ნამდვილნი არიან და სხუათათვის უნდა ჩემი რეზონები მიიღოთ, რომ უკეთესი რამე ვქმნათ. შემდეგ გაუწყებ ამათთვის.

კნ. ბარათაევმა მოგიკითხათ. ავად არის ფეხისა დაკრილობის მიზეზითა.

წილოსანი მოდის ერთს თუზედ ნახავთ მას. პეტერბურლს. ამ თქტენს ზარმაცს მეგობარსა (ამაზედ კი არ გაჯავრდეს: მეგობრობითა ვიტყვი იმერლები ფხუკიანები არიან, არის ძტელადვე თქმული).

ჩუბ. წერილი ბიძასა მისსა მივეც. უშველეთ რამე მაგას, რომ ადგილი იშოვნოს коронной службы, მანამ გაჩნდება აქ ვაკანსია. ჯერეთ კი არსად არის. ეგ აქა საჭირო იქმნება. ერთად ჩემთანა ვიქმთ რასამე კეთილსა. მინდა თვისსა დროსა პანსიონისა გახსნა. სტამბისა გამართუა, ყურნალისა ბეჭდუა და სხ. თუ ღმერთი დააკვირგვინებს პაზრთა ჩემთა.

კნ. ბარათაევი განმდიდრა მონეტებისა შოვნითა. მერწმუნეთ ნუმისმატიკისათვის დიდად საჭირო კაცი ყოფილა ესე—მალავს ბევრის ჩიჩინით.

აკადემიისათვის მაქტს საჩუქარი კარგი; პაზრით ჯერეთ ახალი, არავისგან ქმნილი, სრულებით сбекии, როგორც ახალი თეზნი. თქტენც მოიწონებთ, მაგრამ ჯერ არ შესრულებულა და ამისათვის არ გეტყვი. ესე იყოს თქტენთვის საიდუმლოდ! ერთს თთუეს შემდეგ გაცნობებთ და გამოვგზავნიცა. ესე იქმნება

არც ქალაღლი, არცა წიგნი,
არცა ჩემი, არცა შენი,
ყოველთათვის საჭირონი.
სამუღამოდ დასაშტენი.

გამოიციანით რა?

არა ეძიოთ ამა ლექსებში პოეზია!

გთხოვთ თქტენგან დაბეჭდილები ყოველივე ახალ-ახალი მიგზავნოთ ფურცლებით ჩუეულებისამებრ. ბულეტენს დავიბარებდი, მაგრამ აინონები არიან მუნ, და არა გახლავარ არცა კარგი, არცა ცუდი მატემატიკოსი და რად მინდა.

ჩივით ქართულებზედ. რომ ყურს არ უგდებენ თქტენს ლექციებსა. თქტენ ვერ იცნობთ ამა საყურელთა ჩემთა მონათესა-

ვეთა. მე ასრე ვჰგონებ ესრეთ ყოფილან მარადის... ნახეთ იგინო აქა და ჰსცნობთ უფრო მეტსა. აქა გტეკირება მოთმინება. posseden voire ame par notre patience.

თქტენი უმორჩილესი და უერთგულესი მოსამსახურე
პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი.

თებ. 29-სა
1840 წ.
თფილისით.

მთელი ფებერტალი ცივით, ყინვიანით და თოვლიანით—და ტალახიანითცა ათონის მთასა შინა წივნთა სია ვჰგონებ გამოვჰგზავნე. არ ვიცი როგორ მოხდა ესე. ვაწერიებ მეორეთ რომ გამოვისტუმრო მალე.

გთხოვთ Андрей Михайлович Г. Шегрен მომიკითხოთ. ვეცდები მალე მოვჰსწერო წერილი. А черепа для Академика Кенпена уже отысканы. У Коцебу их 2, двух лучших разбойников Закавказья. А я имею в виду 4 груз. которых скоро до-стапем—на верно.

გთხოვთ ამასთანავე მდებარე წერილთა, პაკეთები უქმნათ და ისრე გაისარჯოთ და მიაწოდოთ.

21.

მ ო წ ყ ა ლ ე ო ხ ე ლ მ წ ი ფ ე ვ.
უ ფ ა ლ ო ბ რ ო ს ს ე!

დიდად მრცხტენის რომ ესრეთ ცუდ გამოვდივარ თქტენთან. მაგრამ არა მრწამს რომ ესრეთი ცუდი ჰაზრი მიიღოთ ჩემთვის. გარდავეკიდე ერთსა ცრუსა მხატვარსა და დამალა ბევრის სიცრუეითა. რა ვქმნათ, უნდა მომითმინოთ. მცირელა დაჰმთენია მას შესრულებისათვის თვისისა შრომისა. ვჰგონებ ამა წერილისა მოსტლამდინ მიიღოთ კიდევ ფოჩტით და მასთანავე ერთად გუჰრები-სა კოპიონი. ამისა მომტანი თვით გაიმბობსთ ყოველსავე ნამდვილ-სა გარემოებასა ამა საქმეთა.

სხუებრ დავჰმთები მარადის თქტენი პატივის-მცემელი და რადგანაც მიწოდებთ მეგობრად—თქტენი სულითადი და გულითადი მეგობარი.

პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი.

მარტის 14-სა
1840 წ.
თფილისით.

Андрею Михайловичу Шегрену приношу нижайший поклон сердца, всегда ему преданного.

მარტის 14-სა 1840 წ. თფილისით.

მოწყალეო ხელმწიფევი,
უფალო ბროსსე!

დაგიგვიანეთ წერილი. ესე მიყო მე სირცხვილმა, რომ ვერ მოვართვი აკადემიასა მეფეთა სახენი. ძლივს ამ უნამუსომ ვეროპელმა შეასრულა, და შინა მაქტს. მაშასადამე აღარასი მეშინის, და განეთავისუფლდი სირცხვილისაგან. ორშაბათს ე. ი. 15 ამ თთქეს უთუთ გამოვიტუმრებ. ფასი არ მოუნდა იმდონი. რაოდენსაცა მე ვკგონებდი. წაყრანა მხატვრისა მცხეთად. მისთვის პროგონის ფული, მუნ მისი გამოზრდა და შესრულება მონატულებათა მილირს 120 ასიგხაციად. მე არცა ამისას ვიკადრებდი უკან თხოვასა, თუ აწინდელსა უამსა არა იყოს ჩემთვის ფული საჭირო. ამისთვის გთხოვ მოახსენოთ ყოველივე აკადემიასა და პასუხი გვიბრძანოთ. მასთანვე გამოვგზავნი გუჯრებისა კოპიოთა მცხეთისა ეკკლესიისად კუთვნელთა და მეტსა ნაწილსა უძტელესთა. შემდეგათვის მაქტს კუალად ზრუნტა, არა მცირე და მრავალნი გადმოწერილნი მაქტსან ჩერეთ შავად.

ღრამმატიკა ქართული დაეაბეჭდინე. ვკგონებ მოიწონოთ. შემეცნებათა თქტენთა ვერ მოუსწრეს დასაბამსავე ბეჭტდისა, ამისთვის ვიეთნიმე ადგილნი არიან გასასწორებელნი. პირველი ნაწილი გამოვეუგზავნე ობერ-პროკუროს ღრაფს პროტაროვს, მეორე და მესამე ორს კვირას შემდგომად გამოუგზავნი. მე ვქსთხოვე მას, რათა ინებოს და დრომდე გასწორებისა და გამართვისა ქართულისა ღრამმ. с русским переводом იხმარებოდეს სემინარიასა შინა. უთუთო მოაწივს თქტენამდე და თქტენ გიყუარსთ (მოუტევეთ მეგობრობასა ესრეთი თქმა) ჩქარად დაწუნება შრომათა. ყოველნი კაცი ადვილ დაიწუნებოან; გარნა არა ყოველნი მალე მოიწადინებენ ესრეთსა მოქცევასა. დაწუნება მეტი და უადგილო ავნებენ ყოველსავე, ხოლო მეტი ქება, იტევს ციცერონ, არა რასა, არამედ უფროსცა შეწევის. — ამა ახლად დაბეჭდილსა ღრამატიკასა ეჭმპლართა შესრულებისა შემდგომად მაშინვე მოგართმევთ.

აკადემიკს კეპენს უშოვნე ახალის სირიისა ერთა საუბარისა ლექსნი და წერილიცა მათი. კოცებუმ გამოუგზავნა, ვკგონებ მიიღებდით.

დაპირებული აკადემიისათვის სასარგებლო რამე, ჭერეთ არ არის შესრულებული.

დავკშთები მარად პატივისმცემელი თქტენი უმორჩილესი მოსამსახურე.

პლატონ იოსელიანი.

1840-სა წელსა
აპრ. 11-სა
თფილისით.

აკადემიკს შეგარენს განუცხადებ დიდსა პატივის-ცემასა.

მოწყალეოხელმწიფეკ!

წერილი თქვენი დიდი ხანია მივიღე, მაგრამ მიზეზი უპასუხობისა იყო ავანტიურა ჩემი და შემდეგ სოფელში ყოფთა. გთხოვთ არ გამიწყრეთ ამაზედ. ღრამმატიკა ჩემი განიხილეთ თუ არა მაცნობეთ.

მცხეთისა პორტრეტათვის სურვილისამებრ თქვენისა შეიმეცნეთ შემდეგი:

1. დედოფალი მარიამ—მეუღლე როსტომ მეფისა, შვილითურთ, არის დახატული მარჯვნივ საპატრიარქოს სადგომის სტეტის გურედზედ. თვით დედოფალიცა ესე განმანებელი მცხეთისა გუმბათისა სტეტისა წინ მარხია.

2. მეფე ვახტანგ—ქსეულის-მდებელი, მისს პირის-პირ მეორესა მარცხნივე სტეტსა ზედა.

3. მირიან—სტეტსა ზედა სამირონესა.

4. ვახტანგ გორგასლანი—მარჯვნივ სტეტსა ზედა პირტელსა შესავალისა კარიდგან ეკლესიად.

5. ალექსანდრე—სტეტსა ზედა საშუალსა მარჯვნივე.

6. მეფე ბაგრატ—პირისპირ მისსა მარცხენესა სტეტსა ზედა.

7. ორნი ქალნი, ესე გადმოვხატვინე მხოლოდ კოსტუმისათვის. — კედელზედ მარჯვნივ, ახლოს საკურთხეველისა, არის წარმოდგენილი კარტინად ფსალმუნი დავითისა. აქებდეთ უფალსა საზოგადოდ ცნობილი საცისკროდ ლოცუად, და მუნ ორნი და სხ. ქალნი არიან დახატულნი მოთამაშენი და სხ. მეფენი და დედოფალნი ხელ-ფეხ დაბორკილებულნი. სიტყუათამებრ მეხსალმუნისა—მეტად დიდი და მრავალ პიროვანი იყო კარტინა ესე და ვერ გადავადებინე.

ფული 42 თეთრი მივიღე. პასუხიც მოვქსნერე უფ. ფუსსა. მაგრამ მეწყინა რომ მეტი გამოვეგზავნათ ჩემგან დანიშნულზედ.

გუჯრები გროვდება და გამოვისტუმრებ თავის დროზედ—ღარიგებისამებრ თქვენისა.

გამოცანად მოწერილი ამბავი მალე განცხადდება და მოგართმევთ ორს კვირას შემდგომად.

„საქართველოს ისტორია“ სომხურად ნაპოვნი გადმოწერილი მაქვს. მასცა გამოვეგზავნი. დიდად სასარგებლო არის ისტორიისათვის და თვით წიგნი იშვიათი. სტეფანე ტაროსისაგან ქმნილი ისტორია ჭრეთ არ არის გადმოწერილი, ვეცდები მისსა შესრულებასა. ქართული ლექსიკონი გამოვიგზავნეთ.

უფ. შეგრენი პატივის-ცემით მომიკითხეთ.

თქვენი პატივის-მცემელი მორჩილი მოსამსახურე

იოსელიანი პლატონ.

ავვისტოს 1-სა

1840 წ.

თფილისით.

კ. ბარათაევი ავად არის ძალიან.

მოწყალე ოხელმწიფე და მეგობარი.
უფალო ბროსსე!

ამას წინათ მოგწერეთ წერილი, რომლითაცა გაუწყეთ მოკლედ აღვიღთა მდებარეობა მხატვრობათა მათ, რომელნიცა ადრევე გამოვისტუმრე. დამაკლდა მოწერა ამისი, თუ რომელთა საუკუნეთა შინა არიან იგინი დახატულ. ვიეთნიმე მხატვრობათა მათგანი არიან ძველნი და ვიეთნიმე ეკუთვნიან დროსა, ოდესცა მთავრობდა ანუ მეფობდა საქართველოსა შინა მეფე ალექსანდრე. ამა დროსა მხატვარნი იყვნენ რუსნი, ამისა დასამტკიცებლად იხილეთ ისტორია კარაშინისა ტომი იგი, რომელსაცა შინა არის მეფობა ბორის ლოდუნოვისა, შემეცნებებთა შინაცა (Schalia)—მუნ ჰპოვებთ სახელთა თვით მხატვართაცა რუსეთიდან საქართველოდ მოსრულთა. მეფეთა უწინარეს ალექსანდრესა მყოფთა პორტრეტნი უფრო არიან ძველად დახატულნი და დროთაგან წაბლალულნიცა და ფერმკრთალნი. ხოლო ოდეს დაიხატნენ არა ჰსჩანან.

ამასთან ერთად გამოვისტუმრე მძიმეს ფოჩტით ადრევე სიმვოლიკად აღთქმული საჩუქარი, ესე არის ქართული ახალი შრიფტი ნუსხური. გთხოვთ აკადემიას მიართოთ ჩემ-მეგრ. რაც შეიძლება კარგნი არიან პირველ შემთხვევისათვის და საჭიროცა იქმნება აკადემიის შემთხვევისათვის და საჭიროცა იქმნება აკადემიის ტიპოგრაფიისათვის. თქვენ იცით რომ ჯერეთ ნუსხური არა გუქობია ქართულად სტამბათა შინა ხმარებული. ეს ასოები ამანათად გამოსტუმრებული და ეს წერილი ერთად მოვლენ. ამანათხედ აწერია თქუენი სახელი, მაგრამ მეშინიან გზაზედ არ იყოს წაბლალული. ამისთვის გთხოვთ თვით თქვენ მოიკითხოთ ფოჩტაში *посылка с тяжелою почною от 26 Августа, в белой коиха, весом 2 фунта*,—ასოებისა მარცუალთა თანა ჰპოვებთ ნუსხისათვის სახმართა ქარაგმათაცა, მაგალითად მცირე დაბეჭდილი კუპლეტი აქვე მდებარებს ამა წერილთან¹¹. პირველ შემთხვევაზედ არ არიან ასოები დასაწუნებლნი.

მალე გუჯრებსაც კიდევ მოგართმევთ.

მოგეწერათ რომ შემძლიან ფოჩტით უპოშლინოდ მოწერა წერილთა აკადემიისა სახელზედ. აქა ფოჩტაში ვერ გაბედეს. ამისთვის თუ აღვილი იყოს აკადემიისათვის, გთხოვთ ჰსთხოვოთ აკადემიას, *чтоб она по Почтамтскому ведомству сделала об этом свое распоряжение* და გაადვილდება საქმე.

ბატონის-შვილს თეიმურაზს გთხოვ განუცხადოთ ჩემ მიერა პატივის-ცემა. ეგრეთვე აკადემიის შეგრენს.

დავპშთები მარად თქუენი

იოსელიანი პლატონ.

სკდ. 5-სა დღესა
1840 წელსა
თფილისით.

მ ო წ ყ ა ლ ე ო ხ ე ლ მ წ ი ფ ე ე!

ჩემის წერილისა პასუხი დიდად დამიგვიანეთ და ამასაც ვასწუხვარ არამც კსჯაერობდეთ რაზიდმე. მე ვერ მოვიწერე წერილი მალე აღთქმისამებრ ამისთვის, რომ უეცრად მოგვივიდა რევიზორი დანიშნული რეზანიდამ (რექტორი რეზანის სემინარიისა არხიმანდრიტი ათანასი), გამოიძია ყოველივე და გუშინ წამოვიდა უკანვე. ჩემგან დიდად დარჩა მადლობელი და აღმიტქა კარგი რეკომენდაცია, ესეც კმარა!

ალექსანდრე ქავჭავაძისა ყმებთა ეპოვნათ ძველი ცეცხლის თაყთანის-მცემელთა კერპი ნაფარეულის სოფლის ტყეებში და მოვატანინე ჩემთან. მაგრამ არ დამანება მისმან სიძემ დავით დიანმან რომ გამომეგზავნა თქუენთვის. თვითონ წაიღო სამეგრელოს. რა არის იკითხავთ. მე მოვძებნე სახე მისი წიგნსა შინა რომელსაცა ეწოდების образование древных народов соч. Бадона (წიგნი ფრანციულიდამ თარგმნილი და დაბეჭდილი ს. პ. ბ. 1796-სა წელსა) და ვპოვე რომ არის ღ რ ი ფ ო ნ ი მსგავსი იმამოხატულობისა, რომელიცა იპოვების ხსენებულსა წიგნსა შინა III ტომისა 185-სა გურდსა, გარნა კუდი არა აქ ს აზნეკით, როგორც მხატვრობაში კსჩანს და არცა უპყრიეს ფერხითა თავი ს ა მ ს ხ ტ ე რ პ ლ ო . თვით კერპი არის გუამით ლომი და პირითა არწივი. ფრთეთა შორის აქუს გაგდებული ცილინდრი, უეჭველად დასაკიდებელად, ამისთვის, რომ ამა ცილინდრსა უპყრიეს სწორე ბალანსი. თავის კეფასა ზედა ჰქონიეს სახურავი, დროთა გამო მიწაში დაკარგული. თვით კერპი იქმნება სიგრძით ნახევარ აღლი რუსული, მუცელთან სიგრძე დიამეტრით ექუსი ვერშოკი რუსული. თვით არის ჩამოსხმული ბრონზი, შინათ ცარიელი და გარე კარგის ხელოვნებისა. დროთა გამო ფერხთა მწურველნი დამტურევიან. ყოვლადი კერპი არის წონით რუა გირვანქა რუსული.

საულ-დავითიანი მოვატანინე თელავით და ფულიც გამივიდა მის მოტნაზედ. ის არის წიგნი სრულიად უქმი და უხმარი. რა კსწერია? ისტორია დავით მეფისა და საულისა აწე გადმოწერილი დაბადებიდამ ო რ ი წ ი გ ნ ი მ ე ფ ე თ ა . მასვე კვირასა გაუფუგავნე თელავსა.

ისტორია ქართულთა სომხურად ნაპოვნი მაქტს მზად. ნახევარი მეტი მაქტს ნათარგმნი რუსულად. გავათავებ და მოგართმევ. სომხური ისტორია ჭერეთ არ არის გადმოწერილი აგრე აღვილი არ არის მწერლისა შოვნა.

მომავლისა წლისათვის ვიწყე ბექტა კალენდრისა დამატებებით თქუენისა რჩევისამებრ და დაიბეჭდება და პირველისა ფოხტით გამოგზავნით.

აკადემიისათვის ვგონებ იქნება საჭირო 200 წიგნთა კოლექციისა ქართულისა ენისა ქონტა. იყიდის თუ არა შემატყობინეთ. მათ შორის არიან ძველნი ტყავზედ ნაწერნი წიგნი რიცხვით ოცნი. აქ ვაპრობდა კონსული ფრანციისა და შევავყენე საქმე.

აგერ სამი დღე არის რაც მოვატანინე იმერეთის ვანის მონას-

ტრიდამ წიგნად შეკრული ბერძენთა ეკკლესიისა წმიდათა ხატნი; ამათ შორის არიან სახენი საკმაოდ კეთილად ნახატნი შემდგომთა ქართულელთა წმიდათა:

1. დავით და კონსტანტინე
2. აბიბოს ნეკრესელი
3. ილარიონ ქართველი
4. ანტონ მარტომყოფელი
5. ევთიმე მთარგნელი
6. არჩილ და ლუარსაბი,
7. იოანე ზედაძნელი
8. დოდო და დავით გარესჯ.
9. პეტრე მაიმუსელისა
- 10 აბო.
11. დავით III მეფე
12. ბიძინა
13. რაუდენ
14. ქეთევან დედოფ.
15. წმინდა ნინო.

ჰსჩანს რომ წიგნსა შინა ამას სხუათაცა წმიდათა ყოფილან სახენი, გარნა წიგნისა მტერთა ამოუხევიათ. წიგნი უხდა იყოს საკმაოდვე ძტელი და მხატვრობა ბერძნული. ამათთვის ვეცდები რომ გადმოვახატვინო აკადემიისათვის და გამოვაგზავნი თვისსა დროსა.

წერილი არ მომსტლია თქტენი. არ ვიცი რა მიზეზია, აგერ ორი თთჲ მეტი არის.

დავკშთები მარად თქტენი

პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი .

ოკდ. 10-სა

1840 წელსა

თფილისით.

26.

მ ო წ ყ ა ლ ე ო ხ ე ლ მ წ ი ფ ე ე !

წერილნი თქტენნი მივიღე; ერთი ფოჩტით და მეორე ჭანდიეროვისა ხელითა. თხოვნელი თქუენგან „ისტორია ქართველთა“ სომხურსა ზედანასა მოგართვი წარსრულისა მძიმე ფოჩტით — გამოგზავნა წიგნებთა მამძიმებს, ძვირად ჯდება. გთხოვ განუმეოროთ უფ. ჟუსსა რომ ეგების ფოჩტამტში მოიწეროს და მეცა მაცნობოს, როგორც მოგეწერათცა ჩემთვის. მაშინ გააადვილდება გზა თქტენკენ ჩემთვის. წიგნებისა სიას მალე გამოვგზავნი და მოხაზულებსა ღრიფონისსა.

ღრამატკისა ამბავიცა ვჰსცან. არა სისრულესა რომელთამე ადგილთასა მე თვით აღვიარებ. მაგრამ ჰსწორე უნდა მოგახსენო. აქ შვიდთა ახუ ექუსთა კარგთა ქართულისა ენისა მოსწავლეთა წარჩიითხეს იგი და რაოდენცა შესაძლებელ იყო მოიწონეს. ხოლო

რომელთაცა მეცნათაცა ფრანც. ენისა წარჩითხეს თქვენგან აღბეჭ-
დილნი ღრამმატიანნი. მერწმუნეთ, მერწმუნეთ, წინაშე სვინდისასა,
არა შესაწუხებლად თქვენდა—იციენს მრავალი და გატან-გამოტა-
ნით ამბავისა მოუთხრობდნენ. მაგ. ბრუნჭათათვის დამატებულთა.
ულლეილებათათვის და სხ. თვით ნიკო ჩუბინოვი. მცოდნე კარგად
ქართ. ენისა არ არის ამას ზედა კმაყოფილი. რა ვქმნა, განა მე არ
ვიცი რომ ჩემი ცუდად თქვენზედ ხმის ამოღება აენებს ჩვენსა-
ვე ენასა. მაგრამ ვამბობ ყოველთვის ამას: დაესხენით უფ. ბრო-
სსესა, წეროს, წეროს და წეროს. ჩვენთვის არის სასარგებლო. ხო-
ლო შემდგომა იმა კანონთა თქვენთა, ჩემგან იქმნება შეუძლებელი.
არიან კანონთა თქვენთა თუმცალა შინა ესე ვითარნიცა. რო-
მელნიცა პატივის-ცემით არიან მისალებელნი და მივიღებც კი მათ.
ეგ ღრამ. დავებქდე სიჩქარით, რადგანაც ითხოვდნენ ჩემგან, ამას
სხტანი შემამულებნი ჩემნი, და მას დროსა ვერ მომისწრო კრიტიკა-
მან თქვენმან.

ახლა ჰსწორე გითხრათ არა მცალიან ამათთვის, ქალაქისა
თფილისისა გარეშემო შეკრეს მაგრა, კირი ჩნდება ახლოს ქა-
ლაქისა.

დავჭმთები მარად თქვენი

პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი.

Андрею Михайловичу Г Шегрену свидетельствую
душевное мое почтение.

ნომბ. 24-ს

1840 წ.

თფილისით.

27.

მ ო წ ყ ა ლ ე ე ხ ე ლ მ წ ი ფ ე ვ,

უ ფ. ბ რ ო ს ს ე!

წარსრულისა ფოჩით 10 დლით ადრე მოგწერეთ წერილი.
გთხოვ არ გაჩაერდეთ. ბაასი ბაასად, საქმე საქმედ, რომ ჰქმნარი-
ტსა სარგებლობასა ქართულთა ენისას არა ევნოს. მე დიდად ვარ
ამაზე დარწმუნებული, და დამტკიცებული, ვკონებ არა ვჰსცდე-
ბოღე ამა აზრზედ.

გამოსაგზავნები მაქტნან რაღაებიც აღთქმულნი და ჯერეთ
არა აღთქმულნი წიგნები და სხ. და სხ. ცნობანი, მაგრამ მაშინებს
ფოჩტა. ველი აღთქმულსა თქვენგან, რომ უფ. ჟუსმან მოიწეროს
ფოჩტაში უპოშლინოდ ამანათის გამოგზავნისათვის აკადემიისა
სახელით.

კორრესპონდენტობა თქვენში არ იქმნა... მე მაინც არა დავ-
სუსტდები ჯერისამებრ შეწევნასა ჩემის ქუეყნისა კეთილობისათ-
ვის. ესე ვალი არის ბუნებისათანა თანა-შეკრული, და გონებისა-
გან მოსათხოველი მარად და მარად, რომელსაცა ვერა ჰსძლევს
ვერცა შური და მტერობა, ვერცა ღელუა ვნებათა. არ ვიცი ექსარ-

ხისათანა შესწორება ჩვენობით რათ უნდა იყოს საწყენი და უგუნძი. წარსრულს კვირას ხუთშაბათსა ლებერსატორიან და სხ. ჩვენთა სტატისტიკისა კომიტეტისა აღმოიჩინეს ჩვენად კო. რრესპონდენტად ექსარხი ჩვენი ველენი, ლენ. ჩაუჩაუაძე, სოვეტი ჩლენი ჟურავლევი, ბარათაივი და მეცა მათთანავე.

აქაური ჳირის ამბავი ღმრთისა შეწუენითა დასუსტდა. და თუმცა კარანტინები არიან თფილისითან, მაგრამ შიში ღიღი ჳან-ქარდა აქა თფილისს.

წიგნების სიას მალე მოგართმევ და სხტათაცა.

წილოსანმან მოგიკითხათ,

დავჳმთები მარად-თქტენი

პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი.

Андрею Михайловичу Шергену свидетельствую истинное от полноты души почтение.

ღკ. 4-სა

1840 წ.

თფილისით.

28.

მ ო წ ყ ა ლ ე ო ხ ე ლ მ წ ი ფ ე ვ.

უ ფ. ბ რ ო ს ს ე!

წერილი თქტენი 6 ღკ. მივიღე და მასთანავე უფ. შეგრენისა-განცა. ორთავე წერილთა წარკითხტამან ღიღად ნუგეში მცა მწუხარებისა ჟამსა, ამისთვის, რომ მოვაკლდი საყტარელსა ჩემსა მეულ-ლესა და დავჳმთი მარტოდ. ესევე იყო მიზეზი, რომ ჳოგიერთთა აღთქმათა ვერა მიიღეს სისრულე. ვეცდები ერთს კვირაზედ სრულ-ვჳყო წადილი თქტენი და არა დავსუსტდე ჩემსა მტკიცესა ჳაზრ-ზედ, რომ ვიყო მარადის მზა აკადემიისათვის ყოველთა შინა ძიებ-თა ჩემ-მიერ შესაძლებელთა.

ლექსიკონისა მოგეწერათ—მივიღო გასასყიდათ. ეხლა არა მცალიან საკუთრისა წერილისა მოწერისათვის უფ. იქსთან და გთხოვთ განუცხადოთ სურვილი ჩემი, და მაქტს იმედი აკადემიისა ჳაზრსა მიეცეს სისრულე. რაოდენიცა ენებოს გამოგზავნონ გა-სასყიდად და მე ვითავებ ამას. ფასიცა შემომითტალონ. უკითხავად ჩემისა რომ გამოგვგზავნათ, მე მაინც ვიქმნებოდი მზა. ჳარველს შემთხვევაზედ კმარა გამოსაგზავნად 25 ეკზემპლარი. უთუოთ ესრე მტირე რიცხვი შეგაწუხებსთ, მაგრამ რომ იცოდეთ მღგომარეობა ქართულთა, თქტენ თფით დამეუთანხმებოდიოთ ამაზედ.

სხტებრ მომიტევეთ წერილისა სიმტირეზედ.

თქტენი მარად მორჩილი.

პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი.

უფ. შეგრენს მალე მოეჳსწერ ჳასუსს.

იანვ. 5-სა

1841 წელსა

თფილისით.

მოწყალეო ხელმწიფევე,
უფ. ბროსსე!

ამასთან გიგზავნით წიგნების სიას, რომელთაცა გასყიდტა მსუროდა ფრანციის კონსულისათვის. ესე წიგნები არიან საკუთრად ჩემნი. გაშინჯეთ თქვენ და თუ სახმარი იყოს აკადემიისათვის, მივყიდოთ, შეწუხებულიც ვიყავ და მოუტლელიც, თორემ ვრცილივ ვუქმნიდი აღწერასა. ეს უნდა იცოდეთ, რომ საქართველოში ესეღ შეკრებულსა კოლექციასა ვერასადა ჰპოვებთ. ამათ შორის არიან წიგნნი ყოველთა საუკუნეთა შინა აღწერილნი დაწყებით ევთიმე მთარგმნელისა ჟამიდგან. ყოველ-გტარათა. ჰპოვებთ მუნ მწერლობათა. ყოველ-სქესისა შტილსა და სხ. ფასი არ ვიცი რა დავჰსდტა. არც ის მინდა, რომ დაუმძიმო აკადემიასა და არცა ესე, რომ მე მეტად ნაკლებად დავისტა. თქვენ იცით თვით, რომ ძტელთა დროთა წერილნი ძვირად ისყიდებიან. მაგრამ მაინც მომინდვია თქვენთვის და მალეთ პასუხი მიბრძანეთ, ესეც ვიცი, რომ აკადემია ამ გტარს საქმეებში ძუნწობს.

გუჯრების გადმოწერა დადგა, ამისთვის. რომ დიდი ბოროტ მოხმარებაები ჰპოვეს კაცთა მათ შორის, რომელნიცა მათ იცევენდენ, და მოვერიდე როგორც ცეცხლსა. დრომდინ უნდა მოითმინოთ. მალე გაარჩევენ და შემდეგ გუჯრები და მით ჩტენებულნი უმანი და მამულნი ეკლესიურნი სახელმწიფოდ დაიდებიან და მეც დავიწყებ ახალსა აკადემიისათვის მუშაობასა.

წარსრულისა ფოჩტით, მძიმით (11 რიც. ამა თვისა) მოგართვით დაბეჭდილნი ამა 1841 წლისა კალენდარნი, ეჭონებ უფრო მოიწონოთ შარშანდელზედ. თუ მშვიდობაა, მერმის უკეთესი დაიბეჭდება. გთხოვ ჩემ-მაგიერ მიართოთ თვითო ექვშემპლარი შემდგომთა გტამთა:

1. შეგარენ
2. მეფის ძეთა-ბაგრატს
3. თეიმურაზს
4. მიხაილს
5. ფარნაოზს
6. დედოფალსა მარიამს
7. ოქროპირს
8. რიფსიმას ბატონის-შვილს
9. ბატ. შვილს ლუარსაბს
10. ალექსანდრე და
11. დიმიტრის ბაგრატიონთა ლენერალთა
12. ლენერალს იოსელიანს
13. დავით და
14. ალექსანდრე ბატონის-შვილის ბაგრატისა ძეთა
15. გრიგოლს დადიანს
16. ირაკლი მუხრანსკის
17. ივანე ორბელიანს, კაპიტანს.
18. ჩუბინოვს

19. ერთი თქვენს აზიისა მუზეუმს.

დანაშთენი 2. ეკზ. თქვენ მიირთვიოთ.

ფორტით უპომლინოთ წერილთა და ამანათთა გამოგზავნისა აკადემიისა სახელზედ, ნება მომივა თუ არა, ჰკითხეთ აკადემიკს რუსს. აქა მე ვერა გავაწყე რა! აკადემიას მრავალს სარგებლობასა ვაჩვენებ.

საქარია ფალავანდოვი ხშირად არის ჩემთან და მიხარის ძალიან, რომ კარგად არის გაზდილი.

სხტებრ დაეკმთები მომლოდნე პასუხისა მარად თქვენი ერთგული

პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი

იანე. 15-სა

1841 წელსა

თფილისით.

30.

უ ფ. ბ რ ო ს ს ე !

მ ო წ ყ ა ლ ე ე ხ ე ლ მ წ ი ფ ე ე !

აგერ ორიც მომივიდა თქვენი წერილი, რომელთა ზედაცა და მავიწყდა პასუხის მოწერა ბევრთა მწუხარებათა გამო.

გამოგზავნილნი წერილნი ჩუბინოვისა სახელზედ და ფალავანდოვისა დროზედ მიუვტანე. დ. მაჩაბელისა მაქტს ჭერეთ შენახული. დღე და დღე ველი თფილისში მოსტლასა, რომ მივცე. აგერ ორი თთუე არის რაც სოფელში იმყოფება.

ისტორია ქართულთა სომხურად დაწერილი და ჩემ-მიერ გამოგზავნილი თქვენთან მოგწონებითა და მართლად არის საკვირველი საშოვარი. ვისგან არის დათხზული არა ჰსჩანს, მხოლოდ ნამდვილი აქტს არხიეპისკოპოსსა აქაურთა სომეხთა კარაპეტს. მასვე წიგნსა შინა არის ერთი ვისლანცა ქმნილი ისტორია სომეხთაცა, დიდად ვრცლად დაწერილი. არსადა ჰსჩანს ანდერძი მწერლისა. დაწერილი წიგნი პერლამენტზედ უნდა იყოს ჩემის ჰაზრით სამასის წლისა. ქართული ისტორია არ არის ლეონტისაგან დაწერილი, მე პირველად შემადინეს და მეც მოგწერეთ. ვეცდები თვით ნამდვილი წიგნი გამოგიგზავნოთ დრომდინ თხოვნითა. აკადემიის სახელით ვჰსთხოვ არხიეპ. კარაპეტს, აგების დავითანხმო და თუ ვერ წარვემატე ამა ჰაზრში, სხტასა საშუალობასა ვიხმარებ და თქვენცა გაცნობებთ.

წიგნების გასყიდტასა აღარ ვაპირებ. ჰსწორედ გითხრათ და francmont მე ერთიან მინდოდა გაყიდტა, თვითოთვითოდ არა. ამა კოლლექციიდან მიიღებს საჩუქრად აკადემია ახპატისა ზედწარწერათა. მოსაწონი წიგნი არის. ამა შემთხტევაზედ ჭერეთ ესე; თუმცა სხტებიცა მაქტს გამოსავნი და მალე მიიღებთ.

შევიტყე აქა რომ მოუვიდა ობერ-პროკურორს ჩემგან გაკეთებული краткий очерк Грузинской церкви 25 თაბახზედ ვჰგონებ თქვენ მოგივიდესთ გასაშინჯავთ და მაცნობეთ

თვის დროზედ. წელთა რიცხნი ზოგან არ დაეკსწერე და ზოგან უნდა გასწორება. ისტორია ქართელთა თქვენ უფრო იცით, ამისთვის რომ მუშაობთ მისთვის. ეცადეთ თქვენ დაუხსნათ, ადვილია ესე, ამისთვის, რომ ისტორია ესე თაკე ბად არის დაყოფილი.

ამას წინათ, 9 დეკ. 1840 წ. ქუთის სახელზედ გამოვკვანე ერთი წაგნი. მიიღეთ თუ არა აკადემიაში. გთხოვთ აღასრულოთ ესე ეგრეთ, ვითარცა მე ვსთხოვე აკადემიას. ამ გუარი მოქმედება აკადემიისა, გამოიღებს ნაყოფთა, შეიქმს მაგალითთა. ერთის სიტყვით დიდად საჭირო არის.

კალენდარები გამოვისტუმრე. ვკვონებ მიიღებდით აქამდისინ. არ გაჯავრდეთ რომ დაგდევით შრომა დარიგებისა.

ლექსიკონებსა ველი. თხოულობენ სასყიდავთ, რომ შეკრულები გამოგზავნოთ უკეთესი იქმნება.

დავრჩები მარად თქენი

პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი.

14 მარტსა

1841 წელსა

თფილისით.

ქნიაზ ბარათაევის ბეჭედი თუ არ გაგეგზავნოსთ მისს სოფელში, ამა ბარათის ზედა-წარწერით გაუგზავნეთ. ჯავრობს რომ წერილსა აღარა ჰსწერთ. რა ამბავია?

31.

ე ქ ს ტ რ ა ო რ დ ი ნ ა რ ნ ი ს ა კ ა დ ე მ ი კ ს

უ ფ . ბ რ ო ს ს ე ტ ს !

უთუთ გაკვირდებით, რომ ესოდენსა დროსა წერილი ვერ მოგწერეთ. და ამა მიზეზი: მე ვიყავ იმერეთში, აბხაზეთსა, სვანეთში, ლეჩხუმში და გურიას. ერთი კვირაა რაც მოვედი იქიდან, და ჯერეთ არა ვარ განწყობილი რომ ვრცლად მოგწეროთ წერილი და გამოგიგზავნოთ რაღაებიც ჩემგან შეგროვილები. თქვენგანც დიდი ხანია აღარ მომსტლია წერილი და იმედი მაქვს რომ მომწერთ და გამოგიგზავნით დაპირებულსა თქვენგან დაბეჭდილსა ფურცელსა ჩემს კალენდარზედ.

აკადემიას მეორის ფონტით გამოუგზავნი ლექსიკონების ფულსა და ვითხოვ რომ 25 კიდევ გამოგზავნოთ, მაგრამ შეკრული და ამის ფასიც დაუმატოთ. აქ წიგნის შექტრა ძვირი არის.

სხტებრ დავკმთები მარად თქენი ერთგული

ჴ

პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი.

სვედ. 12-სა

1841 წ.

თფილისით.

ვეშურები ამის დაწერასა რომ ფონტას მოვასწრო.

მ ო წ ყ ა ლ ე ო ხ ე ლ მ წ ი ფ ე ე !

წერილი თქუენი შემდგომად გრძელის მოლოდინისა მომივი-
და, რომელისათვისაცა დიდად ვარ მადლობელი. კრალად ვარ მად-
ლობელი გამოგზავნისათვის თქუენგან ქმნილის რეცენზიისა ჩემს
კალენდარზედ. შემდეგ თუ მშვილობაა. უკეთესად დავბეჭდავთ და
უცთომელობასა ვეცდებით.

„ვეფხისტყაოსნისა“ დაბეჭდვა კარგად მოხდა^{*)} და იყიდება-
ცა კარგად. წინასიტყუაობაში მიღებული ორი კუპლეტი დავით
მდივანბეგის სახელით არის ქმნილი. ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან
ჩუენ ესრეთ ვიცნობდით და ამისა დასამტკიცებლად ესეცა არის
რომ მეორე ხ ა ნ ა მისი არის ფრანციზულიდამ თარგმნილი. ფრან-
ციზულად დაწერილი ლექსი თვით ალექსანდრემ მიჩუენა სადაც
ჰსწერია: ს ა ყ ტ ა რ ე ლ ო, ი ჭ ა უ ნ და ი ყ ო ს: ს ი ყ ა რ უ ლ ო.
ნ ა ტ რ ა ლ დ: შ ე ნ გ ა ნ მ ე ფ ე მ ო ნ ა დ ე ყ მ ო ს, უ ნ და ი ყ ო ს: შ ე ნ-
გ ა ნ მ ე ფ ე მ ო ნ ა ს ე ყ მ ო ს. ნ ა ტ რ ა ლ დ: გ ა ნ ი ფ ხ ი ლ ე ბ-
დ ე ს, უ ნ და ი ყ ო ს: გ ა ნ ი ფ ხ ი ზ ლ ე ბ დ ე ს. ამასთან ესეცა უნდა
მოგწეროთ, რომ ზაქარია ფალავანდოვი არაჯავრობს რომ არ მიხ-
სენეთ იგი თ ა ვ ა დ ა დ. ესე ლექსი არ უნდა დაგეგდოთ — მაგრამ
წარსრულსა რაღა ეშუელება.

აკადემიის კომიტეტსა გამოუგზავნე, 25 ეკზ. ფულები და
ეკსთხოვე. რომ 25-ვე კუალად გამოგზავნა, შეკრული ფასისა და-
მატებით. დააშურეთ ესე, მსურრუენი არიან.

წარსრულისა მძიმის ფოჩიტთა გამოგზავნე სამი ახალი მკი-
რე, მაგრამ ქართულთათვის სასარგებლო წიგნაკები: თვითო ეკუმ-
პლარი თქუენის საკუთარის წიგნთა კოლექციისათვის. ვბეჭდავ
სხტასაცა რასმე და მალე მოგართმევ მასცა.

ჩემგან შედგენილი *История Грузинской церкви*, რომლისათ-
ვისაცა აღრევე მოგწერეთ. სინოდმა გამოგზავნა აქაურს არქიერ-
თან რომ განეხილა. თუმცაღა თვით სინოდმაცა და კიევის სასუ-
ლიერო აკადემიამანცა განიხილეს და დასდუეს ჰაზრი, რომ დაი-
ბეჭდოს, არხიერმან ევლენი, წარიკითხა და თვისით ჰაზრით წარ-
მოუგზავნა უკანვე (ნოემბ. 8-სა) სინოდსა და უთუოთ დაიბეჭდება.
შესაძლებელია სინოდმან თქუენ გამოგიგზავნოს და ნახავთ. ეკო-
ნებ მოიწონოთ. აქ მთავარმართებელმან გადააწერიან და აქუს ეს-
რეთ მოსაწონად ეჩუენა.

აქაურის სომეხთა არხიერის კარაპეტის წიგნისათვის დიდად
ვეცადე და აღმითქა გამოგზავნა. ხტალე უთუოთ ვეცდები ეს სა-
ქმე დავაბოლოვო და მევე გამოვისტუმრებ ფოჩიტთ. წიგნი ესე,
რომელიცა შეიცავს ისტორიათა სომეხთა და ქართულთა, დიდი
საუხუჩეა, როგორც ხედავთ თვითცა აღრევე გამოგზავნილის საქარ-
თულთა ისტორიიდან. მაგრამ სხტაცა ძვირფასი ჩავიგდე წიგნი
ქართულთა მეფეთა, შედგენილი სომეხთაგან, ცუდის ქართულის

*) დედანშია: ას

ენით ნაწერი და სავსე შინაურთა ამბავთაგან, ჩვენთა შეფეთა ძრელთა და ახალთა. ვეცდები გამოვამეტრობინო მისსა პატრონსა, რომ დრომდინ ათხოვოს აკადემიასა. წიგნი ესე არის აქამომდე სრულიად უცნობი ქართულთაგან. სიდიდე მისი არის თითქმის ეახუშტის ისტორიის ოდენი.

ესე კი დამაეიწყდა: წარსულის ფოჩით გამოვგზავნე აღრევე მოგროვილნი სახენი წმიდათა ქართულთა: თუმცა მხატვრობა ცუდი იყო, მაგრამ factmile - დ უკეთესი აღარ შეიძლებოდა. მხატვარს არ დააბრალოთ. მათი ნაკლულევენება.

მოგზაურობისა ჩემისა იმერეთში ნაყოფთა მოვიყუან წესში და გამოვიგზავნით. ქეშმარიტად ესლა არ მცალია და ბევრი თანამდებობა მაქტს. ვამზადებ торжественную речь при открытии института девиц, სადაცა ვარ მასწავლებლად ქართულისა ენისა დანიშნული. ამისა კობოსა მალე გამოვჭგზავნი.

სხტა რალა მრგწერო. მეცა ვმეცადინეობ ძალისაებრ და თქტენცა ხართ ამისა მოწამე...

დავჭშთები მარად თქტენი

პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი.

13 მარტი 1842 წ.

თფილისით.

33.

მ ო წ ყ ა ლ ე ო ხ ე ლ მ წ ი ტ ე ვ, უ ფ. ბ რ ო ს ს ე!

თქტენგან გამოგზავნილი წიგნები მივიღე საჩუქრად, რომელთათ ვისცა დიდად გახლავარ მადლობელი. იწერებით სხტათა და სხტთა წიგნებთა მოშოვნასა თქტენთვის. მე ამაზედ არლა მეჭირება მეტი განღვიძება. ყოველთვის მზა ვარ ამისთანა გტარსა საქმეზედ. მაგრამ დიდად მძიმე არის მათი შოვნა.

ერთი კარგი „როსტომიანი“ მოსკოვს დაწერილი იშოვნა კნიაზმა ბარათაევმა და ეს თქტენთვის მას ვერ გაიმეტებს. მთელი წერილი მხატვრობაებით არის სავსე და კარგის ხელოვნებაებით.

ახლა გთხოვთ გაისარჯოთ და შრომად მიიღოთ ესე რომ წარსრულს წელს ნოემბრისა თთტეში გამოვეუგზავნე ს მ ი რ დ ი ნ ს ა უ 50 ოქრო წიგნებისათვის ფოჩით და აქამდინ პასუხი არ მომსტლია. ეს წიგნები საკუთრივ დადიანისათვის დავიბარე. ეცადეთ შემიტყოთ, რად დაავიანა მათი გამოსტუმრება.

ამ დროს მომიტევეთ სიმოკლე წერილისა. სემინარიისა отчет-ე ბ შ ი ვ არ ფიქრით და ბევრი სამუშავო მაქტს.

დავჭშთები მარად თქტენი

პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი.

უფალო ბროსსეტ, მოწყალეო ხელმწიფეე!

უნდა იცოდეთ როგორ ბევრთა საქმეთა გამო ვიყავ მოუცლელი, რომ წერილი ესრეთი გვიან მოგართეთ. ახლა ცოტად მოვიცალე და ფოჩტას დავეშურე რომ მომეწერა ესლა მაინც მცირედ.

ღრამატიკა რუსულისა თარგმანიტურთ გავათავე. თუმცალა რავდენსავე ჰაზრებში არა ვარ თქუენთან თანხმა, მაგრამ მაინც არა ვპკონებ ვპსცდებოდე. ერთს კვირას შემდგომად გამოვკზავნი არზასა ობერ-პროკურორთან, რომ ნება მომცენ სამის თვით პეტერბურდს მოსტლისა უფრო ღრამატიკისათვის, რომ პირდაპირ მოვიაზროთ. ამასცა სხტსათა შორის დავქსწერ არზაში. თუ ნება მომეცა, უთუოთ განახეთ ზაფხულსა და ესე ღიდად იქმნება ჩემთვის სასიამოვნო.

კიდევ გავიმეორებთ თხოვასა, რომ ეგების სმირდინი ნახოთ და 50 ოქროსი წიგნები გამომიგზავნოს; ფული და მასთანვე სია წიგნებისა გამოვკზავნე ფოჩტით 1840 წ, ნოემბრის 4-სა და აქამდინ პასუხი არ ვიცი.

დავპშებთ მარად თქუენი ერთგული მონა

პლატონ იოსელიანი.

აკადემიკი შეგრენი მომიკითხეთ.

მოწყალეო ხელმწიფეე, უფ. ბროსსეტ!

თქუენი ახლად დაბეჭდილი ბროშურკა მომცა ფალავანდოვმან. ღიდათ ვარ მისთვის მადლობელი და კარგიც რამე არის. მაგრამ მაგ საძაგელმან სმირდინმან შემაწუხა. აქამდისინ კიდევ არ მომსტლია წიგნები. ეგ რა ურცხვი რამ ყოფილა! ეგების კიდევ გაისარჯოთ და კიდევ შეარცხვინოთ რომ მალე გამოისტუმროს. ანგარიში ეგების თქუენ უქმნეთ და ზოგიერთის წიგნის მაგიერათ, რომელნიცა არა აქტს, სხტა რომანები რამე გამოავზავნიოთ. сев. пчела რალათ არის საჭირო რომ წელიწადი კიდევ გავიდა. სხტებრ თქუენ იციოთ როგორც ამ საქმეს შემისრულებთ.

თქუენი უმორჩილესი

პლატონ იოსელიანი

25 მაისს 1842 წ.

თფილისით.

უფალო ბროსეტ!

უთუოთ ჭავრობთ თქვენ ჩემზედ. რომ ესოდენ ხანს წერილი ვერ მოგწერეთ. მიზეზი იყო პირველად მოუცლელობა და მეორედ ესე, რომ სოფელში ვიყავ. ახლა ეჭვონებ გეცოდინებათ, რომ გარდა ჩემის თანამდებობისა სინოდის კანტორაში მომანდტეს აქა დროებით რედაქტორობა. აკადემიაში გამოვკვზავნე ერთი ეკზემპლარი

В ОНМЕН თქვენის უურნალისა.
რადგან სიმსწრაფლით დამაწყობინეს ბეჭედა, ამისთვის რაოდენნივე არიან შეცთომანი რომელთაცა შენიშვნა მალე დაიბეჭდება და გამოგიგზავნით.

სხტებრ გთხოვ თქვენი სახლობა და წერილები მამიკითხოთ. აგრეთვე უფ. შეგარენი და კეპპენი და ჭირენი.

დავპოთები მარად თქვენი უმორჩილესი
პლატონ იოსელიანი

იანვ. 26 1845 წ.

თფილისით.

აკადემიაში წარმოვადგინე 2- изд. ჩემის ისტორიისა. უსი შაბრუნებს ამ ჰაზრით, რომ 2 изд. არ მიიღება დემიდოვის პრემიაშიო. ამის პასუხს ვჰსწერ და დავამტკიცებ покрову мере ко мне неблагодарность академии.

მოწყალე ვ ხელმწიფევე, მარადის
ქართულთაგან და უვიწყებელო ბროსეტ!

წერილი თქვენი მივიღე და წავიკითხე დიდის სიამოვნით. მოგივლიათ მთელი ევროპა და უეჭუელად შესტენებული შრომათაგან მხნედ შეუდგებით მწერლობასა.

დიდად საწუხარია ზაქარიას გარდაცტალევა: მისი სიკეტდილი იყო გასაოცებელი. ერთის კვირის წინათ დამეთხოვა სოფელში; მერეთ მოვიდა მრთელი და რედაქციაში იჯდა ჩემთან და მოუბნარობდა 10 საათილამ ვიდრე 12-დმდე. მასვე დროსს მიიღო წარსრულისა თვისა ჭამავირი და ხელიც მოვაწერიხე წიგნში. წავიდა ჩემგან ლუბერნატორის კანცელარიაში დასაპატიეებლად ყმაწვილთა კაცთა სალამოსათვის თავის სახლში. აქედამ მეორის საათის დაწყებაში მივიდა დუქანში სასყიდავად ნივთებისა. ამ დროს ცუდად შეიქმნა, ჩაჭდა დროშკაში და მივიდა თავის დასთან, მაგრამ დიდის სიძნელით. მჰსწრაფლ დაიძახა, გამხადეთ ტანისამოსი რომ დავწუე აქა, ავათა ვარო. ამავე მომენტში გააცივა, ათორთოლდა და მანამ დახურავდნენ საბანსა განუტევა სული. ექიმი მივიდა. მაგრამ რალა ეშველებოდა. მეორეს დღეს ანატომიით ჰსცნეს, ვითამც ანთება ტვინში მოსტლოდეს.—მე დავბეჭდე მისი შკირე ნეკროლოლი, რომელსაცა წარვიკითხავდით.

გაზეთები ქართული არ ვიცი ჰქონდა თქვენთვის თუ არა. მე კი ჩემის მხრით უთხარ აღრევე, რომ თქვენთვის ეგზავნა. ეხლად რედაქციაში წარსრულის დროებისა ნომრები სულ აღარ არის და არც 50 მეტსა ვებეჭდავდი, რადგანაც მკითხველი არავინ იყო. ქართველთ არა მხოლოდ კითხვა საუბედუროდ მათდა. და ამის მიზეზისათვის არა იბეჭდებოდა რა რიგისი ამბავი, გარდა სასამართლოების ამბებისა და გამოცხადებათა. დღესაც ისევე არის და მეც ყურს არ უვლებ და არცა დრო მაქვს. რამდენიმე ნომერი ვეცდები რომ ვიშოვნო და მოგართვა.

თქვენმან აკადემიამან ძლივს გამოიმეტა თავისი ბულეტენი ნაცრლად აქაურის გაზეთისა. რომელზედაც მე აღრევე მოვსწერე. შეეპსტით, რომ მასთან დაეწყო მიწერა პირველითაგან. მე ასრე მგონია და დარწმუნებულიცა ვარ, რომ ძალისამებრ ჩემისა საქმად და ფრიად საკმად მეჩვენებინოს სამსახური და აკადემიასა ყურადღება არ აქვს. აღსრულდა ამით, მრავალთაგან ჩემი დარწმუნება, რომ უნაყოფოაო მარადის მასთან მიწერ-მოწერა, წიგნების ჩუქება, შრომათა მიღება, და ფულების დაკარგვა; ეინანი. მაგრამ გვიან.

ახლანდელი თანამდებობა ჩემი აქაურს სინოდის კანტორაში ე. ი. თანაშემწეობა. პროკურორობისა არ მაძლევს ბევრსა დროსა, რომ მეც ვასწერო და ან მალ-მალ ვებეჭდო. სტამბაცა სუსტად არის. მომგროვებელნი ასოებისა ცოტანი არიან. აპირებენ ახლა სტამბის განვრცელებასა. — თანაშემწე არა მქყავს. ვარ მარტოდ მე სავსე ქალღლებით, რომელთაცა უნდა წარვიკითხავდე, ვმართავდე და წარვადგენდე მთავრობასთან. აგერ 1190 ნომერი გასული ჩემის კანცელარიიდან მხოლოდ მიწერ-მოწერისა. და მშრომელი ამათი ვარ მე და ერთი კანტანისტი. ორი მოცემული პერეოდნიკი, ქართულისა და თათრულისა სრულიად უხმარნი არიან ჩემთვის. ესეც უნდა გაიკვიროთ, როგორ ვასწრობ საქმეებსა და ანუ неопфиди. ნაწილსა როგორ ვმართავ.

ორი კვირა კახეთსა ვიარე ჩვენს ექსარხთან ერთად, რომელიც არის ფრიად კეთილი კაცი და ჩემი დიდი მეგობარი. კალენდარსა მოგართმევ, როცა შესრულდება.

თქვენი მეუღლე და ყმაწვილები მომიკითხეთ. მადლობელი ვარ რომ კიდევ გახსოვართ.

სულხანოვი კარგად არის, ახლა ჩლენია ტაშოენისა. აქ თფილისში, უცხო ადგილი იშოვნა და ჯამაგირიც დიდი აქვს. წილოსანი კარგად იმყოფება, მაგრამ ვაქრობებში შევიდა, პოდრიადები აილო და დიდად იზარალა, ასე რომ ყოველივე გაუყიდეს, შესაბრალისია!

კახეთში საკმად წიგნები ვიშოვნე და ძველი წერილები. გამოსადეგი ჩვენთვის, თავის დროზედ მოვიხმარ და გამოვაცხადებ გაზეთში. ახალციხიდანაც ერთმან მღვდელმან ახალი ხრონიკა მომიტანა, რომელსაც ეხლა გარჩევით და კრიტიკით ვსთარგმნი: თავისს დროზედ ნამდვილსა და რუსულს თარგმანსა ერთად გამოვქს-

ცემ. ძალიან ჰყვარებიან აქა ხრონიკების წერა. ნამდვილსა მერეთ
გადავქსცემ აქაურს სემინარიის ბიბლიოთეკაში.

შეგრენი მომიკითხეთ, აგრეთვე აკად. კეპენ.

დავჭშებები მარად თქტენი მორჩილი მოსამსახურე

პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი

პირველ გვერდზე:

26 ოკდ. 1845 წ.

თფილისით.

თქტენგან ნათარგმნი ქართულის-ცხოვრება უთუოთ დაიბეკდე-
ბა.³⁰ უთუოთ უნდა ეცადოთ ქართულიც თანვე დაიბეკდოს, თო-
რემ მერმე დროს ველარაუინ იპოვნის მისს დასაბეკდავად. აკადე-
მიას, ეტყობა არა აქტს სურვილი ქართულისა ამბებისა და უგუ-
ლოთაც არის — ესე საზოგადო ჰაზრია და ქეშმარიტი.

38.

მ ო წ ყ ა ლ ე ო ხ ე ლ მ წ ი ფ ე ვ .

უ ფ . ბ რ ო ს ს ე ტ !

წერილი თქტენი მივიღე, რომლითაც განმიახლეთ მიზეზი მი-
წერ-მოწერისა. მე ამისი ბრალი არა მქონდა, ამიტომ რომ ჩემის
მდუმარებისა მიზეზი თქტენი იყავი მით, რომ ვერ მივიღე პასუხი
ჩემგან მოწერილისა წერილისა შარშან, წერილისა, ვიტყვი ცხადად,
რომელშიაც გამოვაცხადე ჩემი ჰაზრი მრავალთაგან დამტკიცებუ-
ლი თქტენს მეცნიერებათა წოდებულის აკადემიაზედ.

იწერებით ამით შექმნილსა მეცადინეობასა თქტენსა პრემიი-
სათვის. ესე მე არცა შემიტყუია და რომ არც თქტენ მოგეწერათ,
უკეთესი იქმნებოდა. აკადემიისაგან უკეთესი არა გამოვიდოდა რა.
ჩტენში თქმულია:

ქარგი რამ ჰსთქტას, გიკვირდეს,

ავი რა საკვირველია!

სიმეონ მესვეტისა⁴⁰ ეამი მყოფობისა არის მეფობა თეოდოსი
მცირისა: აი უპირველესი მიზეზი, რომლითაც მოსულან საქართუ-
ლოს 13 მამათა ასის წლით უკან დავქსწივეთ. გარდა ამისა არის მი-
ზეზიც, რომელიც მე ვერ მოვიხსენე: მათს მოსტლის დროსა იყო
იერუსალიმის პატრიარქად ილია. და ილია ერთი იყო მხოლოდ
პატრიარქთა შორის და ჰცხოვრობდა მათვე დროსა. თფილისის სი-
ძტეღეთა აღწერაში დავსდეჯ წელი ვახუშტისა. რადგანაც ჭერეთ
გამოძიებული არა მაქტნდა. მე სრულად ვარ დარწმუნებული
მასზედ, რაც დამიწერია და მურავიევიც თანახმა არის.

ქ. ვორონცოვმა ბიამბო თქტენი სურვილი აქ მოსტლისა და
მოგელისცა.

მე ვქსწერ დიდსა და ვრცელსა წიგნსა: Описание города
Мцхеты и его древностей. ორს კვირაზედ გავათავებ დავიწყებ
ბეკტტასა ჭერეთ გაზეთში და იქილამ მცირე-მცირედ წიგნადაც, რო-

მელიც უნდა იყოს ჩემის პაწაბო 15 დაბეჭდილი თაბახი. წიგნი ესე იქმნება საესე ახალის საგნებითა.

აკადემიკი შეგრენი პატივისცემით მომიკითხეთ. მურავეოვი აღდგომის შემდეგ აარსებს წამოსტლასა.

დავკშთები მარად პატივის-მცემელი თქენი თქენდა მორჩილი და ერთგული მოსამსახურე

პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი

14 მარტსა 1847 წელსა
თფილისით.

39.

მ ო წ ყ ა ლ ე ო ხ ე ლ მ წ ი ფ ე ე!

უ ფ ა ლ ო ბ რ ო ს ს ე ტ!

თუ შეიძლება. გთხოვთ მიიღოთ შრომა და გამომითხოვოთ აღრევე წარმოდგენილი ჩემგან „ქელისა ქართულთა სამეფოჲსა ლეოლრაფია“¹¹ შინდა გადაეკეთო და გამართული დაბეჭდო.

მგონია არ იყოს საძნელო მუზეუმიდამ გამოტანა მისი. შავები ექნემპლარისა ამის, როგორღაც დავკარგე და ჩემს ქალაღებში ველარ ვკპოვე.

თქენი მორჩილი

პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი

22 აპრილი 1867 წ.
თფილისით.

მეფისა გიორგი XIII ცხოვრება ქართულად შეეასრულე. ორ კვირაზედ ეუგზავნი კ. იოანე გრუზინსკის. ესე ამას თქენ გამოგცემთ. ვკგონებ საქირო იყოს აღსავესებად ქართულთა მეფეთა ისტორიისათვის თქენგანვე დაბეჭდილისა.

40.

უ ფ ა ლ ო ბ რ ო ს ს ე ტ!

მ ო წ ყ ა ლ ე ო ხ ე ლ მ წ ი ფ ე ე!

ამასთან მომირთმევეა „ცხოვრება მეფისა გიორგი XIII“¹² ჩემგან შედგენილი. გთხოვ განიხილოთ და მერეთ გარდასკეთ უგანათლებულესს იოანე გრუზინსკის, რომელიცა ჭერეთ არ არის პეტერბურლსა. იქმნება ამა ცხოვრებამან. უკეთ თქენცა დაუნატებთ თქენთა სხოლიოთა.—შეევესოს პერიოდი ქართულთა მეფეთა.

თქენი მორჩილი

პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი

9 მაისს 1867 წ.
თფილისით.

მოწყალო ხელმწიფე!

უფალო მარი იოანესძე!

პასუხად წერილისა თქვენისა, რომლითაცა ვჰსცან ნება აკადემიისა, მომეცეს მე ჩემივე შრომა გეოგრაფიული, მოგიძღვნი მადლობასა. მაქტს იმედი უკეთესად ვიმრომო და გავმართო.

„ცხოვრება მეფისა გიორგისა“ მოგართვი. გთხოვ თავისსა დროსა როდესაც არა იქმნება თქვენთვის სახმარევი, გარდაჰსცეთ კ. იოანე გრუზინსკის. თქვენი ჰაზრი მას-ზედ, მაცნობეთ.

ვჰგზავნი სურვილისა-მებრ თქვენისა, ჩემთა შრომათა.

სხტანი დაბეჭდილნი, აქ დუშეთსა, სადაცა ზაფხულისათვის დაებინაუდი, არ მქონდენ. მათ თფილისიდან გამოვგზავნი.

ვამზადებ ენკენისთვისათვის წიგნსა: „დასტურლამა“ დასაბეჭდავად. მინდა ვუქმნა მას სხოლოები, ადვილ გავონებისათვის.

თქვენი ერთგული და მორჩილი

პლატონ იოსელიანი

6 იანვ. 1867 წ.

კ. დუშეთთ.

შენიშვნები

1. პეტრე მათეელი. ძე მეფე ვარახ-პაკურისა. ერისკაცობაში მას შურვანოზი ერქვა. დაიბადა 412 წ. 12 წლისა გაიწვიეს, როგორც მძევალი, კონსტანტინეპოლში და ცხოვრობდა თეოდოსი იმპერატორის სასახლეში. აქ მან შეისწავლა ბერძნული ენა, შემდეგ გაიპარა იერუსალიმში და სხვადასხვა მონასტრებში მოღვაწეობდა. V საუკუნის ნახევარში ის აირჩიეს მაიუმის ანუ გაძნის ეპისკოპოსად.

პეტრე ცნობილი იყო, როგორც მონოთეიზიტთა იდეოლოგიის მიმდევარი; გარდაიცვალა 488 წ. მისი ცხოვრება აღწერა ასურელ ენაზე თავისმა მოწაფემ ზაკარია ქართველმა, ხოლო მე-13 საუკ. ეს ცხოვრება ქართულად თარგმნა მაკარი მღვდელმა. ამ თარგმნისათვის რედაქცია გაუკეთებია მე-17 საუკ. პავლე დეკანოზს. ძეგლი გამოცემულია აკად. ნ. მარის მიერ (-Житие Петра Ивера, царевича—подвижника и епископа Маиюмского—„Прав. Палест. Сборник“, т. XVI вып. 2, პეტერბურგი 1896 წ. დაწერილებით იხ. პროფ. კორნ. კეკელიძის „ქართული ლიტ. ისტორია“, ტ. I, გვ. 353-355). მოიპოვება პეტრე მაიუმელის ცხოვრების ასურული ტექსტი უცნობი ავტორისა, რომელიც გამოსცა გერმანელმა მეცნიერმა რიხარდ რააბემ 1895 წ.

2. „მამათა ცხოვრება“ ჰაგიოგრაფიული ენარის თხზულებათა კრებულია.

3. ბაგრატ ბატონიშვილი საქ. უკანასკნელი მეფის, გიორგი მე-13 ძე.

4. „წყობილ სიტყვაობა“ ანტონ I თხზულება, გამოსცა პ. იოსელიანმა 1853 წ. ჩანს, წინასწარ გასასინჯად გაუგზავნია აკად. მ. ბროსესთვის.

5. აკად. ანდრია მიხეილის-ძე შეგრენი (1794—1855 წ.წ.) ცნობილი ლინგვისტი, ოსური ენის მკვლევარი.

6. იგულისხმება „ისტორიებრი და ლეოლრაფიული აღწერა საქართველოჲსა“ (იხ. წერილი № 39, შენ. 1).

7. სტრაბონი.— ბერძენი გეოგრაფოსი, ცხოვრობდა 60 წ. ჩვენ წელთაღრიცხვამდის და 20 წ. ჩვ. წელთაღრიცხვის შემდეგ. მოგზაურობდა აღმოსავლეთსა და იტალიაში. დაწერა 17 ტომიანი გეოგრაფია, რომელშიც ძვირფასი ცნობები აქვს შეტანილი საქართველოს შესახებაც.

8. დ უ ბ უ ა (1798 1850 წ.წ.), ფრანგი ბუნებისმეტყველი და არქეოლოგი; უმთავრესად აინტერესებდა კავკასიის მხარე და ყირიმი. დაწერილი აქვს 6 ტომიანი შრომა კავკასიაში მოგზაურობის შესახებ, სადაც საქართველოს შესახებაც მოეპოება საყურადღებო ცნობები.

9. ა ნ ტ ო ნ პ ი რ ვ ე ლ ი კათალიკოზი, ცნობილი პიროვნებაა საქ. ისტორიაში. როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული მოღვაწე და სწორუბოვარი მეცნიერი. დაიბადა 1720 წ. ოქტომბრის 17, გარდაიცვალა 1788 წ. მარტის 1-ს, დასაფლავებულია მცხეთაში. მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ნახ. პროფ. კ ო რ ნ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს „ქართული ლიტ. ისტორია“ ტ. 1, გვ. 395—411)

10. ს ა უ ლ დ ა ვ ი თ ი ა ნ ი: ამ თხზულების შესახებ აკად. მ. ბროსეს 1838 წ. მარტის 25-ს მიუწერია პ. იოსელიანისათვის: „გთხოვთ, რომ თუ იაროთ ერთი ს ა უ ლ დ ა ვ ი თ ი ა ნ ა დ სახელდებული წიგნი, ამისი უწყება გამოგვიგზავნეთ“-ო, (S. № 897). ჩანს, შემდეგშიაც არაერთხელ მოუგონებია ბროსეს პ. იოსელიანისათვის ამ თხზულებას შოენის შესახებ. პ. იოსელიანიც გულდასმით შედგომია მის ძიებას საქართველოში, რის შესახებაც მას არაერთხელ უცნობებია მ. ბროსესთვის. ასე, მაგ., იმავე წლის ე. ი. 1838 წ. ივნისის 23-ს პ. იოსელიანი სწერს ბროსეს: „საულ დავითიანი ერთი იპოება თელავში და არ იძლევიან, ვეცდები როგორმე ჩავიგდო ხელში“. იმავე წლის ნოემბრის 10-ს კი სწერს: „საულ დავითიანი ჯერ არ მომსვლია, ვჭკონებ მატყუებენ და იმედსა ცრუსა მძღლევენ მოპოვნებასას, ზაფხულს უთუოდ უნდა მე თვით წავიდე და ვიხილო იგი თელავს“. 1839 წ. მარტის 9-ს კი უცნობებია: „საულ დავითიანისთვის მღვიძარე ვარ, რომ ვუშოვო აკადემიას“. პ. იოსელიანს იმედს ჰქონდა, რომ ეს წიგნი თელავში მოიპოებოდა, მაგრამ იმედი არ გაუმართლდა, 1840 წ. ოქტომბრის 10-ს ამის შესახებ იგი ბროსეს სწერს: „საულ დავითიანი მოგატანინე თელავით და ფულიც გამივიდა მის მოტანაზედ. ის არის წიგნი სრულიად უქმი და უხმარი. რა ჰსწერია? ისტორია დავით მეფისა და საულისა, ანუ გადმოწერილი დაბადებიდამ ო რ ი წ ი გ ნ ი მ ე ფ ე თ ა. მასვე კვირას გავგზავნე თელავს“. იპოვა თუ არა შემდეგში იოსელიანმა ეს თხზულება, მიწერ-მოწერიდან არ ჩანს. სახელწოდებით შეიძლება კაცს ეფიქრა, რომ ეს მართლადაც „მეფეთა ორი წიგნი“ ყოფილიყო, რომელშიც საულისა და დავითის ამბებია მოთხრობილი, მაგრამ ყურადღებას იპყრობს შემდეგი გარემოება: პ. იოსელიანი 1838 წ. მაისის 12-ს ამ წიგნის შესახებ მ. ბროსეს სწერს, რომ ის „ბატონიშვილთა პეტერბურღში უნდა

აქედესთო“, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ დროს ბატონიშვილებს ეს წიგნი არ ჰქონიათ, თორემ ბროსე მას ადვილად იშოვნოდა და მთელი სამი წლის განმავლობაში პ. იოსელიანის იმედით არ დარჩებოდა. მაგრამ იოანე ბატონიშვილს რომ მართლაც ხელთ ჰქონია ეს წიგნი და ის ერთ-ერთ ლიტერატურულ წყაროდ გამოიყენებია თავისი „კალმასობის“ წერისას, ეს კი უდავოა. ლაშას ცოლის შესახებ თავის თხზულებაში ის სწერს: „კულად ამტკიცებს ჰსჯულიერ ქორწინებასა მეფისასა კათალიკოზი ევთიმი, აგრეთვე მოძღვარი მეფისა გიორგი სარქოშელი, აგრეთვე დ ა ვ ი თ ს ა უ ლ ი ა ნ შ ი ა ც მოიხსენების ლაშას ჰსჯულიერსა ცოლსა“¹ და სხვ. ჩანს, რომ ეს წიგნი ყოფილა საისტორიო ხასიათის თხზულება.

11. ათონის მთაზე და იერუსალიმში, იქაური ქართული ხელნაწერების შესწავლის მიზნით, იმოგზაურა პ. იოსელიანმა 1849 წ. მის არქივში დაცულია დღიურის ნაწყვეტები „Из путешествия на Афон“. აქვეა დაცული ათონის ბერების მიმოწერა პ. იოსელიანისადმი სხვადასხვა საკითხების შესახებ (იხ. S. № 3055).

12. იმერეთის დედოფალი მ ა რ ი ა მ ი, კაცია დადიანის ასული, იმერეთის უკანასკნელი მეფის, სოლომონ მეორის, მეუღლე. ცხოვრობდა პეტერბურგში; გარდაიცვალა 1841 წ.

13. ნ ი კ ო ლ ო ზ დ ა ვ ი თ ი ს ძ ე ჩ უ ბ ი ნ ო ვ ი, ცნობილი მწიგნობარი, პროფ. დავით ჩუბინაშვილის ბიძა, 1840 წლამდის მსახურობდა პეტერბურგში საგარეო საქმეთა სამინისტროს სააზიო დეპარტამენტის თარჯიმნად, შემდეგ კი მსახურობდა ტფილისში. ჰქონდა მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც უანდერძა თავის ძმიშვილს დავითს 1887 წ.

14. თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს უკანასკნელი მეფის — გიორგი მე-13-ის შვილი, დაიბადა 1782 წ. აპრილის 23-ს, მისი მასწავლებელი იყო დავით რექტორი, ხოლო მასზე მზრუნველობას ეწეოდა მისი უფროსი ძმა დავითი. თეიმურაზი უახლოეს კავშირში იმყოფებოდა აკად. მ. ბროსესთან, რომელსაც აწვდიდა ცნობებს საქართველოსა და მისი კულტურული მემკვიდრეობის ისტორიიდან. თავისი ცხოვრების ბოლო დრო მან რუსეთში გაატარა, სადაც გარდაიცვალა 1846 წ. ოქტომბრის 23-ს. მის შესახებ ნეკროლოგი დაბეჭდა აკად. მ. ბროსემ „Журн. Мин. Народн. Просвещ.“ 1846 წ. (თეიმურაზის ცხოვრება-მოღვაწეობის შეVსახი. შ. მესხიას ნარკვევი: „თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“ კრებულში: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვეთი პირველი, 1939 წ. გვ. 19—78).

¹ ამ ცნობაზე მიმართითა პროფ. კონ. კველიძემ. რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებ.

15. დაეთ ჩუბინაშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორი, ცნობილი ენათმეცნიერ-ლექსიკოგრაფი. დაიბადა 1814 წ. გარდაიცვალა 1891 წ. იენისის 15-ს, დასაფლავებულია ლენინგრადში.

16. გოლოვინი ევგ. ა. კავკასიას მართავდა 1837 1842 წ.წ.

17. შოპენი ივანე ივანესძე (1798 1870 წ. წ.) ფრანგი ისტორიკოსი, 1825 წ. მახლობლად გადმოვიდა რუსეთში, დიდხანს მსახურობდა კავკასიაში, სწავლობდა აღმოსავლეთის ისტორიას და ეთნოგრაფიას, განსაკუთრებით კი საქართველოს და სომხეთისას.

18. ლაპარაკია ჩახრუხადის „თამარიანზე“ და ი. შავთელის „აბდულ-მესიაზე“, რომლებიც გამოსცა პ. იოსელიანმა 1838 წ.

19. გრიგოლ დადიანი (1814 1902 წ.წ.) მწერლობაში კოლხიდელის ფსევდონიმით ცნობილი, სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის, დაეთ ლევანისძე დადიანის ძმა.

20. ზაქარია ონისიმესძე იოსელიანი, პ. იოსელიანის ბიძა, გენერალ მაიორი. გარდაიცვალა პეტერბურგს 1865 წ.

21. ლაპარაკია ნაშრომზე „ისტორიებრი და ლეოლრაფიული აღწერა ძველისა საქართველოჲსა“.

22. გაზ. „სალიტერატურო ნაწ. ტფ. უწყებათანი“-ს სცემდა სოლ. დოდაშვილი. ამ გაზეთის შესახებ ის 1831 წ. იანვრის 15-ს იონა ხელაშვილს სწერდა, პეტერბურგში: „სტამბა გავმართე დიდად ფრიად კარგა ქართულის ასოებისა. ღრამატიკა იბეჭდება და ამასთამ იწყების, უკეთუ ინებოს ღმერთმან და შეგვეწიოს იგი ლექსიკონი¹ თქუნი, ეგრეთვე გამოიცემა ყოველსა თთუესა ჟურნალი ქართული, წელიწადში თორმეტი წიგნი, გთხოვთ ხელი მოაწერინოთ ბატონიშვილებსა და ბატონის რძლებს მიღებისათვის ჟურნალთა. ამ ჟურნალში იქნებოდაცა ქართველთა ფასი მთელს წლისა ასოცი რუბლი ასიგნაცია წარმოგზავნითა... ვჰსასოებ, რომ ოცს ხელისმომწერს იშოვით მანდ ჟურნალის მისაღებად. ეგრეთვე ვითხოვ, რათა ყოველთავე ქართველთა გამოუცხადოთ, რომელთვისი თხზულება ანუ გასჯა რომელსამე საგანსა ზედა სტიხათ გინა უსტიხოთ წარმოგზავნონ ჟურნალსა შინა დასაბეჭდად, ეგრეთვე გთხოვთ უმდაბლესად, რათა წარმოგზავნოთ ოდა ღთისა (ოდა ბოლა), ვგონებ ქართულად ნათარგმნი აქენდეს ბატონიშვილს შირიანს, თქუენ არ დაგიკერს, გადააწერინეთ და წარმოგზავნეთ,

¹ ლაპარაკია იონა ხელაშვილის ქართულ ლექსიკონზე.

ეგრეთვე მაცნობეთ სახელნი ქართველთა წიგნთა, რომელნიცა მანდ ქართველთაგან შეთხზული ანუ ნათარგმნი იყვნენ სახელგებულთა მთხველთა და მთარგმნელთა გარჩევით, რომელს ნაწილს ეკუთვნის ლთის მეტყუელებასა, ფილოსოფიას თუ ისტორიასა და სხუათა“ (S № 388). გაზეთმა გამოავლა დაიწყო 1832 წ. გამოვიდა სულ ხუთი ნომერი, რადგანაც სოლომონ დოდაშვილი მალე შეიპყრეს. ის იყო მთავარი მონაწილეთაგანი 1832 წ. შეთქმულებისა. ეს შეთქმულება აღმოჩენილი იქნა და მისი მონაწილენი გადაასახლეს რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში. დოდაშვილი კი გადაასახლეს ვიატკაში, სადაც გარდაიცვალა კიდევ.

23. საუბარია გაზ. „Закавказский Вестник“-ზე.

24. ლაპარაკია ევგენი ექსარხზე.

25. და ე თ ლ ე ვ ა ნ ი ს ძ ე და დ ი ა ნ ი სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი, გარდაიცვალა 1853 წ. მიწერ-მოწერა ჰქონდა აკად. მ. ბროსესთან. უკანასკნელმა რამოდენიმეხანს დაჰყო დავ. დადიანთან სამეგრელოში ყოფნის დროს.

26. ლაპარაკია არსენ ბერის თხზულებაზე: „ძეგლის წერა წმინდისა და ღმრთივ შეკრებულისა რუის-ურბნისის კრებისა“. დაბეჭდილია მ ი ხ. რ ო ბ ი ნ ი ნ ი ს მიერ „საქ. სამოთხე“-ში, გვ. 518--528 და თ. ყ ო რ დ ა ნ ი ა ს მიერ--„ქრონიკები“ II, გვ. 56--72. რუის-ურბნისის კრება მოხდა დავ. აღმაშენებელის დროს 1103 წ.

27. ე ფ რ ე მ მ ც ი რ ე. გამოჩენილი ფილოლოგი, ფილოსოფოსი და ისტორიკოსი, ცხოვრობდა მე-11 საუკ. მიწურულში. პ. იოსელიანის დასახელებული ეფრემ მცირის თხზულება არის „უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენების“. ეს თხზულება მან დასწერა შავი მთის ქართველთა მონდობილობით. ძეგლი გამოცემულია ე. თაყაიშვილის მიერ, „ახალი ვარიანტი ნინოს ცხოვრებისა“ გვ. XXXVIII--LVII, და თ. ყ ო რ დ ა ნ ი ს მიერ, „ქრონიკები“ I, გვ. 33-37, 47, 53--54.

28. ლაპარაკია იტალიელ მხატვარ როციზე.

29. პ. იოსელიანის „პირველდაწყებითი კანონი ქართულისა ღრამატიკისა“ პირველად დაიბეჭდა 1840 წ., მეორედ 1851 წ., მესამედ--1863 წ.

30. აკად. მ. ბროსეს ქართული გრამატიკა, ლიტოგრაფიული გამოცემა, გამოვიდა 1829 წ.

31. მ ი ხ ე ი ლ ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ნუმისმატიკის დამაარსებელი, ავტორი შრომისა: „Нумизматические факты грузинскаго царства“, 1841 წ.

32. პ ა ვ ლ ე ე ს ტ ა ტ ე ს ძ ე კ ო ც ე ბ უ, გენერალ მაიო-

რი, კავკასიის ჯარების კორპუსის უფროსი. 1846 წ დანიშნულ იქ-
ნა კორპუსის გენერალური შტაბის უფროსად.

33. ეს შრომა დაიბეჭდა რუსულად: „Краткая история грузинской церкви“ 1841 წ., მეორედ გამოიცა 1843 წ.

34. ეს კუპლეტი დაბეჭდილია ცალკე ქალაქში მხედრული
ასოებით: „აბგდეფჴსთიკლმნპჴრსტუჴფქღშჩცჴჭჴჴ“

რომელ ვანება რომელ ვანება შენოდენ გკონდეს მაის-
კრებარე

არა გეთნია არა გეთნია მნათობნი მით ესცენ, დაგბლე-
ნებარე,

მანათოვლითა, მანათოვლითა, ლაწუმულ ლაზარობ გამ-
ღმამებარე

ვინატრიდია, ვინატრიდია, ძე ლუთისა შენდა ძედ მწო-
ლებარე“

(ამოღებულია ჩანრუხაძის თამარანიდან).

35. ლაპარაკია დაე. ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსულ-ფრან-
გულ ლექსიკონზე“, რომელიც დაიბეჭდა აკად. მ. ბროსეს რედაქ-
ციით და წინასიტყვაობით 1840 წ.

36. საუბარია 1841 წ. დაბეჭდილ „ვეფხის ტყაოსანზე“, „და-
ბეჭდილი შეერთებულითა ღვაწლითა უფალთა ბროსეტ, ზაქარია
ფალავანდოვისა და დავით ჩუბინოვისათა“ სანქტპეტერბურღს,
ლექსიკონით. ფრანგულ ენაზე „ვეფხის ტყაოსნის“ პირველი პრო-
ზაული თარგმანი დასაწყისი სტროფებისა და პირველი თავისა
შეასრულა მარი ბროსემ, რომელიც გამოაქვეყნა ჟურნ. „Asiat-
ique“-ში 1828-31 წ.წ.

37. ს მ ი რ დ ი ნ ი იყო წიგნების მოვაჭრე და გამომცემელი.

38. პ. იოსელიანი რედაქტორობდა „Закавказский
Вестник“--ს 1845 1850 წ. წ.

39. „ქართლის ცხოვრების“ პირველი ნაწილი, 1469 წლამდის,
მ. ბროსემ დაბეჭდა 1849 წ. ქართულად და ფრანგულად ცალ-
ცალკე.

40. ს ვ ი მ ო ნ მ ე ს ვ ე ტ ე (356-459 წ. წ.) ცხოვრობდა
ანტიოქიაში; წარმოშობით იყო კილიკიელი; მისი ბიოგრაფია და-
წერა ანტონ მეგვიპტელმა.

41. ამ შრომის დაწერის შესახებ პ. იოსელიანი ჯერ კიდევ
1838 წ. აპრილის 14 თარიღით დაწერილ წერილით აცნობებდა
ბროსეს, (ნახ. წერ. № 1), შემდეგში ეს შრომა ავტორს გაუგზავ-
ნია აკადემიისათვის, რომელიც შემდეგ ავტორის სურვილით დარ-
ჩენილა იქ. როგორც ამ წერილიდან ჩანს, ავტორს განუზრახავს
მისი გადაკეთება და გამოქვეყნება და ამიტომაც გამოუთხოვია ის
უკან. ამ წერილის საპასუხოდ მ. ბროსეს შემდეგი წერილი მოუ-
წერია პ. იოსელიანისათვის:

გმადლობ დაუფიწყებლობისათვის: თქვენი წიგნი რომ მომივიდა, ეთხოვე მუხეუმში ხელნაწერი თქვენი. „აღწერა ძველისა საქართველოჲსა“, და გუშინ წარუდგინე აქადემიის კრებაში. მოეწონა პრეზიდენტსა და ჩვენებსა ვედრება თქვენი და ნება მისცეს სამარადისო სეკრეტარსა გაგზავნად თქვენთვის ნამდული თქვენისა შრომისა. გთხოვთ, რომ გააცოთ გადაწერა ამისი, კვალად მიცემა მუხეუმს.

მიხარიან დიდათ, რომ დაგიწერიათ სრული ისტორია უკანასკნელი მეფისა გიორგისი. ჩვენ კეშმარიტებასა ვიცნობთ ძლიელა ნახევრამდინ, და თქვენ ქართველი, თვალთ თვისით მნახველი ყოვლისა შემთხვევისა, უნდა გამოაცხადოთ საქმე, როგორც იყო.

ამისთანავე გთხოვთ ერთი თქვენი წიგნაკი წამაკითხვინოთ: Описание древности г. Тифлиса. წიგნი ესე ზოგან ხელში მქონდა, და აწ არ ვიცი რა შეიქმნა, ძალიან მსურს წავიკითხო მეორედ.

სხვებრ დაერჩები თქვენ სამსახურზედ, ყოველთვის მზა
მ. ბროსე.

სანკთქეტერბურლიდამ 17 ვარდობისთვის ¹ 1867 წ. ²

ამის შემდეგ პ. იოსელიანი ამ შრომას („ისტორიები და ლეოლრაფიული აღწერა ძველისა საქართველოჲსა“) მიიღებდა ალბათ, მაგრამ გამოქვეყნებით ის მას არ გამოუქვეყნებია და არც ხელნაწერია მიგნებული. ალბათ ავტორის გარდაცვალების შემდეგ სხვა ხელნაწერებთან ერთად ისიც დაიღუპა.

42. „გიორგი მე-13 ცხოვრების აღწერით“ დაინტერესებულან ბატონიშვილები, მისი გამოცემა უკისრია იოანე გრიგორისძე გრუზინსკის, მაგრამ გამოცემა დაგვიანებულია. ამის გამო დავით ბატონიშვილი 1868 წ. ივნისის 17-ს პ. იოსელიანს საყვედურით სწერდა, რომ „напрасно вручили историю царя Георгия 13 ему, я бы его давно давным напечатал на грузинском, французском и русском языках“ ¹ თხზულების ნაწყვეტები პირველად დაიბეჭდა უკურნ. „ივერიაში“ 1879 წ. აქედან ცალკე წიგნად გამოსცა 1895 წ. ზ. კიკინაძემ, ხოლო 1936 წ. იგი დედნის მიხედვით გამოცემულ იქნა აკ. გაწერელიას მიერ შესავალი წერილებით, რედაქციით და შენიშვნებით.

¹. ე. ი. მაისის.

². წერილი დაცულია კ. მარქსის სახელობის თბილისის სახ. საჯარო ბიბლიოთეკის რარიტეტსაკავში.

³. წერილი დაცულია კ. მარქსის სახ. თბილისის სახ. საჯარო ბიბლიოთეკის რარიტეტსაკავში.

ლუბა მეფარიშვილი.

გრიგოლ ორბელიანის ზოგიერთი გამოსუქვეყნებული წერილის შესახებ.

საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების ახალი ფონდის დამუშავებისას აღმოჩნდა გრიგოლ ორბელიანის უცნობი წერილი დიმიტრი ჯორჯაძისადმი¹.

წერილი დათარიღებულია 1881 წლის 14 ნოემბრით და შეიცავს თაბახის ერთ გვერდს.

ამ წერილში გრ. ორბელიანის დიდი ინტერესი მელავნდება ხალხისათვის სასარგებლო თოვლის სახვეტი მანქანის მფარველობა-გამოყენებისადმი, ამას გარდა, საყურადღებოა წერილის ლექსიკონიდან სიტყვა „მათლაბის“ განმარტება: „ნუ გამიწყრები და ნურც უარს მეტყვი, ჩემო ბატონო დემეტრე, სწერს გრ. ორბელიანი, ერთი წიგნი კ. ერისთავის მაგიერ უნდა მისწერო ღრად ვორონცოვსა, და აი ამის მათლაბი (ხაზგასმულია ტექსტში), ე. ი. საგანი ანუ „содержание“.

მეტად საინტერესოა საქართველოს მუზეუმის პალეოგრაფიული განყოფილების წ. კ.-ის ფონდში დაცული გრ. ორბელიანის წერილები ალექსანდრე ორბელიანისადმი².

ერთი წერილი (დათარიღებული 1867 წ. 1 მარტით) საყურადღებოა იმით, რომ მასში მოტანილია უკანასკნელი სტროფი იმ ლექსისა, რომელიც შემდეგი სათაურითაა ცნობილი: „თ. ალექსანდრე ვახტანგის-ძე ორბელიანს“³. აღნიშნული ლექსი დღემდე 1870 წელს დაწერილად მიაჩნდათ.

ხსენებულ წერილში მოტანილი სტროფი უეჭვოდ პირველი ვარიანტია. როგორც ჩანს, ლექსს შემდეგში ოდნავ შეუცვლია სახე. ამას ამტკიცებს პოეტის წერილიდან შემდეგი ადგილი: „მეც ეს ორი კვირა არის ვგდივარ ავადმყოფი, სევდა აშლილი: მახველებს, ფერდები მტკივა, აღარა მიაღებინა რა, ერთის სიტყვით. იობის ღალადისია: „ამა სოფლისგან რას ველი? რა მიხარაინ, რა მინდა? რაც ვიყავ, იგი აღარ ვარ, ძლივსლა ვგრძნობ რაცა მიუჭარდა!

დღე ყოველ, ჟამი ყოველი, მაკლებს რასამე კეთილსა,

ვკმზერ უიმედოდ მომავალს და ვკსწყველი ფუქად წასულსა“.

ასეა, ჩემო ბიძიავ, აწინდელი მდგომარეობა შენის მარადის ერთგულისა და ქეშმარიტად პატივისმცემელისა“.

¹ დიმიტრი ჯორჯაძე იყო დიდი მოხელე და ტფილისის სათავადაზნაურო ბანკის სახედაშხედველო კომისიის წევრი 1879 წლიდან.

² თალაბა—მოთხოვნა; არაბული მათლაბ—მოთხოვნა, მიხანი, საგანი.

³ გრ. ორბელიანის წერილები აღ. ორბელიანისადმი S: 1632 (წ. კ. სახ. ფონდი).

⁴ გრ. ორბელიანის ლექსები—მ. ხანდუკელის რედაქციით, გვ. 85.

ცნობილ ლექსიდან ამ წერილში მხოლოდ ერთი სტროფია მოტანილი. რომელიც ნაბეკდის უკანასკნელ სტროფს ემთხვევა. განსხვავება მცირეა.

სახელდობრ — დაბეჭდილშია:

„ან რაღას ველი სოფლისგან, რა მიხარიათ, რა მინდა?

რაც ვიყავ იგი აღარ ვარ; ვერც კი ვჭკრძნობ რაცა მიყვარდა!

დღე ყოველ, ჟამი ყოველი მაკლებს რასამე კეთილსა.

ვკმზერ მწუხარებით მომავალს და ვკსწყევლი ფუჟად წარსულსა.“

(1870 წ.)

ხელნაწერშია:

„ამა სოფლისგან რას ველი? რა მიხარიათ, რა მინდა?

რაც ვიყავ, იგი აღარ ვარ, ძლივს ვაჭკრძნობ რაცა მიყვარდა!

დღე ყოველ, ჟამი ყოველი, მაკლებს რასამე კეთილსა,

ვკმზერ უიმედოდ მომავალს და ვკსწყევლი ფუჟად წარსულსა!“

(1867 წ. 1 მარტი).

ამრიგად, დღემდე უცნობი ამ ავტოგრაფით შეგვიძლია დავადგინოთ მნიშვნელოვანი ლექსის — თ. აღ. ვახ. ძე ორბელიანს — თარიღი.

გრ. ორბელიანს ხსენებული ლექსის წერა დაუწყია 1867 წ. (ავტოგრაფის მიხედვით). მოცემულია ერთი სტროფი, ავტორის საერთო მსოფლმხედველობის გამომხატველი, რომ გრ. ორბელიანი თავის შემოქმედების მთელ მანძილზე ერთი აზრისაა: „ვკმზერ უიმედოდ მომავალს და ვკსწყევლი ფუჟად წარსულსა“—ო.

პირველი ორი სტროფი, საფიქრებელია, მაშინაც ჰქონდა დაწერილი, მხოლოდ წერილისათვის ეს უკანასკნელი გამოუყენებია.

საინტერესოა აგრეთვე სამი წერილი (1869 წლით დათარიღებული). რომლებიც ერთსა და იმავე საკითხს ეხებიან.

როგორც ამ წერილებიდან ჩანს, გრ. ორბელიანი დიდ ანგარიშს უწევდა აღ. ორბელიანის იმ აზრს და შენიშვნებს, რომლებიც მას გამოუთქვამს მის (გრ. ორბელიანის) ნაწარმოებებზე.

მაგ. 1869 წლის 5 იანვრით დათარიღებული წერილიდან ჩანს, რომ გრ. ორბელიანს თავისი „ტოლუმბაში“ სარეცენზიოდ გაუგზავნია აღ. ორბელიანისათვის.

წერილში გვითხულობთ: „ჩემო ბატონო, ბიძიავ! ალექსანდრე! მომირთმევია ჩემი ტოლუმბაში¹ პირველი თავი, გთხოვთ კარგად გადაავლოთ თვალი, და, რაც არ მოგეწონოს, წაშალე და გამომიგზავნე, რომ მეორე თავს ხელი მოვკიდო“.

ვფიქრობ, ეს წერილი შეეხება „ტოლუმბაშის“ ერთერთ ვარიანტს. ეს მტკიცდება შემდეგიდან: 1869 წ. 25 თებერვლის წე-

¹ ავტორი წერილში აღ. ორბელიანს ბიძიას ეძახის.

² ხმარობს „ტოლუმბაში“ და არა „ტოლუმბაში“, როგორც განმტკიცებულია ჩვენს ლიტერატურაში.

რილში ვკითხულობთ: „ჩემო ბატონო, ბიძიავ ალექსანდრე! შომირ-თმევია უწინდელი „ტოლუბაში“ ეხლა სახელგადცუთილი, წაიკითხეთ და ისევ მალე მიბოძეთ თქვენის სხვა და სხვა ზედმიწერი-თა“. აქედან ჩანს, რომ გრ. ორბელიანის „ტოლუბაშის“. ერთერთ ან, შეიძლება უკანასკნელ ვარიანტსაც, ალექსანდრე ორბელიანის კონტროლის ქვეშ გაუვლია (ზემოთ მოხსენებულ წერილიდანაც დასტურდება, რომ შენიშვნები ბევრი და მნიშვნელოვანი ყოფილა).

დასახელებული წერილებისა და თვით ალექსანდრე ორბელი-ანის ავტოგრაფების გაცნობა ადასტურებს იმას, რომ ალექსანდრე ორბელიანს (გრ. ორბელიანის თხოვნით) ჩვენი მწერლის ლექსებ-ში ენობრივი სტილისტური და ზოგჯერ რედაქციული ხასიათის შესწორებებიც შეუტანია.

საქ. მუზეუმის პალეოგრაფიული განყოფილების ხელნაწე-რებში S:2456 მოთავსებულია „იარალის“ და „ტოლუბაში“ (ტექ-სტშია „ტოლუბაშიდან“). ამათგან საინტერესოა განსაკუთრებით „იარალის“ შესწორება ალექსანდრე ორბელიანის მიერ.

**გრიგოლ ორბელიანის
ტექსტში:**

თუ ვითარ გმირნი ვით ალვა-
რგულნი

ცხენითგან ხლტომა, კვალად
შეხლტომა

**ალ. ორბელიანის მიერ
შესწორებული:**

თუ ვითარ გმირნი ვით ალვა
რგულნი.

ცხენით ქვე ხტომა, კვალად
შეხტომა.

ამ ვაჟაკობრივს შექცევას იგი სიამით მარად უმზერდა შორით.

მაგრამ ამაო, ჩემო იარალი, არს | | მაგრამ ამაო, ჩემო იარალი, არს
ჩემი სიტყვა და ჩემი ნატვრა. | | ჩემი ნატვრა და ჩემი სიტყვა!

ასეთია ენობრივ-სტილისტური შესწორება ალ. ორბელიანისა ლექს „იარალის“ .

საგულისხმოა, რომ „ტოლუბაშმაც“ გაიარა ალექსანდრე ორბელიანის ხელში (გრ. ორ-ნის თხოვნით S:1632), მაგრამ ის ვარიანტი ჯერ არ ჩანს.

ბეჭდები

ჩემო ბიძიავ ბატონო ალექსანდრე!

ამის წინად იყო ჩემთან გიორგი ერისთავი და მიაშობო განწი-რულებით მდგომარეობა საწყალის ტიხონის ბარათაშვილის სახ-ლობისა და ესეცა მითხრა, რომ რაოდენთამე თქვენც მიგილიათ

ქრისტიანობრივი მზრუნველობა შეწვევისათვის უნუგეშოდ დაკშ-
თომილისა ქვრივობლებისა მისისა. მოიმედე ვარ. რომ ამა კეთილს
საქმეში მეც მყოფთ თანამეზიარედ; და ამის გამო მომირთმევია ამ
უამად სამი თუმანი. გთხოვთ, რომ გაუგზავნო საბრალოს ტიხონის
ქვრივსა.

ტიხონსა ვიცნობდი მე კარგად; მას უდროოდ დამიწებულსა,
თავდადებით უყუარდა საქართველო, რომლისა ისტორიას შეჰსწი-
რა თავისი სიცოცხლე; მოკვდა საქართველოს ისტორიკოსი და
საქართველომ ვერცკი გაიგო სიკვდილი მისი!.. სამწუხაროა, ეს-
რეთი უმადლო მხვედრი კაცისა.

მეცა ეს ორი კვირა არის, ვგდივარ ავადმყოფი, სევდა-აშლილი:
მახველებს, ფერდები მტკივა. გულიცა მტკივა, კბილებიც მტკივა,
აღარა მიაგება რა, ერთის სიტყვით, იობის ღალადისია.

ამა სოფლისგან რას ველი? რა მიხარია, რა მინდა?

რაც ვიყავ, იგი აღარ ვარ, ძლივსღა ვპგრძნობ რაც მიყუარდა!

დღე ყოველ, ყამი ყოველი, მაკლებს რასამე კეთილსა,

ვკმზერ უიმედოდ მომავალს და ვკსწყველი ფუჰად წარსულსა!..

ასეა, ჩემო ბიძიავ, აწინდელი მდგომარეობა შენი მარადის
ერთგულისა და ქეშმარიტად პატივსმცემლისა გ რ ი გ ო ლ
ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ა .

1 მარტს 1867 წ.

ნუ გამიწყრები და ნურც უარს მეტყვი ჩემო ბატონო დემეტ-
რე: ერთი წიგნი კოწია ერისთავის მაგიერ უნდა მისწეროთ ღრაფ
ვორონცოვსა, და აი ამის მათლააბი. ესე იგი საგანი, ანუ со-
держание, ეს არის, კოწია ერისთავის შვილსა, ბუნებით ტეხნი-
კსა, გაუკეთებია მაშინა, თოვლის სახვეტი, და ამ ყმაწვილსა
ჰსურს, რომ ეს მაშინა მიართვას ვორონცოვსა, და აქჰს იმედი,
რომ თუ კოწიას წიგნი ექნება, მაშინ უთუოდ და უთუოდ მისცემს
შემწეობასა.

ესეც უნდა მოგახსენო, რომ კოწია ერისთავი დიდად მოკლე
ნაცნობია ვორონცოვისა. უარის თქმა არ იქნება; თქვენის შეწვე-
ვით და წიგნის ძალით ეგებ იმ საწყალმა ყმაწვილმა იპოვოს გზა
ბედნიერებისა.

ხვალვე დილით გამომიგზავნე შავად დაწერალი, რომ ხვალვე
გაუგზავნო გორსა. — გათაჟტანე. ნუ გეწყინება.

თქვენნი მარადის ერთგული თ. გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი .

14 ს ნოემ [ბერი] 1881 წ.

კოწია ჰსთხოვს ვორონცოვსა. რომ თუ მაშინა, მართლად იყოს

გამოსადეგი სასარგებლო ხალხისათვის, ნუ მოაკლებს მოწყალებით მფარველობასა, ახლად გამოსულ ტენიკსა.

ჩემო ბატონო ბიძიავ ალექსანდრე!

პავლემ ჰსთქუა „რაცა დავკწერე. დავკწერე“ მეც მოვანსენებთ. რაცა შემეძლო ის შევიძელი. კარგია და გავათათ; ნულარ შემიყუან განსაცდელში სხტა და სხტა მოთხრობებით საქართველოზე. ჩტენი ისტორია სავსეა დიდ საქმეებით, დიდ მამაცობით და მამულისათვის თავდადებით სიყუარულითა.

ყოველთა ამათთვის დიდი მწერლობა უნდა და მას მწერალსაც „საწერელი ზღუა უნდა“ და მე კოდაზე პატარა წყაროს მეტი არა მაქტის.

მომირთმევია შენი რვეული, რომელშიაცა ჩაუმატე შენგან ნათქუამი სახელები, და სხოლიოებში შენ თვითონ განმარტე, ვინცა არიან იგინი.

შენი ერთგული გრიგოლ ორბელიანი.

18 ოქდომ. 1869 წ.

ჩემო ბატონო ბიძიავ ალექსანდრე!

მომირთმევია ჩემი ტოლუბაში, პირველი თავი. გთხოვ კარგად გადაავლო თვალი და რაც არ მოგეწონოს, წაშალე, და გამომიგზავნე, რომ მეორეს თავს ხელი მივკყო.

შენი მარადის ერთგული და პატივისმცემელი

თ. გრიგოლ ორბელიანი.

5-ს იანვარს.

ჩემო ბატონო ბიძიავ ალექსანდრე!

მომირთმევია უწინდელი ტოლუბაში ახლა სახელგადაცჳილილი, წაიკითხე და ისევ მალე მიბოძეთ თქტენის სხტა და სხტა ზედმიწერიტა.

თქვენი მარადის მორჩილი და ერთგული

თ. გრიგოლ ორბელიანი.

25—ს თებერ. 1869 წ.

..

პასუხისმგებელი რედაქტორი ნ. ნიჟარაძე.

ტექრედაქტორი—ნ. შაფაზონია.

კორექტორები: დ. ცენტერაძე, გ. ხანიკიძე,
ი. ბონდარენკო.

გადაეცა წარმოებას №0/XII-40. ხელმოწერილია დასა-
ბეჭდად 9/II-41. ნაბეჭდი ფურცელი 13. საავტორო
ფურც. 12,7. (სასტამბო ნიშნების რაოდენობა ნაბეჭდ
ფურცელში 33,859). დაკვეთის № 4287.
გვ. № 5204. ტირაჟი 2.150.

ბათუმი, აკარის ადგ. მრეწვ. სახკომისარიატის სტამბა-ლითოგრაფია
ლიუქსემბურგის ქ. № 22.